



ප්‍රංශ්‍ය දෙළඹ

විශ්වාසීය වෛශ්‍ය
කුස්-කුණුවා
මුද්‍රණය සඳහා
යැකරුදෙකුම

→ තැන්තුවල 1960 ←



ප්‍රකාශ. ත. ६३८ ४१८०

ජාතිවාලා මුහුද්‍ය තොරතුළු ගාමාච්චාලාගාලී සාහූද්‍යාධ්‍යාගා

(තෙක්සස් නෑත්‍රේලෝජිස්ටික්ස් මැණ්ඩුව)

1879—1927

සාහූද්‍යාධ්‍යාගා තාමෝත්‍රේලුගා
„සාහූද්‍යා සාහාතියාලු“
තිබුණුව
1960



K 264-480
3

ଦେଶକାନ୍ତରିକ	୩୫୩୬
ପ୍ରକାଶତାରିଖ	୧୯୮୫-୮୬
ପ୍ରକାଶକ	୧୯୮୫
ପ୍ରକାଶକ ନାମ	ପ୍ରକାଶକ ନାମ

I. ქართველთა უორის წერა-პითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

1879 — 1900 წლებში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში საკმაო სწრაფი ტექნიკური მიმდინარეობდა ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაცია და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რასაც ხელი შეუწყო 1864 წლის საგლეხო რეფორმამ, გზების გაყვანამ, განსაკუთრებით ფოთი-თბილისის რკინიგზის ამოქმედებამ, ვაჭრობის განვითარებამ, მრეწველობის ზრდამ, ფართო მოხმარების საქონლის ბრუნვამ და თბილისის სახით ნაციონალური ბაზრისა და კულტურული ცენტრის წარმოქმნამ. ყველა ამის შედეგად წარმოებს ქართველი ხალხის ეკონომიკური გაერთიანება, იქმნება ქართველი ბურჟუაზიული ერი. ახლად „წარმოშობილი ინტელიგენცია „ნაციონალური იდეით“ იმსცევალება...“¹.

„წინად ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რომლებსაც „უკელაფერზე მაღლა იყენებდა“ — ამბობს სტალინი²... „პრესისა და თეატრის განვითარება... ხელს უწყობს „ნაციონალური გრძნობების“ გაძლიერებას“³.

გამ. „დროება“, შემდეგ გამ. „ივერია“ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს იცავდნენ. ქართული კულტურის განვითარებას და ეროვნული შევნების გაღვიძებას დიდ სამსახურს უწევდა ახლად აღორძინებული ქართული თეატრი. გ. ლასხიშვილი წერდა: „თბილისის მუდმივმა დრამატიულმა

¹ ი. ს ტალინი, თხულებანი, ტ. 2, გვ. 327.

² გამ. „კომუნისტი“, 1952 წ. 15 ოქტ. გვ. 246.

³ ი. ს ტალინი, თხულებანი, ტ. 2, გვ. 327.



დასმა პირველად გააჩაღა სისტემატური გასტროლუპტერული ში. დ. ერისთავის პიესა „სამშობლო“ თავბრუს ყველა დროულ აქა-იქ გაჩნდა წრეები ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად. ეს სიონ ჩვენც მოგვხვდა გიმნაზიაში და აგვალელვა. დავიწყეთ ხელნაწერი უურნალების გამოცემა. ქართული გაზეთებისა და წიგნების კითხვა. პატრიოტული ლექსები აკაკისა, ილიასი, რ. ერისთავისა და სხვათა ზეპირად ვიცოდით და ოლტაცებით ვმღეროდით, ხშირად ჩვენ მიერ მოგონილ მოტივზე“.

ქართული კულტურის რეაქციის შემოტევისაგან დასაცავად და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ საჭიროდ სცნო უფლებამოსილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა. ეს იყო ქართველთა შორის წერა-კითხეის გამაერცელებელი საზოგადოება.

მიზანშეწონილად მივიჩნიე ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიის ორ ნაწილად გაყოფა: პირველი თავი შემოვფარგლე 1880—1890-იანი წლებით, ხოლო 1900 წლიდან დაწყებული, როდესაც ჩვენში ცხოვრების ასპარეზზე მუშათა კლასი გამოდის და წ.-კ. საზოგადოებაში მონაწილეობისათვისაც იბრძვის, —მეორე ნაწილში მოვაქციე.

60-იან წლებში რუსეთის მოწინავე ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებული ინტელიგენციაში გავრცელებული იყო ცელებელი საზოგადოების დაარსება. სუფლება ყმობისაგან, თუ ის არ განთავისუფლდება გონიერი სიბნელისაგან; ამ ნიადაგზე რუსეთში 1860-იანი წლებიდან აჩსდება „წერა-კითხეის კომიტეტები“, რომელთა ხელმძღვანელები აარსებენ დაწყებით სკოლებს, სახალხო სახლებს, აწყობენ ლექციებს და ამ გზით ცდილობენ ხალხის გათვითცნობიერებას.

ჩვენში, როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს, ხალხისათვის სკოლების დაარსების პროცეგანდა სწარმოებდა ინტელიგენტურ წრეებში, რომლებიც ამა თუ იმ ოჯახის გარშემო იქმნებოდა 60-იან წლების მეორე ნახევარში. ერთ-ერთი ასეთი ოჯახი ყოფილა იოსებ მამაცაშვილის ოჯახი.

ამ წრეებში წარმოიშვა აზრი სოფლად კერძო სკოლების



ეროვნული

დაარსების შესახებ. ამ მიზნისათვის წრის წევრუშავჭაპიტიშვილი ტურად იხდიდნენ საწევრო გადასახადს. მაგრამ ამ წრეს მხოლოდ ერთი სკოლის დაარსება ძლივს მოუხერხებია სოფ. ხოვლეში.

წრე მაღვე დარწმუნებულა, რომ მათი იდეა სოფლად სკოლების გახსნის შესახებ განუხორციელებელი დარჩებოდა, თუ საქმეს სათავეში „წერა-კითხვის საზოგადოება“ არ ჩაუდებოდა¹. მაშასადამე საჭირო იყო ასეთი საზოგადოების დაარსება. იაკობ გოგებაშვილის წინადადებით, ხარჯოვში მცხოვრებ ვახტანგ თულაშვილს თავის სიმამრისაგან მიუღია იქ არსებული წ.-კ-ის კომიტეტის ნორმალური წესდება.

საქართველოში წ.-კითხვის საზოგადოების დაარსების აზრი, ი. გოგებაშვილს და ნიკო ცხვედაძეს გაუაზრებიათ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის. ი. გოგებაშვილის გადმოცემით, წესდების ერთ-ერთ პარაგრაფში (§ 3), სადაც აღნიშნულია: „საზოგადოება თავის მიზანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში სწავლებას შემოიღებს სამშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, ზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის“ — ი. გოგებაშვილს შეუტანია, რადგან დიმ. ყიფიანისა და ნ. ცხვედაძეს, ამ წესდების შემდგენელთ, ასეთი მუხლის დამტკიცების იმედი არა ჰქონიათ, მაგრამ ი. გოგებაშვილს ქვეყნის გამოუყენებია მეფე ალექსანდრე II-ის 1864 წლის აგვისტოს ცნობილი რესკრიპტი, რომლითაც ის აკანონებდა არარუსთა სახალხო სკოლაში დედა-ენაზე სწავლებას. დიდი იმედი ჰქონდათ აგრეთვე იმის, რომ ამ დროს მეფის ნაცვლის მთავარმმართველობის უფროსი იყო დიმიტრი სტაროსელსკი, რომელიც დაახლოებული იყო ქართველ საზოგადოებასთან და დამოუკრებული ილია ჭავჭავაძესთან. ის ქართულ კულტურულ დაწესებულებებს მუარეველობას უწევდა².

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა განხორციელებას მხოლოდ 1879 წელს ეღირსა.

¹ ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, ტ. 2, გვ. 512—518.

² დიმ. სტაროსელსკი 1884 წ. გარდაიცვალა, რომლის დაკრძალვაში ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავდა წ.-კ. გამავრცელებელი სა-
ზოგადოების წევრთა პირველ საერთო სხდომაზე ჟურნალის გა-
15 მაისს: „საზოგადოების შემდგენელთ — აშ გამცენტრის და
ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძეს, ილია გრიგოლის ძე
ჭავჭავაძეს და მე. მოგვანდეს საზოგადოების წესდება დასამ-
ტიკურებლად წარგვედგინა მთავრობისათვის, სათანადო მსვლე-
ლობა მიგვეცა მისთვის და ყოველი განმარტება მოგვეხსენე-
ბინა მთავრობისათვის, რასაც კი მოითხოვდა“.

გამოიჩინა, რომ წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების
დაარსების ინიციატორებს — ლიმ. ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს,
იაკობ გოგებაშვილს, ბეს. ლოლობერიძეს, ვახ. თულაშვილს და
ნიკო ცხვედაძეს შეუდგენიათ წესდება, რომელსაც ხელს
აწერს 126 დამფუძნებელი წევრი; წესდება მთავრობისათვის
წარუდგენიათ დასამტკიცებლად 1878 წ. 20 ივნისს, რომელსაც
იგი ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შემდეგ დაუმტკიცებია
1879 წლის 31 მარტს. დამფუძნებელ წევრთა პირველ კრებაზე,
რომელიც 1879 წლის 15 მაისს შედგა, მხოლოდ 22 წევრი დას-
წრებია, მათ 60 ნამდვილი წევრი მიუღიათ საზოგადოებაში და
ხელმძღვანელ ორგანოების არჩევას შესდგომია.

კრებამ საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარელ
ერთხმად აირჩია დ. ყიფიანი.

წესდების მიხედვით საზოგადოებას შეადგენდნენ: დამ-
ფუძნებელი, საპატიო, ნამდვილი და დამხმა-
რე წევრები.

დამფუძნებელ წევრებად ითვლებიან ისინი, რომელთაც აჭ
წესდებაზე ხელი მოაწერეს. ამათ საზოგადოების სალაროში
შეაქვთ ყოველწლიურად არა ნაკლებ ოცი მანეთისა, ან ერთ-
დროულად არა ნაკლებ 300 მანეთისა.

საპატიო წევრებად ისეთი პირები აირჩევიან, რომელთაც
დიდი სარგებლობა აღმოაჩინათ მწიგნობრობის გავრცელე-
ბისათვის თავისი პირადი მოქმედებით, ან ნივთიერი შეწირუ-
ლობით, ასე რომ შეწირულობის ფასი იყო არა ნაკლებ 600
მანეთისა. ნამდვილ წევრებს ევალებოდათ წელიწადში ექვსი
მანეთი ეხადათ საწევრო, ან ერთბაშად შემოეტანათ საზოგა-
დოების სალაროში არა ნაკლები ასი მანეთისა. დამხმარე



ბის საკითხი მუდაშ დავას იწვევდა წ.-კ. გამავრცელებელი ზოგადოებაში. ამავე დროს სკოლა ძვირადაც უჭდებოდა გეობას. მასზე იხარჯებოდა საზოგადოების შემოსატურის მისამართი ქმის ორი მესამედი — 1.139 მან., როგორც აღნიშნულია 1887 წლის წლიურ ანგარიშში.

წ.-კ.-ის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე 1887 წლის 24 მაისს, ბათომის სკოლის შესახებ ივ. მაჩაბელმა განაცხადა: „ბათომის სკოლა მართლაც ძვირად უჭდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომელის სარგებლობა ფულით არ გაიზომება. კრებაზე ცხარე და ხანგრძლივი კამათი დასრულდა იმით, რომ (ოთხი წევრის გარდა), კრებამ საჭიროდ სცნო ბათომის სკოლის დატოვება. თუმცა 1887 წელს ბათოში დაარსდა სკოლის მხრუნველი კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა სკოლის შენახვა, მაგრამ ადგილობრივ შეკრებილი სახსრები მეტად მცირე იყო სკოლის შესანახად და წ.-კ. გამგეობას დამატება უხდებოდა ყოველწლიურად.

ბათომში ქართული სკოლის დაარსება საჭირო იყო, მაგრამ არა ქართველ მაჰმადიანთა ბავშვების აღსაჩრდელად, რამდენადაც ბათომში მაჰმადიანთაგან მხოლოდ ბეგები ცხოვრობდნენ. ხალხისათვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა სკოლის სოფლად გახსნა, რადგან სოფლის სკოლაში მხოლოდ მაჰმადიანი ბავშვები ისწველიდნენ და სკოლის შენახვაც იაფი დაჭდებოდა. გარდა ამისა, სკოლის წარმატებას და მასში ქართველ მაჰმადიანთა მოზიდვას ხელს უშლიდა ხოჭა, მაჰმადის რჯულის მასწავლებელი, ვინაიდან ის ამ სკოლიდან პირად სარგებლობას ერზ ხელავდა. როგორც აღნიშნეთ, ბათომის სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ დიდი უნარი გამოიჩინა და ენერგია დახარჯა სკოლის წარმატების საქმეში, მაგრამ ის გარდაიცვალა 1890 წელს; გამგეობამ აღნიშნა: „მის (მ. ნათაძის) მხნეობას მიეწერება აღორძინება და დამკვიდრება ამ სკოლისა მაჰმადიანურ საქართველოში“. მაღლობის ნიშნად გამგეობამ იყისრა მისი შვილის შესანახად ყოველწლიურად ასი მანეთი შეეტანა ქართული სააზნაურო სკოლის პანსიონში.

მიღების იმედი უნდა ჰქონოდა საზოგადოებას 1879—80 წელს.
გამგეობა ვარაუდობდა, რომ: 1. დამფუძნებელ წერტილის მიზანი
შემოუვიდოდა 2.520 მან., 2. ნამდვილ წევრთაგაზე — რაც უკუკეთ,
3. სხვადასხვა შემოსავალი — 1.000 მან., 4. ობილისის სათა-
ვადაზნაურო ბანკის შემოწირულება — 11.000 მან., 5. ქუთაი-
სის სათავადაზნაურო ბანკიდან — 11.000 მან. (ამ თანხიდან
8.000 მან. ქუთაისის სკოლისათვის იყო ნავარაუდევი, ასე რომ
საზოგადოებას ამ თანხიდან მხოლოდ 3.000 მანეთი რჩებოდა).
ბანკიდან ასეთი თანხის გაცემა ადვილი საქმე არ იყო, რადგან
სათავადაზნაურო ბანკის დამარსებელთა შორის ბევრი იყო
ისეთი, რომელიც ვიწრო წოდებრივი თვალსაზრისით ხელ-
მძღვანელობდა. ილია წერდა ამ მდგომარეობის გამო:

„...თვალწინ გვიდგას ის აყალმაყალი, რაც წელს თავადაზ-
ნაურობას შეუდგა მის გამო, რომ ბანკმა ათას ასი თუმანი შეს-
წირა ამ საზოგადოებას. „რათაო და რისთვისაო“, — ყვიროდ-
ნენ წინდაუხედავეად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საქუთარი
თაოსნობით. „განა ჩვენ კი შვილები არა გვყავსო, თუ გაზრდა
საჭიროა, ჯერ ისინი გავზიარდოთო. შინ რომ შვილი გიტირო-
დესო, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ და სხვანი და სხვანი. ჩვენი
უბედურება ის ყოფილა, — განაგრძობს ილია, — არის და
ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხი
თუ თავადი, ძმად თუ შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ
საზოგადოებას (წერა-კითხვისას) სახეში აქვს მთელი ქართვე-
ლობა, თავადაზნაურობა კი გამოსულა და იძახის, მეო და არა
სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი
„მე“ თუნდ იყოს და თუნდა არა! თავს მაგისათვის ძალიან
არავინ შეიტკივებს...“¹.

1879 წელს ქუთაისის სააზნაურო ბანკის საერთო კრებაზე
თავადაზნაურობის რეაქციონურმა ნაწილმა აურ-ზაური ასტე-
ხა, როდესაც დაისვა საკითხი წერა-კითხვის საზოგადოების სა-
სარგებლოდ თანხების გადადების შესახებ; მაგრამ კირილე
ლორთქიფანიძის. ანტონ ლორთქიფანიძის, გ. წერეთლისა და
სხვა პროგრესულად მოაზროვნე წევრების მეოხებით კრების

უმრავლესობაშ გადადო წ.-კ.-ის საზოგადოებისათვეს 11,000
მანეთი.

საერთო კრებაშ გამგეობას უფლება მისცა დაეჭირა: მასშე ეს
გადოების თანხებიდან იმდენი, რამდენსაც საჭიროება მოი-
თხოვდა და დაუნიშნა საზოგადოების მდივანს ყოველწლიუ-
რად 600 მან. ამ თანამდებობაზე იონა მეუნარგია იქნა მო-
წვეული¹.

1880 წლის 20 იანვარს მოწვეულ იქნა წ.-კ. საზოგადოების
საერთო კრება, რომელსაც მხოლოდ 21 კაცი დაესწრო. ამ
კრებაშ ნამდვილ წევრად 26 კაცი მიიღო; ამავე კრებაშ შეავსო
გამგეობის ძველი შემადგენლობა ახალი წევრებით; დამატე-
ბით გამგეობის წევრად არჩეულ იქნენ: გ. წერეთელი, თ. უორ-
დანია, ივ. გამყრელიძე, იონა მეუნარგია, გ. თუმანოვი,
გ. უთურგაული, კანდიდატებად არჩეულ იქნენ დ. ი. ავალოვი,
ნ. დ. ქანანოვი, ვლ. მიქელაძე.

1880 წლის პირველ ივნისს მოწვეულ საანგარიშო კრებაზე,
რომელსაც მხოლოდ 32 წევრი დასწრებია, ახლად მიუღიათ 32
წევრი.

გამგეობას სამი წლის ვადით ირჩევდნენ. 1882 წლის 6 ივ-
ნისს წლიურ სხდომას სულ 28 წევრი დაესწრო. ახალი გამ-
გეობის წევრებად არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ (ერთხმად,
კუნძის უფრელად) ივ. კოსტ.-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, წევრე-
ბად: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ალ. სარაგიშვილი, ს. მესხი,
ნ. ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, კანდიდატებად: დიმ. ბაქრაძე,
მ. ჭავჭავაძე, ლ. მღებროვი და ეკატ. გაბაშვილი².

1885 წლის მაისში არჩეულ გამგეობას შეადგენდნენ:
ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), წევრები: აკ. წერეთელი, ი. გოგე-
ბაშვილი, გ. ქართველიშვილი, გ. იოსელიანი, ა. მირიანშვილი,
ნ. ცხვედაძე, ვ. ყიფიანი, ეკ. გაბაშვილი, ალ. ჩოლოყაშვილი,
ა. ფურცელაძე, ალ. ჭყონია, კანდიდატები: გიორგი წერეთელი,
რაფ. ჯავანაშვილი, ვახ. რცხილაძე. 1886 წ. ნოემბერში საგან-
გებო კრებაშ გამგეობის შემადგენლობას დაუმატა ან. თუმანი-
შვილი, დ. ზ. ბაქრაძე, ს. ვ. მაჩაბელი, დავ. დ. ფავლენიშვილი.

¹ სცია, ფ. 481, ხაქ. № 3, ფ. 9—11.

² სცია, ფ. 481 ხაქ. № 42, ფ. 80

1888 წლის მაისში ახალი გამგეობა იქნა არჩეული: თავ-
მკლომარედ ილია ჭავჭავაძე (ერთხმად), წევრებად: ჭავჭავაძე და
დაძე, ან. თუმანიშვილი, ი. გოგებაშვილი, გრ. ვოლესკი, ეკატ.
გაბაშვილი, ალ. ჭყონია, ალ. ჭიჭინაძე, ლ. ფავლენიშვილი;
ნ. ხიზანიშვილი, ივანე მაჩაბელი, ექ. თაყაიშვილი, ალ. მირია-
ნაშვილი; კანდიდატებად თ. უორდანია, გ. იოსელიანი, ნ. მთვა-
რელიშვილი.

1887 წლის ივნისში გამგეობამ მდივნის მოვალეობისაგან
გაანთავისუფლა ნ. მთვარელიშვილი და ამ თანამდებობაზე
ი. მანსვეტაშვილი მიიწვია. 1891 წელს მანსვეტაშვილმა მდივ-
ნობას თავი დაანება და მის ნაცვლად მოწვეულ იქნა მ. ჯანა-
შვილი. ამ ტექნიკურ სამუშაოზე იონა მეუნარგიას, ნ. მთვარე-
ლიშვილის, ი. მანსვეტიშვილის, მოსე ჯანაშვილის და შემდეგში
1895 წლიდან დავ. კარიჭაშვილის დათანხმება იმის მაჩვენებე-
ლია, თუ რა მძიმე ნივთიერ პირობებში უხდებოდათ ჩვენს
მკვლევარებს და მწერლებს მუშაობა და როგორ აფასებდნენ
ისინი წ.-კ.-ის საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობას.

1898 წლის ივნისიდან ახალ გამგეობას შეადგენდნენ:
ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ივ. რატიშვილი,
ეკ. გაბაშვილი, გრ. ყიფშიძე, ივ. აბაშიძე, ივ. ზურაბიშვილი,
ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, ალ. ჭყონია, დ. კარიჭაშვილი.
1895 წლიდან თავმჯდომარის ამხანაგად ნიკო ცხვედაძე იქნა
არჩეული.

1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძე, ბანკის, გაზ. „ივერიის“,
აგრეთვე სხვა მრავალი საზოგადო საქმით დატვირთული, მხო-
ლოდ დიდად მნიშვნელოვანი საკითხების გარჩევისას ესწრე-
ბოდა წ.-კ. საზ-ის გამგეობის სხდომებს. (იხ. სცია, ფ. 481, საქ.
№ 420, ფ. 235).

პირველ წელს საზოგადოებას 245 წევრი ჰყავდა, მეორე
წელს — 282, მესამეს — 311 წევრი.

1883 წლის მაისში საზოგადოებას სულ 319 წევრი ყავდა,
ე. ი. მას მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 8 წევრი შეუ-
ძენია¹. ხოლო 1885 წ. მაისში, ე. ი. წ.-კ. საზოგადოების არსე-

¹ სცია, ფ. 481. საქ. № 42, ფ. 148.

ბობის ექვსი წლის თავზე, მას 326 წევრი პუავდა ნები
წლის განმავლობაში მას მხოლოდ 81 წევრი შემატებული იყო მართვება

1880 წლის აპრილში დ. ყიფიანს, პეტერბურგში ყოფნის
დროს რამდენიმე წევრი შეუძენია საზოგადოებისათვის. ამას-
თან დაკავშირებით დ. ყიფიანი სწერს ილიას: „არავინ არ
იცის, არავის არ ესმის ჩვენი საზოგადოებისა და ეისაც გამო-
ვილაპარაკე, ყველანი ამას მახლიან პირში, — რატომ არას
გვატყობინებთ, რატომ არას აცხადებთო. უნდა მოვიხსნათ
ლართი, — თუ არა და სულს შეგვიგუბებს, ქურდული საქმია
ქართველის ხასიათი არ არის და ჩვენ რატომ გვემართება“.

ამასთანავე დ. ყიფიანი უგზავნის საზოგადოების გამგეობას
220 მანეთს, მიღებულს დამფუძნებელი წევრის მ. ტ. ლორის-
მელიქოვისაგან, მისი ოჯახისა და სხვა ნამდვილი წევრები-
საგან².

საზოგადოების წევრები გულგრილობას იჩენდნენ არა
მარტო წლიურ კრებაზე დასწრების მხრივ, არამედ საწევრო
თანხის შემოტანის მხრივაც; ასე, მაგალითად, 1882—83 წლის
საწევრო უნდა შემოსვლოდა საზოგადოებას 3.572 მანეთი, შე-
მოვიდა მხოლოდ 370 მანეთი.

1883—84 წლისათვის ნავარაუდევი იყო 15.797 მან. შემო-
სავალი და 7.014 მან. გასავალი³.

1882 წლის საანგარიშო კრებაზე ნ. ხუდალოვი შეეკითხა
გამგეობაზე „დიდს კაცებს, რატომ ყველას არ შემოაქეს ფული,
ვინც წევრი არის. თუ გლდანელს აძლევენ ჭიდაობაში, აქ რა-
ტომ აღარ იძლევიან; უნდა იწერებოდეს ამის შესახებ, რაც
შეაძლება ხშირად“. ამაზე ილია ჭავჭავაძე უპასუხებს: „ეს
დრო და ხანის საქმეა, რომ საზოგადოების სამსახურს მიეჩვიოს
დიდკაცობა. 123 წევრი გვყავს დამფუძნებელი, სულ გენე-
რალ-ლეიტენანტები არიან და ახლა კი აქ სამი კაციც არ არის
იმათვან⁴.“

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 67, ფ. 1.

² სცია, ფ. 481, საქ. № 31, ფ. 7—8.

³ სცია, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 155.

⁴ სცია, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 80.

წ.-ქ. საზოგადოების წარუმატებლობაზე პრესურატურული ჯუდეც
და გაზეთ „დროება“-ში ერთი წევრთაგანი ჩატარდა მის მიერ ა
საზოგადოების წევრთა დაუსწრებლობას საერთო კრებაზე,
წერილის ბოლოში ირონიულად აღნიშნავს: ბოროტი კაცები
გვირჩევენ წევრების შესაგროვებლად გლდანელი მოვიწვიოთ.
რადგან გლდანელი ეხლა ერთადერთი ანდამატია, რომელიც
ჩვენ საზოგადოების დაუზარებლად იზიდავს¹.

წ.-ქ. საზოგადოების გამგეობის ზოგი წევრი ხედავდა რა
საზოგადოების მცირე ნაყოფიერებას, ამაში უმთავრეს ბრალს
სდებდა. ბიუროკრატიულ წესს (ცენტრალიზაციას, რომელიც
თავდაპირველად დამკვიდრდა ამ საზოგადოების საქმეთა წარ-
მოებაში). ი. გოგებაშვილი, მაგალითად, - საჭიროდ სცნობდა
ადგილებზე, მაზრებში, გამგეობას გაეჩინა აგენტურა ან ადგი-
ლობრივი გამგეობანი, რომელნიც ცენტრალურ გამგეობას
დასახული ღონისძიებების განხორციელებაში დაეხმარებოდა,
სახელდობრ: წევრების შეძენაში, საწევრო შემოსატანის აკრე-
ფაში, ლექციების გამართვაში, სამკითხველოების დაარსებაში
და სხვ.².

ეურ. „ივერიის“ შინაური მიმომხილველი წ.-ქ. საზოგა-
დოების საქმის წარუმატებლობის მიზეზად ასახელებდა „ჩვე-
ნი ქვეყნის მოუმზადებლობას საზოგადო საქმეების წარმოები-
სათვის“.

1884 წლის 27 მაისის წლიურ საანგარიშო კრებაზე
ნ. ცხელაძეს ყურადღება მიუქცევია წ.-ქ. საზოგადოების
წლიური ბიუგეტის სიმცირისათვის. ანტონ ფურცელაძეს
განუცხადებია: „...ვგონებ ურიგო არ იქნება, და შეიძლება
კიდევ გამოჩენილ ფალავანთა კიდაობა გაიმართოს და შემო-
სავალი წ.-ქითხვის გავრცელებისათვის გადაიდოსო“. იმავე
სხდომაზე ვ. მაჩაბელი აღნიშნავდა: „პეტერბურგში ჩვენმა
ახალგაზრდობამაც კი არ იცის, რას მოქმედობს და რას აკე-
თებს წ.-ქ. საზოგადოება. ეს არის იმის შედეგი, რომ საზო-
გადოების გამგეობა ხალისით არ ეკიდება საქმეს და არ ცდი-
ლობს გაავრცელოს ხალხში ამ საზოგადოების არსებობის

¹ „დროება“, 1883 წ. № 95.

² „დროება“, 1883 წ. № 246, 249. 1884 წ. № 5, 6.



აზრი. ცხადია, ბევრ სხვასაც არ ეცოდინება საზოგადოების მოღვაწეობის ამბავი და ვითარება. მაგ. ნიკო მინიჭელენიშვილი, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობს, არ იცის რა უფლება აქვს საზოგადოებას მინიჭებული, ან რა საფუძველზე არსებობს ის-მან ამასწინათ შემოსწირა საზოგადოებას სურათი შოთა რუსთველისა. იმას მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს და რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ამასაც საზოგადოებას შევწირავო...”¹.

ამრიგად, საზოგადოების წევრები გულისტყივილით აღნიშნავდნენ წევრთა დაუდევრობას, გამგეობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას და საზოგადოების ნივთიერ სიღარიბეს.

გამგეობისაღმი საყვედური მხოლოდ ნაწილობრივ იყო სამართლიანი: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, გ. თუმანიშვილი, ალ. ჭყონია თავდადებით მუშაობდნენ თავიდანვე წ.-ქ. საზოგადოების საკეთილდღული. ი. გოგებაშვილი მართალი იყო: მართლაც ძნელი იყო გამგეობა გაწვდომოდა მთელ საქართველოს, ხოლო ადგილობრივი ძალების ამუშავება და მოზიდვა ცენტრალურ გამგეობას გაუადვილებდა მუშაობას და საზოგადოებას პოპულარობას მოუპოვებდა ადგილებზე. მაგრამ მთავარი მიზეზი საზოგადოების მუშაობის სისუსტისა ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენს საზოგადოებაში, კაპიტალისტური ურთიერთობის სუსტად განვითარებაში, ფეოდალური ჩვევებისა და მისი გადანაშთების სიუხვეში. აქედან გამომდინარეობდა, როგორც აღნიშნავდა „ივერია“, „ჩვენა ძველის მუშადებლობა საზოგადო საქმეების წარმოებისათვის“.

წ.-ქ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავის არსებობის პირველსავე წლებში მუშაობის გასაუმჯობესებლად ორ ორგანიზაციულ ზომას მიმართა:

1. 1881 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე იაკობ გოგებაშვილის წინადადებით მოხდა შრომის განაწილება გამგეობის წევრთა შორის: ნ. ცხვედაძეს მიენდო სახელმძღვანელოების გასინჯვა, ი. გოგებაშვილს, მაჩაბელს და ცხვედაძეს — მასწავლებლების მოწვევა, მეუნარების — ბიბლიოთეკების შეღვენა, ი. ჭავჭავაძეს და გ. თუმანიშვილს — ნივთიერი სახსრების გამოძებნა².

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 86, ფ. 12—14.

² სცია, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 5—8.



2. 1884 წელს ჭ.-კ. საზოგადოების გამგეობაშემთხვევე გაიჩინა აგენტები; მათ ევალებოდათ ახალი წევრების შეძენა, საწევრო გადასახადის აკრეფა, საღამოების გამართვა, სკოლების დაარსებისათვის ხელისშეწყობა და სხვა. მარიგად, ნაწილობრივ მაინც შესრულდა ის, რასაც ი. გოგებაშვილი „დროების“ საშუალებით მოითხოვდა, სახელდობრ, მაზრებში დამხმარე აგენტებისა და გამგეობების შექმნას. ი. ჭავჭავაძემ უკანონოდ სცნო აგენტების დანიშვნა გარეშე უურნალური გადაწყვეტილებისა და 1884 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე გამგეობამ საზოგადოების აგენტები დაამტკიცა¹.

1887 წლის 20 ოქტომბერს გამგეობამ დაადგინა: „ბაქოში საზოგადოების დამხმარე წევრად დაინიშნოს ტელეგრაფისტი ლავრენტი ჯავროვი, რომელმაც ბაქურციხელებისათვის 25 მან. შეაგროვა და განუზრახავს ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ მასკარადის გამართვა². მართლაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბაქოს, ქუთაისის, ბათომისა და ზოგ სხვა ქალაქის მოსახლეობა დამხმარე წევრების საშუალებით საგრძნობ დახმარებას უწევდა საზოგადოებას ნივთიერი სახსრების მოწოდებით, სკოლისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობით და ხალხში წიგნების გავრცელებით.

ამ პერიოდში რწმუნებულები (აგენტები) ერთადერთ რგოლს წარმოადგენდნენ, რომლითაც ჭ.-კ. საზოგადოების გამგეობა უკავშირდებოდა მოსახლეობას და ეს კავშირი მით უფრო ძლიერი და მჭიდრო იყო, რამდენადაც ენერგიულად და მონილოგებით მუშაობდა ესა თუ ის რწმუნებული.

1892 წლის 10 მარტს გამგეობის სხდომაზე წაკითხულ იქნა ივ. მაჩაბლის განცხადება, რომ მას არ შეუძლია დარჩეს გამგეობის წევრად. გამგეობამ დაადგინა: ივ. მაჩაბლის მაგივრად მოწვეულ იქნას წევრად კანდიდატი მ. მაჩაბელი. 31 მარტს (1892 წ.) სხდომაზე მიხეილ მაჩაბელს განუცხადებია, რომ ის ვერ იკისრებს გამგეობის წევრის თანამდებობას. გამგეობამ დაადგინა: მოწვეულ იქნას შემდეგი კანდიდატი — პავლე ყიფიანი.

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 11.

² სცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. ფ. 220, 182, 190.

1892 წლის 21 აპრილის სხდომაზე პავლე ყიფიანუამარტინელი განუცხადებია გამგეობის წევრობაზე და მის ნაცვლად შემჩრევა ვევიათ დავით კარიჭაშვილი.

მიხ. მაჩაბლისა და პავლე ყიფიანის უარი გამგეობის წევრობაზე იმით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი ივ. მაჩაბელის „ბანაკს“ უშერდნენ მხარს. სწორედ ამ დროს, 1892 წელს, გამოქვეყნდა ივ. მაჩაბლის ხელმოოწერელი წიგნი „თავადი ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკისა და ილიას პიროვნების წინააღმდეგ საზოგადოდ. რა თქმა უნდა, მისი ავტორი ილიასთან ერთად ვერ ითანამშრომლებდა წ.-კ. საზოგადოების გამგეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ენერგიული და ინიციატივის მქონე მოღვაწის, როგორიც ი. მაჩაბელი იყო, ჩამოშორება წ.-კ. საზოგადოების საქმიანობიდან დიდ დანაკლისს წარმოადგენდა საზოგადოებისათვის. ტყუილად კი არ აღნიშნავდნენ თანამედროვენი — ამ ორი ადამიანის (ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის) გადაკიდება, ხელს უშლის საზოგადო საქმის წარმატებასო.

საზოგადოების წევრთა რიცხვი მეტად ნელი ტემპით იზრდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ წერტილზე გაიყინა. ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ როგორიც თვით საწევრო თანხის სიდიდეში — (6 მან. წლიურად), ისე თვით საზოგადოების ხელმძღვანელთა მოუქნელობაში. მთავარი მიზეზი კი საზოგადოების ნედლი ზრდისა იყო ჩვენი საზოგადოებრივი, განსაკუთრებით ეკონომიკური ცხოვრების განუვითარებლობა. 1885 წლის მიწურულში საზოგადოებას ჰყავდა სულ 381 წევრი, ამათგან დამფუძნებელი იყო 119, ნამდვილი — 260, საპატიო — 2: პროფ. დ. ჩუბინაშვილი 1880 წლიდან და ნ. დ. მინგრელსკი 1885 წლიდან. 1890 წ. მათ მიემატა ი. გოგებაშვილი.

1890—91 საანგარიში წელს საზოგადოების წევრთა რიცხვი 458 აღწევდა. ამ წელს საზოგადოებას გამოაკლდა ერთი საპატიო წევრი — პროფ. დ. ი. ჩუბინაშვილი, დამფუძნებელი — მ. ზ. ყიფიანი. მათია გურიელი, ვახ. ოჩბელიანი და ნამდვილი წევრი ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძე. 1896 წელს საზოგადოებას ჰყავდა სულ 558 წევრი, მათ შორის



სპატიო: ნიუო მინგრელსკი, ი. გოგებაშვილი, რაფელ ქართველი უნივერსიტეტის თავი, ოლღა ჭავჭავაძისა, გ. ქართველიშვილი, შემოქმედიშვილისა და ალექსანდრე, ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი¹. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბევრ წევრს საწევრო გადასახადი ან სულ არ შემოჰქონდა, ან შემოტანას ძლიერ ავარანებდა და ამიტომ ფიქტიურ წევრად ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ 1897 წლის 1 ივნისს საზოგადოების საერთო კრებაზე კიტა აბაშიძე აღნიშნავდა: წევრები ხუთასამდეა, ხოლო საწევრო ფული სულ 36 წევრს აქვს შემოტანილი. ამავე სხდომაზე ქრ. მამაცაშვილი საჭიროდ სცნობს საწევრო გადასახადის ნაწილნაწილად შემოტანას, რაც იმას მოწმობს, რომ 6 მან. გადახდა ბევრ წევრს უჭირდა და საწევროს შემოუტანლობა მხოლოდ გულგრილობისა და დაუდევრობის შედეგი არ იყო.

1896 წელს საწევრო გადასახადი შემოვიდა 375 მან., ამ რიცხვში—ელისაბედ ყაზბეგის მიერ ერთდროულად შემოტანილი 100 მან. 1897 წელს წევრებისაგან უნდა შემოსულიყო 4.000 მან., შემოვიდა მხოლოდ 743 მან. საწევრო გადასახადის ასეთი ვარაუდი და მისი შემოტანის ნამდვილი სურათი თავდაყირა აყენებდა საზოგადოების წლიურ ბიუჯეტს და მის მუშაობას აბრკოლებდა.

2. წერა-კითხვის საზოგადოების ნივთიერი საშუალებანი.

ნივთიერი ხელმოკლეობა საზოგადოების საქმიანობას გასაქანს არ აძლევდა. 1880 წლის 8 თებერვალს გამგეობის სხდომაზე ი. გოგებაშვილს სახსრების გასაძლიერებლად შემდეგი წინადადება შემოუტანია:

1. გავმართოთ ბალი, რომელიც 1.000 მ. მოგებას მაინც დატოვებს,
2. გავმართოთ სალიტერატურო საღამო ქართული სიმღერებითა და გალობით, რომელიც დიდალ ხალხს მიიზიდავს „და გრ. ორბელიანიც, ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი ჩვენის საზოგადოებისა, უარს არ იტყვის მონაწილეობა მიიღოს თავის თხზულებების წაკითხვითო“,
3. ვთხოვთ მთავრობას მოგვცეს მამული, როგორც 10—15 წლის წინათ კავკასიაში ქრისტ. აღმდგენელ საზოგადოებას უბობა მან ყარაია: რუსული ხომ უნდა ვასწავ-

¹ სცნა, ფ. 481, საქ. № 611, ფ. 4, 1—3.

ლოთ სასოფლო სკოლაში. მისათვის რუსული ენგაზურებული
მცოდნე მასწავლებლებია საჭირო.

გიგანტი გამოიყენება

ალბათ ი. გოგებაშვილისათვის 1880 წლის თებერვალს ჯერ
კიდევ არ იყო ცნობილი მთავრობის მტრული დამოკიდებუ-
ლება წ.-კითხვის საზოგადოებისადმი, თორემ ზედმეტად და-
ნახავდა მიემართა მისთვის საზოგადოების ნივთიერი სახსრე-
ბის გასაძლიერებლად.

იმ დროს კერძო დახმარებაც წ.-კ. საზოგადოებისათვის მე-
ტად უმნიშვნელო ყოფილა: 1880 წლის 8 ნოემბერს ქართვე-
ლიშვილს ორი მომგებიანი ბილეთი 440 მანეთისა გადაუცია
საზოგადოებისათვის და თანდართულ ბარათს ასე ამთავრებდა:
„დავრჩები თქვენი უმორჩილესი მონა ქართველი და ქართ-
ველთა ერის მოყვარე გიორგი ქართველიშვილი“¹. საზოგა-
დოების ნივთიერ ხელმოკლეობას ვერ უშველა აგრეთვე ორი-
სამი ადამიანის დახმარებამ. ი. გოგებაშვილმა 1880 წლის
5 აპრილის სხდომაზე შემოიტანა წინადადება საზოგადოების
შემოსავლის გასაუმჯობესებლად ყულაბებით შეეგროვებინათ
ფული, მაგრამ გამგეობამ ეს ღონისძიება მხოლოდ შემდეგში
განახორციელა.

რა თქმა უნდა, საზოგადოება ბევრს ვერაფერს გააკეთებდა,
რომ ის მხოლოდ საწევრო შემოსავლის შემყურე ყოფილიყო.
გამგეობა თავიდანვე ცდილობდა საზოგადოებისათვის სხვადა-
სხვა წყარო გამოეძებნა და ამ მიზნისათვის გამგეობის შემად-
გენლობიდან 1885 წლის მიწურულში გამოიყო კომისია
გ. ქართველიშვილისა, ალ. ჩოლოყაშვილისა და ილია ქავჭავა-
ძის შემადგენლობით, რომელთაც დაევალა ფულების შეგრო-
ვება და საზოგადოების ნივთიერად გაძლიერება, მაგრამ საზო-
გადოებამ მაინც ვერ შესძლო რაიმე მუდმივი, საგრძნობი თან-
ხის მომცემი წყაროს გამოძებნა.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ 1886 წ. 10 აპრილს დაად-
გინა საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად გაიმართოს
სალიტერატურო და სასიმღერო საღამო; წამკითხველებად მო-
წვეულ იქნან: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეტელი, რაფ. ერისთავი,
დ. გ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი, არისტო ქუთათელაძე, ბებუ-

1 სცია, ფ. 481, საქ. № 29, ფ. 6, 7.

2 ტ.შნაძე



რიშვილები, თამარ და ნოდარ ჯორჯაძეები; სასიმღეროდ მოწევულ იქნან გახეთილან საუკეთესო მომღერალნი; მოწვევულ იქნას აგრეთვე შორეულთა ახალი გუნდები რატილის ლოტბარობით და ეთხოვოს რატილს თავის გუნდს ამღეროს რვა სხვადასხვა ნიმუში ქართულის სიმღერისა. მოლაპარაკება რატილთან მიენდოს ნ. ცხვედაძეს. ბ) გაიმართოს ცირკუმ წარმოდგენა და ჭიდაობა. მიენდოს ი. ჭავჭავაძეს, რომ მან მოიწვიოს გამოჩენილი მოჭიდავე ესებუა და ამ საჭიროებისათვის გადაიღვას ხარჯათ ათი თუმანი. ილ. ჭავჭავაძეს მიენდოს გამოჩენილ მომღერალთა მოწვევა კახეთილან.

თბილისში ყოველწლიურად იმართებოდა დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოლღა ჭავჭავაძე გამგეობისაგან გამოყოფილი წევრების დახმარებით. 1887 წელს ასეთი სეირნობა-ლატარიისაგან საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩა 2.583 მან., ხოლო 1891 წელს — 2.026 მან. 29 კაპ., 1895 წელს — 2.155 მან. 87 კაპ., 1897 წელს — 811 მან. და 55 კ.

სხვა ქალაქებიდან მნიშვნელოვან დახმარებას აწვდიდა წ.-კ. საზოგადოებას ქ. ბაქოს ქართველობა: 1895 წლის ოქტერვალს იქ გამართულ საღამოს შემოსავლიდან გადმოეგზავნა — 1.302 მან. სხვა ქალაქებიდან კი ნივთიერი დახმარება უმნიშვნელო და იშვიათი იყო.

1896 წლის 12 მარტის სხდომაზე გამგეობაშ „სიამოენებით მოისმინა წინადაღება ბარბარე ბარათაშვილის, სალომე ჯანდიერის, სოფიო ხიმშიაშვილის, ელენე ჭილაშვილისა და ნინო ყიფიანის, რომ მიეცეთ მათ უფლება თბილისში და სხვა გან ყულაბებით შეაგროვონ ფული, ყულაბები უნდა იყოს დალუქული; შეკვეთილ იქნა 200 ცალი ყულაბა, მაგრამ სახსრების შეგროვების ამ ზომამ საგრძნობი ეფექტი ვერ გამოიღო. 1896 წელს დაბრუნებულ ყულაბებში აღმოჩნდა 448 მან., ხოლო დანარჩენში, რაც 1897 წ. იქნა გახსნილი, 420 მან.

ცოტაოდენ შემოსავალს იძლეოდა წიგნებით ვაჭრობა, გამსაკუთრებით 1890-იან წლებში. ამ მიზნით გამგეობას 1888 წლიდან გახსნილი ჰქონდა წიგნის მაღაზია, ხოლო დამხმარე

შევრები აწარმოებდნენ რაიონებში წიგნის მიწოდებას მოკავშირი ლეობისათვის. ეს მაშინ ადვილი საქმე არ იყო უგზულებელი და სათანადო სავაჭრო დაწესებულებათა უქონლობის გამო.

1894 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ განიხილა კ. თავართქილაძის წინადადება მოძრავი წიგნის მაღაზიის მოწყობის შესახებ. გამგეობამ, ამ საქმის მოწყობა თვით თავართქილაძეს მიანდო და თვიურად ამისათვის 10 მაჩ. გარღო. გამგეობისათვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა ადგილზე მსურველ პირებისათვის წიგნების საკომისიო პირობებით დაგზავნა.

მაგ. ლეიპციგში ვინმე წიგნებით მოვაჭრესა და გამომცემელს 1897 წლის მაისში წ.-კ. მაღაზიიდან დაუკვეთია ა. ყაზ-ძეგისა და ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, აღნიაშვილის ზღაპრები, ანტონისა და დ. ყიფიანის გრამატიკა, დავით ერისთავის თხზულებანი, სულ 22 მან. და 50 კაპ. ლირებული.

1896 წელს საზოგადოებას წიგნების ვაჭრობიდან შემოუვიდა წმინდა მოგება 1.158 მან. და 38 კ.

მოსახლეობიდან სკოლის შესანახი ფული არასოდეს სრულად არ იქრიბებოდა, ამიტომ გასავალი ამ სკოლებზე სხვა წყაროდან უნდა დაუფარა გამგეობას, ან სულ დაეკეტა სკოლები. საწევრო ფულიც არ იქრიბებოდა იმ ოდენობით, როგორც ხარჯთაღრიცხვით იყო ნავარაუდევი. შემოსავლის სხვა წყაროებიც რეალური არ იყო. 1890 წლის სექტემბრისათვის საზოგადოებას ჰქონდა ფულად, ბილეთებით და გასასყიდი წიგნებით მხოლოდ 13.136 მ. 91 კაპ. იმ წელს მიმატებია კიდევ 1.302 მ. და 09 კაპ. ასე რომ 1891 წლის 1 სექტემბრისათვის საზოგადოებას ჰქონდა 14.439 მან. 00 კ.“.

1896 წლისათვის საზოგადოებას ნავარაუდევი ჰქონდა შემოსავალი 9.200 მ., გასავალი 9.199 მან. ნამდვილად კი საზოგადოებას შემოუვიდა 6.377 მან., ხოლო გასავალი შეაღენდა 9.279 მანეთს, რის შედეგადაც ბიუჯეტს თითქმის 3.000 მანეთი დააკლდა.

1898 წელს საზოგადოების შემოსავალი 11.200 მან. უდრიდა, გასავალი კი 10.930 მან. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგა-

დონების შემოსავალი და გასავალიც ნელი ტემპერატურული
თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა. გიგანტურება

შემოწირულებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია
ცნობილი ფოტოგრაფის ა. როინაშვილის შემოწირულება. ალ.
როინაშვილმა წ.-კ. საზოგადოებას გადასცა 1886 წლის 22
მაისს ანდერძის წესით შედგენილი, ნოტარიუსის მიერ დამ-
ტკიცებული საბუთი.

ალ. როინაშვილი გარდაიცვალა 1898 წლის მაისში და მისი
ქონება, თანახმად ანდერძისა, წ.-კ. საზოგადოების გამგეობის
მიერ გამოყოფილმა კომისიამ ჩაიბარა.

წ.-კ. საზოგადოებას ებარა გარკვეული მიზნისათვის შეგ-
როვილი საგანგებო თანხები. ასეთი იყო:

ქობულეთის სკოლისათვის	317 მან.
ქედის სკოლისათვის	52 "
დიმ. ბაქრაძის ბსოვნის უზრუნველსაყოფად . . .	2451 "
ნიკ. ბარათაშვილის ბსოვნის უზრუნველსაყოფად . . .	570 მან.
ალ. ყაზბეგის	242 "
ი. დავითაშვილის	287 მან.)
მამია გურიელის	26 მან.
დიმ. ყიფიანის	65 "
შ. რუსთაველის	1146 "
ივ. კერესელიძის	19 "
მ. ბროსეს	588 "
რაფ. ერისთავის	1363 "
რაფ. ერისთავის სახსოვრად ქალთა მიერ დაარსებუ- ლი ფონდი	274 "
მეფე ერეკლეს ბსოვნის უზრუნველსაყოფად	210 "
გ. ბრიელ ეპისკოპოსის ბსოვნის უზრუნველსაყოფად . . .	70 "
სალიტერატურო	1523 "
სტუ ენტრა დასახმარებლად	66 "
სულ	9.030 მან. 1

1898 წლის ივნისში საზოგადო კრებაზე გამოითქვა აზრი,—
ჟველა ფონდების გაერთიანება ერთი საქმისათვის, — მუზეუ-
მის შენობის ასაგებად.

სალიტერატურო ფონდიდან სესხად ან ღახმარების სახით

1 სცია, ფ. 481, საქ. № 611, ფ. 17.



ექლეოდა ფული ხელმოკლე მწერლებს — ღუტუ შეგრილული პ. თვალშრელიძეს, მაჩხანელს, ვაჟა-ფშაველას, ბეჭედიაშვილის ყაზბეგს, ეგ. ნინოშვილს და სხვებს.

თუ როგორ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდნენ ქართველი მწერლები, ეს რაფიელ ერისთავის მაგალითიდან ჩანს. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ამბით იღლესასწაულა რაფ. ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1895 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: „საღაც დაბადებულა პოეტი და საღაც პირველი შთაბეჭდილება მიუღია, საღაც პოეტის კეუა-გონებას პირველად შეუსწავლია ქართველი კაცის ბუნება, დაარსდეს სახალხო ხაშუითხელო და ეს გადაწყვეტილება გამგეობისა მოხსენდეს პოეტს ამ თვის 22“.

შეიქმნა, როგორც აღინიშნა, ჩ. ერისთავის სახელის უკვდავესაყოფად ორი ფონდი: 1600 მან. რაოდენობით, ხოლო თვით ჩ. ერისთავი ამ დროს იმდენად დიდ გაჭირვებას განიცდიდა, რომ იძულებული გამხდარა დახმარებისათვის წ.-კ. საზოგადოებისათვის მიემართა.

წ.-კ. საზოგადოებამ თავის ერთ- ვ. წ.-კ. საზოგადოების ერთ მთავარ ამოცანად სკოლების ზრუნვა სკოლების გახსნა და გახსნილ სკოლებისათვის დაარსების შესახებ.	გრიმარების გაწევა დაისახა, რაც წესდებულებაშიც იყო აღნიშნული.
--	---

საზოგადოების ამ მიზანს ყოველი მხრიდან გამოეხმაურებ: პეტერბურგიდან ნიკო მინგრელსკი იწერებოდა: „... ქართველ ვოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელება ჩემს მუდმივ ოცნებას შეადგენდაო“.

ნინო ანდრონიკაშვილი ილია ჭავჭავაძეს წერდა ს. მელაანია: „ამ სოფელში სკოლის გახსნა განათლების პატარა სხივს მაინც შემოიტანდა ამ კუთხეშიო“.

სვანეთიდან გრიგოლ კლდიაშვილი ცდილობს სკოლის გახსნას ს. ბერიში (გრ. კლდიაშვილი ცნობილი ს. კლდიაშვილისა და არქიტექტორის ს. კლდიაშვილის მამა იყო). გრ. კლდიაშვილი სწერს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას: „... საზოგადოების მაღალი და კეთილი მიზანი ჩვენი ქვეყნის არც ერთ



ჰეში არ იქნება ისეთი ნაყოფიერი და არ გამოიღებული შეტემპტები სურველ შედეგს, როგორც სვანეთში... გამგეობამ სჩამიურების მოისმინა კლდიაშვილის მომართვა და ერთხმად დაადგინა სკოლის გახსნა ს. ბეჩოში.

1879 წლის 10 სექტემბერს გამგეობამ შეიმუშავა სანიმუშო განჩინება, რომლის საფუძველზე სოფელს უნდა ეთხოვა სკოლის გახსნა; სოფელი სკოლის შენობისათვის გამოყოფს მიწას, აშენებს სკოლას, გაიღებს ყოველწლიურად 350 მან. მასწავლებლის შესანახად; ეს ფული უნდა შეტანილიყო გადასახადთა ფურცელში და წ.-კ. საზოგადოების განკარგულებაში ჩარიცხულიყო. წ.-კ. საზოგადოების გამგეობას კი შესაფერი ვასწავლებელი უნდა გამოეძებნა, მოემარაგებია სკოლა ივერითა და სასწავლო ნივთებით და გაეწია ხელმძღვანელობა სასწავლო დარგისათვის.

ამასთან ერთად გამგეობამ დაადგინა: მაზრებში დაგზავნოს რწმუნებულები, რომელნიც მაზრის უფროსთან შეთანხმებით წაახალისებდნენ სოფლის მოსახლეობას სკოლის გახსნის საქმეში. ამ მიზნით სიღნაღისა და თელავის მაზრების ჩამოვლა რაფიელ ერისთავს მიენდო, დუშეთის მაზრის — პ. უმიკაშვილს, გორის მაზრის — გ. ი. ციციშვილს, თბილისის ვაზრის — აფხაზს, ახალციხისა და ახალქალაქის — ი. ალექსი-მესხიშვილს, იმერეთისა და ჩაქოს — ალ. ჭიჭინაძეს, სამეგრელოსა და გურიის — იონა შეუნარგიას.

ამაზე ადრე, საზოგადოების დაარსებისთანავე 1879 წლის 31 მაისის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: მიეწეროს თბილისისა და ქუთაისის უბერნიიების სახალხო სკოლათა დირექტორებს გამოუგზავნონ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას საჭირო ცნობები მათდამი რწმუნებული სასოფლო სკოლების მდგომარეობის შესახებ: რამდენი სკოლაა, რამდენს იხდის სოფელი, რამდენი მოწაფეა თითოეულ სკოლაში, რა წიგნებს ხმარობენ, რა დროს არის მოწაფეების უფრო მეტი რიცხვი სკოლაში და სხვ. ასეთივე მოწერილობა დაეგზავნა მასწავლებლებსაც.

თბილისის და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორებისა გამოგზავნილი ცნობებიდან ირკვევა, რომ 1880 წლისა-

თვის თბილისის გუბერნიაში 29 დაწყებითი სამინისტრო სკოლა ყოფილა, რომლებშიც 936 ვაჟი და 80 ქალი სწავლის მიზანისათვის 84 სკოლა ყოფილა, რომლებშიც 2.572 ვაჟი და 35 ქალი სწავლობდა, ხოლო თუ როგორი იყო წ.-კ. საზოგადოების გამგეობის შეკითხვაზე ცალკეული მასწავლებლის პასუხი მათი სკოლის მდგომარეობის შესახებ, ამის სანიმუშოდ აქ მოვიყვანთ იმ დროინდელი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის პასუხს:

„მის ბრწყინვალებას უფალს ტფილისის საზოგადოების წიგნის ცოდნის გამავრცელებელი ქართველთა შორის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს თ. ილია ჭავჭავაძეს.

„დღემდის ჩოჩხათის სოფლის საზოგადოებაში წესიერი მასწავლებელი და შკოლა არ ყოფილა. დღეს სოფლის საზოგადოებამ (უცვლელად ვტოვებო ავტორის მართლწერას) შეუდგა რიგიანად და სხვა წესიერი სოფლის შკოლების მაგალითშე თავის შკოლის გადაკეთებას, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ კიდეც შეასრულეს...“ მასწავლებელი მოითხოვს სათანადო დახმარებას.

გამგეობის განზრახვას სოფლად სკოლების გახსნის შესახებ თავიდანვე მეფის მოხელეები გადაელობენ და გამგეობის მიერ დაგზარილმა აგენტებმა სოფლამდე ვერ მიაღწიეს. აი რას იწერება რ. ერისთავი 1879 წლის 25 დეკემბერს: „...წავედი სიღნაღის მაზრაში სასწავლებლის გახსნის თაობაზედ. რათა ამ საგნისათვის მომეწვია სოფლის საზოგადოება და რა მივმართე ადგილობრივ მაზრის მეუფრროსეს შემწეობის აღმოჩენისათვის, თუმცა მან აღმითქვა ესე გვარი და გამაჩერა კიდეც უმეტეს ერთის კვირისა, მაგრამ ბოლოს გამომიცხადა რამელ, ის შემდეგ აცნობებს გამგეობას ჩვენსა თავის აზრს ამ საგანზედ და მე იძულებული დავბრუნდი თბილის“¹.

ალექსი ჭიჭინაძე 1880 წლის 19 მაისს სწერს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას: „თქვენ მოგხსენდათ, თუ რა დაბრკოლება შევეხედათ აგენტებს აღმინისტრაციის მხრით, რომელმაც არ

1. სცია, ფ. 481, საქ. № 4, ფ. 7.

დაინახა საჭიროდ ახალი სკოლების გახსნა და არ შეუძლია მართვა აგენტებს ნება სოფლის საზოგადოებაში წასვლისა, რომ ზოგვეს სენებია ჩვენი მონდობილობის აღსრულება”¹.

ამრიგად, წ.-კ. საზოგადოების დაარსების პირველი დღეებიდანვე ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააჩაღა ბრძოლა ამ საზოგადოების წინააღმდეგ. ამის შედეგად, საზოგადოებამ ოციოდე წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სკოლის გახსნა მოახერხა.

1879 წ. 18 ნოემბრის სხდომაზე

ა. თბილისის სკოლა.

წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განიხილა ი. გო-

გებაშვილის „წინადადებანი“; ი. გოგებაშვილი წერდა: „საჭიროდა და სასარგებლოდ ვრაცხ წინ დაუდო საქართველოში წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მმართველობას შეძლევი მოსაზრებანი სისრულეში მოსაყვანად“.

თავისი წინადადების პირველ მუხლში ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „მთელ თბილისში ერთი სახალხო ქართული სკოლა არ არსებობს. დაბალნი შკოლები ბლომად არიან გამართულნი, მაგრამ მათში ზოგნი სომხერნი არიან, ზოგნი რუსულნი. ამის გამო მოხარდი ქართველობა ჩვენი დედაქალაქისა ან სრულიად მოკლებულია სწავლასა, ან იძულებულია იაროს უცხო სკოლებში, სადაც გონება ეხშვება და ენა უმახინდება. ეს გარემოება ძლიერ დაეხმარება ქართული ელემენტის შესუსტებას ქალაქში, თუ მალე წამალი არ მივაშველეთ და არ გავხსენით სახალხო ქართული შკოლა ორივე სქესისათვის... ის სანიმუშოც იქნება ჩვენი სხვა სკოლების მასწავლებელთათვის“.

ი. გოგებაშვილის წინადადებით სკოლა უნდა გახსნილიყო თბილისის ცენტრში ორივე სქესის 60 მოწაფისათვის, თვიური გადასახადი თითო მანეთი დაინიშნა. ათი ულარიბესი მოწაფე თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

დ. ყიფიანი წინააღმდეგი ყოფილა თბილისში სკოლის გახსნისა: ჯერ სხვა სკოლებს უნდა დაეცხმაროთ თანახმად დადგე-

¹ სცა, ფ. 481, საქ. № 4, ფ. 9.



ნილებისა და ოოცა ჩვენი საშუალება გამოიჩინევა, მუშაფათა და
ხსნათ ობილისში სკოლაო. მაგრამ გამგეობაზ თითქმის უძრავია ეს
ხმად დაადგინა — ვა ხსნა თბილისში დაწყებითი სკოლა.

თბილისის სკოლა 1880 წლის 14 ოქტომბერს გაუხსნიათ
მესანგრეთა ქუჩაზე № 41 სახლში; გახსნას საზეიმო ხასიათი
ჰქონია. მას დასწრებია: გრ. ობელიანი, ქ. ქ. მამაცაშვილი,
სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილიაშვილი, სკოლათა დირექ-
ტორის თანაშემწე ხითაროვი, გუბერნიის მარშალი სუმბათა-
შვილი, მაზრის მარშალი მაღალაშვილი და მშობლები. მასწავ-
ლებელი დავით ღვინიაშვილი ითხოვს, რომ პროგრამაში შეტა-
ნილ იქნას რუსული ენა პირველი წლიდანვე იმ მოწაფეებისა-
თვის, რომლებმაც ამ ენაზე წერა-კითხვა იციან, თორემ მშობ-
ლები უკანვე გაიყვანენ. აგრეთვე მოწაფე ქალები ყველანი
ვაეთავისუფლებინათ სწავლის ფულისაგან, თორემ ისედაც
შემცირებულ მოწაფეთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირ-
დებათ.

თბილისის სკოლაში ორი განყოფილება იყო, თითოში 16—
16 ვოწაფე, სულ 32 მოწაფე, ამათგან 10 გოგონა. წლის გან-
მავლობაში სწავლის ფული სულ 400 მანეთის ნაცვლად
119 მან. შემოსულა. ამ სკოლამ მხოლოდ ერთი წელიწადი
იარსება: 1881 წლის სექტემბერს გამგეობის დადგენილებით
სკოლა დაიკეტა. ამის მიზეზი ის იყო, რომ 1881 წლის სექტემ-
ბერს ოცი მოწაფის ნაცვლად 16 გამოცხადებულა და ისინიც
უარს ამბობუნენ დარჩენაზე, თუ უფასო არ იქნებოდა სწავლა.
ბევრი მათგანი 1881 წელს ქალაქის თვითმმართველობის მიერ
გახსნილ ორ ქართულ სკოლაში გადასულა, სადაც სწავლება
ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო შემოღებული.

1879 წლის 31 ივლისს ქუთაისის
ბ. ქუთაისის ქართული სააზნაურო სააღგილმამულო ბან-
სკოლა კის ზედამხედველი კომიტეტის
თავმჯდომარე ალ. ფიფინაშვილი აცნობებს ქ. შ. წ.-კ. გამავრცე-
ლებელი საზოგადოების გამგეობას, რომ ბანკის დამაარსებელთა
საერთო კრებამ აღმრა საკითხი ქუთაისში მოსამზადებელი სას-
წავლებლის გახსნის შესახებ და შესაძლებლად დაინახა ასეთი



სასწავლებლის გასახსნელად და მოსაწყობად 8.000 მარტინიშვილი
გიგანტით გადასცა.

სასწავლო უწყებისაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, 1880 წლის 3 თებერვალს სკოლა სახეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი ორი განყოფილების შემაღენლობით. წ.-კ. გამგეობას სკოლის „წესდება“ შეუმუშავებია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის მიწათმფლობელთა წოდების მოსამზადებელ სკოლას მიზნად აქვს დასახული მისცეს ბავშვებს დაწყებითი განათლება და მოამზადოს ისინი სამოქაბავშვები ან სამხედრო უწყებათა სასწავლებლის პირველ კლასში ლაქო ან სამხედრო უწყებათა სასწავლებლის პირველ კლასში შესასვლელად, რომ სკოლაში მიიღებიან სხვა წოდებათა, უმარტივებელად, რომ სკოლაში მცხოვრებთა შვილებიც, რომ პირველ განყოფილებაში წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები მიიღებიან: სწავლა უფასოა და ყველა საგნის სწავლება მთელი კურსის მანძილზე ქართულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ამავე დროს რუსული ენისათვის იმდენი საათია განკუთვნილი, რამდენიც უზრუნველყოფს კურსის დასრულებისას ბავშვების მიერ ამ ენის სრულ დაუფლებას.

1882 წელს მოწაფეებმა IV განყოფილება¹ დასრულეს და ამით უნდა დასრულებულიყო ქუთაისის ქართული სკოლის ზრდა. არავინ მოელოდა, რომ სასწავლო უწყება წ.-კ. საზოგადოებას, რომელსაც შხოლოდ დაწყებითი სკოლის გახსნის უფლება ჰქონდა, პროგიმნაზიული კლასების გახსნის უფლება: მისცემდა, მაგრამ სასწავლო ოლქმა, რაღაც გაუგებრობის შემისახული ნება დართო და მომდევნო წლებში თითო პროგიმნაზიული ის ნება დართო და მომდევნო წლებში თითო პროგიმნაზიული კლასი ყოველწლიურად ემატებოდა ქუთაისის ქართულ სკოლასი 1886 წლამდე, სანამ ის ოთხკლასიან პროგიმნაზიად არ ლას 1881 წლის სასწავლო გაგმით იქნა შემოღებული.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ IV განყოფილებაში, გარდა ქართულისა, ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა, ზოგი III კლასიდანაც, რამაც გოგებაშვილის შენიშვნა გვმოიწვია. შემდეგ წლებში მოსამზადებელ კლასებით სწავლება 1881 წლის სასწავლო გაგმით იქნა შემოღებული.

გ. ძველი-სენაკის
ქართული სკოლა.

1880-იანი წლები მთელს ქართულებიდან
და საქართველოშიც რეაქციული მოქადა-
ლური თარეშით აღინიშნა. საქარ-
თველოში ამ რეაქციის ხელმძღვა-

ნელები იყვნენ მთავარმმართებელი ღონიშუკოვ-კორსაკოვი,
ეგზარხოსი პავლე და სასწავლო ოლქის მზრუნველი იანვანესკი-
გრავალ სხვა საშუალებათა გარდა, ქართული ეროვნული ორ-
განიზმის დასასუსტებლად და მის აღვილად გადასაგვარებლად
კიცისის მთავრობამ მეგრელები აჩაქართველებად გამოაცხადა
და „მოძალადე ქართველებისაგან მათი მფარველობა იყიდსა“, †
რაც იმით გამოიხატა, რომ სამეგრელოში სამინისტრო სკოლე-
ბიდან ქართული ენა განდევნა და მეგრულის სწავლება შე-
მოიღო, საეკლესიო წიგნებს მეგრულ ენაზე ათარგმნინებდა
და ეკლესიაშიც მისი შემოღება სცადა. სამეგრელოს მოსახ-
ლეობა, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, აღსდგა
ამ ვერაცული ღონისძიების წინააღმდეგ. რაღაც წერა-კითხვის
საზოგადოებას ასეთ ვითარებაში სამეგრელოში სკოლის გახს-
ნის ნებართვას არავინ მისცემდა, 1884 წელს წ.-ქ.-ის საზოგა-
დოებამ ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფი-
ლებები ძველ სენაკში გადაიტანა, როგორც ქუთაისის ქართუ-
ლებები ძველ სენაკში გამოიყენა. სკოლის გამგეობამ ამ სკოლის
ლი სკოლის ფილიალი. საზოგადოების გამგეობამ ამ სკოლის
ინსპექტორად განათლებული და გამოცდილი პედაგოგი სამსონ
ინსპექტორი დანიშნა, რომელმაც მასწავლებლებად ქუთაისის ქარ-
ყიფიანი დანიშნა, რომელმაც მიიწვია ივანე გოგოლაშვილი, ლ. ჩიმახაძე
თული სკოლიდან მიიწვია ივანე გოგოლაშვილი, ლ. ჩიმახაძე
და აგლაძე. სკოლის დაარსება 1884 წელს ზეიმით აღინიშნა და
საკმაო თანხაც შეგროვდა სახელდანელოდ სკოლისათვის შენო-
ბის ასაგებად. 1885 წლის 27 ოქტომბერი, როდესაც სენაკის
ასაგებად. 1885 წლის 27 ოქტომბერი, როდესაც სენაკის

ზეიმით ცარიზმის გამარცხებელი პოლიტიკის საწინააღმ-
დეგო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.



შ.-ქ. გამავრცელებელი უნიტეტის
დოკტორი გამგეობამ საჭიროდ უნდა
აქტარაში ქართული სკოლის დაარ-

სება. ეს ხომ საუკეთესო საშუალება იქნებოდა აქარის მკეილრ-
თა გასანათლებლად, თურქთა გავლენის აღმოსაფხვრელად,
მათში დედა ენის გასამტკიცებლად. ნ. ცხველაძე აღნიშნავდა
გამგეობის სხდომაზე ბათომში სკოლის გახსნის აუცილებლო-
ბას — „ბევრი პირობა მივიცით ახლად შემოერთებულ ძეგლ-
საო“. სკოლის გახსნის შესახებ მოლაპარაკება ი. ჭავჭავაძეს
მიანდვეს. 1880 წლის ნოემბერში, სათანადო ნებართვის მიღე-
ბის შემდეგ, გამგეობის დავალებით დ. ზ. ბაქრაძემ დაიქირავა
ბათომში სკოლისათვის სახლი 260 შან, მასწავლებლად მო-
წვეულ იქნა ალ. ნანეიშვილი — სამედიცინო აკადემიის სტუ-
დენტი.

1882 წლის 6 ივნისს ჭ.-კ. საზოგადოების საერთო კრებაზე /
დიდი კამათი გაიმართა ბათომის სკოლის გარშემო. კუნტაზე და
შეიღი შეეკითხა გამგეობის თავმჯდომარეს ილ. ცემატური და ერთ-
რამდენი მაპმადიანი სწავლობს ბათომის სკოლაში. — რაც
ერთიო, — მოუგო ილიამ. 6. ხუდადოვი და გ. გულისაშვილი
მოითხოვდნენ ბათომის სკოლის დახურვას. ილია ჭავჭავაძე,
3. უმიქაშვილი, 6. ცხვედაძე და სხვანი საჭიროდ სკოლის და
სკოლის დატოვებას. 6. ცხვედაძემ განაცხადა — დასავლეთ სა-
ჭართველოსათვის ბათომი იგივეა, რაც აღმოსავლეთ საჭართ-
ველოსათვის — თბილისი. უფრო დამაჯერებელი არგუმენტი
სკოლის დატოვების სასარგებლოდ დიმ. ჯანაშვილმა მოიყვანა:
ერთი ხალხი ჭართ, ერთი ენა გვაქვს და ზნეობრივი კავშირიც
აუცილებლად უნდა გვქონდესო. კრებამ ერთხმად დაადგინა
ბათომის სკოლის დატოვება და თუ სახსარი იქნებოდა, სოფ-
ლად მეორე სკოლის გახსნა.

1882 წლის შემოდგომიდან ბათომის სკოლის გამგედ და
ვასწავლებლად ჭ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მიიწვია მოსე
ნათაძე, რომელმაც პირველ დღიდანვე ბათომის სკოლას და
ადგილობრივ კულტურულ საქმიანობას წარმატების კვალი
დააჩინა. 1883 წლის იანვარში ბათომის სკოლაში უკვე 25
ქართველი მაპმადიანი და 31 ქრისტიანი სწავლობდა. 9 ივნისს
ჩატარებულ გამოცდას დასწრებია (გამგეობის დავალებით)
გ. გაბაშვილი, რომელიც სკოლის წარმატებით მეტად კმაყო-
ფილი დარჩენილა. ვაპმადიანები სკოლას „ჩვენს სკოლას“
ეძახიან; რუსული ენა მხოლოდ მეორე განყოფილებიდან ის-
წავლება, ბავშვები მშვენიერად მღერიანო.

1883 წლის 5 დეკემბერს სკოლა დაუთვალიერებია სასწავ-
ლო ოლქის ინსპექტორს და ქუთაისის გუბერნიის სახალხო
სკოლათა დირექტორს, რომელნიც ძლიერ კმაყოფილნი დარ-
ჩენილან, მხოლოდ მოუთხვიათ — გეოგრაფია რუსულად
ასწავლეთო. 1884—1885 სასწავლო წელს ბათომის სკოლაში
30 მაპმადიანი და 30 ქრისტიანი ქართველი სწავლობდა, სკო-
ლაში ზაარსებიდან 47 ქართველ-მაპმადიანსა და 24 ქართველს.
ქრისტიანს უსწავლიათ და ქართულ ენაში გავარჩიშებულან.
ბათომის ქართულ სკოლაში აღიზარდნენ შემდეგში აჭარაში

ცონბილი საზოგადო მოღვაწეები. სამოქალაქო სასწავლებელ-ში ი არც ერთი მაპმაღიანი აღარ დარჩენილა. ზოგი უსახლის უთხოება: გოგონებიც მიიღეთ სკოლაში.

მ. ნათაძე იწერებოდა: მოზრდილი მაპმაღიანები მთხოვენ ვასწავლო მათ ქართული და რუსული ენა. საჭიროა ფორმალურად საკვირაო სკოლის დაარსება და მე უსასყიდლოდ ვასწავლიო. ბათომში მ. ნათაძის ინიციატივით ქართულ წარმოდგენების დაღმაც დაიწყო წ.-კ. გამგეობის სასაჩვებლოდ; ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდნენ — ქეთევან უურული და ნინო გედევანიშვილი. მ. ნათაძემ ბევრი წევრი შესძინა წ.-კ. საზოგადოებას, მათ შორის ათიოდე აქარელიც იყო.

მაღვე ზოგ აქარელს აღმოჩინა სურვილი, სოფლადაც ჰქონდათ ქართული სკოლა: ნური ხიმშიაშვილი წერდა წ.-კ. გამგეობას დახმარება გაუწიოს მას სკოლის გახსნის საქმეში შავშეთში. გამგეობა მას შეპირდა ზაფხულში კაცის გაგზავნას ამ საკითხის გამოსარკვევად. მაღვე ბათომელი ქართველი მაპმაღიანების უშუალო მონაწილეობით დაიწყო მზადება სკოლის საკუთარი შენობის ასაგებად. ამჩიგად, კარგი და ენერგიული ხელშეძლვანელის — მ. ნათაძის — მეონებით ბათომის სკოლის საქმე მყარ ნიადაგზე დადგა და ქართველმა მაპმაღიანებმა ქართული სკოლისაკენ იბრუნეს პირი. ასეთი თავდადებული ვუშაობისათვის წ.-კ. გამგეობამ რამდენჯერმე დააჭილდოვა მ. ნათაძე.

ბათომის სკოლის გახსნით წ.-კ. საზოგადოებამ წამოიწყო საქართველოს ამ კუთხის კულტურული შემომტკიცება, ხოლო 1883 წელს ბათომამდე რეინიგზის გაყვანამ განამტკიცა აქარის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მთელს საქართველოსთან.

ბათომის სკოლის დაარსების მიზანი ყველასათვის ცხადი და ნათელი იყო. ამ სკოლაში დაწყებითი განათლება უნდა მიეღო ქართველ მაპმაღიანებს და სკოლა უნდა გამხვარიყო ქართული კულტურის გამამტკიცებელი ქართველ მაპმაღიანთა შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ბათომის ქართული სკოლა, ამ მიზანს, მ. ნათაძის გარდაცვალებისა და სხვა მიზეზის გამო, ბოლომდე ვერ ასრულებდა, ამიტომ მისი შემდგომი არსებო-

ბის საკითხი მუდამ დავას იწევე და წ.-კ. გამავრცელებელი ზოგადოებაში. ამავე დროს სკოლა ძვირადაც უჭდებოდა გეობას. მასზე იხარჯებოდა საზოგადოების შემოსტყობულობის ქმის ორი მესამედი — 1.139 მან., როგორც აღნიშნულია 1887 წლის წლიურ ანგარიშში.

წ.-კ.-ის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე 1887 წლის 24 მაისს, ბათოშის სკოლის შესახებ ივ. მაჩაბელმა განაცხადა: „ბათომის სკოლა მართლაც ძვირად უჭდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომელის სარგებლობა ფულით არ გაიზომება. კრებაზე ცხარე და ხანგრძლივი კამათი დასრულდა იმით, რომ (ოთხი წევრის გარდა), კრებამ საჭიროდ სცნო ბათომის სკოლის დატოვება. თუმცა 1887 წელს ბათოში დაარსდა სკოლის მზრუნველი კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა სკოლის შენახვა, მაგრამ ადგილობრივ შეკრებილი სახსრები მეტად მცირე იყო სკოლის შესანახად და წ.-კ. გამგეობას დამატება უხდებოდა ყოველწლიურად.

ბათოში ქართული სკოლის დაარსება საჭირო იყო, მაგრამ არა ქართველ მაჰმადიანთა ბავშვების აღსაჩრდელად, რამდენადაც ბათოში მაჰმადიანთაგან მხოლოდ ბეგები ცხოვრობდნენ. ხალხისათვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა სკოლის სოფლად გახსნა, რადგან სოფლის სკოლაში მხოლოდ მაჰმადიანი ბავშვები ისწვლიდნენ და სკოლის შენახვაც იაფი დაჭდებოდა. გარდა ამისა, სკოლის წარმატებას და მასში ქართველ მაჰმადიანთა მოზიდვას ხელს უშლიდა ხოვა, მაჰმადის რკულის მასწავლებელი, ვინაიდან ის ამ სკოლიდან პირად სარგებლობას ერქ ხელავდა. როგორც აღნიშნეთ, ბათოშის სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ დიდი უნარი გამოიჩინა და ენერგია დახარჯა სკოლის წარმატების საქმეში, მაგრამ ის გარდაიცვალა 1890 წელს; გამგეობამ აღნიშნა: „მის (მ. ნათაძის) მხნეობას მიეწერება აღორძინება და დამკვიდრება ამ სკოლისა მაჰმადიანურ საქართველოში“. მადლობის ნიშნად გამგეობამ იყისრა მისი შვილის შესანახად ყოველწლიურად ასი მანეთი შეეტანა ქართული სააზნაურო სკოლის პანსიონში.

გარდაცვლილ მოსე ნათაძის აღგილზე გამგეობაში მოიწვია
მიხ. შარაშიძე.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღგიტაბის მქონე მო-
მზრუნველო კომიტეტის დაარსების შემდეგ სკოლის საქმე შე-
დარებით კარგად შავიდა, თუმცა მაპმადიანები მასში ყოველ-
თვის ცოტანი სწავლობდნენ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო.
სკოლა გაიზარდა, მისთვის საკუთარი სახლი აშენდა 1891
წელს. მზრუნველმა კომიტეტმა 1896 წელს ითხოვა ვაჟთა
სკოლასთან გახსნილიყო ქალთა პირველდაწყებითი სკოლაც
და გამგეობაშ ბათომში ამ საკითხის გამოსარკვევად ნ. ცხვე-
დაძე მიავლინა, მაგრამ სკოლასთან ქალთა განყოფილების
გახსნა ვერ მოხერხდა. 1896 წელს ბათომის სკოლაში 105 მო-
წაფე სწავლობდა, აქედან 25 ქართველი მაპმადიანი იყო. სკო-
ლას სამი მასწავლებელი ჰყავდა, (გარდა საღვთო სჯულის
მასწავლებლებისა). ამ წელს სკოლის შესანახად 1707 მან.
დაიხარჯა. ბათომის ქართული სკოლის წარმატებას დიდი ამა-
გი დასჭირ გრ. ვოლსკიმ და მზრუნველი კომიტეტის თავმჯდო-
მარის მოადგილემ ღლონტმა.

კავკავის სკოლის დაარსების ინი-
ც. კავკავის სკოლა. ციატორი იყო ცნობილი საზოგა-
დო მოღვაწე მიხეილ ზაალის ძე
ყიფიანი. ის ილია ჭავჭავაძის თანამშრომელი იყო „საქართვე-
ლოს მოამბეში“. 1871 წელს იგი სამსახურის გამო
თერგის ოლქში გადაუყვანიათ და კავკავში ცხოვრობდა.
1888 წლის 30 მაისის სხდომაზე წ.-კ.-ის საზოგადოების
გამგეობაშ მოისმინა მისი წერილობითი განცხადება იმის
შესახებ, რომ კავკავის ქართველ საზოგადოებას „სურს
ქართული სკოლის გახსნა. საზოგადოების გამგეობა ძიე-
სალმა ამ წინადაღებას, მაგრამ უსახსრობის გამო დი-
დი დახმარება ვერ აღუთქვა: ერთდროულად დაპირდა
200 მან. დახმარებას, ყოველწლიურად წიგნების გაგ-
ზავნას და მასწავლებლის შერჩევას. კავკავის ქართველმა
საზოგადოებამ თვით იქისრა სკოლის გახსნა და მისი შენახვა;
ამ მიზნით 1888 წლის მაისში არჩეულ იქნა სკოლის
მზრუნველი კომიტეტი მიხ. ყიფიანის თავმჯდომარეობით.

შდივნად დანიშნულ იქნა ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებელები და ტიტე კახიძე, რომელსაც მიენდო სკოლის ხელმძღვანელობა მასწავლებელს დაენიშნა 400 მან. წლიურად, აგრეთვე უფასო ბინა და ბინის განათება.

წ.-კ. საჩ. გამგეობამ, რომელმაც სკოლის ხელმძღვანელობა იყიდა, სკოლის გახსნის ნებართვა გამოითხოვა: მასწავლებელად მოწვეული იქნა თბილისის საოსტატო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ივ. ბეღელაძე. ქართული სკოლა კავკავში გაიხსნა 1888 წლის 10 ოქტომბერს. 1891 წელს სკოლის სამ განყოფილებაში 44 მოწაფე სწავლობდა. მზრუნველ კომიტეტს 3.177 მან. ჰქონდა შეკრებილი და სკოლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი იყო გამოყოფილი.

1890 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა მიხეილ ყიფიანის წინადადება იმის შესახებ, რომ ყაზბეგში გახსნას წ.-კ. სკოლა, რომლის გამართვას თვითონ კისრულობდა. მაგრამ ეს კეთილი განხრახვა მას შეუსრულებელი დარჩა: მიხ. ყიფიანი გარდაიცვალა 1891 წლის 2 მარტს. ამის გამო ი. ჭავჭავაძე წერდა: „სულ ორი დღის წინად, მანამ სიკედილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუდუმებელ, ქვეყნისათვის პატიოსან კაცს, იგი იწერებოდა ტუილისში: „სტეფანშვილიც ვახერხებთ სკოლის გამართვასო. იქაური ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გახარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ რომ, ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვისი სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღბეჭდავს. მამულს მამულიშვილობა გაუწიე და შენი ვალი შეასრულეო“¹.

1892 წლიდან კავკავის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე. 1896 წელს კავკავის ოთხანყოფილებიან ქართულ სკოლაში 100 მოწაფე სწავლობდა — 65 ვაჟი და 35 ქალი.

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, 1928 წ. 23. 143.



1882—1884 წლებში წერაცხადებული

ვ. წინარეხის, თონეთის, საზოგადოებამ მის მიერ დამტკიცებული პირობების თანახმად ხელთუბნის და გომარევებული პირობების თანახმად ხელთუბნის და გომარევების დარსება. სკოლების გახსნა მოახერხა წინარებში, თონეთსა და ხელთუბნის.

წ.-კ. საზოგადოება მოსახლეობას გარკვეულ ნივთიერ დახმარებას უწევდა და სკოლას ხელმძღვანელობდა.

1888 წელს წ.-კ. საზოგადოებას წევრთა საერთო კრება ჩომ მთავრდებოდა, ანტონ ფურცელაძემ განაცხადა: „სოფ. რებული, ბორჩალოს მაზრაში, სკოლა გაიხსნას, რადგან იქ მცხოვრებ ქართველებს სულ თათრობა ახვევია გარშემო და არა თუ ენა, სარწმუნოებაც ეკარგებაო“. საზოგადოდ აზრი გამოითქვა,—კარგი იქნება ასეთ მივარდნილ ადგილებში გაიმართოს სკოლებით. ამავე მოტივით გაიხსნა სკოლა ს. გომარეთში, ბორჩალოს მაზრაში, რადგან აქაური მოსახლეობა ივიწყებს ქართულს და ითვისებს თათრულსო, ის მოკლებულია ქართულ წერა-კითხვასაცო.

საკითხი ს. გომარეთში სკოლის გახსნის შესახებ გამგეობის 1896 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე დააყენა ექ. თაყაიშვილმა და ამ საკითხის მოგვარებაც მასვე მიანდეს. 1897 წლის 26 აგვისტოს სხდომაზე ექ. თაყაიშვილმა განაცხადა: სოფ. გომარეთში სკოლის გახსნის საკითხი მოგვარებულიაო. გომარეთის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა თომა კევლიშვილი.

ამრიგად, წ.-კ. გამარტინელმა საზოგადოებამ თავისი არსებობის პირველ ნახევარში შემდეგი სკოლების დაარსება: მოახერხა: თბილისის (1880 წ.), ბათომის (1881 წ.), წინარევების (1882 წ.), თონეთის (1883 წ.), ხელთუბნის (1884), კავკავის (1888 წ.), გომარეთის (1897 წ.). წ.-კ. საზოგადოება ხელმძღვანელობდა ქუთაისის სააზნაურო ბანქის სახსრებით დაარსებულ ქუთაისის სააზნაურო სკოლას (1880 წ.) და მის განყოფილების ძველ სენაკში (1884 წ.). სხვა სკოლების გახსნას (მცხეთაში, ვაკეში, დილომში და სხვ.) მეფის მთავრობა გადაეღობა წინ და გახსნილი სკოლების გამოც ბრძოლა გაუმართა წ.-კ საზოგადოებას.



4. ბრძოლა წ.-კ. საზო-
გადოების სკოლების
გარშემო წ.-კ.-ის გამავრ-
ცელებელ საზ-ბასა და
მეფის მთავრობას შორის
ნაციური და დამტკიცებინა ახალი სასწავლო გეგმა — “Об учеб-
ном плане начальной школы в среде туземного насе-
ления по постановке в ней русского языка”.

ამ გეგმით რუსული ენა დაწყებით სკოლაში სწავლების პირ-
ველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო და საგნე-
ბის სწავლება იმავე წლიდან თანდათანობით რუსულ ენაზე უნ-
და გადასულიყო. ქართველი პედაგოგები, მოწინავე ადამიანები
და წ.-კ. საზოგადოების გამგეობა მიზანშეწონილად თვლიდ-
ნენ რუსული ენის სწავლების დაწყებას მხოლოდ მესამე წლი-
დან, როდესაც ბავშვი შშობლიურ ენაზე წერა-კითხვაში საჭ-
მაოდ გავარჯიშდებოდა, როგორც ეს მიღებული პერიოდი თბი-
ლისისა (1878 წ.) და ქუთაისის (1880 წ.) გუბერნიების სახალ-
ხო მასწავლებელთა ყრილობებს.

1882 წლის 1 იანვარს წ.-კ. საზოგადოებამ სკოლა გახსნა
სოფ. წინარეხში, თანახმად წინარეხის მოსახლეობის მიერ
აღძრული შუამდგომლობისა და პირობებისა, მაგრამ წ.-კ. სა-
ზოგადოების მიერ წარდგენილი სასწავლო გეგმა სასწავლო
ოლქის მზრუნველს და სკოლის დირექტორს არ დაუმტკიცე-
ბიათ და სკოლის გახსნაზე უარი უთქვამთ. მიუხედავად ამი-
სა, წინარეხში სკოლა გამგეობას მაინც გაუხსნია, მასწავლებ-
ლად ალ. გაგლოშვილი დაუნიშნავთ. 36 მოწაფე მოსულა სკო-
ლაში. სკოლათა დირექტორი იმუქრებოდა: მზრუნველი იძუ-
ლებული იქნება გუბერნატორს მიმართოს, თუ სკოლაში 1881
წლის სასწავლო გეგმა არ იქნება შემოღებული.

1882 წლის ოქტომბერს წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ
სასწავლო უწყებას გაუგზავნა პასუხი, რომელშიაც ნათქვამია,
რომ მთავრობა ვერ დახურავს წინარეხის სკოლას, რაღაც ის
დაფუძნებულია არსებულ დებულებაზე კერძო სკოლების შე-



სახებ, წ.-კ. საზოგადოების დებულების № 3-ზე და შემთხვევაში ენის სწავლა იწყება მე-3 წლიდან, ნაცვლად მე-2-ზე, შედგენაც ვიური მოსახრებითა 1.

1883 წ. შემოდგომაზე მთავრობის განკარგულებით ადგა-
ლობრივ აღმინისტრაციას წინარეხის სკოლა დაუხურავს. იქ
სწავლა მხოლოდ 1884 წლის იანვარში განახლებულა.

1881 წელს სასწავლო ოლქის უფროსი იანვოცკი აცნობებ-
და წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ბათომის სკოლაში
რუსული ენა უნდა იწყებოდეს სწავლების მე-3—4 წელს კი
არა, არამედ „თანახმად მეფის მოადგილის მიერ მოწონებუ-
ლი ჩემი მოხსენებისა კავკასიის სასწავლო ოლქის არარუსთა
სკოლებში რუსული ენის დაყენების შესახებ, — ზეპირი შეს-
წავლა რუსული ენისა უნდა იწყებოდეს გაცილებით ადრე,
სახელდობრ, როდესაც მოწაფეები რამდენადმე გაეცნობიან
წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე, ე.ი. დაახლოებით სკოლაში
ყოფნის პირველი წლის მეორე ნახევრიდან“². მაგრამ წ.-კ.
საზოგადოების გამგეობა, ეყრდნობოდა რა საღ პედაგოგიურ
მოსახრებებს, ცდილობდა თავისი პოზიციების შენარჩუნებას
რუსული ენის სწავლების საკითხში.

გამგეობაში აღნიშნული საკითხის შესახებ გამოირკვა,
რომ ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავდა რუსული ენის სწავლე-
ბის დაწყების შესახებ ჭართველ მოწინავე საზოგადოების
მიერ მიღებულ შეხედულებას (მე-3 წლიდან დაწყებას), ხო-
ლო იაკობ გოგებაშვილი დათმობის გზას ადგა.

1882 წლის 25 ოქტომბერვალს წ.-კ. საზოგადოების გამგეობის
სხდომაზე სჯა-ბაასი პქონდათ იმის შესახებ, თუ როგორი
გეგმა გაეგზავნოს დირექტორს წანარეხის სკოლისათვის. ი. გო-
გებაშვილის მიერ შედგენილი პასუხის პროექტი გამგეობის
მიერ უარყოფილ იქნა, რადგან იგი არ შეესაბამებოდა წ.-კ.
საზოგადოების წესდებულების მე-3 მუხლს. გამგეობაშ და-
ადგინა: „სასწავლო გეგმისა და სწავლების ორგანიზაციის

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 20, ფ. 14—16.

² სცია, ფ. 481, საქ. № 22, ფ. 17—18.

შესახებ არას გზით არ დაუთმოს დირექციას იმ უფლებითან, რაც, თანახმად ჩვენის წესდების მე-3 მუხლისა მიზეულია გამგეობას“.

ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი და წ.-კ. საზოგადოების ჯამგეობის 1882 წლის 15 აპრილის სხდომაზე მიღებული დირექტორისათვის გასაგზავნი მიმართვის აზრი ის იყო, რომ საზოგადოება ვერ მიიღებს მის მიერ გახსნილ სკოლაში მაზრის (ოლქის) მზრუნველისაგან შედგენილს გეგმას, რადგან იგი ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდების მე-3 მუხლს; ხოლო ის გეგმა, რომელიც საზოგადოების მიერ არის მიღებული, დროებითია და ამიტომ ნორმალური პროგრამის შედგენის აპირებს უმაღლეს აღვილობრივ მთავრობისათვის წარსადგენად და დასამტკიცებლად“.

ბრძოლა წინარეხის სკოლის გარშემო გამწვავდა; სახალხო სკოლათა დირექტორი 1882 წლის სექტემბერში იწერებოდა, რომ საზოგადოებას არა აქვს არავითარი უფლება თავისი პროგრამი შემოიღოს საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში და ვიდრე მზრუნველის იანოვსკისაგან შედგენილ პროგრამას არ მიიღებთ, წინარეხის სკოლის გახსნის ნებართვასაც არ მოგცემთო.

როდესაც სკოლათა დირექტორმა მორიგი გაფრთხილება გამოუვზავნა წ.-კ. გამგეობას — უკეთუ სკოლას არ დაკეტავთ წინარეხში, გუბერნატორს მოვახსენებ და დავაკეტინებო, გამგეობამ დაადგინა: „მიეწეროს, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ წესდებასაც ვასრულებთ და საზოგადო კანონსაც და ამიტომ ჩვენ ვერ გავაუქმებთ წინარეხის სკოლასო“¹.

1882 წლის 2 ნოემბერს გამგეობამ ამ საკითხის გარშემო კვლავ გამართა მსჯელობა და საგანგებოდ მოიწვია საზოგადოების თავმჯდომარე ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკი იმის გადასაწყვეტად, თუ რა პასუხი გაეგზავნოს თბილისის გუბერნიის სკოლათა დირექტორს, რომელიც თხოულობს, რომ წინარეხის სკოლაში შემოღებული იქნას 1881 წ. სასწავლ გეგმაო. გამგეობამ დაადგინა: - უმაღლეს მთავრობას გაეგზავნოს მიმართვა საზოგადოების მოქმედების გასამართლებლად: სკო-

1. სკით, ფ. 481, საქ. № 42, ფ. 101.

ლის დაკეტვაზე უარი ეთქვას, პასუხის შედგენა უმარწოდესა
ი. ჭავჭავაძე, გ. თუმანიშვილს, ნ. ცხვედაძეს და გრიფლიშვილება
შვილს.

ი. გოგებაშვილი რომ მთავრობასთან ამ საკითხში დათმო-
ბის პოლიტიკას ადგა, ეს ნათლად ჩანს მის მიერ გამოთქმუ-
ლი აზრიდან 1883 წელს 25 იანვარს გამგეობის სხდომაზე:
„დირექციას მიეწეროს თონეთისა და ხელთუბნის სკოლე-
ბის გახსნის თაობაზე, რომ ამ სკოლებს ექნებათ ოთხი წლის
კურსი, სწავლება სავნებისა იქნება ქართულ ენაზე და რუ-
სული ენის სწავლებაც დაიწყება პირვე-
ლი წლის მეორე ნახევრიდან დროებით,
ვიდრემდის უმაღლესი მთავრობა შეიწყნარებდეს გამგეობის
მოსაზრებას და შეამდგომლობას შესახებ რუსული ენის
დაწყებისა მესამე წლიდან. დააღვინეს უარყოფილ
იქნას. თონეთისა და ხელთუბნის სკოლის გახსნის
შესახებ ჩვენი მეცადინეობა ვიხმაროთ“.

1883 წლის 24 ივნისს თბილისის გუბერნიის სახალხო სკო-
ლათა დარექტორს ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით ეგზავნება
შეუამდგომლობა თონეთში სკოლის გახსნის ნებართვის შესა-
ხებ, რომლის მე-5 და მე-6 მუხლებში ნათქვამია:

„საგნების სწავლება იწარმოებს ბავშვთა მშობლიურ
ქართულ ენაზე, თანახმად საზოგადოების წესდების წ 3 მო-
თხოვნისა.

თუმცა გამგეობა დარწმუნებულია, რომ რუსული ენის შე-
სწავლის დაწყება უფრო პედაგოგიური და მიზანშეწონილია-
სწავლების მესამე წლიდან, მაგრამ უთმობს რა ადგილობრივ
სასწავლო უწყების დაეინიბით მოთხოვნას, რუსული ენის
სწავლებას ის დაიწყებს სწავლების პირველი წლის მეორე
ნახევრიდან 6—6 კვირეული საათის მიცემით“. სახალხო სკო-
ლათა დირექტორი გარსკი უპასუხებს გამგეობას, რომ ასეთ
მიმართვას ის ვერ წარუდგენს სასწავლო ოლქის მზრუნ-
ველს, უკან იგზავნის თხოვნას და წინადადებას იძლევა
„Представить учебный план без лишних рассуждений, помещенных в пункте б-ом“.

ეს ამონაშერი ჩვენ იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, თუ

რამდენად იყო გამწვავებული ურთიერთობა სასწავლო უწყე-
ბასა და წ.-კ. საზოგადოებას შორის, თუ რა თავხელმოჭრები
სუსს აძლევდა დირექტორი წ.-კ. საზოგადოების გამჭვირევულა

1883 წელს 3 ივნისის წლიურ კრებაზე გამართა კამათი
დირექციასა და წ.-კ. გამგეობას შორის სკოლების გეგმის
გარშემო გამართული მიწერ-მოწერის გამო.

„პაჭიშვის რომ თავი მოარღიო, ბოლომდის რლვევით წავა;
თუ ერთხელ დაუთმეთ, მეორეთაც მოგიხდებათ დათმობა.
ჩვენ, იმედია, გავმართლდებით უმაღლესი მთავრობის წინაშე,
ამ შემთხვევაში დირექციისა და სასწავლო მთავრობის ნება
მოქმედებს და არა კანონი. თუ კანონიერად ითხოვს, რასაც
ითხოვს, მაგას ვერავინ დაათმობინებს“, — განაცხადა ი. ჭავჭა-
ვაძემ.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი გავლენიანი ადა-
მიანი, როგორიც იყო ი. გოგებაშვილი, საჭიროდ სცნობდა
დათმობას მთავრობისათვის, გამგეობის დიდი უმრავლესობა,
ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მტკიცებ ადგა მთავრობას-
თან ბრძოლის გზას. ი. ჭავჭავაძე ცდებოდა, როდესაც ფიქ-
რობდა, რომ ამ საქმეში დირექციისა და სასწავლო ოლქის
მზრუნველი თავისი ნება-სურვეილით მოქმედებდნენ... რა თქმა
უნდა ეს ასე არ იყო. მზრუნველი და დირექტორი უმაღლესი
მთავრობის პოლიტიკის გამომხატველნი იყვნენ ამ საკითხში.

1884 წლის 11 დეკემბერს გამგეობამ განიხილა ხელთუბნის
სკოლის მასწავლებლის მომართვა, რომ დირექტორის მოაღ-
გილემ მომთხოვა რუსული ენის სწავლება იანვრიდან უსა-
თუოდ დააწყებინეო. ილ. ჭავჭავაძის ხელმოწერით მიეწერა:
სწავლა რუსულისა დააწყებინოს მაშინ, როცა ყმაწვილებს
შეეძლებათ რიგიანად შესწავლა და არა მარტო გაზეპირება
ორიოდე სიტყვისა.

ილია ჭავჭავაძემ ერთ საშუალებას კიდევ მიმართა, რომ
წ.-კ. საზოგადოების სკოლების ხელმძღვანელობის საკითხში
დაეცვა ქართველი ხალხის სამართლიანი უფლებები.

წ.-კ. საზოგადოების მიწერ-მოწერაში არის შემონახული
სოფ. ვეგინის მასწავლებლის ნ. ნათიძის წერილი ილ. ჭავჭა-
ვაძის სახელზე, დათარიღებული 1883 წლის 23 ივნისით.

„24 პრილს მე გახდით თქვენთან და გურჯეორებულებულის შესახებ, თუ რა ღონისძიების ხმარება შეიძლება მარტინის სასოფლო სკოლის მასწავლებლებთაგან რუსული ენის შემცირებაზე სოფლის სკოლებშიც. თქვენი რჩევა—შეკრება, ერთად მოლაპარაკება რუსული ენის პროგრამაზე, დამტკიცება მისი უსარგებლობისა პედაგოგიურის მხრით და თხოვნა, მომართული წ.-კ. საზოგადოებისადმი, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობასთან რუსული ენის შემცირებაზე, მე მივიღე სახელმძღვანელოდ“. მაგრამ, როგორც იწერება ნათიძე, კახეთის მთელ მასწავლებლობას სიშორის გამო თავისმოყრა ვერ მოუხერხებია და სიღნალის მაზრის 10 მასწავლებლიდან მხოლოდ ექვსი შეკრებილა და გამოუგზავნიათ წ.-კ. საზოგადოებისათვის შესაფერი დადგენილება ამ საკითხის შესახებ.

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი იმის დამადასტურებელია, რომ ი. ჭავჭავაძე ი. გოგებაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ებრძოდა რა 1881 წლის სასწავლო გეგმას და ასაბუთებდა რა მის უსაფუძვლობას პედაგოგიური მოსაზრებით, ცდილობდა გამოეყენებინა ამ მიმართულებით დაწყებითი სკოლის მასწავლებლობის გამოყიდვება 1881 წლის გეგმის მავნე გავლენის შესახებ.

საბოლოოდ სასწავლო გეგმის გარშემო ზრდოლის საკითხში გამარჯვებული ის მხარე გამოვიდა, ვის ხელშიაც იყო არა ზნეობრივი, არამედ ფიზიკური ძალა. მაგრამ საქმე ის არის, რომ 1880-იანი წლების მიწურულისათვის თვით სასწავლო უწყებასაც არ აქმაყოფილებდა 1881 წ. 13 იანვრის გეგმა და მან ის არაოფიციალურად გააუქმა კიდეც. ამიერიდან სასწავლო ოლქის მზრუნველი მოითხოვდა, რომ რუსული ენის სწავლება ბავშვებს დაეწყოთ არა პირველი წლის მეორე ნახევრიდან, არამედ პირველი წლის დასაწყისიდან, როცა ბავშვი სკოლაში პირველად შესდგამდა ფეხს; ასეთი მოთხოვნა სასწავლო ოლქმა წ.-კ. სკოლებსაც წამოუხენა: ბავშვის მშობლიური ენა პირველ წელსაც კი არ ისწავლებოდა. ასე გამეფდა სკოლაში ცნობილი „მუნჯური“ მეთოდი. მოწინავე მასწავლებლებისათვის ახლა სანატრელი გახდა 1881 წლის გეგმა და პაზე დაყრდნობით ებრძოდნენ ისინი სასწავლო უწყებას,

რაც 1917 წლამდე გაგრძელდა. სასწავლო უწყება წ.-კ. საზოგადო გადოებას ახალ-ახალ მოთხოვნებს უდგენდა, რითველი მიმმდევა მდგრადობაში აყენებდა წ.-კ.. საზოგადოების უცნობესობა როდესაც წ.-კ. საზოგადოება იძულებული გახდა 1881 წლის 13 იანვრის გეგში შემოეღო თავის სკოლებში, — მთავრობამ ახლა ის მოიმიზება, რომ თითქოს ეს გეგმა სათანადოდ არ ტარდებოდა. შემდეგ თვით მთავრობამ გააუქმა არაოფიციალურად ეს გეგმა თავიანთ სკოლებში და როგორც დავინახეთ, წ.-კ. საზოგადოების სკოლებსაც მოსთხოვა რუსული ენის სწავლება დაეწყოთ არა პირელი წლის შეორე ნახევრიდან, არამედ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ბავშვი სკოლაში შემოვიდოდა. შემდეგ კიდევ ახალი მიზეზები წამოიყენა მთავრობამ: წ.-კ. საზოგადოებას შუამდგომლობა ჰქონდა აღმრული სასწავლო უწყების წინაშე ნება მიეცა მისთვის ვაყესნა სკოლა სოფ. ვაყაში და სოფ. მცხეთაში. 1885 წლის 11 სექტემბერს სხდომაზე გამგეობამ განიხილა სასწავლო უწყების მოწერილობა, რომ — არ მისცემს წ.-კ.. საზოგადოებას ვაყასა და მცხეთაში სკოლის გახსნის უფლებას, რადგან საზოგადოება, როგორც ჩანს, ხელთუბნის სკოლაში წ.-კ. საზოგადოების პროგრამით ასწავლის და არა სამოსწავლო ოლქის გეგმით (იგულისხმება 1881 წლის სასწავლო გეგმა) და მასწავლებლად ჰყავს სემინარიის და არა საოსტატო სასწავლებლის კურსდამთავრებული მასწავლებელი — გამრეკელი. გამგეობამ განმეორებით ითხოვა გამრეკელის მასწავლებლად დატოვება და ვაყასა და მცხეთაში სკოლის გახსნის ნებართვა.

1888 წლის მაისში საზოგადოების წევრთა წლიურ საერთო კრებაზე საზოგადოების წევრმა მრევლიშვილმა იკითხა: რა მიზეზია მცხეთაში სკოლა რომ არ იხსნებათ. მაზე ნ. ცხვედაძემ უპასუხა: კერძო კაცი, იმსპექტორი სკოლებისათვის, როგორც მთავრობა თხოულობს, არა გვყავსო. ი. გოგებაშვილმა სხვა მიზეზიც დაასახელა: სკოლის ფულს მთავრობა აღარ კრებს და მისი შენახვა ისე ძნელი ხდებათ. (სკოლის ფულში აქ იგულისხმება ის თანხა, რომელსაც, თანახმად პირობისა კოველწლიურად იხდიდა სოფელი, საღაც წ.-კ. საზოგადოების სკოლა იყო გახსნილი. ამ ფულს აღრე სხვა გადასახადებთან

ერთად მთავრობის მოხელეები კურებდნენ და წ.-კ. საზოგადო-
ების ანგარიშზე რიცხავდნენ. ის უმთავრესად მასში მიმდინარე
ხელფასზე იხარჯებოდა; შემდეგში ხელისშეშლის შინით
მთავრობამ უარი თქვა ამ ფულის აკრებაზე.)

ბაკურციხის და კოლაკის საზოგადოებას 1889 წელს
აღუძრავს შუამდგომლობა, მიეღო წ.-კ. საზოგადოების გამ-
გეობას სკოლა, მაგრამ გამგეობამ ეს არ დაინახა შესაძლებ-
ლად, სანამ მცხეთის შესახებ პასუხი არ მოვიდოდა მთავრო-
ბისაგან.

სოფ. თონეთის მასშავლებლის შემდეგი მოწერილობა
მოისმინა გამგეობამ 1891 წლის 24 მარტს: „სახ. სკოლათა
დირექტორმა დარსკიმ გამომიცხადა: „თუმცა სამასშავლებ-
ლო წესდების ძალით კავკასიის მხარეს მესამე განყოფილება-
ში ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ისშავლებოდეს და
ისშავლება კიდევაცო, მაგრამ რადგან ამ წესით მოსშავლენი
რუსულ ენას რიგიანად ვერ ითვისებენ, ამიტომ ვთხოვ მას-
შავლებლებს, რათა რუსული ენის ლექსიკურ სშავლებას
შეუდგნენ თრი კვირის შემდეგ სშავლის დაწყებისათ. გამ-
გეობამ დაადგინა: „ცირკულარი გაეგზავნოს ჩვენი საზოგა-
დოების ყველა მასშავლებელს, რომ სასტიკად დაცული იქნას
გეგმა, დამტკიცებული ჩვენი საზოგადოების მიერ და შეფარ-
დებული სშავლების გეგმასთან, რომელიც მთავრობის მიერ
არის დამტკიცებული“.

1887 წლის 5 სექტემბრის სხდომაზე წ.-კ. საზოგადოების
გამგეობამ მოისმინა სასშავლო ოლქის მზრუნველის მოწერი-
ლობა: ბათომის სკოლის მასშავლებელი არ იწყებს რუსული
ენის სშავლას პირველი წლის მეორე ნახევრიდან. გამ-
გეობამ დაადგინა: „მიეწეროს მ. ნათაძეს (ბათომის სკოლის
მასშავლებელს), რომ რუსულის ენის სშავლება მან უთუოდ
უნდა დაიწყოს პირველი წლის მეორე ნახევრიდან ლექსიკუ-
რის ლონისძიებით და ეს ეცნობოს სამოსშავლო მთავრობას.
ეს მიწერ-მოწერა იმას მოწმობს, რომ წ.-კ. საზოგადოება თა-
ვის სკოლებში მტკიცებ იცავდა 1881 წლის სასშავლო
გეგმას.

სასშავლო უწყებამ წ.-კ. საზოგადოების სკოლების გახსნის-

საქმე ახლა იმით დააბრკოლა, რომ აუკრძალა მას გამოვყენება ზინა სოფლელთა ნივთიერი დახმარება. ამის შედეგად სახ. სკოლების დირექტორმა გამგეობას აცნობა: წერილი გამგეობა საზოგადოების გამგეობას არა აქვს უფლება სოფლის მოსახლეობის ხარჯით სკოლები გახსნას; მან სკოლები უნდა გახსნას მხოლოდ თავისი ხარჯითო. ამიტომ იყო, რომ 1888 წელს საზოგადოების კრებაზე ი. გოგებაშვილმა განაცხადა: სკოლის ფულს მთავრობა აღარ კრებს და ისე სკოლის გახსნა ძნელი ხდებაო. კიდევ მეტი: 1891 წელს გამგეობას განზრახული ჰქონდა გაეხსნა თავისი ხარჯით სკოლა სოფ. დილომში და დღედღეზე მოელოდა გამგეობა ამის ნებართვას. მაგრამ 1892 წლის 31 ოქტომბერს ამ შუამდგომლობაზე უარი მოსვლია გამგეობას.

იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა მიზეზით ბრკოლდებოდა სკოლების გახსნა და რა შუამავლობით შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება, 1894 წლის 9 იანვარს შემდგარენა წლიურმა კრებამ გამოყო კომისია ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით და ა. ჭიჭინაძის, საყვარელიძის, აკ. წერეთლისა და ალ. ყიფშიძის შემადგენლობით.

წერა-კითხვის საზოგადოების ზრუნვას ახალი სკოლების გახსნის ირგვლივ აღნიშნულ პერიოდში ჩვენ ამით დავამთავრებდით, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩინია კიდევ ერთ გარემოებას შევეხოთ. ჩვენ უკვე მოკლედ აღვნიშნეთ საქართველოს გარეთ — კავკავში — ქართული სკოლის გახსნა 1888 წელს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმიტომ, რომ ის გადაარჩენდა კავკაველ ქართველობას გადაგვარებისაგან, არამედ იმიტომაც, რომ ეს სკოლა ადგილობრივ ქართველობას ერთმანეთთან აკავშირებდა და მთლიანად კავკავის ქართველობას — დედა სამშობლოსთან.

კავკაველ ქართველებზე უფრო აღრე ასეთი განზრახვა საქართველოს გარეშე მყოფ სხვა ქალაქების ქართველობასაც ჰქონდათ, მაგრამ მათი სურვეილი განუხორციელებელი რჩებოდა; ასეთი იყო, მაგალითად, ქ. მოზღვის ქართველობა.

1884 წლის 15 დეკემბრის თარიღით მოზღვის ქართველობა წერა-კითხვის საზოგადოებას უგზავნის განცხადებას;

რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვაში იყო: „უმახსოვარის დროიდამ გადმოხვეწილებს შორე მხრისაკენ და ჩატარებული ლებს უცხო ტომების ხალხთა შორის, დიდის მანძილით და-შორებულებს ჩეებს სამშობლო ქვეყნიდან, მისი მდგომარეობისა და ცხოვრების მსელელობის უმეცრებს, დღემდე მდგომარეობამ ნება არ მოგვცა შევსდგომოდით ჩვენი ვინაობის გამოკვლევას, დაცვას ხალხოსნობის, და დედა-ენისას, რომელსაც დღეს-დღეობით ძირი მეტად შეერყა და თუ ჭეროვანი ყურადღება არ მივაქციეთ, სრულიად ბოლოსმოლებაც მოელის. დღეს კი, როცა, ჩვენდა სასიხარულოდ, შევიტყვეთ, რომ ჩვებს სამშობლოში დაწესებულია საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს განავრცელოს ქართველთა შორის წერა-კითხვა და აგრძნობინოს ქართველ კაცს თავისი ვინაობა, ჩვენ, ძველი საქართველოსავე შვილები, მოზღვის ქართველი სა-ზოგადოებისაგან ამორჩეული პირნი... ვშუამდგომლობთ ალმოგვეჩინოს საშუალება ჩვენი ქართული სკოლის დასაარ-სებლად...“ ეტყობა, ურთიერთობა წ.-ქ. საზოგადოების გამ-გეობასა და მოზღვის ქართველობას შორის ამის შემდეგ არ შეწყვეტილა. მათ შეუგროვებიათ 2.500 მანეთი, აუგიათ სასკოლო შენობა და წლიურად 200 მან. დახმარებას ჰპირდე-ბოდნენ სკოლას.

მაგრამ მოზღვის ქართველობა, სამწუხაროდ, ქართული სკოლის გახსნას ვერ ეღირსა. ამის მიზეზია თვით წ.-ქ. საზო-გადოების უსახსრობა და მოზღვის სიშორე.

რადგან წ.-ქ. საზოგადოებას ეძნელებოდა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ახალი სკოლების გახსნა, დაიბადა აზრი იყვანათ მოხეტიალე მასწავლებელი ან დაეარსებიათ მოძრა-ვი სკოლა. ასეთი აზრი გამოთქვა 1885 წელს 19 ნოემბრის სხდომაზე, ალ. მ. ჭყონიამ: „იყოლიოს გამგეობამ ერთი მას-წავლებელი, რომელიც ივლის ადგილიდან ადგილზე და გა-აკრცელებს ხალხში კითხვასა და წერას“. ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვებიც აგრეთვე შემდეგშიაც მოითხოვ-დნენ მოძრავი სკოლების დაარსებას.

1889 წლის 4 აპრილის სხდომაზე ი. გოგებაშვილმა წინა-დადება შემოიტანა: „მიეწეროს ბათომის სკოლის მასწავლე-

ბელს მოსე ნათაძეს, რომ აჭარა-ქობულეთის გლეხებს შევიღეთ
ბი, რომელნიც ოთხ წელს სწავლობდნ სკოლაში, დაუზიდული იყენებულ
თუ როგორ უნდა ასწავლონ იმათ თავიანთ თანამოფლელებს
ქართული წერა-კითხვა და ასე მოეწყოს საგლეხო წერა-
კითხვის სკოლები“.

1890-იან წლებში ლაპარაკი მოძრავი სკოლების გახსნის
შესახებ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდა, რადგან გამგეობა
დარწმუნდა ასეთი სკოლების გახსნის დიდ სიძნელესა და
უნაყოფობაში.

5. წ.-კ. საზოგადოების
დახმარება სხვა უწყე-
ბათა სკოლებს

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზო-
გადოების გამგეობამ ჯერ კიდევ
1879 წლის 20 ოქტომბრის სხდო-
მაზე დასვა სკითხი: ახალი სკო-
ლები გავხსნათ, თუ ძველს დავე-

ხმაროთ, რადგან მეტად ცოტანი არიან მომზადებული მასწავ-
ლებლები და რადგან აწინ დელი სკოლები ძალიან
ცუდ მდგომარეობაში არიან, ამიტომ გამ-
ცემაში უმთავრესი ყურადღება უნდა
მიაქციოს იმ სკოლების გაუმჯობესებას,
რომელნიც არ სებობენ. გაიხსნას თბილისში დეპო-
ურველვარი სასწავლო წიგნებისა და ავეჯისა. პროექტის შე-
დგენა ნ. ცხვედაძეს მიენდოს, მანამდე 500 მან. გადაიღოს
სასწავლო ნივთების სკოლებში გასაგზავნად.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობა არსებულ სხვა უწყებამა სა-
სოფლო სკოლებს თავდაპირველად, სანამ მთავრობა არ გა-
დაელობა წინ ამ ღონისძიებას; დიდ დახმარებას უწევდა ფუ-
ლითა თუ სასწავლო ნივთებით, ზოგჯერ ავეჯითაც, სანამ მთავ-
რობამ ეს არ აუკრძალა. გამგეობამ დაადგინა: რუისის სკოლის
შესაკეთებლად გამგეობა 600 მ. ვერ გაიღებს. გამოიჩვენ-
რამდენ თანხას გაიღებს თვით სოფელი. ახალ გორის სკო-
ლის მასწავლებელს დაუნიშნავს ჯამაგირს. კავთის ხევის
სკოლის მზრუნველობას მიეცეს 200 მ. დახმარება სკოლისა-
თვის სახლის ასაშენებლად იმ პირობით, რომ კავთისხევის
სკოლაში დასაწყისი სწავლება დადგენილ და მიმართულ იყო.
ქართულ ენაზე, როგორც სამშობლო ენაზე; ამისათვის საზო-

გადოება იქონიებს ზედამხედველობას სკოლაზე. ნება დაუტოლი
დეპოს — გაიღოს მოსკოვიდან გამოწერილი დაფუძნებული წერილი 110 გ. 55 კაპ., პარიზიდან გამოწერილი დაფუძნებისათვის — 136 გ.
და 25 კ.

1882 წელს ქუთაისის გუბერნიის სკოლებს დაეგზავნა 839 გ. და 55 კ.-ის წიგნები. სოფ. მეტეხს სკოლის ასა-
შენებლად გაეგზავნოს 80 გ. იონა მეუნარგიას ხელით.

მაგრამ წ.-კ. საზოგადოება აქც წააწყდა წინააღმდეგობას სასწავლო უწყების მხრით. სკოლათა დირექციამ და ქრისტია-
ნობის ოღმადგენელი საზოგადოების ინსპექტორმა ლიხაჩოვმა (ამ საზოგადოების სკოლებს დახმარებას უწევდა წ.-კ. საზოგა-
დოების გამგეობა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში) გააფრთხილეს წ.-კ. საზოგადოების გამგეობა, რომ მას წიგნები ეგზავნა სკოლებისათვის მათი საშუალებით, მაგრამ ისეთი წიგნების გზავნა იყო შესაძლებელი, რომელნიც მოწონებული იქნებოდა სასწავლო უწყების მიერ სკოლებში სახმარებლად.

1884 წლის თარიღით თბილისის გუბერნიის სკოლათა დი-
რექტორი წერს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას: „Циркуляром
М. Н. Просвещения от 17 ноября 1879 г. жертвуюемые
об—ом школам книги должны быть предоставлены в
дирекцию с полными заглавиями, для отсылки их по
рассмотрению по принадлежности; книги и пособия дол-
жны быть из одобренных м—ом и. просвещения для упо-
требления в народных школах. Одобренный список книг
печатается в журнале М. Н. Пр¹“

ქრისტიანობის ოღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორი ლიხაჩოვი წინადადებას ადლევდა წ.-კ. საზოგადოებას — წიგ-
ნები მე გამომიგზავნეთ და მე დავუგზავნი სკოლებსო. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ აცნობა მას, რომ გამოგზავნეთ სას-
წავლო გეგმა, საგნების განაწილება, მოწაფეთა რაოდენობა კლასებში და ჩვენვე დავუგზავნით არსებული წესის თანახმა-
დო. ამ საზოგადოებს საქართველოში 19 სკოლა ჰქონია და
არა ერთში ქართული წიგნები არ მოიპოვებოდა, როგორც
მათი შესახებ იტყობინებოდნენ მასწავლებლები ვანთიღან,

¹ სცია, ფ 481, საქ. № 2, ფ. 171, 172.

კახათიდან, ტოლოშიდან, ამონისხევიდან და სხვა სკოლებიდან წ.-ქ. საზოგადოების გამგეობამ 55—55 ცაფურ შემთხვევა გაუგზავნა ი. ალხაზიშვილის საშუალებით ჯავახეთში — ხერ-თვისის, ქილდის, ხიზაბავრისა და ბარალეთის აღნიშნული სა-ზოგადოების სკოლებს.

1882 წელს წ.-ქ. საზოგადოების გამგეობამ მომართვა მიიღო ახალციხიდან ცნობილ მოღვაწე ქალის ანა მუსხელი-შვილისაგან — დახმარებოდა გამგეობა წლიურად 300 მანეთით ახალციხის ქალთა სკოლას. გამგეობამ გამოარკვია სკოლის მდგომარეობა და იმ შემთხვევაში აღუთქვა დახმარება, თუ სკოლა 4-წლიანად გაღაკეთდებოდა, სწავლა ყველა საგნისა ქართულ ენაზე იქნებოდა, რუსული ენა დაიწყებოდა არა უადრეს მეორე წლისა და ქართული ენიდან მხოლოდ მეოთხე განყოფილებაში იწარმოებდა თარგმნა რუსულზე. მაგრამ ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ (თავ-რე ოლღა მესხიშვილისა) უარი განაცხადა ასეთ პირობებზე — წესდება ამის ნებას არ გვაძლევსო.

წ.-ქ. საზოგადოება ქართული წიგნების მიწოდებით მნიშ-ვნელოვან დახმარებას უწევდა საქართველოს გარეშე მყოფ ქართველებსაც.

ხარკოვის ქართველი სტუდენტების თხოვნით უნივერსი-ტეტის რექტორს შემოუთვლია წ.-ქ. საზოგადოების გამგეობი-სათვის: „აქაური სტუდენტება იზრდება და ვითარდება სრუ-ლიად მოკლებული მშობლიურ ლიტერატურას, მშობლიურ მწერალთა ზედგავლენის გარეშე“. გამგეობას გაუგზავნია ქართული წიგნები, ლირებული ის მანეთად“.

შეიძლება ითქვას, რომ წ.-ქ. საზოგადოებამ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, პირველსავე წლებში სკოლების გახსნით, სახალხო და სახელმძღვანელო წიგნების გამოცემითა და მკითხველისათვის მიწოდების გააღვილებით აამოძრავა ქართული საზოგადოება, ხელი შეუწყო დაწყებითი განათლების გავრცელებას ხალხში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ერთმანეთთან სულიერად დაკავშირებას.

წ.-ქ. გამავრცელებელი საზოგადოება დახმარებას უწევდა აგრეთვე საკვირაო და სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, რაღაც მათში ქართული ენა ისწავლებოდა.



როგორც ვიცით, საკვირაო სკოლების დაწყებულებულები შა რუსეთში მე-19 ს. 50-იანი წლების მიწურულში დამტკიცებულ როდესაც ხალხში რევოლუციური სიტუაცია შეიქვნა. საკვირაო სკოლების ფართო ქსელი სწრაფად გაჩნდა, განსაკუთრებით დიდ სამრეწველო ქალაქებში, მაგრამ მაღლე ცნობილი შეიქმნა მთავრობისათვის, რომ მათში გარდა წერა-კითხვების, მასწავლებლები — სტუდენტები, მოწინავე ინტელიგენცია მუშებისა და მუშა-ქალების გათვითცნობიერების ეწეოდნენ. ამიტომ მთავრობამ საკვირაო სკოლები რეაქციის დაწყებისთანავე — 1862 წელს — დაპეტრი. თბილისის ინტელიგენციას ერთ ჯგუფს, რომელშიც ილია ჭავჭავაძის გარდა მონაწილეობას იღებდნენ ი. წინამდლვრიშვილი, პ. უმიკაშვილი, ვახ. თულაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ა. სავანელი, ი. სერებრიაკოვი, ი. პოლტარაცი, ზ. მამაცაშვილი, მიხ. ყიფიანი, გ. წინამდლვრიშვილი, გ. ჩიქოვანი, გ. სულხანიშვილი და სხვანი. — განუზრახავს საკვირაო სკოლის გახსნა 1861 წელს და სათანადო შუაშიდგომლობაც აღუძრავთ მთავრობის წინაშე წესდებისა და პროგრამის დართვით, მაგრამ მთავრობას ასეთი სკოლის გახსნაზე უარი უთქვაშს. 1870—80-იან წლებში მთავრობა თავისი მოხსელეების საშუალებით თვითონ ხსნის საკვირაო სკოლებს, როგორც ისეთ სკოლებს, რომლითაც მოსახლეობის ქვედა ფენებში „ტახტისა და სამშობლოს“ ერთგულების იღების შეტანა იქნებოდა შესაძლებელი.

საქართველოში საკვირაო სკოლების გახსნა, ისე როგორც რუსეთში, 90-იან წლებში დაიწყო.

რადგან ამ სკოლებში ქართული ენა ისწავლებოდა, ამიტომ წერა-კითხვების საზოგადოება საქმაო დახმარებას უწევდა ამ სკოლებს ქართული ენის სახელმძღვანელოების უფასოდ მიწოდებით.

1897 წელს ბათომის სკოლის მასწავლებელი ის. რამიშვილი ითხოვს წიგნებს საკვირაო სკოლისთვისაც. იოსებ ცხვედაძე, რომელიც სოფ. კავთისხევში მოზრდილებს ასწავლიდა წერა-კითხვას, ითხოვდა სასწავლო ნივთებს. 1898 წელს სოუხულოში ალ. მგელაძეს გაეგზავნა 30 ც. „დედა ენა“, რვეულები,

ფანქრები და სწავლის გართული ენის სასწავლებლად
აჭარლებისათვის“.

ამრიგად, წერა-კითხვის საზოგადოება შესაძლებლობის
ფარგლებში დახმარებას უწევდა საკვირაო სკოლებსაც, სადაც
ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ დაბალი ფენის მოსახ-
ლეობის შეილები.

წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება საგრძნობ დახმარე-
ბას უწევდა სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, რამდენადაც
1885 წლის დებულებით ამ სკოლებშა მშობლიური ენა არათუ
ისწავლებოდა, არამედ პირველი ორი წლის განმავლობაში
საგნების სწავლებაც ამ ენაზე მიმდინარეობდა. 1893 წელს
გამგეობის 18 მარტის სხდომაზე აღინიშნა, რომ „გამგეობა
საჭიროდ სცნობს საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნი-
სათვის ხელისშეწყობას, რაღან მასში სწავლა მშობლიურ
ენაზე არის“. 1896 წლის 23 დეკემბერს გამგეობამ დაადგინა:
„ახალციხის სამრევლო სკოლებისათვის ხახუტაშვილს გა-
ეგზავნოს 50 ც. „დედა ენა“ და 20 ც. „რუსკოე სლოვო“. 1897 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა გუ-
რია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალ-
ყურის თელო უორდანიას მომართვა 37 სამრევლო სკოლი-
სათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. გამგეობამ დაადგინა:
სამეგრელოს სამრევლო სკოლებს გაეგზავნოს 150 მან-ის
„დედა ენა“ და აგრეთვე გაითვალისწინონ ხეთისა და ახუაის
სკოლების საჭიროება. 1898 წელს თ. უორდანიას თხოვნით
სამეგრელოს სამრეწველო სკოლებს გაეგზავნა 100 მანეთის
წიგნები და რვეულები. ამავე წელს აფხაზეთში სოფ. ნაას
(ნიკოლაევსკოე) სამრევლო სკოლას აქცენტი სახოკიას თხოვ-
ნით გაეგზავნა 30 ც. „დედა ენა“, 30 ც. „რუსკოე სლოვო“ და
სხვა სასწავლო ნივთები.

ესტატე შეშანიას თბილისის სემინარია ჰქონდა დასრუ-
ლებული. 1893 წლიდან მან თავის სოფ. ხეთაში მოაწყო კერ-
ძო სამრევლო სკოლა, რომელმაც მალე მთელ სამეგრელოში
მოიხვეჭა სახელი და უშორესი სოფლებიდანაც კი მოჰყავდათ
მშობლებს ბავშვები „ესტატეს“ სკოლაში. აქ შესანიშნავად
იყო დაუენებული ყველა საგნის სწავლება, მათ შორის ქართუ-

ლი და ჩუსული ენების, როგორც ეს აღნიშნულია ოფიციალურ საბუთებში და კერძო პირების მიერ. პირველი წელი 1894 ამ სკოლას წ.-კ. საზოგადოებამ 1893 წელს აღმოჩენისა. 1894 წელს ს. ყიფიანს მიენდო ესტატე შუშანიას სკოლის მდგომარეობის გაცნობა; ს. ყიფიანმა დადგებითი ცნობა წარუდგინა გამგეობას ამ სკოლის შესახებ; გამგეობამ დაადგინა — ბიუჭეტში გაეთვალისწინებინა ამ სკოლისათვის დახმარების გაწევა. 1895 წლის მაისს ხეთის სამრევლო სკოლის დამაარსებელი და მასწავლებელი ესტატე შუშანია სთხოვს გამგეობას — ვამოცულებზე დასასწრებლად გამოგზავნოს თავისი წარმომადვენელი და გამოცდის შედეგების მიხელვით დაეხმაროს სკოლას. გამგეობამ გამოცდებზე დასწრება ს. ყიფიანს დაავალა.

1895 წლის 26 სექტემბერს გამგეობას დაუდგენია: სამსონ ყიფიანის მოხსენების თანახმად, (რომელსაც დავალებული ჰქონდა ხეთის სამრევლო სკოლის შესწავლა), დაენიშნოს მის გამგეს. ესტატე შუშანიას წლიურად 120 მან. და გაუწიოს სასწავლო ნივთებით დახმარება.

წ.-კ. საზოგადოება პედაგოგიური ხასიათის დახმარებასაც უწევდა სამრევლო სკოლებს. 1897 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: „მაღლობა გამოეცხადოს ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელიც დაესწრო თბილისში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიურ კურსებს, სანიმუშო გაკვათილებიც მისცა და იღებდა მონაწილეობას პედაგოგიური კითხვების გარჩევაში“.

სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მშობლიური ენის ასეთუ ისე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1902 წელს ცნობილი დეკ. ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით საერო და სასულიერო სამოსწავლო უწყებანი (სასწავლო ოლქის მზრუნველი და ექსარხოსი) შეთანხმდნენ და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის შეიმუშავეს ახალი პროგრამა, რომლითაც აღნიშნულ სკოლებიდან თითქმის სავსებით იღევნებოდა ქართული ენა, სამინისტრო სკოლების მსგავსად, ხოლო სამეცნიერო სამრევლო სკოლებიდან, როგორც ვითომდა არაქართული რაიონიდან, ამ პროგრამით სავსებით უნდა გაძევებულიყო ქართული ენა, რომ-

ლის ადგილი, მათი განზრახვით, მეგრულს უნდა დაუკავშიროს. ცარიზმს ამ გზითა და საშუალებით უნდოდა ქართული უკურნებელი ნული სხეულის დასუსტება და ამით მისი ძიმილაციის გა-აღვილება. მაგრამ ქართველი ხალხის ნაციონალური ინტერე-სების შეგნების დონემ და მოახლოებულმა რევოლუციამ ცარიზმის ეს ვერაგული განზრახვა საბოლოოდ ჩაფუშა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლე-ბის ცოტა თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი. მდგომარეობა იმით აიხსნებოდა, რომ ამ ტიპის სკოლები უშუალოდ ეპარ-ქიის ხელმძღვანელს — ეპისკოპოსს — ექვემდებარებოდა, რო-მელიც მას მის მიერ შერჩეულ საეპარქიო საბჭოს წევრებისა და სკოლათა მეთვალყურის მეშვეობით მართავდა. ყველა ამა-თი ინტერესი კი მოითხოვდა ქართული ენის ტაცვას სამრევ-ლო-საეკლესიო სკოლებში. ამრიგად, ეგზარხატის ხელმძღვა-ნელობა, რომელიც საქართველოში ცარიზმის ერთ-ერთი საყრდენი იყო, ვერ ახერხებდა ამ სკოლებში თავისი პოლი-ტიკის გატარებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს საეგზარხოსოში გაჩნდა ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი, ქართულის ენისა და კულტურის პირსისხლიანი ჯალათი, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა შეიცვალა. ვოსტორგოვის წინადაღებით 1900 წელს ექვარხოსის თავმჯდო-მარეობით შეიქმნა სასკოლო საოლქო საბჭო, რომელსაც ემორჩილებოდა საეგზარხოსოში არსებული ყველა ეპარქია-ლური საბჭო და მეთვალყურე საეკლესიო სკოლებითურთ. ოლქის საეკლესიო-სამრევლო სკოლათა მეთვალყურედ და-ნიშნულ იქნა დეკანოზი ივ. ვოსტორგოვი. ამის შემდეგ მას შეეძლო საქართველოს სამრევლო-საეკლესიო სკოლების საქმე ისე მოეწყო, როგორც ამას მისი შავრაზმული შეხედუ-ლებანი და ბუნება უკარნახებდა.

ამავე დროს ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით საქართვე-ლოს საეგზარხოსოს სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის დამზადდა ახალი სასწავლო გეგმა, რომელსაც ავტორიმა სა-ფუძვლად სკოლის მოწაფეთა ეროვნულ-ეთნიკური შემადგენ-ლობა დაუდო მშობლიური ენის სწავლების შესახებ. ამ გეგ-მას ეწოდა „Распределение а четырех года учебных



предметов в церковно-приходских школах грузинского экзархата⁶.

Аз дებულებით ცველა სკოლაში სწავლების ენად რუსულზე აღიარებული, რომელიც ბაგშვის სკოლაში შესვლის პირველი ღლიდანვე იწყება რაც შეეხება ქართველ მოწაფეთა შემადგენლობის სკოლებს, ასეთს სკოლებში ხუცური და ხუცურად დაწერილი ტექსტები ისწავლება, რასაც ვოსტორგოვი საეკლესიო-ტუზემურს ეძახის. მეორე კატეგორიის სკოლებში, რომლებშიც ეროვნულად ნარევი შემადგენლობის ბაგშვები სწავლობენ, სწავლების ენად რუსულია გამოყენებული და ბაგშვითა მშობლიური ენა თითქმის სრულიად არ ისწავლება

ეს მუხლი დებულებაში სწორედ იმიტომ იქნა შეტანილი. რომ სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებში ალეკეეთათ ქართული ენის სწავლება. ამ დებულებით სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის მოსალოდნელმა განდევნომ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მისი განდევნა ეკლესიიდანაც (დირექციის სკოლებიდან ის უკვე განდევნილი იყო). დიდი უკმაყოფილება და გულისწყრობა გამოიწვია სამეგრელოს არა მარტო სამღვდელოებაში, არამედ მოსახლეობის ცველა ფენაში.

1903 წლის აპრილში ექზარხოსმა ალექსიმ, ვოსტორგოვმა და ექზარხატის მაღალმა შემადგენლობამ მეგრელებზე ზეგავლენის მოსახლენად მოგზაურობა მოაწყვეს სამეგრელოში, რაც სამეგრელოს მოსახლეობის საპროტესტო დემონსტრაციაში გადაიქცა მთავრობის საკულესიო მაღალ მოხელეთა წინააღმდეგ. ფოთში, ქუჩაში, ხალხმა შეაჩერა ეტლი, რომელშიც ექზარხოსი და დეკანოზი ვოსტორგოვი ისხდნენ, და ერთმა წარმომადგენელმა საპროტესტო სიტყვით მიმართა ექზარხოსს ხალხის სახელით და დაგმო ექზარხატის ვერაგული განზრავა, მიმართული ქართველების, კერძოდ, მეგრელების წინააღმდეგ. ასეთივე საპროტესტო დემონსტრაცია გამართა ხალხმა ახალ სენაკსა და ძველ სენაკში, სადაც ექზარხოსისათვის საპროტესტო სიტყვით მიუმართავს ვინმე მოხუც გამსახურდიას; ეგზარხოსში ამ მოხუცის გასაწილებლად უკი-

თხავს იქვე მდგომ ძველი სენაკის მთაგრობის სკოლის ზედა /
მხედველისათვის, ე. ი. მეფის მოხელისათვის: „Что შეისწავლი
народ относительно грузинского языка? Смотрителем
Старо-Сенакского уч-ща был дан ответ, что народ
очень желает изучить русский язык, но вместе с тем
желает знать и грузинский язык“¹ ფოთის სახოგადოების
ჭარმომადგენლებმა თავიანთი გულისწყრომა გამოსთვეს და
ექზართოსისა და ვოსტორგოვის ბოროტგანზრავის წინააღ-
მდეგ იერიში მიიტანეს იმ ოფიციალურ სადილზე, რომელიც
ქალაქის თეითმართველობამ „სტუმრებს“ გაუმართა 120 დამ-
სწრეთა შემადგენლობით².

ამრიგად, სამეგრელოს მთელმა მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა მთავრობის განწრახვის წინააღმდეგ — განდევნილი კოფილიყო სამეგრელოს სკოლებიდან მისი მშობლიური ქა- თული ენა.

ცნობილმა მეცნიერმა ნიკო მარმა ჩამდგნიმე წერილი მოთავსა ამ საკითხისა და კოსტორგოვის ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ სინოდში გამოსვლის შესახებ. მარმა ამხილა კოსტორგოვის უვიცობა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის საკითხებში, ნ. მარი წერდა: „...ხა-ქართველოს ნათესავ გვაჩტომთათვის, რა კილოთაც ან რა ენითაც უნდა მუსაიფობდნენ იგინი თავის კერასთან, ქართული ენა და ქართული მწერლობა არის ერთადერთი გზა ეროვნული გონიერივი წარმატების. ამ ისტორიული ცხადი ფაქტის შეჯეგი არის, რომ თუ რაჭველი, კახელი, გურული, მეგრელი და თვით სვანი, ოჯეს საზოგადო ასპარეზზე გამოდის, როგორც ეროვნული მოღვაწე, მხოლოდ ერთ და სახელობრივი უტყუარ თვითცნობიერებას გრძნობს, ეგრეთწოდებულ ქართველ თვითცნობიერებას, რომელიც არა თუ მის გულ-თა გულის უახლოესია, ვითარცა თავიდანვე თანამონათესვე

¹ №302. ф. 107, №3363 „Дело о посещении высокопост. лицами учеб. завед. КУО в 1903 году“, л. 8.

2 о. ფინცხვა, „ქართული ენა სამეცნიერო სამრევლო სკოლებში და თ. ეორდანია“, თბ. 1905 წ. იგნეთვე თ. ეორდანია, „ქართული ენისათვის ბრძოლა“, ქუთაისი, 1913 წ.

მოვლება, მისი ძმა-ტომის ნაღვაწი, არამედ მისი სულისა და ჭიათურა კეუის კვეთებად გამომეტყველია, რადგან მისგან შემომარიშვა შეკაზმვაში მასაც, მის გვარ-ტომისაც აქვს შესამჩნევი წილი¹... აქ მოყვანილით და სხვა მრავალი არგუმენტით ნ. მარმა დაასკვნა ქართულ-მეგრულ-სვანური ენების ერთიანობა—მისი ქართულობა. ნ. მარის წერილებს აღნიშნული საკითხების შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის მეცნიერულ-ისტორიულ საბუთებს იმარჯვებდა კეშმარიტების დასაცავად.

სამეცნიეროს სამრევლო სკოლებში ქართული ენა დარჩა რეაქციის წლებშიც და ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება შეძლების მიხედვით ხელს უშვობდა ამ სკოლებში ქართული ენის განმტკიცებას.

წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადო-

6. წ.-კ. საზოგადოების ების გამგეობის 1879 წლის 23 დეკემბერის სახელმო სახელმდღვიწილ-მდღვანელოებისა და სხვა მა განაცხადა: პირველდაწყებითი წიგნების დამზადებისა სწავლების წარმოება ჩვენს დედა და გამოცემისათვის. ენაზე დიდად ბრკოლდება სახელმდღვანელოების უქონლობის გაშო. სახელმდღვანელოების შესადგენად და შესარჩევად უნდა დაინიშნოს პრემიები 200—200 მან. ოდენობით.

არჩეულ იქნა კომისია წარმოდგენილ სახელმდღვანელოთა განსახილველად, რომელსაც გარეშე პირების მოწვევის უფლებაც მიეცა; კომისიაში არჩეულ იქნა: ივ. მაჩაბელი, გ. უთურგაული, ი. გოგებაშვილი და კ. ყიფიანი. სახელმდღვანელოების განხილვა ენის მხრით მიენდო დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძეს და რ. ერისთავს. დადგენილ იქნა: ვინც შეადგენს სასოფლო სკოლისათვის სახელმდღვანელოს არითმეტიკაში, მიეცეს 150 მან., პირველდაწყებით გეოგრაფიაში — 300 მან., საქართველოს ისტორიიდან ადგილად გასაგები ამბების შედგენისათვის — 300 მან., ბუნებისმეტყველებიდან ადგილად ვასაგები ამბების შედგენისათვის — 200 მან. საპრემიო სახელმდღვანელოების წარმოდგენის ვადად დაინიშნა ერთი წელი — 1881 წ. 1 თებერვალი.

¹ „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. № 2773.

საპრემიოლ წარმოუდგენიათ ნაშრომები: არითმეტიკა
ში—1, გეოგრაფიაში — 2, საქ. ისტორიაში — 1, ჭურებულებულ
შეტყველებიდან — 1. მაგრამ კომისიის მიერ არც გრიფის მატერიალ
განი არ იქნა სახელმძღვანელოდ და დასაბეჭდად ცნობილი.

წ.-კ. საზოგადოების მთავარი ყურადღება მიპყრობილი
იყო სახელმძღვანელოების გამოცემისაკენ, რათა სკოლები
უწიგნოდ არ დარჩენილიყო. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანე-
ლოები, განსაკუთრებით „დედა ენა“ და „ბუნების კარი“
დიდ ნივთიერ დახმარებას და მორალურ კმაყოფილებას
აძლევდა წ.-კ. საზოგადოებას. „დედა ენა“ ხომ ისეთი წიგნი
იყო, რომელსაც თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ნახავდით,
საღაც ქართული წერა-კითხვა ერთმა წევრმა მაინც იცოდა.
„დედა ენა“ ყველაზე დიდტირაჟიანი ქართული გამოცემა იყო.
1890 წელს ის დაიბეჭდა 18.000 ც. მაგრამ სხვა საგნის სახელ-
მძღვანელოები ჩვენში ფეხს ვერ იკიდებდა, რამდენადაც სავ-
ნები ყველა სკოლაში რუსულ ენაზე ისწავლებოდა. ზოგიერთ
დაწყებით სკოლაში ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ლოცვებისა
და სალვოთ სჭულის ქართულ ენაზე სწავლებას. ამიტომ
გ. იოსელიანმა შეაღინა ძველი და ახალი აღთქმანი და ლოც-
ვები ქართულ ენაზე. მაგრამ მ. ყიფიანის ქართულ ენაზე გა-
მოცემული გეომეტრია მხოლოდ რამდენიმე ცალი გაიყიდა.
ამიტომ უშედეგო იყო ი. გოგებაშვილის წინადადება 1888
წლის 13 ივნისის გამგეობის სხდომაზე შემოტანილი: „მიენ-
დოს ცნობების და თაყაიშვილს შეარჩიონ ისტორიისა და
გეოგრაფიის სახელმძღვანელო ჩვენი სკოლებისათვის და გად-
მოითარგმნოს ან გადმოკეთდესო“.

1892 წელს გამგეობას მოწერილობა მოუვიდა სახალხო
სკოლათა დირექტორისაგან: „აქაურ სკოლებში „სამშობლოს
ცოდნა“ არ არის მიღებული და დიღომის სკოლაში ის არ
უნდა ისწავლებოდესო“.

„დედა ენა“ სამრეკვლო სკოლებსა და სასულიერო სასწავ-
ლებლების მოსამზადებელ კლასებშიც ისწავლებოდა. მაგ-
რამ როგორც ჩანს, „დედა ენას“ ამ სკოლებშიაც საფრთხე
მოელოდა. 1892 წლის 17 ივნისს გამგეობის სხდომაზე ი. გო-
გებაშვილი აღნიშნავდა: „ეპარქიალურ რჩევას მიუღია ისეთი

დადგენილება შესახებ „დედა ენისა“, რომელსაც შეუძლებელი
მოჰყვეს ამ წიგნის აკრძალვა სამრევლო სკოლებში და სამუშავე
საჭიროა წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ წარუდგინოს ერცოლი
მოხსენება ამ საკითხის შესახებ ექნარჩოსს და სთხოვოს მოწო-
ნებულ იქნას როგორც სახელმძღვანელო სამრევლო სკოლე-
ბისათვის უკანასკნელი მე-8 გამოცემა „დედა ენისა“, რომელ-
შიაც წინანდელთან შედარებით ერთი-ორად არის სასულიერო
განყოფილება გაძლიერებული“. გამგეობამ დაადგინა: მიენ-
დოს ი. გოგებაშვილს დამწეროს სათანადო განცხადება, თავ-
მჯდომარებ (ი. ჭავჭავაძემ) გასინჯოს და მის მიერ ხელმოწე-
რილი დანიშნულებისამებრ გაიგზავნოს. არ ვიცით ამ
განცხადების შეზეგად, თუ სხვა მიზეზის გამო, ხოლო ეს კი
ვიცით, რომ „დედა ენა“ არ განუდევნიათ სამრევლო სკოლე-
ბიდან. აღრე, 1870 წლების მეორე ნახევრიდან, სასუ-
ლიერო უწყებისა და სასულიერო სასწავლებლების ზოგი
წარმომადგენელი ცდილობდა, რომ ი. გოგებაშვილის „ბუნე-
ბის კარი“ გაეძევებინათ სასულიერო სასწავლებლებიდან?.
1875 წლის 12 ივლისს თბილისის სემინარიის საბჭო ადგენს
იმავე სასწავლებლის მასწავლებლების, რენეგატების — ნ. ტა-
ტიშვილისა და დეკ. გ. ხელიძის წარდგენით — „ამოლებუ-
ლი ყოფილიყო გორის სასულიერო სასწავლებლის კატალო-
გიდან და განდევნილი საგებით სკოლიდან გოგებაშვილის
„ბუნების კარი“, როგორც ტენდენციურად დაწერილი სხვა-

1 ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ დიდი ტირაჟით
იძებლებოდა უცველთვის, რომელსაც ივტორი ერთბაშად უთმობდა საზო-
გადოებას ძლიერ შედავთან პირობებში. 1896 წელს „დედა ენა“ და-
ბეჭდა 18.000 ც., რომლისთვისაც ავტორს 3.600 მ. უნდა მიერო ნაშილ-
ნაშილად; „ბუნების კარი“ — 4.000 ცალი, ავტორმა დაუთმო 2.000 მანე-
თად. მმრიცად, ი. გოგებაშვილი თავის ხაჩით გამოცემულ „დედა ენას“
უთმობდა წ.-კ. საზოგადოებას ცალს 20 კპ., საზოგადოდ უნდა აღინიშნოს,
რომ გამომცემლობის საქმე ერთ პქნდა სათანადოდ მოწყობილი წ.-კ. სა-
ზოგადოებას: 1888 წლიდან 1899 წლამდე მან სულ გამოსცა 48 წიგნი;
თითოეულ წელიწადზე დაახლოებით ოთხი წიგნი მოდის. 48 წიგნში 18
გამოცემა ი. გოგებაშვილის „დედა ენას“, „ბუნების კარსა“ და „კოქორ-
ზე“ მოდის; ისტორიული ხასიათის ნაშრომი გამოიცა ე. თაყაიშვილის
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ და უჩბნელის „გიორგი
პრეზიდენტისაც“.



ჯასხეა საგნის „შესახებ“. ხოლო მომდევნო წელს უფლებულებები ბი მოახსენებდნენ სემინარიის საბჭოს, რომ შესტაციური სასწავლებლების 1—2 კლასებში ქართული ენისათვის არავითარი სხვა სახელმძღვანელო ქართულის ენისა საჭირო არ არის, გარდა კალანდარიშვილის „პრაქტიკული სახელმძღვანელო რუსული ენის შესასწავლად“, რომელიც შედგენილია, როგორც სათაური აღნიშნავს, სპეციალურად რუსული ენის შესასწავლად და მასში არ ჩოიბოვება არავითარი ნიმუშები ქართული ლიტერატურისა და ენის შესასწავლაზ, მაგრამ ის მაინც იძლევა ქართული ენის გაცნობის შესაძლებლობას რუსული ენის პარალელურად.

ასეთი იყო სასულიერო და საერთო სამოსწავლო უწყების დამოკიდებულება ქართული ენისაღმი და ამ ენაზე დაწყებითი სახელმძღვანელოების მიმართ, რომელთა დასაცავად წ.-კ. საზოგადოებას შევავე ბრძოლის წარმოება უხდებოდა.

1888 წელს ხელთუბნის სკოლის შესახებ სკოლათა დირექტორი იწერებოდა, რომ სკოლაში არის ისეთი სახელმძღვანელოები, როგორიცაა „კონა“, „რუსკო სლოვო“ და სხვა საკითხავი წიგნები, რომელიც მთავრობისაგან არ არიან მოწონებული და ასეთი წიგნების ხმარება აკრძალულია. საკლასო უსრნალი რუსულად უნდა დგებოდესო. ამაზე პასუხის გაცემან. ცხვედაძეს მიენდო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტავბის უქონლობა დიდად უშლიდა ხელს წ.-კ. საზოგადოებას წიგნების გამოცემის საქმეში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძესა და წერა-კითხვის საზოგადოების სხვა გულშემატკივართ სტავბის შეძენის შესახებ არ უზრუნიათ. ასე, მაგალითად, 1886 წლის 21 ივლისს ილიაზე საგურამოში შეკრებილი მსჯელობენ სტამბის შეძენის შესახებ, რაიც ასეა აღნიშნული ოქმში: „1886 წ., ივლისის 21-ს დღესა სოფ. საგურამო.

თავმჯდომარე პეტრე უმიკაშვილი.

დამსწრენი: ილია ჭავჭავაძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ილია ბახტაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ჭყონა, გიორგი ქართველიშვილი, სოლიკო მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი, დიმიტრი ზაქაძე.



მსჯელობის საგანი იყო ორი: 1) ქართული წიგნებში და განვითარებული თარი სტამბის გამართვა. სტამბას წერა-კითხვის სტამბულის განვითარების სახელი დაერქვას. სტამბა ისე კარგად მოეწყოს, რომ თავის თავი შეინახოს და მოგებაც დატოვოს. თანხა, რაც დაკლება ამგვარი სტამბა, განისაზღვროს თხუთმეტი ათასი მანეთით და არა უმეტესი; ეს საქმე ერთის წლით გადაიღოს და ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველივე საჭირო ცნობა ამ საგანზედ კარგად გაწყობილი სტამბისა ყველა ქვეყნიდან მოიკრიბოს. სტამბის მოწყობილობისათვის ფულის შემოტანას გვპირდებიან: ილია ოქრომჭედლიშვილი და გიორგი ქართველიშვილი; წიგნების ბეჭდვის კი ახლავე შევუძგეთ რომელსამე სტამბაში¹. მაგრამ ეს განზრახვა (სტამბის გამართვა) არ განხორციელებულა არც იმ ხანებში და არც მის შემდეგ: წ.-ქ. საზოგადოებამ ისე დაასრულა თავისი არსებობა 1927 წელს, რომ მას საკუთარი სტამბა არ შეუძენია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რომელმაც 1913 წ. გახსნა საკუთარი სტამბა.

წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას გარდა სახელმძღვანელოებისა, სახალხო სასარგებლო წიგნების გამოცემა და გაურცელება შეადგენდა. 1886/87 წლის გამგეობის ანგარიშში აღნიშნულია: „ბეჭდვა სასწავლო და მდაბიო ხალხისათვის საკითხავი წიგნებისა შეადგენს ერთ უმთავრეს მოვალეობას საზოგადოებისას“

1885 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ გამოჰყო კომისია, რომელსაც „სასარგებლო წიგნების გამოცემაზე უნდა ეზრუნა“. ამ კომისიაში არჩეულ იქნენ: აკ. წერეთელი, გ. იოსელიანი და ა. მირიანაშვილი. ამ საქმისათვის ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი იყო 1500 მან.

რადგან ორიგინალური პოპულარული წიგნების გამოცემა ძნელი გახდა, ამიტომ გამგეობა უმთავრესად ნათარგმნი მოთხოვნების ბეჭდვის ცდილობდა. გ. იოსელიანმა თარგმნა გოეთეს „რეინიკე კუდა-შელა“, იოსებ ცხვედაძემ — „დონ-კიხოტი“. ლ. რაზიკაშვილი (ვაკა ფშაველა) ითხოვს გამოიცეს მისი მოთხოვნები, სხვადასხვა დროს „ივერიაში“ დაბეჭდი-

¹ სეია, ფ. 481, საქ. № 7102, ფ. 1.

ლი. მოლაპარაკების შედეგად ის თანახმაა მიიღოს თითოეულ
თაბახში 20 მან. და ჯილდო 25 მან. 1896 წელს ეჭვიშტეჭული
„ოქროს მოყვარულნი“, (ნათარგმნი), და ზ. ჩხილვაშვილი ეცა
მური“ — ქართული სახალხო სიმღერები.

1898 წელს დაიბეჭდა გ. იოსელიანის მიერ ყმათათვის გა-
დაკეთებული „ვეფხისტყაოსანი“, „ამბავი ცხოველთა სამე-
ფოსი“ და „ყვავილთა შორის“.

1898 წლის 30 მარტს გამგეობამ დაადგინა: გამოსცეს მე-
სამედ აკაკის ნათარგმნი „ქრილოვის არაკები“ სურათებით.
ჯერ კიდევ 1889 წელს აკაკიმ სამუდამოდ დაუთმო საზოგა-
დოების კრილოვისაგან ნათარგმნი 60 იგავ-არაკი, თითო 5 მა-
ნეთად. „ნოტარიუსით მიეცეს აკაკის 300 მან.“ — დაადგინა გამ-
გეობამ.

გამგეობას კარგად ესმოდა სახალხო წიგნების საჭიროება
და მათი მნიშვნელობა. 1897 წლის საანგარიშო კრებაზე
ივ. (კიტა) აბაშიძე გამგეობას უსაყველურებდა — ორი სახელ-
შძლვანელო და 1—2 პატარა წიგნავი გამოგიციათ; გამგეობას
უფრო შეეფერებოდა ძველი წიგნების გამოცემათ. კიტა აბა-
შიძის ეს განცხადება გამოხატავდა მის და სხვათა სიყვარულს
ქართული ძველი მწერლობისადმი და გამოწვეული იყო მათი
გამოქვეყნების სურვილით. მაგრამ ის არ იყო მართალი, თით-
ქოს წ.-ქ. საზოგადოების უპირატესი დანიშნულება ძველ
ძეგლების გამოცემა ყოფილიყო. ამიტომ ალ. ჭყონიამ სამართ-
ლიანად უპასუხა მას: „ჩვენ საზ-ბას უფრო შეფერის პატარა,
სახალხო და საყმაწვილო წიგნების გამოცემაო“.

7. წ.-ქ. საზოგადოების
სამწიგნობრო და
მუზეუმი

ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების
ბიბლიოთეკის გამართვა წ.-ქ. სა-
ზოგადოების ერთ-ერთ მთავარ
ამოცანას შეაღენდა, რაც წესდე-
ბითაც იყო გათვალისწინებული:

1880 წლის 5 აპრილის სხდომაზე ი. მეუნარგიამ დასვა სა-
კითხი გამგეობის წინაშე თანახმად წესდების მე-5 მუხლისა
გამართულიყო ბიბლიოთეკა, რისთვისაც გამგეობისაგან 500
მანეთის გადადება მოითხოვა. გამგეობამ დაადგინა: საზოგა-
დოების კანცელარიასთან დაარსებულიყო ბიბლიოთეკა ხელ-



ნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისათვის; შეეძინა ორი კარუჭებული ლოდ ფულის გაღებაზე კი უარი უთხრეს მეუნარგბულობრივი მაც ასეთი წიგნების შეგროვების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო. 1880 წლის მაისში ზ. ჭიჭინაძეს წარმოუდგენია ხელნაწერთა სია და ითხოვდა წ.-კ. გამგეობისაგან მის შეძენას.

გამგეობამ ხელნაწერების გასინჯვა მიანდო იგ. მაჩაბელს, ი. მეუნარგიას და გ. თუმანიშვილს. გამოირკვა, რომ ზ. ჭიჭინაძე თავისი ხელნაწერებისათვის 300 მ. თხოულობდა, რაზე-დაც გამგეობამ უარი თქვა.

1883 წლის 1 თებერვალს დავით ნანუკოვმა ითხოვა გიორგი ქართველიშვილის საშუალებით შეეძინა წ.-კ. საზოგადოებას მისი და ალ. ჯაბალარის ბიბლიოთეკა, ადრე ივანოვის სახელით რომ ყოფილა ცნობილი, შემდეგში ითარესიანისა. გვაქვს ეს ბიბლიოთეკა 1880 წლის 14 სექტემბრიდან სასახლის ქუჩაზე, არწრუნის გალერეაში № 149, 150. ჯაბალარი საზღვარგარეთ მიღას სწავლის მისალებად და ბიბლიოთეკა წ.-კ. გამგეობამ შეეძინოს 6.000 მანეთადო. ჩვენი ბიბლიოთეკა შეიცავს ხუთ ოთახს და ეს ფართობი საკმაო იქნება როგორც ბიბლიოთეკისათვის, აგრეთვე წიგნის მაღაზიისა და წ.-კ. საზოგადოების სხდომებისათვისო.

საქმეებიდან არა ჩანს, რომ ეს ბიბლიოთეკა ან აღნიშნული ბინა ქარვასლაში, სადაც შემდეგ მართლაც იყო მოთავსებული წ.-კ. საზოგადოების გამგეობა და მისი წიგნის მაღაზია, შეეძინოს იმეამად გამგეობას. ეს კია, რომ წ.-კ. საზოგადოება უბინობით დიდ დაბრკოლებას განიცდიდა.

1880 წლის 1 ივნისს გამართულ წლიურ კრებაზე სხვა საკითხთა შორის, „მსჯელობა დაიწყო ბიბლიოთეკის შესახებ. გ. თუმანოვი და გრ. ყიფშიძე აცხადებდნენ, რომ წ.-კ. საზოგადოების საქმე არ იყო ძველი ხელნაწერი წიგნების შეძენა და მათი ერთ ადგილზე დაგროვება. თუ დაბეჭდილი წიგნების ყიდვა იყო საჭირო, გრ. ყიფშიძე — თანახმად მისი განცხადებისა — მთელ ქართულ ლიტერატურას იყიდდა 25 მან; კრებაშ არ სცნო სამართლიანად ასეთი აზრი და ამ საქმისათვის ნავარაუდევი ხარჯი (500 მან,) ლაამტკიცა“¹.

¹ სცნა, ფ. 481, საქ. № 3, ფ. 57—63

ცხადია, გ. თუმანიშვილი და გ. ყიფშიძე თრიავე  კითხში სცდებოდნენ.

ურავარული

რ. ერისთავს შემოაქვს წერილი-წინადადება პრეზენტმიზე ეს ვაფანტული ხელნაწერების შეკრების შესახებ. გამგეობას რ. ერისთავსა და ნ. ცხვედაძეს მიანდო შეაღვინონ პროექტი ძველი წიგნების შესახებ.

პოეტი ოსაებ დავითაშვილი ივანეს (ალბათ მაჩაბლის) სახელშე აგზავნის წერილს 1884 წლის 6 ივნისის თარიღით: ითხოვს წიგნების წაკითხვისა და გაყიდვის ნებართვის სოფლად; აგრეთვე გადმოსწერს წარწერებს ეკლესიებიდან და შეაგროვებს ძველ ხელნაწერებს. „სამშობლოსა და მოძმეულის სიყვარული განა მარტო ქალალდზე უნდა გამოვხატოთ და საქმით არა გავაკეთოთ რა?“ ამ საქმისათვის დახმარებას ითხოვს ი. დავითაშვილი.

1882 წლის 15 აპრილის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა „შესახებ ბაბანა ჭილაძის ხელნაწერისა, რომელიც წარმოუდგინა ბ. კ. ყიფიანმა სახყიდლად გამგეობას და რომელიც შეიცავს ჭილაძის მიწერ-მოწერას ამ საუკუნის დასაწყისში“. გამგეობამ დაადგინა: მიენდოს პ. უმიკაშვილს გასინჯოს და თავისი აზრი წარმოუდგინოს გამგეობას: ღირს თუ არა აღნიშნულის ყიდვა და რამდენად.

1882 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე „გამგეობამ მოისმინა პ. პ. უმიკაშვილის განცხადება ბაბანა ჭილაძის მიწერ-მოწერის შესახებ. ამ განცხადების აზრი ის იყო, რომ ეს მიწერ-მოწერა სასარგებლოა როგორც საისტორიო მასალა, და ამისათვის კარგი იქნება, რომ გამგეობამ შეიძინოს, თუ შეიძლება უსასყიდლოთ. გამგეობამ გადაწყვეტა: ფასის მიცემაზე უარი განუცხადოს მიწერ-მოწერის პატრონა ბ. კ. ყიფიანს, ხოლო თუ უფასოდ შემოსწირავს სიზოგადოებას, მაღლობით იქნება მიღებული შემოწირულება.“

1883 წლის სექტემბერს ბევრი ძველი ხელნაწერები (55 ცალი) შეუწირავს ივანე იერონიმეს ძე ალექსი-მესხი-შვილს, „რომელთა შორის ბევრი ფრიად საინტერესო და ძეირფასია ისტორიისა და ლიტერატურისათვის“, — ვკითხულობთ 1884 წლის ანგარიშში. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა „ივა-



რის“ 1883 წლის აგვისტოს მიმოხილვაში: „საზურაფებულებას წარუმარტებია თავისი ხელნაშერის ბიბლიოთეკის უფლებულობები ეს ლიც ამ დღეებში გაამდიდრა ბ-მა ივანე მესხიევმა მდიდარის და უხვის შეწირულებით. მან შესწირა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკს 55 ხელნაშერი წიგნი, რომელთა რიცხვში ძვირფასი საარქეოლოგო და საისტორიო განძი ურევია“. ამ წლისათვის წ.-კ. საზოგადოებას ოთხასი ცალი ხელნაშერი ჰქონდა დაგროვებული.

მაგრამ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი წ.-კ. საზოგადოებამ ნიკო მინგრელსკისაგან (დადიანი) მიიღო.

ნიკო დადიანს თავისი სურვილი — ეანდერძებინა თავისი წიგნთსაცავი წ.-კ. საზოგადოებისათვის — ვასილ მაჩაბლისათვის გაუზიარებია პეტერბურგში.

1885 წლის 28 თებერვალს ნიკო დადიანი პეტერბურგიდან სწერდა წ.-კ. საზოგადოების გამგეობას: „... თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით წ.-კ. საზოგადოება მოუტანს რამე საჩვებლობას ჩვენს სამშობლოს ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად“. გაზ. „დროებაშ“ მოწინავე წერილი უძღვნა ამ ფაქტს და აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა დადიანის ამ საჩუქარს. როგორც „დროება“ აღნიშნავდა, დადიანის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფია აკ. წერეთელს შეუდგენია რამდენიმე წლით ადრე. სოფ. გორდილან დადიანის ეული წიგნთსაცავის ჩამოტანა თბილისში იმდენად მნიშვნელოვან საქმედ იქნა მიჩნეული, რომ მისი განხორციელება თვით ილია ჭავჭავაძეს უკისრია და გორდში გამგზავრებულა ვასილ მაჩაბლის, იონა მეუნარგიას და გრიგოლ ყიფშიძის თანხლებით. სათანადო აქტში ვკითხულობთ: ას სამოცდა ცხრა (169) წიგნი — ხელნაშერი და ათი (10) დაბეჭდილი წიგნი ჩავიბარეთ ბ. თ. კონსტანტინე ნიუარაძისაგან (ის იყო რწმუნებული 6. დადიანისა) 3 აპრილს 1885 წელსა სოფ. გორდში. თავმჯდომარის ამხანაგი წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე და მოწმენი — წერინი საზოგადოებისა ვასილ მაჩაბელი და იონა მეუნარგია, საზოგადოების საქმის მწარმოებელი გრიგოლ ყიფშიძე. აქტს ხელს აწერს აგრეთვე კოსტ. ნიუარაძე.

წარმოდგენილი ანგარიშილან, რომელიც აჩქიფშეს შეტყუებული ნახული, ჩას კომისიის მგზავრობის მარშრუტი. პროფესიულურად დიდან წიგნები ჯორებზე აყიდებული ჩამოუტანიათ ბომბუს (პომპეუსის) ხიდებზე. შემდეგ ხონამდე ეტლით, ხონიდან სამტრედიამდე აგრეთვე ეტლით, შემდეგ თბილისამდე მატარებლით.

გრ. ყიფშიძეს, რომელიც უშუალო მონაწილე იყო ნ. დალიანის ბიბლიოთეკის ჩამოტანისა სოფ. გორდიდან, დავიწყებია მგზავრობის მარშრუტიც და მონაწილენიც. ის წერს: „.... ილია მეტად გახარებული იყო და თვითონ იკისრა წასვლა სამეგრელოში, სოფ: გორდს, საცა სამეგრელოს მთავართა საზაფხულო სასახლეა და საცა იყო დაცული ის ბიბლიოთეკა. მასთან ერთად წავიდნენ: ვასილ მაჩაბელი, იმ საქმის მოთავე და მომხერხებელი (?! ტ. ხ.), ი. მეუნარგია, იქაური მკვიდრი და ვით ერთს თავი და სხვ. წიგნები და ხელნაწერები აღნუსხეს, ჩაალაგეს ყუთებში; აჰეთე ჯორებსა და ქუთაისა-მდე ისე ჩამოიტანეს რეინიგზით თბილისში გასაგზავნად“.

არქივში შემონახულ მასალაში დავით ერისთავი სრულიად არ იხსენიება იმ პირთა შორის, რომლებმაც ს. გორდიდან დაღიანის ბიბლიოთეკა ჩამოიტანეს. გაწეული ხარჯის ანგარიშში მოხსენებულია ს. გორდი, ნაქალაქევი, ხონი, სამტრედია, ხოლო ქუთაისი სრულიად არ არის მოხსენებული. ამ ანგარიშიდან ბიბლიოთეკის მიმღები კომისიის მარშრუტი ასე წარმოგვიდგება: თბილისი — ახალი სენაკი — ძველი სენაკი — ნაქალაქევი — ბომბუს (პომპეუსის) ხიდი — გორდი — ხონი სამტრედია — თბილისი¹. სამწუხაროდ, გრ. ყიფშიძის ეს მცდარი ცნობები გაიმეორა ჩვენმა ცნობილმა მკვლევარმა პ. ინგოროვკამ².

გრ. ყიფშიძე სხვა არასწორ ცნობებსაც იძლევა აღნიშნული პერიოდის შესახებ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა წინასიტყვაობაში ტ. I, 1914 წ.

წიგნები ჩაიბარა საზოგადოების გამგეობაში 1885 წ. 16 აპრილს თანადასწრებით ქვემოხსენებულ წევრთა: ი. ჭავჭავაძე,

¹ სცია, ფ. 481. საქ. № 60, ფ. 39

² პ. ინგოროვა თუ აუ ილია ჭავჭავაძე, „ნარკვევები“, 1957 წ. გვ. 145.

ნ. ცხვედაძე, დიმ. ჯანაშვილი, ივ. მაჩაბელი. იქვე დაცული გამოცემა გვიანდება
სია წიგნებისა¹.

1883 წელს 20 დეკემბრის სტლომაზე ჭ.-კ. საზოგადოების გამეცემის გამოცემის საკითხი. ი. გოგებაშვილმა მოახსენა გამგეობას: „ჩემის აზრით ყოველი ამგვარი ძეელებური წიგნი, როგორიც არის „ვისრა-მიანი“, უნდა გამოიცეს ნახევარი ტირაჟით იმ მიზეზების გამო, რომ იმათ არა აქვთ აღმზრდელი და განმავითარებელი თვი-სება და საყურადღებონი არიან მხოლოდ ლინგვისტიკის მხრივ და ისტორიული მნიშვნელობით. ჩვენი ხალხის გონიერების გან-კითარებას უნდა მოველოდეთ ახალი მეცნიერების მოფენით და ეს მოფენა მაშინ შეგვეძლება, როცა ახალი შინაარსის წიგ-ნებს დავბეჭდავთ და გავაურცელებთ ხალხში. ამიტომ მმართ-ველობა ძალიან კარგს იზამს, თუ ოქრომჭედლიშვილს სთხოვს, რომ იმ 6.000 მანეთიდან, რომელიც მან ძევლი წიგ-ნებს დასაბეჭდად შემოსწირა საზოგადოებას, ნახევარი გა-დასდოს ახალი წიგნების გამოსაცემად. 3.000 მანეთი სრუ-ლიად საკმარისი იქნება, რომ ხუთიოდე წლის განმავლობაში გამოცემულ იქნას ყოველნი ძევლნი შესანიშნავნი თხზულე-ბანი². როგორც ჩანს, იაკობ გოგებაშვილიც გამგეობის იმ წევრებს უჭირდა მხარს (ნაწილობრივ მაინც), რომელნიც მხო-ლოდ სახალხო საკითხავი წიგნების გამოცემას მოითხოვდნენ.

1885 წელს ჭ.-კ. საზოგადოებამ ზ. ჭიჭინაძისაგან ბევრი ძევლი და ახალი წიგნი შეიძინა.

ქართველთა შორის ჭ.-კ. გამაურცელებელმა საზოგადოებამ დაუფასებელი ამიგი დასდო ქართველ ხალხს და ქართულ მეცნიერებას ძევლი ხელნაწერებისა და ძევლი წიგნების შე-ძნით.

ჭ.-კ. საზოგადოება დიდის გაჭირვებითა და სიყვარულით აკრიცებდა ძევლ ხელნაწერებს. ამ ხელნაწერებისა და ძევლი წიგნების შეძენისა, მათი აღწერისა და შესწავლისათვის დი-დად იღწოდნენ ჯერ დ. ბაქრაძე და ნ. მთვარელაშვილი, შემ-დეგ უქ. თაყიშვილი და დავ. კარიჭაშვილი.

¹ სცია, ფ. 481, საქ 86, ფ. 1—4.

² სცია, ფ. 481, საქ. № 8, ფ. 44—45.

გამგეობის 1886—1887 წლის საანგარიშო მოქსენტრიშვილი აღნიშნული იყო: „საზოგადოებას თუმცა მრავალი კატალოგი ხელნაწერი და წიგნები აქვს შეძენილი, მაგრამ აქამდე მათი კატალოგი მაინც არ არის შედგენილი. ვრცელი კატალოგის შედგენა დიდ დროს მოითხოვსო. ამიტომ გადაწყდა ჯერჯერობით მოკლე კატალოგის შედგენა, რაც მიენდო საქმის მწარმებელს ნ. ვ. მთვარელიშვილს¹.

წიგნებსა და ხელნაწერებს ზოგი უსასყიდოდ სწირავდა, ზოგსაც სასყიდელი ეძლეოდა ძეგლის ლირებულებისა და შესაძლებლობის მიხედვით. აღვნიშნავთ ძეგლი წიგნებისა და ხელნაწერების ზოგ შემომწირველთ: ვასილ ოქონელი, მიხეილ სარაჯიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ლუკა ისარლიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მიხ. თამამშევი, ასლან წულუფიძე, კირილე ლორთქიფანიძე.

თუ რამდენად შეზღუდული იყო საზოგადოების გამგეობა სახსრებით, ეს იქიდან ჩანს, რომ 1896 წელს ძვირფასი ხელნაწერებისა და ლოკუმენტების შესაძენად დახარჯულია მხოლოდ 75 მან. და 80 კაპ., გამოცემული წიგნების დასაკაზმად კი — 139 მან. 40 კ. და სახლის ქირა 348 გ.

ჩვენ ძველ ხელნაწერებისა და წიგნების შეძენაზე იმიტომ შევჩერდით, რომ დასანახი ყოფასლიყო, როგორ ფასდაუდებელ საქმიანობას ეწეოდა წ.-კ. საზოგადოების გამგეობა, როდესაც აგრძელებდა ძველ ხელნაწერებს, რომ არ დაკარგოდა ის შთამომავლობას. წ.-კ. საზოგადოების მნიშვნელობა ამ მიმართულებით დააფასა ნიკო მარმა, რომელიც ჯერ კიდევ 1889 წლის 19 ოქტომბერს წერდა საზოგადოებას: „არა მნიშვნელობისათვის, არამედ მაღლობის ნიშნათ და აგრეთვე საუწყებლად მცირედზე მაინც, თუ რა ძვირფასი განძი იპოება წერაკითვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში, ავტორი ხსენებულ წიგნსაცავს უგზავნის ხუთს ცალს სპარსული სახარების აღწერილობისას, რომელი სახარება იპოება მუნვე“.

¹ ნ. მთვარელიშვილის მიერ შედგენილი კატალოგი წიგნსაცავისა საზ-ბამ გამოსცა 1887 წ.



მაგრამ ქართველ საზოგადოებაში, ზოგჯერ თვით ზოგჯერ მაგრამ ზოგადოების გამგეობაშიც, იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ხელს უშლოდნენ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას ამ ფასდაუდებელი და საშუალი საქმის წარმატებით შესრულებაში, რაც ქართველი მოწინავე პირების აღშფოთებას იწვევდა¹. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ხელნაწერებისა და წიგნების შეკრება ოვალსაჩინო საქმიანობა იყო წ.-კ. საზოგადოებისა, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით დამაფასებელია ჩვენს დროს, როდესაც ასე ფართო ხასიათი მიიღო ქართველი ხალხის ძველი ხელნაწერებისა და კულტურული ძეგლების შესწავლამ.

ამ პერიოდში წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე სამუზეუმო სიძველეთა შეგროვებას. გამგეობის 1884—1885 წლის ანგარიშში ნათქვამია: გროვდება ძველი საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთები და სანუშიზმატიკო ნიშნები. განსაკუთრებით ბლომად მოგროვდა ეს უკანასკნელნი. მადლობის ღირსნი არიან: დ. ზ. ბაქრაძე, რ. დ. ერისთავი და პოლ. კარბელაშვილი. მუზეუმის ნივთთა შორის უფრო შესანიშნავია: შუშის სურა ოქროს ვარაყიანი წარწერით, — „მეფის ძე იულონი“ (შემოუწირავს წიგნებთან ერთად გიორგი საძაგლიშვილს), სამწერლო იარაღთა კოლოფი, ნაქონი დავით თელავის რექტორისა (შემოწირული რ. დ. ერისთავისაგან) და მრავალნაირი ფული.

წერა-კითხვის საზოგადოებაში თავიდანვე აღძრულა აგრეთვე საკითხი ფოლკლორული მასალის შეგროვებისა და ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღების შესახებ.

1881 წლის 10 დეკემბერს წ.-კ. გამგეობის სხდომაზე ი. გოგებაშვილმა შემოიტანა წინადაღება — მიემართა გამგეობას მასწავლებლებისათვის ფოლკლორული მასალის შეკრების შესახებ. თითო ფორმა (16 გვერდი) ანაზღაურებულ უნდა იქნას 20 მანეთით. გამგეობამ დაადგინა: მიეწეროს სოფლის მასწავლებლებს და ეთნოგოს, რომ ყოველივე ნაწარმოები ერის გონებისა მოაგროვონ, ხოლო წინადაღება შემგროვე-

¹ იხ. „კვალი“ 1893 წ. № 13, № 16, № 17; „ივერია“, 1894 წ. № 66 აგრეთვე სკია, ფ. 481, საქ. № 420. ფ. 57, 62.



შელთა დაჯილდოების შესახებ, გამგეობამ უარყოფის უცხვაშე
წესიერად შესრულებისათვის გადაწყდა, რომ შეძლებული საკუთარ
ნადო პროგრამა და გაეგზავნოს მასწავლებლებს. პროგრამის
შეღვენა მიენდო ი. გოგებაშვილს და პ. უმიკაშვილს. პროგრა-
მის პროექტი გამგეობას უნდა დაემტკიცებია.

1884 წლის საანგარიშო წლიურ კრებაზე, 27 მაისს, აკაკი
კვლავ დააყენა ეს საკითხი: „ბოლოს აკაკიმ ჩამოაგდო ლაპა-
რაკი სახალხო ნაწარმოების შეკრებისა და საზოგადოებო სახალ-
ხო სიტყვიერების მნიშვნელობაზე... რომ საზოგადოებას
დაენიშნა მცირე გასამრჩელო იმისათვის, ვინც იკისრებდა ამ
საქმეს სოფელ-სოფელ სიარულით...“

ა. ფურცელაძემ განაცხადა: „...ეს ჯერ ზედმეტია, კაცს
რომ პური არ ჰქონდეს, ვარდზე ფიქრი რას არგებს?“

გამგეობის სხდომაზე ჩამდენჯერმე დაისვა საკითხი სახალხო
სიმღერების შეკრების შესახებ. მგალობელი მიხ. მაჟავარიანი 1879 წლის ნოემბერში სთხოვდა გამგეობას 200 მან. ქართლ-
კახეთისა და ნაწილობრივ იმერეთის მოსავლელად და სახალ-
ხო სიმღერების შესაგროვებლად. 1834 წლის მარტში გამგე-
ობის კრებაზე ნ. ცხვედაძემ კვლავ შემოიტანა წინადაღება
ქართლ-კახეთში მონახულიყო კარგი მცოდნე საერო სიმღე-
რებისა და გადაეღო ის ნოტებზე იპოლიტოვ-ივანოვს.

8. წერა-კითხვის საზო- გადოების ბინის საკითხი.

მართლაც ამ წლებში ყიდვისა და
შეწირულების სახით წ.-კ. საზო-
გადოებამ ქართველი ხალხის დიდ
კულტურულ მემკვიდრეობას მოუ-
ყარა თავი ძეველი ხელნაწერებისა,

დაბეჭდილი წიგნებისა თუ სხვა ძეირფასი ნივთიერი განძის
სახით. საჭირო იყო მათი დაცვა რაიმე მოსალოდნელი ხიფა-
თისაგან და ისე გაშლა, რომ მკვლევართათვის შესაძლებელი
გამხდარიყო მათზე მეცნიერული მუშაობის წარმოება, ამისა-
თვის კი შესაფერი ბინა იყო საჭირო. ბინის სივიწროვის გა-
მო რუსთაველისა და თამარ მეფის დიდი პორტრეტები
აღ. როინიშვილს გადასცეს შესანახად; 1898 წელს დ. ჩუბი-
ნაშვილისა და რაფ. ერისთავის მიერ შემოწირული ძვირფასი
წიგნსაცავი გაუხსნელი იყო და ყუთებით ინახებოდა სარდაფ-



ში. საზოგადოების წინაშე საკუთარი ბინის შეძენის სკორპიუსი პირველად ილია ჭავჭავაძემ დააყენა 1885 წელს. მუქულური მუკუ დება შემოიტანა ვერაზე მდებარე წინათ ნიკო ბერძნიშვილის კუთვნილი ორსართულიანი სახლი, ხოლო ახლა სააზნაურო ბანკში დაგირავებული, თავის სახელზე გადმოეტანა საზოგადოებას და მხოლოდ სარგებელი ეხადა, მაგრამ გამგეობამ ეს შესაძლებლად ვერ დაინახა.

1886 წელს, საზოგადოების ქონება რომ უშიშრად ყოფილიყო დაცული, ის გადატანილ იქნა სათ.-აზნაურო ბანკის სარდაფში. იმავე წლის დეკემბერში გამგეობაში აღნიშნულ იქნა: სინესტე ვნებას აყენებს ქველ ხელნაწერებს, უესტის ლუმელი არ შველის. ეთხოვოს ქართველიშვილს გაგვიკეთოს კედელი თანახმად აჩქიტექტორის გეგმისა. ეს გასაკვირი არ არის: საზოგადოებას სიღარიბის გამო გამგეობის წევრების სხდომებისათვის სკამებიც არ ჰქონდა საკმაო და 1887 წ. კ. მუხრანსკიმ 6 ჩალის სკამი შემოსურა, ღირებული 15 პ. და 50 კ.

1887 წელს პ. უმიკაშვილს და მანსვეტაშვილს გამოუძებნიათ ორი დროებითი ბინა თითო ოთახიანი: ერთი სარაჯიშვილის სახლში წელიწადში 240 მან., მეორე არწრუნისეულ ქარვასლაში, ერთი თვალი მაღაზიისა, რომელსაც უფასოდ იძლეოდა ბანკი. გამგეობამ დაადგინა — გადატანილ ყოფილიყო საზოგადოების მთელი ქონება სარაჯიშვილის სახლში, რომელიც დაქირავებულ იქნა თვეში 20 მან.

1889 წლის 24 იანვრის სხდომაზე ექ. თაყაიშვილი გამგეობას მოახსენებს, რომ საზოგადოების წიგნთსაცავს მეტი ყურადღება მიექცეს. არჩეულ იქნა კომისია დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილისა, თ. უორდანიასა, ნ. მთვარელიშვილისა და ი. მანსვეტაშვილის შემადგენლობით, რომელსაც მიენდო ბიბლიოთეკის ხელშძლვანელობა, ხოლო 1889 წლის 14 თებერვალს გამგეობამ დაადგინა: წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა გადატანილ იქნას არწრუნისეულ ქარვასლაში.

გამგეობის 1889 წლის 3 იანვრის, სხდომაზე ი. გოგებაშვილმა დააყენა საკითხი ბიბლიოთეკისათვის სახლის აშენების შესახებ, რადგან ის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებაო. მისი

წინადაღებით სახლი უნდა აშენებულიყო ბანკის მახლობლები
მდებარე მიწაზე: მიწა ბანკმა შემოსწიროს, სახლი კრესტიანული
პული ქართველების შემოწირულობით აშენდესო. პირველი გენერაცია

1889 წლის 17 იანვრის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა:
„რაც შეიძლება მალე გამოცხადდეს ხელისმოწერა შეწირუ-
ლების შესაგროვებლად ბიბლიოთეკის სახლის ასაშენებლად;
ამისათვის ნებართვა ვთხოვოთ გუბერნატორს და დანარჩენი
ჯერ დავიცადოთ“.

1889 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე ექ. თაყაიშვილს წი-
ნადადება შემოაქვს, რათა სერებრიაკოვის თანხები წიგნების
გამოსაცემად შემოწირული, მოხმარდეს ცეცხლგამძლე შენო-
ბის აგებას ძვირფასი წიგნების შესანახალო; გამგეობამ და-
დადგინა: ამისათვის საჭირო თანხები შეიკრიბოსო. 1890 წლის
თებერვალს ცნობა მოვიდა, რომ მთავარმართებელს დონ-
დუკოვაკორსაკოვს უარი უთქვაშ წ.-კ. საზოგადოების გამგე-
ობის შუამდგომლობაზე ბინის ასაგებად ხელისმოწერით ფუ-
ლის შეგროვების შესახებ, რადგან წ.-კ. საზოგადოების წეს-
დებით არ არის გათვალისწინებული უძრავი ქონების შეძენაო.
ამის შემდეგ შეწყდა რამდენიმე წლით წ.-კ. საზოგადოების
შინის აშენებაზე ზრუნვა და კვლავ განაახლა ეს საქმე გამ-
გეობამ 1894 წელს. ამ წლის მაისის სხდომაზე გამგეობამ
6. ცხვედაძეს გადასცა 200 მან. მუზეუმის შენობის გეგმის
შესაღენად. მაგრამ ქართული მუზეუმის გეგმა უსასყიდლოდ
დაუმზადებია კორნელი ტატიშჩევს, რისთვისაც გამგეობამ
მას 1895 წლის 3 იანვრის სხდომაზე გულითადი მაღლობა
გამოიუცხადა. შემდეგი ნაბიჭი ამ მიმართულებით მხოლოდ
1897 წელს გადაიდგა, როდესაც 26 სექტემბრის სხდომაზე
გამგეობამ დაავალა ილია ჭავჭავაძეს, ნ. ცხვედაძეს და იაკობ
გოგებაშვილს ენახათ ალ. ივ. ზუბალაშვილი და მოლაპარაკე-
ბოდნენ მუზეუმის შენობის აგების შესახებ. 1890-იან წლებ-
ში მუზეუმის აგებისა თუ სახლის შეძენის საკითხი ამას იქით
წინ არ წასულა და შემდეგშიც მოუგვარებელი დარჩა ეს სა-
კითხი. საზოგადოების გამგეობა, ბიბლიოთეკა-მუზეუმი და
წიგნის მაღაზია ხანგრძლივად დარჩენენ თვალისწინაურობის
მიერ შეძენილ არწრუნისეულ სახლის ორ ოთახში.

9. ზრუნვა სახალხო
ბიბლიოთეკა-სამკითხვე-
ლოების დაარსებაზე

წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოება 1890-იან წლების
დან განსაკუთრებულ ტაქტიკაზე
უწევდა ბიბლიოთეკა-სამკითხვე-
ლოებს, რომელიც მთავრობის-

ნებართვით, მაგრამ მრავალი დაბრკოლების გადალახვის შე-
დეგად, დაბა-სოფლებში იხსნებოდა. ბიბლიოთეკა-სამკითხვე-
ლოები ქართული წერა-კითხვისა და ქართულის წიგნის მო-
სახლეობის დაბალ ფენაში შენარჩუნებისა და გავრცელების
ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა.

საქართველოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს საკმაოდ ხან-
გრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1830 წელს თბილისში
ვინმე ეკატერინე კოტოვს გაუსხსნია კერძო ბიბლიოთეკა,
როგორც ეს ჩანს „თბილისის უწყებებში“ მოთავსებული
განცხადებიდან. 1830-იან წლებში რუსეთის ეკონომიკურმა
საზოგადოებამ სცადა მოსახლეობისაგან შეკრებილ თანხებით
ხელი შეეწყოთ გუბერნიებში ბიბლიოთეკების გახსნისათვის,
მაგრამ საქართველოში ასეთი ცდა უშედეგოდ დასრულდა;
მთავარმართებელი როზენი მოახსენებდა განათლების მი-
ნისტრს: „ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსული ენის
უცოდინარეობისა და ქართველი თავადაზნაურობის უსახსრო-
ბის გამო ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება ადგილობრივი
შემოწირულებით თბილისში ბიბლიოთეკის გახსნაო“. მაგრამ
ის, რაც 1830-იან წლებში მთავრობის ინიციატივით არ მო-
ხერხდა, გაკეთდა 1840-იანი წლების დასაწყისში ქართვე-
ლი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივით, როგორც ეს
ჩანს დ. ყიფანის „შემუარებიდან“.

1842 წელს მთავარმართებელ გოლოვინს დაუმტკიცება
კიდევ ინტელიგენტთა ამ ჯგუფის მიერ დაარსებული ბიბ-
ლიოთეკის წესდებას ამ ბიბლიოთეკის გამგე 1848 წლამდე
თვით დ. ყიფანი ყოფილა და ბიბლიოთეკაც მისსავე ბინაში
ყოფილა მოთავსებული. ეს ბიბლიოთეკა დაედო საფუძვლად
40-იანი წლების მიწურულში მთავრობის მიერ დაარსებულ
საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც, როგორც ეს მრავალი ფაქ-
ტით დასტურდება, სრულიად ვერ უწევდა მომსახურეობას.
მოსახლეობას.

1850—70 წლებში თბილისში რამდენიმე ბიბლიოთეკა სამკითხველო ყოფილა გამართული წიგნის მაღაზიებშიან 1870-იანი წლების დასაწყისში თბილისში სულ უმცირდებოდა ლიოთეკა ყოფილა, რომელთა შორის „ივანოვის“ ბიბლიოთეკა, ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებული ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, უველაზე უფრო პოპულარული ყოფილა. მხოლოდ ამ ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა „ნაწილობრივ ქართული წიგნებიც“. ეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქართველი ინტელიგენციის ერთგვარ საკრებულოსაც წარმოადგენდა, სადაც საზოგადოებრივი აზრი მუშავდებოდა. აქედან არალეგალური ლიტერატურაც ვრცელდებოდა სემინარიისა და სამასწავლებლო ინსტიტუტის მოწაფეთა შორის.

ქუთაისში ამგვარივე მნიშვნელობა ჰქონდა 70-ან წლებში იმ ბიბლიოთეკას, რომელიც ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის სახელით იყო ცნობილი. ამ ბიბლიოთეკიდან არალეგალურად ნაროღნიკული ლიტერატურაც ვრცელდებოდა ხალხში.

ჩვენში ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისადმი ინტერესი გაიზარდა 1880-იანი წლებიდან. ამ იდეის პოპულარიზაციას ეწეოდა გაზ. „დროება“, მაგრამ განსაკუთრებით იზრდება ბიბლიოთეკების ქსელი 1890-იან წლებში, მას შემდეგ, რაც მათ შესახებ გამოიცა 1890 წლის 15 მაისის წესდება. ამ წესდებით ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ზედამხედველობა ეკისრებოდა სასულიერო და სასწავლო უწყების წარმომადგენლებს. ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა შეიძლებოდა ეთნოვა როგორც კერძო პირს, აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციასაც. დიდი დაბრკოლება არსებობდა ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის მოსათავსებლად და წიგნებით სარგებლობის შესახებ. 1898 წლის 14 ივნისის სხდომაზე კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებულმა საბჭომ დადგინა: „Для облегчения надзора за читальнями желательно было бы предложить авторам и издателям, расчитывающим на распространение их изданий в народных библиотеках и читальнях, чтобы не только заглавия их книг, но и весь текст их печатался параллельно на инородческом и на русском

языках*, რაც, არსებითად, ბიბლიოთეკებიდან ქართული წიგნების გაძვენებას ნიშნავდა.

სასწავლო უწყების წარმომადგენლები და აფეხურებული ცია შეშფოთებული იყვნენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების პოპულარობითა და მოსახლეობაზე ზეგავლენით. 1897 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი მოახსენებდა სასწავლო ოლქის უფროსს: „თბილისის გუბერნიის თითქმის ყველა სამაზრო ქალაქში და მოზრდილ სოფლებში გაფანტულია სახალხო სამკითხველოები, რომელთა გახსნის ნებართვის აძლევს გუბერნატორი არა მარტო საქველმოქმედო საზოგადოებებს, არამედ კერძო პირებსაც... სახალხო სამკითხველო უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს შესაკრებ აღვილს სოფლის ინტელიგენციისა და ნახევრად ინტელიგენტებისათვის, რომელიც კითხვასთან ერთად მსჯელობენ აღვილობრივი ხელისუფლების განკარგულებათა შესახებ, სწევეტენ მიმდინარე ცხოვრების საკითხებს, აცნობენ ერთმანეთს სხვადასხვა ჭორებს...“ დირექტორი ასახელებს ამის კონკრეტულ მაგალითს¹. ხოლო ქუთაისის გუბერნიის სკოლათა ინსპექტორმა კონსტ. მაჭავარიანმა თავისი რაიონის მასწავლებლებს 34 მუხლისაგან შემდგარი ინსტრუქცია რომ დაუგზავნა მათი ცხოვრების განმსაზღვრული, იქ 24-ე მუხლად აღნიშნული იყო: „... Не собираясь в бесплатных народных читальнях и библиотеках для рассуждения о высоких материях жизни².

1902 წლის 1 ოქტომბრის თარიღით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სწერს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს: „ოზურგეთის მაზრაში დაწყებული გლეხთა მღელვარების მიზეზების გამოძიების შედეგად, სხვათა შორის, გამოიჩვა, რომ ნაწილობრივ ამისი მიზეზი ყოფილა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომელიც სოფლის მასწავლებელთა ზედამხედველობაში იმყოფება; ისინი ბიბლიოთეკაში ინახავდნენ არა თუ მათვის ნებადაურთველ, არამედ საზოგადოდ აკრძალულ წიგნებს ტენდენციური მიმართულებით

¹ სცია, ფ. 107, საქ. № 237, ფ. 10, 11.

² სცია, ფ. 107, სერია—დ, საქ. № 953, ფ. 30, 31.

დაწერილთ, რომელთა შინაარსი უდაოდ მავნე ზეგავლენას ახდენს მცირებულები გლეხთა მასაზე...“ მთავარი მცირებულები განკარგულებით ყველა ბიბლიოთეკა ოზურგეთის რაზოვანი, მათ „საჭირო წესრიგში მოყვანამდე“, დაიკატა¹. ეს სამკითხველო-ბიბლიოთეკები 1905 წელშიც არ იყო გახსნილი, რასაც ჩიოდნენ გურული გლეხები კრიმ-გირეის წინაშე.

ეჭვს გარეშეა, რომ მოყვანილი ოფიციალური ცნობებითაც საგრძნობი ყოფილა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების განათვითცნობიერებელი გავლენა მოსახლეობის დაბალ ფენაზე. ასეთი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებასა და წიგნებით მომარაგების საქმეში წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასაც შეპქონდა თავისი წვლილი. 1892 წ. საბიბლიოთეკო კომისია 3 მარტის სხდომაზე მოახსენებდა გამგეობას, რომ სახალხო ბიბლიოთეკები უნდა გაიხსნას საქართველოს ყველა დაბა-სოფელში, სადაც ამის შესაძლებლობა იქნება. 1892 წლის 11 მარტს წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა თბილისში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შესახებ წ.-კ. საზოგადოების სახელზე. წებართვა 19 მაისს მოვიდა და ბიბლიოთეკა 31 მაისს გაიხსნა მიხეილის პრ. (სახ. № 31). მისი ხელმძღვანელობა ანასტასია თუმანიშვილს დაეკისრა². ეს იყო წ.-კ. საზოგადოების პირველი სამკითხველო. 1896 წლის მიწურულში ამ სამკითხველოში 1495 ცალი წიგნი იყო. ხელისმომწერი ამ სამკითხველოს ჰყავდა 300 კაცი, ყოველდღიური მკითხველი საშუალოდ—12. მკითხველები და ხელისმომწერნი უმეტესად ხელოსნები და მოზარდი ახალგაზრდობა ყოფილა. ეტანებოდნენ უმთავრესად სიტყვაკაზმულ მწერლობასა და ისტორიული შინაარსის წიგნებს. თავდაპირველად წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მას 30 მანეთის წიგნი მისცა. გამგე ყოველთვიურად ანგარიშს უდგენდა წ.-კ. საზოგადოებას.

გამგეობამ 1894 წელს მეორე სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნა თბილისში. 1896 წელს ამ სამკითხველოში

¹ სცია, ფ. 107, საქ. № 7715, ფ. 4.

² სცია, ფ. 481, საქ. № 344, ფ. 1—4.

896 წიგნი იყო და ოვიური ხელისმომწერი 428 კაცს უდრიადა.
ეს მეორე სამკითხველო კუკიაში დაარსა წ.-კ. საზოგადოებრივი
გამგეობამ.

სოფ. სამთავისის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
1894 წ. იანვარში ითხოვდა წიგნებს „დასაარსებლად საყმაწ-
ვილო და სახალხო წიგნსაცავისა“. გაეგზავნა 10 მან. წიგნი.
სოფ. ასკანის სამკითხველოს იმავე წელს გაეგზავნა 25 მან.
წიგნი.

1894 წ. 20 იანვრის სხდომაზე გამგეობამ დააღვინა: „თია-
ნეთის სკოლის მასწავლებელს მათურელს, რომელიც ეხლა
სკოლასთან ხსნის ბიბლიოთეკას, გაეგზავნოს საზოგადოების
მიერ გამოცემული წიგნების თითო ცალი“. სტეფანწმინდის
ბიბლიოთეკას გაეგზავნა 20 მ. წიგნი. ახალციხის მაზრის სოფ.
მუსნის სკოლის მასწავლებელი ვას. კოპტანაშვილი თხოუ-
ლობს დახმარებას ბიბლიოთეკისათვის; გაეგზავნა საზოგა-
დოების მიერ გამოცემული წიგნების თითო ცალი.

1895 წელს წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ ახალციხეში
დაარსა ბიბლიოთეკა. თბილისისა და ახალციხის ბიბლიოთე-
კები კარგად მარაგდებოდა უურნალ-გაზეთებით; ახალციხის
ბიბლიოთეკა - სამკითხველოს 1896 წლის მიწურულებში
719 ც. წიგნი ჰქონდა, ამათში ქართული—523 და რუსული
196 ცალი. ბიბლიოთეკას 106 ხელისმომწერი ჰყავდა და
10—11 დღიური მკითხველი. ბიბლიოთეკას განაცემდა კონს-
ტანტია მეფისაშვილისა¹. ილსანიშნავია, რომ თბილისში, კი-
დანოვას ბიბლიოთეკაში, რომელიც მთავრობის განსაკუთრე-
ბული ყურადღებით სარგებლობდა, 90-იან წლებში აკრძა-
ლული იყო ქართული წიგნების გამოყენება².

ქუთაისში წ.-კ. საზოგადოების ხელმძღვანელობით და
დახმარებით გაბრიელის სახ. ბიბლიოთეკა დაარსდა 1896
წლის 26 დეკემბერს. ამ ბიბლიოთეკას ქალთა წრე ინახავდა.
1898: წლის დასასრულისათვის მას ჰქონდა 962 ქართული და
407 ც. რუსული წიგნი. ხელისმომწერი იყო 190 კაცი.
დღიური მკითხველი—30-ს უდრიდა; ესენი, უმეტესად, მდა-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 611, ფ. 8—9.

² სცია, ფ. 481, საქ. № 60, ფ. 41.

შიო მოსახლეობა იყო — ნოქრები, ხელოსნები, დაბალი მოხუ-
ლები, მოწაფეები.

სოფ. უდის (ახალციხის მაზრა) სახალხო ბიბლიოთეკა
1897 წლის 1 ივლისს გაიხსნა. მას ჰქონდა 250 ცალი ქართული
წიგნი და 51 რუსული. წ.-კ. საზოგადოების გამგეობაში
118 ც. წიგნი გაუგზავნა. ხელისმომწერთა რიცხვი — 60 კაცი
იყო, დღიური მკითხველი — 6.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობა წიგნების მიწოდებით და-
ეხმარა: ჩოხატაურის, პანკისის, ვიათურის, ჯვარის, ონის, ბა-
რალეთის, საჩხერის, სტეფანწმინდის, სოხუმის, ხოვლეს,
მარტვილის, ოქუმის, ალის, ქსოვრისის, ახალქალაქის, ქუთაი-
სის, შილდის, კარდანახის ბიბლიოთეკებს და მრავალ სხვა
ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის აღმოუჩენია დახმარება
წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, თითოეულისათვის არა ნაკლებ
10 მან. წიგნებისა. თბილისში, ავლაბრის რაიონში „იაფა-
სიანი ბიბლიოთეკის“ პატრონი მარიამ სუნდუკიანცი ავლაბ-
რის ბიბლიოთეკისათვის ითხოვს ქართულ წიგნებს, რომლის
მოთხოვნილება დიდია: „არ შემიძენია ქართული წიგნები,
რადგან აპირობდნენ ქართული ბიბლიოთეკის გახსნასთ“ —
იწერებოდა საბიბლიოთეკო საქმის ეს ენთუზიასტი.

ხალხის სასარგებლო საქმის გულშემატკივარნი ყოველ-
თვის წ.-კ. საზოგადოების შემყურენი არ იყვნენ: ახალციხეში
ალიოზ შიხინაშვილმა ავჭალის სამკითხველოსათვის 144 მ.
და 25 კ. შეკრიბა და გამოგზავნა.

ბათომში, 1896 წელს, დავ. კლდიაშვილმა, მასწავლებლები-
მა მ. შარაშიძემ და ტერენტი წერეთელმა 600 მ. შეკრიბეს
ბათომის ქართულ სკოლასთან საგარო ბიბლიოთეკა-სამკი-
თხველოს მოსაწყობად. სოხუმში ანთიმოზ ჭულელისა და თე-
დო სახოკიას ხელმძღვანელობით სისტემატურად იმართებო-
და წარმოდგენები ადგილობრივი „სახალხო იაფასიანი
წიგნთსაცავის“ ნივთიერი ბაზის გასაძლიერებლად. ქუთაისში
წ.-კ. საზოგადოების დამხმარე წევრმა თომა მთავრიშვილმა
გამოუგზავნა გამგეობას მის მიერ მოგროვილი 230 მან. და,
თანახმად შემწირველთა სურვილისა, ითხოვდა ამ თანხიდან
გაგზავნოდა მას წიგნები პატარ-პატარა ბიბლიოთეკების შე-

საღვენად და სოფლად უფასოდ დასაგზავნად. ასე უწყობთა
ხელს წ.-კ. საზოგადოების გამგეობა დაბებული და უწყობ
ლებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამართვას, რაც მო-
სახლეობის დაბალი ფენის გათვითცნობიერებას და გა-
ნათლებას ემსახურებოდა. დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე
წ.-კ. საზოგადოების გამგეობა ბიბლიოთეკის დაარსების ინი-
ციატორებს მთავრობისაგან საჭირო ნებართვის აღების საქ-
შეში.

შემდეგში წ.-კ. საზოგადოებამ მნიშვნელოვნად გააფარ-
თოვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელი.

ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერებისათვის დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო კითხვის მოწყობას, მაგრამ
წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ უარი თქვა ამ ღონისძიებებ-
ზე, რაღანაც კითხვა უნდა წარმოებულიყო იმ წიგნების მი-
ხედვით, რომლებიც სამინისტროს მიერ იყო მოწონებული,
ხოლო ეს წიგნები რუსულ ენაზე იყო გამოცემული და კი-
თხვაც იმავე ენაზე უნდა წარმოებულიყო; ამიტომ გამგეობამ
უპირატესობა ლექციებისა და სალიტერატურო საღამოების
მოწყობას მიაკუთხნა და კომისიაც აირჩია ამისათვის 1895
წლის 21 ნოემბრის სხდომაზე—ი. გოგებაშვილის, ივ. რატი-
შვილისა და ივ. ელიაშვილის შემაღვენლობით, მაგრამ არა
ჩანს, რომ ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გა-
დასახულიყოს.

10. წერა-კითხვის საზო-
გადოების ურთიერთობა
რუსეთის სამეცნიერო

წერა-კითხვის საზოგადოებას საქ-

მიანი ურთიერთობა ჰქონდა რუ-
სეთის სამეცნიერო და სხვა მონა-

რუსეთის სამეცნიერო თესავე საზოგადოებებთან, თუმცა

საზოგადოებებთან. ეს ურთიერთობა შემთხვევით ხა-

სიათ ატარებდა. მოვიყვან ამის ორიოდე მაგალითს: 1889

წლის 28 მარტის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: „ს. პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტს გაეგზავნოს საზოგადოების წიგნთა-

ცავიდან ხელნაწერი „გორგიჯანიძე ფარსადან“—თანახმად
მათი მოთხოვნისა“. იმავე წლის 16 მაისის სხდომაზე გამ-

გეობას მოხსენდა, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგა-

დოებისაგან მოსულია მომართვა, რომ ამ წელს დანიშნულია



მე-8 არქეოლოგიური ყრილობა, რომელიც მოისმეტი შეზღუდული ნებას: „რა სარწმუნოებას აღიარებდნენ ქართველები უკავშიროდნენ ტიანობის მიღებამდე“; ამისათვის საჭიროა გაიგზავნოს ხელნა-შერი „მოქცევა ქართლისა“, შემოწირული მესხიშვილის მიერ; გამგეობამ დაადგინა: რადგან ეს ძეგლი აქ იბეჭდება და ახლა დედანი აქ არის საჭირო, გავგზავნით დაბეჭდილს, ან ასლს გადავიღებთო. 1889 წლის 30 მაისის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა ივ. მაჩაბლის წინადადება, რომ ახლო ხანში შეეციაში განზრახულია ორიენტალისტთა ყრილობა. მეფე ოსკარიც ყურადღებას აღევნებს აღმოსავლეთის ლიტერატურას. პროფ. ალ. ცაგარელის მეშეეობით გაეგზავნოს ძვირფას ყდაში ჩამული „ვეფხის ტყაოსანი“. ყდისათვის 25 მ. გაიღოს საზოგადოებამ.

გამგეობის 1895 წლის 13 ივნისის სხდომაზე ი. გოგება-შვილმა წინადადება შემოიტანა: ეთხოვოს მოსკოვის, პეტერბურგის და ხარკოვის წ.-კ. კომიტეტებს გამოგვიგზავნონ 2—2 ცალი მათი გამოცემებისა ფასით ან უფასოთ (წიგნები, პროგრამები, წესდებანი და სხვა).

1896 წელს საზოგადოებას ნიკო მარისაგან მოუვიდა „ცხოვრება პეტერე ივერისა“ დაბეჭდილი „პალესტინის კრებულში“.

1896 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე ექ. თაყაიშვილმა გამგეობას წინადადება მისცა შესდგომიდა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას. ამ საქმისათვის გამგეობამ გამოჰყო კომისაა — ნ. მთვარელიშვილის, დ. კარიჭაშვილისა და ექ. თაყაიშვილის შემადგენლობით. ამ საკითხთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილის წინადადებით გამგეობამ დაადგინა აღეძრა შუამდგომლობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, რათა ვთხოვებინა წ.-კ. საზოგადოებისათვის „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ვარიანტი.

ძველი წიგნების დასაბეჭდი თანხა წ.-კ. საზ-სა ამ დროს 786 მ. 05 კ. უღრიდა. „ქართლის ცხოვრება“ — მარიამ დედოფლის ვარიანტი — ექ. თაყაიშვილის რედაქციით მხოლოდ 1906 წ. გამოიცა, გვ. 993, ფ. 3 მან. („ქართ. წიგნი“, ტ. 1, თბ. 1941 წ. გვ. 304, № 3282). საზოგადოების მდივნის გამოანგარიშებით 600 კ. დაბეჭდვა 600 მ. დაჯდებოდა.

II. ჩართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება 1900—1927 წ.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 1. წ.-კ. საზოგადოება მუშათა მოძრაობა საქართველოში XX ს. დასაწყისში. შესამჩნევად გაძლიერდა. მუშათა კლასობრივი გათვითცნობიერების შედეგად მათი ინტერესი განათლებისაღმი, კერძოდ, წერა-კითხვის საზოგადოებისაღმი თანდათან გაიზარდა. გამგეობაში 1901 წლიდან მონაწილეობას იღებენ ისეთი პირები, რომელნიც თავს მუშათა ინტერესების დამცველად თვლიდნენ (ნ. ელიავა, კ. ჭაფარიძე და სხვ.) 1902 წელს წ.-კ. საზოგადოებას 35 დაბა-ქალაქში ჰყავს რწმუნებული, ზოგინ 2—3 კაცი და მეტიც. ამ წლებში წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარეა, ისე, როგორც წინა წლებში, ილ. ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანავი — ნ. ცხვედაძე; გამგეობის წევრებად 1901 წ. არჩეული იყვნენ: ნიკო ელიავა, ივ. რატიშვილი, ექვ. თაყაიშვილი, დავ. კარიქაშვილი, კოსტ. ჭაფარიძე, გ. ლასხიშვილი, იაკობ ლულაძე. გამგეობიდან გავიდნენ: ივ. გომართელი, ალ. სარაჯიშვილი, აგრეთვე არჩილ ჭორჭაძე და გიორგი დეკანოზიშვილი (საზღვარგარეთ გამგზავრების გამო). მათი აღვილი დაიკავეს არჩევით სამ. ფირცხალვამ, ფ. გოგიჩაიშვილმა და ი. ბარათაშვილმა. მდივნად და საქმის მწარმოებლად პეტრე მირიანშვილის ნაცვლად სამ. ფირცხალვა იქნა არჩეული¹.

1901—1902 წლებში „კვალის“ თანამშრომლებმა გააძლიერეს კრიტიკა წ.-კ. საზ-ის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. 1901 წლის „კვალში“ „მოსაუბრე“ უსაყვედურებდა წ.-კ. საზ-ას, რომ მან უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში მხო-

¹ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1902 წ. ანგარიში. გვ. 7. 12

ლოდ ერთი სკოლა გახსნა (სოფ. გომარქუში 1897 წ.) და ექვემდებარებული სახალხო ბიბლიოთეკა... სახალხო სკოლები მარტინ გომარქუში თოვეკები, რომლებისათვისაც თავდაპირველად დაასრულა სსენებული საზოგადოება და რომლებიც შეადგენენ უპირველეს მის დანიშნულებას, „საზოგადოების“ გამგეობის თანადათან ნაკლებ ყურადღებას იპყრობს... გამგეობას უსიცოცხლობა და უმოქმედობა ეტყობა. 22 წლის განმავლობაში მხოლოდ 43 წიგნი გამოუცია... „საზოგადოების“ გამოცემათა უმრავლესობა ხალხისათვის საინტერესო არ არის და ამიტომ არც ვრცელდება...¹ ასე წერდა „კვალი“, მაგრამ არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ რა დაბრკოლებას უქმნიდა მთავრობა წ.-კ. საზოგადოებას სკოლების გახსნის, ბიბლიოთეკების დაარსებისა და წიგნების გამოცემის საქმეში.

1900—1903 წლებში საზოგადოების საქმიანობა აღმავლობის გზით მიღის. 1902 წელს საზოგადოებაში 167 წევრი შემოვიდა; ბევრი მათგანი მუშათა წრეს ეკუთვნოდა. 1902 წელს „კვალი“ წერდა: „ეს ორი წელიწადია წ.-კ. საზ.-ის წევრთა წლიურ კრებას არაჩვეულებრივი სიცხოველე დაეტყო. საზოგადოების ერთი ნაწილი აღარ ქმაყოფილდება გამგეობის უფერული ანგარიშგებით და ითხოვს უფრო ნაყოფიერ მუშაობას...“²

1902 წელს საზოგადოებას 730 ნამდვილი წევრი ჰყავდა, 1903 წ.—919 წევრი. იზრდებოდა საწევრო შემოსავალიც: 1900 წელს საწევრო საზოგადოებას შემოუვიდა 777 მან., 1901 წ.—1833 მ., 1902 წ.—2903 მ., 1903 წ.—3,143 მან. 1903 წელს საზოგადოებას 8 სკოლა ჰქონდა; ამათგან წ.-კ.გამგეობა თავის ხარჯით ინახავდა კავკავის, ბათომისა და გომარქეთის სკოლებს; ეხმარებოდა ხელთუბნის, წინარეხისა და თონეთის სკოლებს; ხელმძღვანელობას უწევდა ქუთაისის და ძვ. სენაკის სკოლებს, რომლებიც ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ხარჯით არსებობდა. ამ 8 სკოლაში 1903 წელს 1215 მოწაფე სწავლობდა, 64-ით მეტი, ვიდრე წინა წელს. 1903 წელს წ.-კ. საზოგადოებამ შეიძინა 1200 მანეთად ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრიძის ბიბლიოთეკა 528 წიგნის რაოდენობით.

¹ „კვალი“, 1901 წ. № 27, გვ. 641.

² „კვალი“, 1902 წ. № 23, გვ. 378.



1901—1902 წლებში საზოგადოებამ ხუთი ბრწყინვალებული დააარსა—შილდაში, თბილისში (მესამე), ხონში, პრიულებულებულში და ხარაგოულში.

1902 წელს წიგნის მაღაზიიდან გამგეობას შემოუვიდა 1688 მან., 1903 წ.—2032 მან., 1902 წელს 9 წიგნი გამოსცა გამგეობამ (მათ შორის ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ნ. ლომოურისა და დ. კლდიაშვილის მოთხრობები, საქართველოს კალენდარი გუნიასი და სხვ.). 1903 წელს 8 წიგნი გამოსცა საზოგადოებამ, მათ შორის: „დედა ენა“, „ვეფხისტყაოსანი“, რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილის, წიგნის ისტორია—ქარიჭაშვილისა.

საგრძნობი თანხა შემოდიოდა საზოგადოებას თბილისში გამართული საღამოებიდან, კონცერტებიდან, ლატარეიდან და ყულაბებით; აგრეთვე სხვა ქალაქებიდან, განსაკუთრებით ბაქოდან, განჯიდან, მერვიდან, ნუხიდან, საჩაყამიშიდან, რაც წ.-კ. საზოგადოების პოპულარობას მოწმობდა. 1902 წ. საზოგადოების შემოსავალი 19.715 მან. უდრიდა, გასავალი—24.486 მ. 48 კ. საზოგადოება დახმარებას უწევდა არა მარტო სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, არამედ კერძო პირებსაც: 1902 წ. ზ. ფალიაშვილმა საზოგადოებისაგან 240 მან. დახმარება მიიღო, 1903 წელს—120 მან. გამგეობამ სოფრებიდან ორი ქართველი მაჰმადიანი ბავშვის აღზრდა იყისრა თავისი ხარჯით წინამდვრიანთვარის სკოლაში. 1900—1904 წლებში, მართალია, წ.-კ. საზოგადოების საქმიანობა შესამჩნევად ვერ მიღოდა წინ, მაგრამ მას არც დაქვეითება ეტყობოდა: ასე თუ ისე საზოგადოება ცოცხლობდა, იღწოდა, სასარგებლო საქმეს აკეთებდა და მიმღინარე საკითხებს, ნივთიერსა და კულტურულს — თავს ართმევდა.

სხვა მდგრადიობა შეიქმნა წ.-კ. საზოგადოებაში 1905—1906 წლებში: მას ნამდვილად დაეტყო დაქვეითება.

1906 წლის დეკემბერში საანგარიშო კრებაზე აღინიშნა: 1904—1905 წლებში სკოლები დაკეტილი იყო, ზოგან ბიბლიოთეკებიც; საზოგადოებისა და გამგეობის წევრნი სხვა საქმეებით იყვნენ დაბანდებულნი და მათ წ.-კ. საზოგადოების საქმეები იმდენად არ იზიდავდა. ყოველივე ეს აიხსნება პო-

ლიტიკური მოძრაობის გაშლით; დღესაც ამ მოძრაობის ქვეულების ქვეშ იმყოფება საზოგადოება. უწინარეს ყოველისა ნებრივად დასუსტდა საზოგადოება. საზოგადოების შემოსავალი 1904 წელს იყო 28.808 მ., 1905 წელს მხოლოდ—13.65 მ.; 1904 წ. საწევრო შემოვიდა 2580 მ., 1905 წ.—1371 მან., 1906 წ.—576 მან. გამესამეულდა შემოსავალი საღამოებიდან; სასწავლებლებში სწავლის შეწყვეტამ შეამცირა წიგნის მაღაზიის ვაჭრობა. 1904 წ. სკოლის გახსნა მოხერხდა სოფ. ყალაშაში, მაგრამ ვერ განახლდა სკოლების მუშაობა დიდ ონეგისა და რებში. აღარ მოქმედებენ ზესტაფონისა და ხარაგოულის ბიბლიოთეკები, რომელიც ალიხანოვის დამსჯელმა რაზმა გადასწვა.

1904 წელს საზოგადოებამ გამოსცა 13 სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ღირებულება 10795 მანეთს უდრიდა, 1905 წელს კი გამოიცა მხოლოდ 6 წიგნი 5.926 მანეთის ღირებულების, მათ შორის ალ. წულუკიძის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიდან“. 1904 წელს მაღაზიის მოგება იყო 1561 მან., 1905 წელს კი—1199 მან.

„დღეს საზოგადოება ფრიად შევიწროებულ მდგომარეობაშია; საჭიროა უწინარეს ყოვლისა მისი ქონებრივი გაფანსალება, საჭიროა წესდების ზოგიერთი მუხლის შევსება და შესწორება—დაასკვიდა მომხსენებელი“¹. გიორგი ლასხიშვილი, რომელიც იმ წლებშიც და შემდეგშიც წ.-კ. საზოგადოებასთან ახლოს იდგა და მისი გამგეობის წევრი იყო, წერდა: „რევოლუციის ხანაში (1905—1906) ჩვენმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა თითქოს მიიძინეს. უფრო აქტიური ელემენტი სხვაგან წავიდა, უფრო დიდი და პასუხსაგები საქმით იყო დატვირთული... კულტურულ სარბიელზე მუშაობა თითქო შეწყდა“².

წერა-კითხვის საზოგადოების ასეთი უმოქმედობა იგრძნო და გულახლილად აღნიშნა საზოგადოების გამგეობაშ ის მოხსენებაში, რომელიც მან ნ. ცხველაძის ხელმოწერით

¹ ქ. შ.-კ. გამავრცელებული საზ-ბის 1906 წ. ანგარიში, გვ. 7—38.

² გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, თბ. 1934 წ. გვ. 256.

1906 წლის ანგარიშთან ერთად საზოგადო კრებას წარუდგინა 1907 წელს.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ნათლები გრძელდება და ხედავდა, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელსაც „საზოგადოების“ არსებობის ძელი ფორმები და შინაარსი არ შეეფერება, რომ „საზოგადოება“ ამის გამო მძიმე კრიზისს განიცდის, მოწყვეტილია ხალხს, უმოქმედოა. ის მომავალში უეღარ იცლის ძელი გზით და მისი არსებითი გადახალისებაა საჭირო¹. მაგრამ ეს მიმართვა იწერებოდა მაშინ, როდესაც რევოლუციის ზეირთები ჯერ კიდევ მძლავრად ბობოქრობდა. მომდევნო წლებში რეაქცია კიდევ უფრო მძვინვარე გახდა და წ.-კ. საზოგადოების არსებობაც ბეჭვზე დაეკიდა. შეუძლებელი გახდა მისი ძირფესვიანი გარდაქმნა და „საზოგადოების“ მესვეურები—ძველნი და ახალნი—„საზოგადოების“ სტრუქტურაში მხოლოდ ორგანიზაციული ცვლილებების შეტანითა და აღგილებზე ფილიალების, განყოფილებათა შექმნით უნდა დაქმაყოფილებულიყვნენ.

2. წერა-კითხვის საზოგადოება—ახალ საფეხურზე.

1905—1907 წლების რევოლუციამ აამოძრავა საზოგადოების ფართო ფენები, მოსახლეობას გაუღვივა ინტერესი და მისწრაფება განათლებისადმი, გაუფართვა გონებრივი ჰორიზონტი, გაუზარდა კულტურული მოთხოვნილებანი. ამის მაჩვენებელია წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკათა ქსელი: 1908 წ. „საზოგადოების“ ხელმძღვანელობით მხოლოდ 13 სამკითხველო არსებობდა, რომელთა გასახსნელად ნებართვის მიღება და შემდგე მოწყობა საკმაოდ რთული საქმე იყო. 1909—1910 წლებში საზოგადოებას 32 დაბა-სოფლიდან მოსდის მოთხოვნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნის ნებართვის აღების შესახებ. მთავრობა სოფლად არსებული სამკითხველოების შესახებ გარკვეული აზრისა იყო—თვლიდა მათ მოსახლეობაში რევოლუციური პროპაგანდის კერად და ამიტომ

¹ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის № 19 7 წლის ანგარიში. გვ. 19—21; აკრეთვე სცია, ფონ. 481, საქ. № 1044, ფ. 7—1907 წ.



ყოველი საბაბით აბრკოლებდა ახალი ბიბლიოთურულ სტუდია თხეველოების განსხვის ნებართვის გაცემას. ბიბლიორამის

რევოლუციის მომდევნო წლები წერა-კითხვის საზოგა-

დოების ცხოვრებაში ხასიათდება ე. წ. „ოპოზიციის“ გაძლიერებით, რომელიც თავს მოსახლეობის მშრომელი ნაწილის ინტერესების გამომხატველად თვლიდა და ებრძოდა წ.-კ. საზოგადოების ძველ ხელმძღვანელობას ამ ორგანიზაციის დემოკრატიზაციისათვის, მასში მუშებისა და ხელოსნების, მოსახლეობის დაბალი ფენების ჩაბმისათვის, რასაც ხელს უშლიდა, სხვათა შორის, მაღალი საწევრო გადასახადი (1907 წლამდე 6 მან. წლიურად, 1907 წლიდან—3 მან.). პირველი ძლიერი იერიში ძველ გამგეობაზე მათ მიიტანეს 1907 წლის დეკემბერში და მომდევნო წლის პირველ თვეებში წ.-კ. გამარცელებელ საზოგადოების საერთო კრებაზე. არ არის მოკლებული ინტერესის ის კამათი, რომელიც 1907 წლის 9 დეკემბერს გაიმართა საზოგადოების წევრთა საერთო საანგარიშო კრებაზე. საკითხი შეეხებოდა ს. ოონეთის სკოლას, რომლის შესანახად სოფელს წლიურად 300 მან. უნდა გაეღო; სოფელს 900 მანეთი დაედო ვალად, რომელიც გამგეობამ მას ჩამოაწერა. ნ. ცხვედაძემ ამის მიზეზად სოფლის შეუგნებლობა დაასახელა, ივ. რატიშვილმა—სოფლის სილარიბე. ფ. მახარაძემ განაცხადა—უფრო დაწვრილებითი ცნობებია საჭირო, თუ რატომ არ ეხმარება სოფელი სკოლას, მათობ დაუუფრიობა და შეუგნებლობა არ არის ამის მიზეზი.

წ.-კ. საზოგადოების 1908 წლისათვის ნავარაუდევი საწევრო (2.000 გ.) არ შემოვა, ამიტომ შემცირდეს საწევრო გადასახადი. საზოგადოებას უნდა ჩამოერთვას ბიბლიოთეკა-მუზეუმი და გადაეცეს სხვა დაწესებულებას და ამისათვის გადაღებული ხარჯი მოხმარდეს საზოგადოებასო. შემდეგ ფ. მახარაძემ განაცხადა: „გამგეობა იძენს ძველ ნაშთებს, ბევრ მათგანს არავითარი მნიშვნელობა არა იქვს, ამ საგნებზე ე. ი. ხელთნაწერების შეურჩევლად შესაძნად არ უნდა იხარჯებოდეს ხალხის ფული, ეს მიზნის გადახვევაა“. პ. სურგულაძემ განაცხადა: „ფასდაუდებელია ის ნაშთები, რომლებიც მოუპოვებია წ.-კ. საზოგადოებას. 30 თუმანი კი არა, 30 მილიონი რომ

გვქონდეს, მთლიანად უნდა მოვახმაროთ ჩვენი შველი ხაშ-
თებისა და ხელნაწერების შეკრებას, მოვლას ფაქტურულობას.
ეს კულტურული ნაშთები სწორედ ხალხურულობის გადა-
ხალხი არას დაჭირებავს, თუ ფულს გაიღებს მათ შესაძე-
ნად. ხალხი დღეს არ იწყებს ცხოვრებას, მისი ახლანდელი
ცხოვრება გადაბმულია გუშინდელზე, მისი დღევანდელი
კულტურაც უნდა აღმოცენდეს წარსულ კულტურაზე¹. აღ-
ნიშნულ საკითხის გარშემო აკაკი წერეთელმაც გამოთქვა აზ-
რი: „ნათქვამია—აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშო-
ბელი მომავლისათ; ხალხს, რომელსაც წარსული არა პქონია,
მომავალიც არა აქვს, ის მკვდარია. ჩვენი ხალხი ასეთი არ
იყო, ის ცხოვრობდა, მას თავისი კულტურა პქონდა. პატა-
რა ხალხს რომ მტერი მოერევა, ყველაფრის წაშლას და წართ-
მევის მოუნდომებს; გვეუბნებიან: წარსულში არაფერი გქო-
ნიათ, არც მომავალი გექნებათო. ჩვენ ამას არ უნდა ავყვეთ.
განა ქართველი ამით წახდება, რომ თავისი კულტურა უყვარ-
დეს? მომავალი რომ გვინდა, ამას არავინ უარყოფს, ხოლო
აწმყო და მომავალი უნდა შევუთანხმოთ წარსულს. რუსთვე-
ლი ძველად იყო, მე—ახლა, განა მე შევედრები იმას?
არა, წარსულს უნდა ვაფასებდეთ და ისე უნდა შევიძინოთ
ძველი ხელნაწერები, როგორც დღემდის ვიძენდით. ექვეთ
ყავიშვილმა აღნიშნა: „წ.-კ. საზოგადოების მიერ შეგროვილი
ძველი ხელნაწერები და ნაშთები ჩვენი უძვირფასესი განძია.
წ.-კ. საზოგადოებას თუ რამ გაუკეთებია ღირსშესანიშნავი,
ეს არის მისი ძველი წიგნების და ხელნაწერების ბიბლიო-
თეკა“....

ადრე წ.-კ. საზოგადოების გამგეობას აღგილზე პყავდა
თავისი დამხმარე წევრები, რომელთაც უმთავრესად ახალი
წევრების მოპოვება და საწევრო გადასახადების აკრება ევა-
ლებოდათ. ბოლო ხანებში მომწიფება საკითხი ფილიალების,
საზოგადოების განკოფილებათა დაარსების შესახებ, რისთვი-
საც საჭირო იყო საზოგადოების ახალი დებულების შემუშა-
ვება და დამტკიცება. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ე ლი ა-
ვამ და სხვებმა წამოაყენეს საკითხი საზოგადოების გადემოკ-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 1044, ფ. 3.

რატების, ერთმანეთიანი საწევრო გადასახადის დაწესებულების შესახებ.

ამის გამო გოგებაშვილი ოღნიშნავდა: „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დღევანდელი მომენტის სირთულე. ამას წინად დაკეტეს პოლონეთის „მატიცა“ და კიევის წერა-კითხვის საზოგადოება. ჩვენ შარშან წესდება შევცვალეთ, ახლა კიდევ რომ შევცვალოთ, ამით საბაბს მივცემთ რეაქციის ძლებს, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშერონ“.

გამგეობამ დაადგინა: განყოფილებათა ახალი წესდების შედგენა და წ.-კ. საზოგადოების წესდების გადასინჯვა მიენდოს ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას და გამგეობას, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ კრებაზე გამოიქმული მოსაზრებებით.

1908 წ. 9 მარტის მოწევულ წ.-კ. გამაცრცელებელ საზოგადოების კრებაზე ხმის უმრავლესობით წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წევრებად არჩეულ იქნა: ლუარ. ბოცვაძე, ფილ. გოგიჩაიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, დავ. კარიჭაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ალ. მდივანი, პეტრე სურგულაძე, სამსონ ფირცხალავა, გრ. რცხილაძე, იაკობ ლულაძე, ალ. ყიფშიძე; კანდიდატებად: ანა არდაზიანი, ტერეზია ხვიადაშვილი და ივ. ჭავჭავაძე¹.

ნიკო ცხვედაძემ, წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ხანგრძლივად ნამოღვაწარმა ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ივად-მყოფობისა და მოხუცებულობის გამო უარი განაცხადა საზოგადოებაში მუშაობაზე. გამგეობამ 1908 წლის 27 მარტის სხდომაზე დაადგინა: „დაიწეროს პერგამენტზე აღრესი და მთელმა გამგეობამ პირადად ვამოუცხადოს მადლობა ნიკო ცხვედაძეს“².

წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ 1908 წლის 9 მარტის საერთო კრებაზე არჩეულ იქნა გიორგი ნიკოლოზის-ძე ყაზბეგი, ხოლო 1908 წლის 15 მარტის სხდომაზე გამგეობის ახალმა შემაღლენლობამ თავმჯდომარის მოადგილედ იირ-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 2042, ფ. ფ. 29, 30.

² სცია, ფ. 481, საქ. № 2046, ფ. 18.

ჩია იაკობ ლულაძე, გამგეობის მდივნად — სამსონ ფრედერიკ ლავა. 1908 წ. 9 მარტის საზოგადო კრებაზე საზოგადოების წევრებად 289 კაცი იქნა მიღებული.

ახალი თავმჯდომარის — გიორგი ყაზბეგის არჩევით წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობას მართლაც დაეტუო ერთ-გვარი გამოცოცხლება. გიორგი ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ აღნიშნავს: „1908 წელს წ.-კ. საზოგადოებას თავი დაანება მისმა ძევლმა მოამაგემ და უცვლელმა თავმჯდომარემ¹ ნიკო ცხვედაძემ. მის მაგიერ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი. ის განათლებული და განვითარებული ადამიანი იყო. დიდ ხანს რუსეთში მსახურობდა. უკანასკნელ დროს იყო ვარშავის კომენდანტი, ხოლო რუსეთ-იაპონიის ომის დროს — ვლადიკოსტრიკის გენერალ-გუბერნატორი. ამ თანამდებობაზე რეაქციის ერთ-გულება ვერ გამოიჩინა და სამართალში უპირებდნენ მიცემას. შემდეგ პატივს, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს. გიორგი ყაზბეგი ერთგული და მუყაითი მოღვაწე აღმოჩნდა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ყველა ის გაუმჯობესება, რომელიც ამ წლებიდან საზოგადოების საქმიანობას დაეტუო, მისი ინიციატივის და მოღვაწეობის შედეგი იყო...². თუ როგორ აფასებდნენ საზოგადოების წევრები გ. ყაზბეგის მუშაობას წ.-კ. საზოგადოებაში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გამგეობის ახალ არჩევნებზე 1911 წელს ის კრების მოთხოვნით ერთხმად იქნა არჩეული კენჭის უყრელად, ხოლო 1915 წლის 21 ნოემბრის წ.-კ. საზოგადოების გამგეობის საგანგებო კრებაზე, რომელსაც ესწრებოლნენ პოლ. კიკალიშვილი, გიორგი ცინკაძე, თედო კიკაძე, მოსმენილ იქნა გ. ყაზბეგის განცხადება, რომ მას დალილობისა და მოხუცებულობის გამო არ შეუძლია დარჩეს საზოგადოების თავმჯდომარედ. გამგეობამ თავისი

¹ ნიკო ცხვედაძე ადამ წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარე არ ყოფილა; შეცლელი თავმჯდომარე საზოგადოებისა 1885 წლიდან ვარდაცვალებამდე იყო ილია ჭავჭავაძე, მაგრამ რადგან ილია ჭავჭავაძე, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, გამგეობის სხდომებს იშვიათად ესწრებოდა, ამიტომ მას 1895 წლიდან თავმჯდომარის მოადგილე — ნიკო ცხვედაძე თავმჯდომარეობდა.

² გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, თბ. 1934 წ. გვ. 257.

გულითადი მწუხარება გამოსთქვა გ. ნ. ყაზბეგის განცხადები
გამო-და მიიღო რა მხედველობაში: ა) გ. ყაზბეგი 1908 წელს და
დღემდე მუდამ დარაჯად უდგას ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებრივი მსახურების
ტერიტორიაზე, ბ) რომ მისი ხელმძღვანელობით და მეთაურობით
საზოგადოების საქმეთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯო-
ბესდა, გ) რომ მისი ავტორიტეტული მფარველობის მეონებით
არაერთხელ გადარჩენილა ჩვენი საზოგადოება მოსალოდნელ
ხიფათს, და დ) რომ მის მიერთავმჯდომარეობის თანამდებობი-
სათვის თავის დანებება დიდი და საგრძნობელი დანაკლისი
იქნება საზოგადოებისათვის, ერთხმად დაადგინა: 1. მოსხენდეს
ხვალინდელ საზოგადოების წევრთა მორიგ კრებას თავმჯდო-
მარის გ. ნ. ყაზბეგის განცხადება. 2. განემარტოს კრებას, თუ
რა დანაკლისი იქნება წ.-კ. საზოგადოებისათვის გ. ნ. ყაზბეგის
თავმჯდომარეობაზე უარის თქმა; 3. წინადადება მიეცეს კრე-
ბას აირჩიოს წევრთაგან განსაკუთრებული დეპუტაცია და ამ
დეპუტაციის საშუალებით სხოვოს გ. ნ. ყაზბეგს დარჩეს და
განაგრძოს თავისი მოვალეობის ოღარულება“. ამ დადგენილე-
ბას ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა შვიდი წევრი:
თავმჯდომარის ამხანაგი დავ. კარიჭაშვილი. წევრები: გიორგი
ლასხიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ
რცხილაძე, იპოლიტე ვართაგავა, პოლ. კიკალიშვილი, გიორგი
ცინცაძე და თედო კიკვაძე¹.

გამგეობის თავმჯდომარის გ. ყაზბეგის ამხანაგად, რო-
გორც ვთქვით, გამგეობამ აირჩია იაკობ ლულაძე, რომელიც
1910 წლის იანვარში გამგეობიდან სრულიად გავიდა მთავრო-
ბის სამსახურში დაწინაურების გამო. 3 ივნისიდან თავმჯდომა-
რის ამხანაგად ერთ ხანს იყო ალ. მდივანი, რომელიც შემდეგში
დავ. კარიჭაშვილმა შესცვალა. 1910 წელს მთავრობამ დააპა-
რიმრა წ.-კ. საზოგადოების მდივანი სამსონ ფირცხალავა და
გამგეობის წევრები გიგო რცხილაძე და გიორგი ლასხიშვილი,
რომელიც გამგეობას ჩამოშორდნენ დროებით.

1911 წლის 25 აპრილს გამგეობის თავმჯდომარედ ისევ
გ. ყაზბეგი იქნა არჩეული; წევრებად დ. კარიჭაშვილი,
გრ. რცხილაძე, ს. გორგაძე, ნ. ელიავა, ს. ჭაფარიძე, შალვა

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 6056, ფ. 181.

მიქელაძე, ა. ჯავანაშვილი, ალ. ყიფშიძე, ლ. ბოცვაძე, შირადედაბრიშვილი. ამათ შორის ნ. ელიავა და ს. ჯაფარიშვილი „ზიციის“ წევრები იყვნენ, თავმჯდომარის მოაღმდებრედ დაჭარიშვილი აირჩიეს, ხოლო საქმის მწარმოებლად გრ. ბურ-კულაძე.

1914 წლის 21 დეკემბერს საერთო კრებამ თავმჯდომარედ ვრთხმად კვლავ გიორგი უაზბეგი აირჩია, ხოლო გამგეობის წევრებად: დ. კარიქაშვილი, შ. დედაბრიშვილი, ლ. ბოცვაძე, გრ. რცხილაძე, გ. ლასხიშვილი, ი. გიორგობიანი, ნ. ნაკაშიძე, პოლ. კიკალიშვილი, კ. ნინიძე, იპოლიტე ვართაგავა, გ. ცინცაძე, ვ. მუსხელიშვილი. კანდიდატებად: თ. კიკვაძე, ალ. ყიფშიძე, ნ. რცხილაძე, ა. ჯავანაშვილი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ვერ სწვდებოდა იმ მრავალგვარ კულტურულ საქმეს, რომელიც დრომ და საჭიროებამ მას დააკისრა. ცენტრს განსაკუთრებით პროვინცია-იყო მოწყვეტილი. ამას გრძნობდა გამგეობა და ამიტომ ჭერ კიდევ 1880-იან წლებში სხვადასხვა რაიონის ცენტრებში გამგეობამ გაიჩინა დამხმარე აგენტები, რომელთა საქმიანობა უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ საზოგადოებას ახალ წევრებს შესძენდა და საწევროს აკრეფდა.

3. წერა-კითხვის საზოგადოების წევრები და ბრძოლა საწევრო გადა- სახადის შემცირებისა- თვის

წ.-კ. საზოგადოების ყველა ხელმძღვანელი დაინტერესებული იყო იმით, რომ ის მასიურ ორგანიზაციად გამხდარიყო. შეიძლება ითქვას, რომ ამას ნაწილობრივ ხელს უშლიდა საწევრო თანხის სიდიდე (6 მან.), ამიტომ იყო, რომ

1907 წლის დებულებით ეს საწევრო განახევრებული იქნა.

მოვიყვანთ აქ წევრებისა და მათვან შემოსული საწევრო თანხის რაოდენობას რამდენიმე წლის განმავლობაში.

წელი	წევრთა რაოდენობა	შემოვიდა საწევრო
1879—1880	245	2.373
1885—1886	374	817
1890—1891	453	634



წელი	წევრთა რაოდენობა	შემონიღვა საქართველო
1895	515	შემონიღვა საქართველო
1900	669	შემონიღვა საქართველო
1905	1279	1.371
1907	1444	2.316
1908	394	1.399
1909	580	1.544
1910	253	595
1911	1511	1.162
1912	2283	939
1913	2883	1.483 ¹

აქ, ჩვენს ყურადღებას იპყრობს წევრთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება 1908 წელს (394) წინა წელთან შედარებით (1444), რაც იმით აიხსნება, რომ წევრთა სიაში ბევრი „მკვდარი სული“ ითვლებოდა, ე. ი. ისინი, რომელთაც წლების განმავლობაში საწევრო არ გადაუხდიათ; ამიტომ 1907 წლის ბოლოდან ასეთნი წევრობიდან გაიჩიცხნენ. საყურადღებოა აგრეთვე 1911 წლიდან სწრაფი და საგრძნობი ზრდა წევრთა რაოდენობისა, რაც უნდა აიხსნას ფილიალების დაარსებით და წ.-კ. საზოგადოებაში ბრძოლის გაძლიერებით გავლენის მოპოვებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა კოლექტიური განცხადება, რომელიც 1909 წელს შემოვიდა საზოგადო კრებაზე მოსახსენებლად: „აგრე რამდენიმე წელიწადია, რაც პრესის საშუალებით საზოგადოების სხვადასხვა ნაწილი დაუინებით მოითხოვს საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდის შემცირებას, რათა ამით მშრომელ მასას საშუალება მიეცეს საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებისა და დღეს მხოლოდ რომ სამასი წევრი ირიცხება, მაშინ ეს რიცხვი რამდენიმე ათასამდე გაიზრდებოდა. ამაში ჩვენ ღრმად ვართ დაზღუნებული, როთაც, რასაკვირველია, საწევრო შემოსავალიც ერთი სამაც გადიდებოდა. ეს აზრი რამდენჯერმე საზოგადო კრებაზეც იყო გამოთქმული, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარ მიზეზების გამო არც საზოგადო კრებამ და არც გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება არ

¹ ი. ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა, თბ. 1915 წ. გვ. 17.

მიაქციეს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ საზოგადო კრებას ამის შესახებ და ჰუნტისტების მიერ კითხვის ამავე კრებაზე გადაწყვეტას". ერთ ასეთ გამჭურალუსტებას ხელს აწერს 280 კაცი, მეორეს — 16 კაცი, მესამეს — 14 კაცი¹.

1909 წლის 13 დეკემბრის საერთო კრებაზე მწვავე დისკუსია გაიმართა აღნიშნული საკითხის გამო. ზოგიერთი წევრი აკხადებდა: წევრების რიცხვი კლებულობს, ამის მიზეზია გადასახადის სიღილე. საზოგადოებაში შემოსვლა უნდა გაადვილდეს გლეხობისა და მუშათა კლასისათვის. „პოზიციის“ მხრივაც თითქოს არავინ იყო" საწევროს შემცირების წინააღმდეგი. მაგრამ ამისათვის 1907 წ. შეცვლილი წესდების კვლავ შეცვლა იყო საჭირო. ხანგრძლივი კავშირის შემდეგ, კრების უმრავლესობამ დაადგინა: არ სცნობს შესაძლებლად საზოგადოების წესდების შეცვლას, ხოლო კრების ოცხა წევრმა ამ დადგენილების პროტესტის ნიშანად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

1913 წლის 14 ნოემბრის საერთო კრებაზე, რომელსაც 75 წევრი დაესწრო, მათ შორის 7 წევრი გამგეობისა და 11 წევრი ფილიალთა წარმომადგენელნი, საწევროს შემცირების შესახებ ორი მოპირდაპირე აზრი გამოითქვა. ერთი მოითხოვდნენ საწევროს შემცირებას: სჭობია 3000 წევრი გვყავლეს თითო მანეთის შემომტანი, ვიდრე 1.000 წევრი სამ სამი მანეთის შემომტანი. ზოგს ეშინია ხალხისათვის ფართოდ კარების გაღების, ფიქრობენ ვითოვ ამით რაიმე საფრთხე მოელოდეს საზოგადოებას. მთავრობისათვის სულერთია მანეთი იქნება საწევრო თუ სამი მანეთი!².

კრების სხვა მონაწილენი იმ აზრისა იყვნენ, რომ „წესდებაში“ მცირედი ცვლილებების შეტანაც კი სახითაოა. როცა შესაძლებელი იყო, ექვსი მანეთი საწევრო ჩვენ გავანახევრეთო-

კენჭის ყრის შედეგად საზოგადო კრებამ დაადგინა: საწევრო გადასახადი ისევ სამი მანეთი დარჩენილიყო³.

ბრძოლა საწევრო გადასახადის შესამცირებლად შემდეგ-

1 სცია, ფ. 481, საქ. № 6599, ფ. 24—27.

2 სცია, ფ. 481, საქ. № 4070, ფ. 1—17.

3 სცია, ფ. 481, საქ. 4070, ფ. 17.

შიაც გაგრძელდა, მაგრამ ჩვენ მასზე არ შევჩერდებოთ. აღ-
ნიშნავთ მხოლოდ, რომ 1914 წლის 7 და 14 დეკემბერს არ ცუდილი
კამათი მიმდინარეობდა ამ საკითხის (საწევრო გრძელებულებების
შემცირების) გარშემო. თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილმა აცნო-
ბა კრებას, რომ საზოგადო კრების განსახილველად გამგეობა
აყენებს 31 ნამდვილი წევრისაგან შემოსულ განცხადებას, და
თან განმარტავს, რომ გამგეობა ამ საკითხის გადაწყვეტას არ
სთვლის ღრმის შესაფერად და ამისათვის შეუძლებლად მიაჩ-
ნია მხარი დაუჭიროს საწევრო გადასახადის შემცირების სა-
კითხს. ორი დაძაბული სხდომა მოაწოდეს ამ საკითხს და ფა-
რული კინების ყრით 84 ხმით წინააღმდეგ 75 ხმისა კრებამ
დაადგინა—საწევრო გადასახადი ისევ სამი მანეთი დარჩე-
ნილიყო¹.

ამ საკითხის შესახებ არსებულ ორ მიმდინარეობას არ
შეიძლება ისეთი კვალიფიკაცია მიეცეს, თითქოს აქ ბრძოლა
პროგრესისტებსა და კონსერვატორებს შორის ყოფილიყუა
გამართული. წ.-კ. საზოგადოების ხელმძღვანელებს ვერავითარ
შემთხვევაში ჩვენ, მეტადრე ხალხის განათლების საკითხში,
კონსერვატორებად ვერ მივიჩნევთ. მათ მხოლოდ იმისი შიში
ჰქონდათ, რომ წ.-კ. საზოგადოება არ გადაწყვეტულიყო მასიური
პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად, რაც, ზოგის აზრით ხითა-
ში ჩააგდებდა საზოგადოების არსებობას. სწორედ ეს იყო მიზე-
ზი იმისა, რომ წ.-კ. საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი არ-
ხებულ პირობებში საწევროს შემცირების წინააღმდეგი იყო.

4. სტრუქტურული ცვლილებანი წ.-კ. საზო- გადოებაში

1908 წლიდან გ. ყაზბეგის ინიცია-
ტივით ორი სტრუქტურული ხა-
სიათის ცვლილება იქნა გატარე-
ბული წ.-კ. საზოგადოებაში, რამაც
უდაოდ შეუწყო ხელი საზოგა-
დოების მუშაობის გაუმჯობესებას. ამ ცვლილებების ჩატარე-
ბამდე ყველა საქმე გამგეობას უნდა შეესწავლა და შესაფერი
დადგენილება მიელო, რომელიც მას თავისი აპარატის (მდივ-
ნის) მეშვეობით უნდა გაეხორციელებინა. ახლა, გართულებულ

¹ ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში
1914 წლისა, თბ. 1915 წ., გვ. 85—105.



პირობებში, გამგეობის ყველა წევრის დატვირთვა მნიშვნელოვანია ვანი თუ უმნიშვნელო საქმეებით შეუძლებელი იყო და ამიტომ 1908 წელს გამგეობასთან სამი სექცია მოწყობი: ადმინისტრაციული, სასკოლო და ისტორიულ-არქეოლოგიური. სექციაში შეიძლებოდა გარეშე სპეციალისტი ყოფილიყო საერთო კრების არჩევით მოწვეული, მაგრამ სექციის ხელმძღვანელობა გამგეობიდან გამოყოფილ წევრს ევალებოდა. სექციათა უფლებების შესახებ ხანგრძლივი კამათი წარმოებდა: როგორც გამგეობის, ისე საერთო კრებაზე საყველურს გამოთქვამდნენ, რომ სასკოლო სექცია გამგეობისაგან თითქმის დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენს. მაგრამ ეს ასე არ იყო, რასაკვირველია; სექციებში განხილულ საქმეს და სექციის დადგენილებას განხილული საქმის გამო ისმენდა გამგეობა და ან ამტკიცებდა ან უარყოფდა. გამგეობასთან სექციების ჩამოყალიბებამ გააფართოვა და გააღრმავა გამგეობის საქმიანობა, ამიტომ 1913 წლიდან მასთან უკვე ხუთი სექცია შეიქმნა:

1. ადმინისტრაციული სექცია, რომელსაც შეადგენდნენ: გამგეობის თავმჯდომარე და მისი აზხანაგი, ხაზინადარი, მდივანი, უძრავ ქონებათა გამგე, იურისკონსულტი, გამგეობის ორი წევრი (არჩევით).

2. სასკოლო სექცია. ლუარსაბ ბოცვაძე (თავ.), ფ. მგელაძე, საერთო კრებისაგან არჩეული: გერმან იმნაიშვილი, შ. ქარუმიძე, ალ. მიქაბერიძე, სეიით იაშვილი, ივ. ზურაბიშვილი.

3. საგამომცემლო სექცია: არჩილ ჯაჭანაშვილი (თავ-რე) და ა. შ. მიქელაძე, არჩევით: ე. ავალიშვილი, ივ. მაჭავარიანი, მიხ. გელევანიშვილი, ვახ. ლამბაშიძე, გრ. ყიფშიძე.

4. ბიბლიოთეკისა და სახალხო კითხვის სექცია: შიო დედაბრიშვილი (თავმჯდ.) და იპოლიტე ვართაგავა. არჩევით: ივანე გომართელი, ვასილ კახიძე და იოსებ მაჭავარიანი.

5. სამუზეუმო სექცია: დავით კარიქაშვილი (თავ-რე) და ს. გორგაძე. არჩევით: კორ. კეკილიძე, ექ. თაყაიშვილი, ალ. საჩაგიშვილი, დავ. გორგაძე, ვას. ყიფიანი და ირ. სონდულაშვილი.

მეორე სტრუქტურული ცვლილება შეეხებოდა აღვილებზე

რწმუნებულების ნაცვლად ფილიალების—განყოფილებების—
შექმნას.

როგორც აღვნიშნეთ, 1907 წლის

ა. წერა-კითხვის საზო-
გადოების აღგილობრივი
განყოფილებანი—ფილია-
ლები.

21 მარტს, ნაცვლად საზოგადოების
ქველი (1879 წ.) წესდებისა, მთავ-
რობის მიერ დამტკიცებულ იქნა-
ახალი წესდება, რომელიც ჯერ კა-
დევ 1905 წელს შეუდგენია დავ-

კარიჭაშვილს და გამგეობისათვის წარუდგენია განსახილვე-
ლად. ამ წესდების § 25 ნათქვამია, რომ „საზოგადოებას უფ-
ლება აქვს გახსნას აღგილობრივი განყოფილებანი, სადაც სა-
ჭიროდ დაინახავს, ხოლო ყოველი განყოფილების გახსნის
შესახებ უნდა შეატყობინოს თბილისის გუბერნატორს“.

ამიერიდან წ.-კ. საზოგადოების ცხოვრებაში ახალი ხანა
იწყება. მანამდე წ.-კ. საზოგადოების გამგეობა თავის ურთი-
ერთობას რაიონებთან რწმუნებულების საშუალებით ახორცი-
ელებდა, რასაც მეტად შეზღუდული ხსიათი ჰქონდა, ნაკლე-
ბად ეფუძრიანი და ნაკლებად ნაყოფიერი იყო. ფილიალების
შექმნამ თითქმის ყველა შეგნებული ქართველი ამონდრავა, სა-
ზოგადოების გარშემო გაერთიანა და კულტურული საქმიანო-
ბით დააინტერესა. 1908—1909 წლებიდან წ.-კ. საზოგადოება
თანდათან მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა. ფილიალების
შესაქმნელად გამგეობამ შეიმუშავა ინსტრუქცია: აღგილებზე
დგებოდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც აღენდა წ.-კ. სა-
ზოგადოების წევრობის მსურველთა სიას; ეს სია, რომელშიც
არანაკლები 30 მსურველისა და მათ მიერ შემოტანილი სა-
წევრო უნდა ყოფილიყო აღნიშნული (3—3 მან.). ეგზავნებო-
და გამგეობას დასამტკიცებლად. მათი საზოგადოების წევ-
ლებად მიღების შემდეგ, აღგილზე იმართებოდა სხდომა, რო-
მელიც გამგეობის წინაშე აღმრავდა ხოლმე საკითხს ფილია-
ლის დაარსების შესახებ, რაც თბილისის გუბერნატორის ნე-
ბართვით ხდებოდა. შემდეგ ამისა კრება იჩიევდა ფილიალის
გამგეობას. ფილიალს ფართო ავტონომიური უფლებები ენი-



შემოდა. მისი საქმიანობა გარკვეულ ტერიტორიაზე უკრაინული რიც იყო, როგორიც მთავარი გამგეობისა კავკასიის სამხრეთუკავკა ში: წევრების შეძნა და საწევროს აკრება, სკოლების გახსნა, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა და მათი ხელმძღვანელობა, საზოგადოების გამოცემათა გაცრცელება, ლიტერატურულ-მუსიკალური სალამოებისა და წარმოდგენების გამართვა, ლექციების მოწყობა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მოწვევა და ხალხისათვის მათი გაცნობა, იუბილეების მოწყობა, ზრუნვა ფილიალის სახსრების გაძლიერების შესახებ. ფილიალის სახსრების 20% (1916 წლიდან 10%) მთავარ გამგეობას უნდა გადამჰავნოდა. განყოფილება, რა თქმა უნდა, თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელი იყო მთავარი გამგეობის წინაშე და მისი საერთო ხელმძღვანელობით მუშაობდა. პირველ წლებში საზოგადოების საერთო კრებაზე განყოფილება თავის წარმომადგენელს გზავნიდა, ხოლო 1917 წლიდან საზოგადოების საერთო კრება განყოფილებათა დელეგატების ყრილობით შეიცვალა, თანახმად 1917 წლის 14 იანვრის დამტკიცებული ახალი დებულებისა, რომლითაც, სხვათა შორის, ზოგიერთთა დიდი ხნის სურვილი ასრულდა, — საზოგადოების წევრთათვის საწევრო გადასახადი ერთი მენეთი დაწესდა¹.

ერთმანეთიანი საწევროსათვის 1909 წლიდან ბრძოლა სწარმოებდა არა მარტო საზოგადოების საერთო კრებებზე, როგორც ზემოთ გვქონდა ორნიშნული, არამედ მის სასარგებლოდ ხმა გაისმოდა ავრეთვე ზოგრ ფილიალის საერთო კრებაზედაც (ციათურა, ფოთი, სოხუმი), მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ 1917 წლის 14 იანვარს დამტკიცებული დებულებით გადაწყდა².

1918 წლისათვის საზოგადოება 49 განყოფილებას იერთიანებდა: ალაგირი, ახალციხე, არმავირი, ბათომი, ბაქო, ბორჯომი, გორი, გუდაუთი, გუმბრი, დუშეთი, ერევანი. ვანი,

¹ სცია, სფ. 481, საქ. № 6891.

² სცია, ფ. 481, საქ. № 7060, ფ. 32.

ზუგდიდი, თელავი, კავკავი, ლანჩხუთი, ლიხაური, ონი, ოჩამ-
ჩირე, ოზურგეთი, სამტრედია, სიღნალი, სენაკი, სოჭისუბაშულ-
მი, სამურაზყანო, ხაშური, ხიდისთავი, ხონი, ქუთაფიშლებისფრე-
ნე, ხაშმი, ფოთი, ქვემო მაჩხაანი, ყვირილა, ცხინვალი, ჭია-
თურა, ჩოხატაური, განჯა, თბილისი, ყარსი, სარაყამიში,
ბორჩალო, გროზნი, პეტროვსკი, ხორაგაული, ვეჯინი.

ამ წელს ზოგი ფილიალი შეიძლება ფაქტიურად არც არ-
სებობდა, მაგრამ მშვიდობიან წლებში მათი წევრებიც ამო-
ძრავებულან და ქართული კულტურული საქმის გარშე-
მო გაერთიანებულან. ბევრ მათგანს დიდი კულტურული საქ-
მე ჰქონდა გაკეთებული და შეძლების მიხედვით იმპერიალის-
ტური და სამოქალაქო ომის პირობებშიც მოქმედებდა.

ფილიალების დაარსებასა და მათ მუშაობას ისეთი დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა წ.-კ. საზოგადოების კულტურული საქ-
მიანობისათვის, მასის ამოძრავებისა და მასში ეროვნული
შემეცნების შეტანის საქმისათვის, რომ საჭიროდ მიგვაჩინია
ზოგი მათგანის ნამოღვაწარის აღნიშვნა მოქლედ მაინც.

ქუთაისის განყოფილება 1909 წლის დასაწყისში ჩა-
მოყალიბდა. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: გიორგი ზდანო-
ვიჩი, იოსებ ოცხელი, იაკობ ფანცხავა, იასონ ბაქრაძე, სილო-
ვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, ბართ. მოსეშვილი, შემდეგ
წლებში: მელანია გველესიანისა, მარიამ ვაჩილოსანიძე, ელის.
ტემელაშვილისა, ისიდორე კვიცარიძე, სვ. ხეჩინაშვილი,
ტრიფონ გაფარიძე, ევტინი ჩხატარაშვილი, გრ. გიორგაძე,
სერგო რობაქიძე, გიორგი ტუსკია და სხვ.

განყოფილების სამოქმედო ასპარეზი იყო ქუთაისის, შო-
რაპნის, რაჭის, ლეჩხუმის მაზრები. 1914 წელს განყოფილე-
ბას 406 წევრი ჰყავდა. 1910 წ. მისი ბიუჯეტი 1.453 მ. ალ-
წევს, 1911 წ.—3.235 მან. 1913 წელს—10.662 მ. 61 კ. გან-
ყოფილებას მელანია და გრიგოლ გველესიანებმა გადასცეს
1.500 მ., ზურაბ გველესიანმა—1.500 მ., პუპი აბაშიძემ საზო-
გადოებას დაუთმო მამული, ღირებული არანაკლებ 6.000 მან.
1911 წელს ქუთაისის განყოფილება 8 ბიბლიოთეკა-სამკი-
ოხელოს ინაზავდა, თითოეულს 8—10 პერიოდულ გამოცემას
უწერდა და თითო თუმნის წიგნები შეუძენია. იმავე წელს გან-

კოფილება² 18 სკოლას გაუწია დახმარება წიგნებით და საუკლესი მატვილო უურნალებით. იგივე გამოორდა 1912 წ. კრიჭიშვილის განყოფილებას ორი საყმაწვილო წიგნი გამოუცია¹.

1913 წ. ქუთაისის განყოფილებამ 18 ბიბლიოთეკის უურნალ-გაზეთებით მომარაგებაზე 1. 297 პ. 40 კ. დახარჯა, თითოზე სა-შუალოდ, 72 პ. 8 კ. სამკითხველოების ვითარებას ამოწმებ-დნენ და გამგეობას ანგარიშს უდგენდნენ ი. ოცხელი, ს. ხუნ-დაძე და სამ. ყიფიანი.

ქუთაისის განყოფილებამ მოაწყო საკუთარი სტამბა, რო-მელსაც შემდეგი მიზანი ჰქონდა დასახული: 1. ქუთაისში სტამბის საქმის სანიმუშოდ დაყენება, 2. განყოფილების სა-გამომცემლო საქვის გაადვილება, 3. განყოფილებისათვის შე-მოსავლის მუდმივი წყაროს გაჩენა. სტამბის საქმეს გამგეო-ბის დავალებით სილ. ხუნდაძე და მ. ღოლაბერიძე ხელმძღვა-ნელობდნენ. სტამბამ მუშაობა დაიწყო 1913 წ. ნოემბერში და 1920 წლის დამლევისათვის მასში 126 სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა.

ბათოშის ფილიალი 1909 წ. თებერვალს დაარსდა. ბათომის ქართულ სკოლას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. პირველი ათეული წელი მას წ.-კ საზოგადოების გამგეობა ინახავდა. 1890-იან წლებში იქ სასკოლო კომიტეტი ჩამოყა-ლიბდა, რომელსაც სკოლის შენახვაც დაეკისრა. ბათომის განყოფილების ხელმძღვანელები იყვნენ: გ. უურული, ნ. ა. საბაშვილი, ექვთ. ბერძნიშვილი, ს. მდივანი, ნ. ნაკაში-ძე, ალ. შატილოვი, ე. კრინიცი, გრ. ელიავა. განყოფილებას მინშვნელოვან დახმარებას უწევდა პაილა აბაშიძე. 1910 წელს განყოფილებას 161 წევრი ჰყავდა, 1914 წელს — 336. ბათომის განყოფილების ბიუჯეტი 1910 წელს 5. 000 მან. აღწევდა, 1913 წელს — 8.761 მან. განყოფილება დავალიანებული იყო. მთავარ გამგეობას ესესხებოდა 3. 000 მან., წინააღმდეგ შემ-თხვევაში სკოლას დახურვა მოელისო. მაგრამ მთავარ გამგეო-ბას გასასესხებელი თანხა არ ჰქონდა. სკოლის ხარჯები ორი მასწავლებლის შემცირებით შეკვეცეს. 1913 წელს სკოლაში 48 ქალი და 99 ვაჟი სწავლობდა, იმათვან 136 მართლმადი-დებელი და 11 მაპმადიანი იყო. 1913 წლიდან ახალმა თავ-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 1091.

მჯდომარემ ექ. გრ. ელიავამ მკეცრად გააუმჯობესა ფილიალის ფინანსური მხარე. ამ წელს განყოფილებაქ შეკრუჭი მუდა 08 კ. შემოუვიდა. სკოლის შენობის შეკეთებულება არ მომავალი მასწავლებლები კვლავ მიიწვევს. ეს პირველი წელი იყო, როცა სკოლას ვალი არ ჰქონდა. ბარცხანაში ბიბლიოთეკა გაიხსნა განყოფილების ხარჯზე. განყოფილებას და სკოლას კარგი მომავალი უჩანდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, სკოლა დაიხურა და მის შენობაში საავადმყოფო მოთავსდა. წ.-კ. საზოგადოების წადილი — აჭარის რომელიმე სოფელში გაეხსნა ქართული სკოლა — განუხორციელებელი დარჩა.

• საქართველოში არსებობდა „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის წესდება თბილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული იყო 1906 წლის 21 დეკემბერს. წესდებაში საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო, საქმიანობაზე არაფერი იყო ნათქვამი.

1914 წელს თურქეთთან ომი დაიწყო, რის შედეგადაც აჭარის მოსახლეობა დიდად დაზარალდა. საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომლის თავმჯდომარე მიხ. მაჩაბელი, ხოლო მდივნად პავლე საყვარელიძე იყო, დიდი მუშაობა გაშალა ომისაგან დაზარალებული და დამშეული აჭარლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. შემუშავებულ იქნა საქველმოქმედო საზოგადოების ახალი წესდება, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1916 წლის 16 იანვარს; ამ წესდების მეორე მუხლის საფუძველზე საზოგადოებას ნება ჰქონდა გაეხსნა სხვადასხვა ტიპის დაწყებითი სკოლები, გამოეცა წიგნები, დაეკრძებინა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვ.!

საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ომში დაზარალებულთა დახმარების საბაბით, ხანგრძლივი მიწერ-მოწერის შედეგად, შესძლო სკოლები გაეხსნა აჭარის შემდეგ სოფლებში: 1. ალამბერში დაწყებითი ორკომპლექტიანი სკოლა, ორი მასწავლებლით, 2. ხუცუბანში — სამკომპლექტიანი, 3 მასწავლებლით, 3. ყოროლისთავში —

¹ სცია, ფ. 422 (107) საქ. № 13657, ფ. 34.

2. ტ. ზუნდაძე

ერთკომპლექტიანი, ერთი მასწავლებლით, 4. ჩხუნტუნეთში—
ერთკომპლექტიანი, ერთი მასწავლებლით, 5. ზემო უჭირავთში—
ერთკომპლექტიანი, ერთი მასწავლებლით, 6. ქუქშით—უქაშება
ში—ერთკომპლექტიანი, ერთი მასწავლებლით, 7. ხულოში
დაარსებულ იქნა სახელოსნოები: სადურგლო, საზეინკლო და
სამჭედლო. ყველა სკოლა სავსე იყო ორივე სქესის ბავ-
შვებით; მოსახლეობა მოითხოვდა კიდევ გაეხსნა საქველ-
მოქმედო საზოგადოებას სკოლები სკოლის გარეთ დარჩენი-
ლი ბავშვებისათვის. ომის საშინელებამ დაანახა აჭარის მო-
სახლეობას, ვინ იყო მისი მტერმოყვარე, მაგრამ მეფის მოად-
გილის კანცელარიის საიდუმლო განყოფილებამ ქართული
საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობაში დაინახა ვიწ-
რო ნაციონალისტური ტენდენციები და პროპაგანდა ქართუ-
ლი სკოლების საშუალებით ხელი შეეწყო ქრისტიანი და
მუსლიმანი ქართველების გაერთიანებისათვის. სასწავლო
უწყებამ ამ სკოლების დახურვა მოითხოვა, იმ საბაბით, რომ
სკოლები დაუზარალებელ რაიონებშია გახსნილი, მაგრამ სას-
წავლო უწყებამ, გაამახვილა რა ყურადღება საქველმოქმედო
საზოგადოებისა და მასწავლებლების საქმიანობაზე, აღნიშ-
ნული სკოლების დაკეტვა ვერ გაძედა¹.

თელავის წ.-კ. საზოგადოების განყოფილების დაარსე-
ბისათვის სამზადისი 1908 წელს დაიწყო; მისი ინიციატორები
ვასილ კახიძე და მისი მეუღლე ანასტასია რაფიელ ერისთავის
ასული იყვნენ. 1909 წ. არჩეულ იქნა განყოფილების გამგე-
ობა მაქსიმილიან ჭავჭავაძის, ვას. კახიძის, ნიკითორე მამინაი-
შვილისა და სხვათა შემადგენლობით.

1911 წლის სექტემბერში განყოფილებას სკოლა გაუსსნია,
რომელშიც 24 ვაჟი და 16 ქალი მიუღიათ. აღსანიშნავია, რომ
მოწაფეები თითქმის ყველანი გლეხის შეილები ყოფილა და
უმთავრესად, მახლობელი სოფლებიდან.

1913 წელს თელავის განყოფილებას 82 წევრი
ჰყავდა. მას 1915 წელს თელავის მაზრაში ხუთი სამკითხვე-
ლო ჰქონდა გახსნილი. ილია ზარაფიშვილმა თელავის გან-

¹ სცია, ფ. 422 (107), საქ. № 13657, ფ. 2, 3:

ყოფილებას სახლი უანდერბა, რომელიც, დაახლოებით
5—6 ათასი მან. ღირდა. სოფით ვახვახიშვილის ასულმა გან-
ყოფილებას 1.800 მანეთი შესწირა. ყვარლის ინტენსიურობა
მამული, რომელიც თავადაზნაურობამ შეისყიდა შ. 344 მა-
ნეთად და წ.-კ. საზოგადოების მთავარი გამგეობის მეშვეო-
ბით თელავის განყოფილებას გადაეცა მოსავლელად და სა-
სარგებლოდ, ვერ იქნა გამოყენებული, რადგან მის აღსადგე-
ნად 5.600 მ. იყო საჭირო, რაც თბ. თავაზაზნაურობამ არ
გაიღო.

თელავის განყოფილებას ნიკ. მამინაშვილის მეთვალყუ-
რეობით სანიმუშოდ ჰქონდა დაყენებული წიგნის მაღაზიის
მუშაობა, რისთვისაც მის გამგეს მარიამ კურდლელაშვილს
1911 წელს საერთო კრებამ მუყაითი და სასარგებლო მუშაო-
ბისათვის მაღლობა გამოუცხადა.

1912 წლის ანგარიშში განყოფილების სახელით ვასილ
კახიძე წერდა მთავარ გამგეობას: „მიმდინარე 1912 წელს თე-
ლავის განყოფილების მოქმედების უმთავრეს მიზანს შეად-
გენდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების აღორძი-
ნებაო“¹.

ბ ა ქ ი შ ი წ.-კ. საზოგადოების ფილიალის დასაარსებ-
ლად სამზადისი დაწყებულა მასწავლებლის რაედენ ნაცვლა-
შვილის ინიციატივით. განყოფილება 1909 წლის მაისში
გახსნილა საზემო ვითარებაში. მისი ხელმძღვანელები იყვ-
ნენ: მიხ. თაქთაქიშვილი, სვ. კვიტაიშვილი, რაე. ნაცვლიშვი-
ლი, ლალო ახობაძე; შემდეგ იოსებ დადიანი, იაკობ მაძვე-
რაშვილი, პლ. გელოვანი, ვასილ ახვლელიანი და სხვ. ბაქო-
ში იმ დროს 4—5 ათასი ქართველი ცხოვრობდა. 1913 წელს
განყოფილებას 101 წევრი ჰყავდა. ამ წელს გამართულ სა-
ლამოდან 4.406 მან. შემოუვიდა განყოფილებას. თითოეუ-
ლი ქართული სალამ 1.500—2.000 მან. წმინდა შემოსავალის
ტოვებდა. 1909 წელს განყოფილების შემოსავალი 3.424 მან.
უდრიდა, ვასავალი—1923 მან. ამ წელს შეიქმნა სასკოლო ფონ-
დი, რომელშიც ხელისმოწერით 6.324 მან. შემოვიდა. ამავე
წლის სექტემბერს ბაქოში დაარსდა ქართული სკოლა, სადაც

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 2059.

პირველ წლებში ყველა საგანი, გარდა ქართულისა, რუსულის ისწავლებოდა, რომ შემდეგში ბავშვებს მთავრობის მცირებულება გეობამ მიუთითა, რომ ქართულ სკოლას მოსამზადებელი მიზანი არა აქვს და შემდეგში ისწავლება ამ სკოლაში ქართულ ენაზე წარიმართა და რუსული ენაც, როგორც საგანი, სათანადოდ ისწავლებოდა.

ბაქოს სკოლაში უსასყიდლოდ მასწავლებლობდა ვასილ ხიდაშელი. ამავე წლებში იაკ. მანსვეტაშვილის უხვი დახმარებით ბაქოს განყოფილებას სკოლისათვის შენობა და სათეატრო დარბაზი აუგია, რაც 30.000 გ. დამჯდარა. განუყოფილებების მიერ გახსნილ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს ჭრონდათ არა მარტო საგანმანათლებლო მნიშვნელობა, არა მედ მათ გარშემო ერთიანდებოდა ადგილობრივი ქართული საზოგადოება და ზრუნავდა კულტურული საქმეების აღორძინებაზე.

ბაქოში დრამატიული დასი 1903 წლიდან არსებობდა, რომელიც უსასყიდლოდ მუშაობდა. მისი ოეკისორი იყო ნინო გამრეკელი-თორელი, მსახიობი — ეფემია მესხი-გეპნერისა. წარმოდგენებს დიდალი ხალხი ესწრებოდა, უმთავრესად ჟუშები. 1913 წელს ბაქოში სულ 29 წარმოდგენა გაუმართავთ, თითოეულს, საშუალოდ 282 კაცი დასწრებია. იუბილე ზოუწყვეს ლადო მესხიშვილს, სალამონ გაუმართეს დ. კლდიაშვილს, იოსებ გრიშაშვილს. ბაქოში ჩამოყალიბდა აგრეთვე ქართველ მომღერალთა გუნდი. ვლადიმირსკის ხელმძღვანელობით, რომელშიაც უსასყიდლოდ 17 ვაჟი და 13 ქალი მონაწილეობდა:

1916 წლის მაისში ბაქოს სახაზინო სასწავლებლების 60 ქართველ მოწაფეს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ ბაქოს სკოლასთან მათთვის მოწყობილიყო ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შემსწავლელი კურსები. ამის შესახებ გ. ყაზბეგს მართლაც აღუძრავს შუამდგომლობა სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, მაგრამ ამ შუამდგომლობის შედეგები არა ჩანს!

* ხცია, ფ. 481, საქ. № 3075, ფ. 20—22.
100

იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ ბჭელი განვითარების ფილების ქართულ სკოლასთან ომისაგან დატანა განვითარების ქართველ მაპმარიან ბავშვთათვის თავშესაფარი მოუწყვია. მოყვანილი ამ ცირქ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ ბაქოს ქართველობას 1909—1915 წლებში ფილიალის ხელმძღვანელობით საქმაოდ დიდი და შინაარსიანი კულტურული მუშაობა ჩატრარებია.

სოფ. ქვემო მაჩხანში განყოფილება 1913 წ. დაარსებულა ეგნატე მენოვაშვილის ინიციატივით. ამ განყოფილებას 64 წევრი ჰყოლია. იოსებ ტუკუშაშვილმა განყოფილებას დაუთმო 7.000 მანეთად ღირებული სახლი. განყოფილებას სამკითხველოები დაუარსებია ქვემო მაჩხანში და ჭუგაანში, დაუდგამთ ხუთი ყულაბა ფულის შესაგროვებლად; საღაც სამკითხველო არ იყო, 80 მ. წიგნები დაუგზავნიათ და მასშავლებელთათვის დაუვალებიათ გლეხებისათვის წაეკითხათ წიგნები.

სოფ. ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა) აფთიაქის გამგის ივ. ანდონულაძის ინიციატივით და მასშავლებლების—პარ. ჭანიშვილის, ბათ. მეგრელიძის, ტიხონ ჭეიშვილის და ორაკლი ქორიძის ხელმძღვანელობით განყოფილება 1913 წ. დაარსებულა, 53 წევრი გაუერთიანებიათ, ხიდისთავში სცენა გაუმართავთ. ხიდისთავში, ხევში, ლესაში და ერკეთში სამკითხველო დაუარსებიათ. მათი საბრუნვი თანხა 800 მ. შეადგენდა.

ზუგდიდის განყოფილების ხელმძღვანელები იყვნენ აქვსენტი ფალავა, ნიკო ბუკია, სოკრატ კეშელავა, კარო კედია, ტრ. ჯოხთაბერიძე და სხვანი. განყოფილებას სახსრების შეგროვებაში დიდ და უანგარო დახმარებას უწევდა მაზრის უფროსის მეუღლე რ. ტ. ჩერნოვა. 1914 წელს განყოფილება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს ინახავდა. ზუგდიდში, ხობში, დარჩელში, წალენჯიხაში და ქვალონში. 1915 წელს განყოფილებამ სკოლა დააარსა ზუგდიდში. განყოფილებას 1915 წელს 148 წევრი ჰყავდა; მისი ბიუჯეტი 1.681 მ. უდრიდა.

ახალციხეში განყოფილების დაარსების აუცილებ-



ლობის შესახებ ადგილობრივი ფოსტის მოხელე პუნქტზე დაძე 1908 წ. სექტემბერში გამგეობას სწორდა: „Непременно следует открыть отделение для воскрешения грузинского дела в Ахалцихе...“

მაგრამ ახალციხის განყოფილების ხელმძღვანელთა შორის, სიფხიზლის მოდუნების გამო, გამგეობაში გაძვრა ერთი ადგილობრივი მოლა, რომელიც თურქეთის აგენტი აღმოჩნდა, და, გარდა ამისა, გამგეობის წევრთა შორის დაწყებულმა ინტრიგამ, რომელიც ისე გამწვავებული იყო, რომ მთავარი გამგეობის მიერ მივლინებულმა დავ. კარიჭაშვილმაც ვერაფერი გააწყო და წესრიგი ვერ დაამყარა. ახალციხის განყოფილება უმოქმედო და უუნარო აღმოჩნდა მაშინ, როდესაც იქ კულტურულ ასპარეზზე მრავალი სამუშაო იყო და მთავარი გამგეობა 1890-იანი წლებიდან აქცევდა იმ მხარეს დიდ ყურადღებას.

ფოთის განყოფილება 1910 წელს გაიხსნა; მისი ხელმძღვანელები იყვნენ: იონა მეუნარგია, კოსტ. გამყრელიძე, ვლ. გაგუა, ნიკო ნიკოლაძე, ლავ. წულაძე, იოს. კოხეიძე, ა. უვანია, იასონ ალექსიშვილი, ანდრია ქავთარაძე, გ. აბაშიძე, ნ. კვიუინაძე, ანა მიქაბერიძისა და სხვ. ამ წელს მასში 73 წევრი ირიცხებოდა. მთავრობამ განყოფილებას მოზრდილთა სკოლის გახსნის ნებართვა არ მისცა. ფოთიში იმ დროს 10.000 მცხოვრებზე 9 დაწყებითი სკოლა ყოფილა 867 მოსწავლით; დაწყებითი სკოლის საჭიროება არ იყო და ამიტომ გამგეობას ეს საკითხი არ აღუძრავს. არსებულ სკოლებს გამგეობა 90 მ. ქართული წიგნით დაეხმარა.

1912 წ. საერთო კრებამ დაადგინა საწევროს შემცირება. ორ მანეთამდე. 1912 წელს ფოთის გარეუბნის, მუშაო რაიონის—„ნაბადის“ მოსახლეობამ 150 კომლის ჩაოდენობით შუამდგომლობა აღძრა განყოფილების წინაშე დახმარებოდა მოსახლეობას სკოლის გახსნაში, რაღაც ბავშვები ფოთის სკოლებში სიშორისა და უგზობის გამო ზამთარში ვერ დადიან, 12—13 წლის ბავშვები წერა-კითხვის უცოდინარი არიან და 80 ბავშვი სკოლის გარეშე არის დარჩენილიო. განყოფილების ხარჯით „ნაბადის“ სკოლა 1913 წლის 1 ოქტომ-

ბერს გახსნილა; მასში 18 ვაჟი და 11 ქალი მიუღიათ. სკოლა შეუმოწმებია წ.-კ. საზოგადოების სკოლათა მეთურცულურულები გრ. ბურჭულაძეს და მისი მდგომარეობა არადამტკურებული ლებლად უცვნია მასწავლებლისა და სასკოლო ბინის უვარებისობის გამო.

სოჭაში განყოფილება დაარსდა 1914 წელს. 1916 წლის მარტს გახსნეს სამკითხველო, გამართეს ქართული საღამო. სულ იყო საზოგადოებაში 50 წევრი.

სოხუმში განყოფილების დაარსების ინიციატორები იყვნენ ანთიმოზ ჭულელი, მარიამ ნიკო დადიანის ასული ანჩაბაძისა¹ (განკ. თავ-რე), ნ. თავდგირიძე და სხვანი. 1910 წლის თებერვალში საერთო კრებამ დაადგინა: სექტემბერში აუცილებლად გაეხსნა ქართული სკოლა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი; აგრეთვე დაუყოვნებლივ შესტომოდა სკოლისა და თეატრისათვის შენობის აგებას, რაც დაახლოებით 30.000 მან. დაკდებოდა. სკოლის გამგედ და მასწავლებლად ნიკო ჭანაშია იქნა მოწვეული, 1911 წელს მეორე მასწავლებლად დაინიშნა ცაიშის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი, ცნობილი პოეტი ნოე ქურიძე (ზომლეთელი); 1912 წ. მესამე მასწავლებლად თამარ თაყაიშვილი დანიშნეს. ამ წელს სამ განყოფილებაში 142 ბავშვი სწავლობდა. 1913 წელს სკოლაში 92 ბავშვი იქნა მიღებული. სკოლის მუშაობით ყველანი ქმაყოფილი იყვნენ, მათ შორის ლუარსაბ ბოცვაძე, რომელმაც 1912 წ. მთავარი გამგეობის დავალებით დაათვალიერა სოხუმის ქართული სკოლა. 1912 წ. სექტემბერში სკოლა საკუთარ შენობაში გადავიდა, სადაც საქლასო ოთახი უკვე მზად იყო, ხოლო შემდეგ მშენებლობა შეჩერებულა უსახსრობის გამო. სკოლისა და თეატრის დასაწავრებლად საჭირო იყო 7—8 ათასი მანეთი, რისთვისაც მარიამ ანჩაბაძისა მთავარ გამგეობას დაესესხა 10.000 მარკ. გამგეობის სახელით მ. ანჩაბაძე და ნ. ჭანაშია წერდნენ მთავარ გამგეობას 1912 წ. იანვარს: „სკოლა არის ყოველივე საძირკველზე უმაგრესი და ამიტომ ყოველი ქართველი კაცი

¹ მარიამ ანჩაბაძისა იყო ასული ნიკო დადიანისა, და შალვა დადიანისა.



უნდა ცდილობდეს ეს საძირკველი გაამკვიდროს. იშვიათ არსად საქართველოს საზღვარი შესუსტებული, პოლონეთი აფხაზეთში¹. მაგრამ მთავარი გამგეობას ასეთი თანხა გაისა-სქსებლადაც არ აღმოაჩნდა და სოხუმის განყოფილება მისი ენერგიული თავმჯდომარის — მარ. ანჩაბაძის ხელმძღვანე-ლობით იძულებული გახდა ისევ ადგილობრივ გამოენახა ეს აუცილებელი რესურსები სკოლისა და თეატრის შენობების დასამთავრებლად; ეს თანხები შედგებოდა: საწევროდან, შემოწირულებიდან, საღამოებიდან, სკოლის შენობის ასავე-ბად გამართული ხელისმოწერიდან.

როგორც მთელ საქართველოში, ისე სოხუმშიც ყოველ-წლიურად 14 იანვარს იმართებოდა ტრადიციული საღამო. 1910 წელს ასეთი საღამოდან სოხუმის განყოფილებას შე-მოუვიდა 354 მან., 1911 წელს — 602 მან.; 1912 წელს — 1042 მ.; 1913 წელს — 1556 მან².

ამ წელს საზოგადოებას 355 წევრი ჰყავდა, რომელთაგან საწევრო 711 მ. შეგროვდა. ბახვა გაბუნიამ სოფ. ათარაში სკოლას 40 ქცევა მიწა შესწირა, ილარიონ მალლაკელი-ძემ სკოლას 600 მ. შესწირა, არჩილ იოსელიანშა — 1000 მანეთი. 1912 წ. სკოლის სასარგებლოდ თანხების შესაგრო-ვებლად ხელისმოწერა გაუმართავს გამგეობას, რაზედაც ხე-ლი 328 კაცს მოუწერია — 12.000 მ. 80 კ. რაოდენობით, რომ-ლიდანაც 6.685 მ. 55 კ. ხელის მოწერის დროს აუკრეფიათ, ხოლო 5.323 მ. 25 კ. ასაქრები დარჩენილა. ასეთი ენერგიუ-ლი ღონისძიებით სოხუმის განყოფილება განაგრძობდა სკო-ლისა და თეატრის შენობების აგებასა და სკოლის მიმდინარე ხარჯების გასტუმრებას, რაღვან, როგორც აღნიშნავდნენ თავის მოხსენებაში მარ. ანჩაბაძისა და ნ. ჯანაშია, სოხუმში უველი ქართველს შეგნებული პქონდა დიდი პედაგოგის უშინსკის სიტყვები: „წაართვით ერს ყველაფერი, ისევ ერად დარჩება, წაართვით მას ენა, ის ალიგვება დედამიწის პირიდან, აგრეთვე გრ. ორბელიანის სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დოცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა შემინდას“³.

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 3035, ფ. 50.

² 1 2, 3. სცია, ფ. 481, საქ. № 3035, ფ. 79, 103, 62—63.

³ 1 2, 3. სცია, ფ. 481, საქ. № 3035, ფ. 66, 58, 80, 97.



სოხუმის განყოფილების ხელმძღვანელები სხვა მრჩეულებები და დილობდნენ ეროვნული თვითშეგნების შეტანაში მცხოვრებ ასე მაგალითად, განყოფილების თავმჯდომარებ მ. ნ. ანჩაბაძის 1912 წლის 24 ივნისს რომ საერთო კრება გახსნა, დამსწრეთ აცნობა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაიცვალნენ: ი. ს. გოგებაშვილი, დ. ზ. სარაჯიშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, მიხეილ თამარაშვილი, ვინმე მესხი გვარამაძე და თან მოქლე სიტყვაში დაახასიათა თვითეული მათგანი. ოლსანიშნავია, რომ 1913 და 1914 წლებში სოხუმის განყოფილების საერთო კრებებზე წამოჭრილა საკითხი საზოგადოების საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ, შავრამ ორივეჯერ ხმის უმრავლესობით კრებამ შეუძლებლად სცნო იმედად საწევროს ერთმანეთამდე შემცირება.

1914 წლის მარტში სოხუმის სკოლა დაათვალიერა წ.-კ. საზოგადოების სკოლათა მეთვალყურემ გრიგოლ ბურჟულაძემ, რომლის მოხსენებიდან ჩანს, რომ სკოლაში ამ დროს 160 მოწაფე ყოფილა, ამათგან 60 გოგონა; „ნიკო ჯანაშია ფრიად დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებელია, პირნათლად და თავდადებით ასრულებს თავის საპასუხის-მგებლო მოვალეობას, რისთვისაც დიდი მადლობის ლირსია“.

გუდაუთის განყოფილება 1912 წ. დაარსებულა. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: დიმ. ნადარეიშვილი, მარ. საბაშვილი, ნიკ. გულივერდაშვილი, ვარ. და ირ. მასხულიები, იასონ გვაზავა, ნადეჟდა გიგაური, კირ. პაჭკორია. 1913 წელს გან-ში 86 წევრი ყოფილა გაერთიანებული, 1915 წ.—101. 1913 წ. ნინოობის დღიდან განყოფილებას 221 მ. 67 კ. შემოსევლია, საწევრო — 258 მ. მეტის მოადგილემ სკოლისათვის მიწის გამოყოფაზე უარი უთხრა, ეს განყოფილება 1917—1918 წლებშიც არსებობდა, როდესაც სხვა უფრო ძლიერი განყოფილებანი იყეტებოდა და სკოლები იხურებოდა; ამ წელს გუდაუთში არსებობდა ქართული სკოლა ორი განყოფილებით.

ახალსენაკში განყოფილება 1909 წელს დაარსდა, მისი ხელმძღვანელები იყვნენ: ოლღა ხოფერია (თავმჯდ), პოლიკარპე. ლორთქითანიძე (მდივანი), ანასტ. ჭკადუა, გ. მალნარაძე, გ. გამზარდია. ცნობილი მოღვაწის სპ. ნორაკიძის ქვრივს



განყოფილებისათვის 424 წიგნი შეუწირავს. ლატერატურული მეცნიერება განვითარება. მხედვები ერთი ულელი ხარ-კამეჩი, ხოლო ხ. მიქელაძე ერთი მოზევერი შესწირა განყოფილებას. იყო აგრეთვე ფულადი შემოწირულებაც. ამ სახსრებით სენაკის განყოფილებამ ბიბლიოთეკა-სამყითხველოები გახსნა სენაქში, სეფიეთში, ონტოფოში, აბედათში, ნოქალაქევში. სენაკის ბიბლიოთეკა კარგად იყო მომარაგებული წიგნებითა და უურნალ-გაზეთებით.

სახსრების გასაძლიერებლად განყოფილება აწყობდა სეირნობებს, სპექტაკლებს, საჯარო ლექციებს, მასკარადსა და სასიმღერო საღამოებს. განყოფილებას 70-მდე ნაზდვილი წევრი ყავდა.

ჩვენ აქ წ.-კ. საზოგადოების სხვა განყოფილებათ
საქმიანობაზე არ შევჩერდებით; ფილიალების საქმიანობა
ნათელად უნდა იყოს. აღვნიშვნავ მხოლოდ,
რომ კავკავის განყოფილების მუშაობა ისეთი მოცულო-
ბისა იყო, როგორიც ბაქოსა და სოხუმის ფილიალებისა;
სხვები კი დაახლოებით სენაკის განყოფილების მასშტაბით
მოქმედებდნენ.

საერთოდ კი, ფილიალების დარსებამ დიდად შეუწყონ ხელი წ.-კ. საზოგადოების მუშაობის გაშლასა და გაღრმავებას, საზოგადოების მასობრივ ორგანიზაციად გარდაქმნას, ქართველი ხალხის გათვითცნობიერებასა და მისი კულტურული დონის ამაღლებას.

1909—1910 წლის საანგარიშო

6. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლები.

რიცხვი სკოლებისა გაუმართავს... და თვით დაარსებული სკო-
ლები და ბიბლიოთეკები ვერ არის მტკიცე ნიადაგზე დამყარე-
ბული. ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა მოსპობა საზო-
ბული. გადოების ხელი არ არის. ეჭვს გარეშეა, მთელი ყურადღება
საზოგადოებისა წერა-კითხვისა და პირველდაწყებითი განათლე-
ბის საქმისადმი რომ იყოს მიქცეული, ამ სფეროში ბევრი რამ
გაკეთდებოდა. დრომ და ვითარებამ ათასი სხვადასხვა საქმე



დააკისრა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებული კუფურული საქმეების მოწესრიგებამ მისი უპირველესი საგანი მატკეშისმა ეპ მეორე რიგზე დააყენა და ბწვივლა-განათლების საქმე ძლიერ შეაფერხა".

1909 წლის 13 დეკემბერს საზოგადოების საერთო კრებაზე მისმა თავმჯდომარეობ გ. ყაზბეგმა სკოლების შესახებ დღიუშნა, რომ საკუთრივ საზოგადოების კმაყოფაზე არსებული ხუთი სკოლა ვერ აკმაყოფილებს ვერც პედაგოგიისა და გერც საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამის უმთავრესი მიზეზია: 1. ფულადი სახსრების უქონლობა, 2. მომზადებულ მასწავლებლების უყოლობა, 3. სკოლების საჭირო კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე დატოვება. პრინციპულად გამგეობა იმ აზრისაა, რომ უმჯობესია სკოლათა რაოდენობა ნაკლები იყოს, მაგრამ კარგად იყოს დაყენებული, ვიდრე მრავალი სკოლა გვერდეს და თავიანთი დანიშნულებისათვის შეუფერებელი. არსებული სკოლებიდან გამგეობა არც ერთს არ დახურავს. სასურველი მასწავლებლის არჩევა ძნელი ხდება, რადგან სოფლად მუშაობა ძნელია და 25—30 მანეთად მომზადებული მასწავლებლის შოვნა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი მასწავლებელთა კონტინენტის მომზადების დონე საშუალოზე ნაკლებია. გამგეობას განხრახული აქვს თანდათანობით მასწავლებლის ხელფასი 50 მანეთამდე აიყვანოს. გამგეობას განხრახული ჰქონდა 1909 წლის ზაფხულში მოეწვია თბილისში მასწავლებელთა კონფერენცია მათი კვალიციაციის ასამაღლებლად და ახალი პროგრამის შესამუშავებლად, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო კურსებზე მეცადინეობა ქართულ ენაზე წარმოებულიყო. სკოლებს უნდა მიეცეთ პროფესიონალური განხრა და მიღებულია ზომები ორი ინსტრუქტორის მოსამზადებლად საფეიქრო საქმისათვის. საჭიროა აგრეთვე სკოლათა ინსპექტორის მოწვევა. ეს უკანასკნელი დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელებულ იქნა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შემდეგ წლებშიც ჩიოდა სხვა საქმეებით გადატვირთვას. 1911 წლის 21 აპრილის საერთო კრებაზე გამგეობა აღნიშნავდა: "... თანდათანობით ლიკვიდაცია უნდა ეყოს ზემდეტ საქმეებს; წ.-კ. საზო-



გადოება უნდა განიტვირთოს იმ საქმეებისაგან, რომელიც მართვის წესდებას არ შეეფერება, მით უფრო, რომ ეხლა დაარსდა რიგი კულტურული საზოგადოებებისა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფილარმონიული, სიტყვაკაზმული მწერლობისა და სხვ., რომელთანაც შეიძლება შრომის განაწილება, ხოლო განახლებული წ.-კ.-ის საზოგადოება უნდა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ საქმეს, ე. ი. გაშლის პირველდაწყებით სკოლების ქსელს სამშობლო ენაზე სწავლებით¹. მაგრამ გამგეობა ამ „ზედმეტი“ საქმეებისაგან წლების განმავლობაში ვერ განთავისუფლდა და მისი პირვანდელი და ძირითადი ამოცანა კვლავ უკანა რიგში დარჩა.

აქ უნდა აღვნიშნოთ წ.-კ. საზოგადოების ერთი მეტად მნიშვნელოვანი განზრახვა—1907 წლს ქართული სკოლის გახსნა ფერეიდანში (ირანში) მე-17 საუკუნის დასაწყისს შაპ-აბაზის მიერ იქ გადასახლებულ და დღემდე შემორჩენილ ქართველებისათვის. 1907 წლის იანვარში ფერეიდანიდან საქართველოში ჩამოვიდა ორი ფერეიდანელი ქართველი—ყოლამ-ჰოსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-ჩეზა ხუციშვილი საქართველოს გასაცნობად და ქართული წერა-კითხვის შესასწავლად. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ფერეიდანელი ქართველების მიმართ; მათი მონაწილეობით საღამო-ლექციები მოეწყო საქართველოს დაბა-ქალაქებში—თბილისში, ქუთაისში, ხონში, ბათომში, ფოთში, სენაკში, ბორჯომში, ბაკურიანში, კიათურაში, ოზურგეთში, ახალციხეში, გორში, სოხუმში, კახეთის დაბა-სოფლებში. რამდენიმე თვეში ხუციშვილმა და ონიკაშვილმა ქართული წერაკითხვა იმდენად შეისწავლეს, რომ ისინი ფერეიდანში დაბრუნებულნი, თავიანთ მეზობლებს წარმატებით ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას. მაგრამ წ.-კ. საზოგადოების დაღვენილება—გაეხსნათ ფერეიდანში ქართული სკოლა და ამ მიზნით იქ მასწავლებელი გაეგზავნათ, რისთვისაც საკმაო თანხა იყო საქართველოში შეგროვებული, არ მოხერხდა პოლიტიკური და სხვა მიზეზების გამო².

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 3035, ფ. 74.

² სცია, ფ. 481, საქ. № 4033, ფ. I-II.

1910 წელს წ.-კ. საზოგადოება 13 სკოლას ხელმძღვანელობდა. ამათში 8 სკოლას გამგეობა ან მისი განყოფებულება ინახავდა—ქავეპის, ბათომის, ბაქოს, სოხუმის, უზუანერტესევა ყალამშის და საგურამოს (ილია ჭივჭავაძის სახელმძისა). ორ სკოლას—ქუთაისის სააზნაუროსა და ძველ სენაკში მის განუოფილებას—ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი, ხოლო ოთხ სკოლას ინახავდა წ.-კ. საზოგადოება სოფლისა თუ ქალაქის დახმარებით, სახელმობრ, წინარეხის, გიორგიშვილის, საგარეჯოსა და ნაეთლულის სკოლას.

საგურამოში—ილიასეულ სახლში—სკოლა 1909 წლის 9 იანვარს გაიხსნა. გომარეთის სკოლა, რომლის დასაარსებლად თავის დროზე უქვთიმე თაყიაშვილმა დიდი შრომა გაწია, 1909 წელს მასწავლებლის დაუდევრობით ჩამოქვეითებული ყოფილა, ხოლო თავი მასწავლებელს იქ სწავლის საქმე გაუუმჯობესებია. ნავთლულის სკოლა 1909 წლის ლინიბის-თვეს გახსნილა. იქ ხელსახმესაც ასწავლიდნენ.. ორ მასწავლებელს 20—20 მანეთს ხელფასად აძლევდა გამგეობა, ხოლო ქალაქისაგან 500 მ. დახმარება პქონდა წლიურად შეპირებული.

იქ, სადაც მასწავლებელი ზარმაცი და უქნარა იყო, სკოლისათვის ხარჯების გაღებაზე გლეხობა უარს ამბობდა და სკოლა იქეტებოდა. ასე გაუქმდა, მაგ., დიდი თონეთის სკოლა, სადაც აღრე 80-იანი წლების დასაწყისში წარმატებით მუშაობდნენ ჯერ საზოგადოების სტიპენდიით გორის საოსტატო სემინარიაში აღზრდილი ბესარიონ ჭილაძე, შემდეგ—ვაკაციაველა.

სოფ. წინარეხის სკოლა, დაარსებული ნაწილობრივ აღგოლობრივი გლეხების ხარჯზე 1882 წელს, ბევრჯერ ბეწვეუეკიდა, მაგრამ შემდეგ, გ. გიუნაშვილის სიბეჭითისა და მხნეობის შედეგად, სანიმუშო გამხდარა: „წესიერება სკოლაში და დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის წუნდაუდებელია“, წერს რევიზიის შედეგად ლუარსაბ ბოკვაძე. ფილიპე მგელაძის გამორკვევის მიხედვით ს. საგურამოს სკოლის მოწაფეები არ ყოფილან სათანადოდ მომზადებულნი და ამიტომ სკოლაში კვლავ ორი განყოფილება დარჩა.

წელთუბნის სკოლა, დაარსებული 1884 წელს, გაუქმდა 1906 წ. მისი მზრუნველი იყო ანასტასია თუმანიშვილი და მის მემკვიდრეობის წელს სახალხო სკოლათა დირექტორი ითხოვდა, სკოლის შენობა, 1888 წ. აგებული, მისთვის გადაეცათ.

1911 წლის პრილში საზოგადოების საერთო კრებაზე ნიკო ელიავამ უსაყველურა გამგეობას—საგარეჯოს სკოლა რატომ დახურეთო. სკოლის გაუქმება არ არის სასურველი, განსაკუთრებით კახეთში. ლუარსაბ ბოცვაძემ უპასუხა: სკოლა თვით სოფელმა გახსნა, მაგრამ ხარჯების გალება ვერ შესძლო, ჩვენ დაპირების თანახმად ვებმარებოდითო.

1904 წელს საზოგადოების დახმარებით სოფ. ყალამშაში (ბორჩალოს მაზრა) დაარსებული სკოლა, უბინაობის გამო ხშირად უმოქმედოდ იყო. 1913 წელს მასწავლებელ გრიგოლ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით აქ სოფლელებმა სკოლის შენობა ააგეს და სწავლაც გაჩაღდა. 1908 წ. ს. გიორგიშვილის საზოგადოების დახმარებით სოფლელებმა დააარსეს დაწყებითი სკოლა, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა გულგრილობის გამო დაიხურა. 1911 წ. სკოლათა ინსპექტორი ითხოვს იღნიშნული სკოლის შენობის განთავისუფლებას, რადგან მასში დირექტორი თავისი სკოლა უნდა გახსნასო.

1912 წელს სკოლა გაიხსნა ს. ატენში; თანახმად შეპირებისა, მოსახლეობას 2—2 მანეთი უნდა გადაეხადა თვითეულოვაზე, მაგრამ გლეხები ბავშვებს არ გზავნიდნენ სკოლაში, სანამ მასწავლებელმა მარკოზაშვილმა ხმა არ დააგდო—სკოლა უფასოა, და ითხოვდა გამგეობისაგან სოფლის გადასახადისაგან განთავისუფლებას.

გამგეობამ დაადგინა: 1914 წლის პირველ ენკენისთვიდან გაიხსნას დაწყებითი სკოლა სოფ. ვარიანში და მიეცეს 600 მან. მას შემდეგ, რაც წ.-კ. საზოგადოების განყოფილებანი დაარსდა, მათ ევალებოდა სკოლების გახსნა და გახსნილი სკოლების მოვლა-პატრონობა. სიღნაღის განყოფილება 1914 წელს შეუამდგომლობს სიღნაღში სკოლის გახსნას თავის ხარჯზე.

ვერ კიდევ 1913 წელს წ.-კ. საზოგადოების საერთო კრებაზე გამოითქვა აზრი, რათა სკოლები ისეთ ადგილებში გახს-

ნილიყო, სადაც ქართულ კულტურას მეტი საფრთხე ემუშავდა, სახელდობრ სამეგრელოში, საინგილოსა და მარტინიშვილი დომი.

1914 წლის 3 ივნისს გამგეობამ დაადგინა: გახსნას სკოლა ნალჩიკში და მიეცეს წლიური დახმარება 480 მან., აგრეთვე სოფ. ბორბალოში (თბილისის მაზრა) და მიეცეს მასწავლებელს თვეში 30 მანეთი. მალე სკოლა გაიხსნა სოფ. მოიდანახეში (ზუგდ. მაზრა), რომელსაც ინახავდა მთავარი გამგეობა, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით.

თერგის ოლქის სახალხო სკოლათა ღირებულობი შელიაევი კავკავისა და ნალჩიკის სკოლებს სამინისტროს სასწავლებლად სთვლილა და ცდილობდა წ.-კ. საზოგადოებისათვის ჩამოერთმია ისინი.

წერა-კითხეის საზოგადოება და მისი გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ და მზრუნველობას იჩენდნენ ბათომის სკოლისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ბათომის სკოლას კარგი მასწავლებლები ჰყავდა — ივლ. გოგოლაშვილი, ალექსანდრე მგელაძე, მარო ლომინაძე, ი. კალანდაძე და სხვანი, მაპმადიან ქართველთა მიზიდვა სკოლაში მძიმედ მიმდინარეობდა. ამ სკოლაში 1908 წელს¹ 133 მოწაფე სწავლობდა.

1909 წელს ბათომის ოლქის სოფ. ურეყას ქართველ მაპმადიანებს შუამდგომლობა აღუძრავთ წ.-კ. საზოგადოების წინაშე ქართული სკოლის გახსნის შესახებ. გამგეობა დაპირდა, თუ სოფელი სკოლის შენობას და საჭირო ავეჯს შეიძენდა, გამგეობა მასწავლებლის ხელფასს გაისტუმრებდა და მოწაფეებს უზრუნველყოფდა წიგნებით.

მთავრობამ უარი უთხრა ქობულეთის მოსახლეობას თხოვნაზე შემოელოთ ქობულეთის ორკლასიან სასწავლებელში ქართული ენის სწავლება¹.

1909 წელს იაკობ გოგებაშვილმა სთხოვა გამგეობას გაეგზავნა მისი საფასით 500 ც. „დედა ენა“, I ნაწილი ოსმალე-

¹ წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას შუამდგომლობა პქონდა აღძრული ს. ქობულეთში მის ხარჯზე სკოლის გახსნის შესახებ, რასაც ზელი შეუშალა 1914 წ. დაწყებულმა ომშა.

ოის ქართველებისათვის. უოველივე ეს იმას მოწმობს ტრონი ქართველი მაჰმადიანები ქართული ენისა და ქართული სიმღერა ტურის გაცნობასა და შეთვისებას ცდილობდნენ.

კავკავის სკოლა, რომელიც ადრე, როდესაც იქ ლუარ-საბ ბოცვაძე და შემდეგ ვარლამ ბურჯანაძე ასწავლიდნენ, სანიმუშოდ ითვლებოდა, შემდეგში ორი მიზეზის—მასწავლებელთა უვარგისობისა და თერგის ოლქის დირექტორის მიერ სკოლის შევიწროების გამო—დაქვეითებულა.

სკოლათა მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე ამ სკოლის რევიზის შედეგად აღნიშნავდა გამგეობის 1914 წლის 21 იანვრის სხდომაზე: „კავკავის სკოლაში სწავლის საქმე ცუდად არის დაყენებული: მასწავლებლები გორდელაძე და იოსელიანი არაფერს აკეთებენ; აგრეთვე დროებით გამგეს—ტრიფონ შებლაძეს არ ემორჩილებიან, გავეთილს არ ამზადებენ, მეცადინეობას აცდენენ და სხვა“.

გამგეობამ გადაწყვიტა კავკავის სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობის განახლება. 1913 წლის 22 აგვისტოს წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მოისმინა შემდეგი ცნობა კავკავის სკოლის შესახებ: „თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი ავიწროებს კავკავის სკოლის, არ სცნობს წ.-კ.-ის საზოგადოების წესდებას, იწუნებს რუსულისა და ანგარიშის სწავლებას, იმუქრება—მასწავლებლებს დავითხოვთო. სკოლის გამგე (ვ. ბურჯანაძე) მოხსნა თანამდებობიდან.

გამგეობამ კავკავის სკოლას მისწერა ეხელმძღვანელათ 1881 წლის სასწავლო გეგმით¹. ხოლო 1913 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე გამგეობამ მოისმინა კავკავიდან ტ. კახიძისა და ი. ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დეკრეტი: „Двенадцатого областное правление рассматривает вопрос о закрытии Владикавказского отделения распространения грамотности. Причины нам неизвестны; просим принять меры; приостановить рассмотрение вопроса. Потребовать об“яснения“. Гаражеообама დაადგინა—შექრებილ იქნას დაწვრილებითი ცნობები ამ საქმის შესახებ;

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 4067, ფ. 78.

² სცია, ფ. 471, საქ. 4967, ფ. 80—81.



ეთხოვოს გუბერნიის მარშალს თავ. აბხაზს დახმარეჭარფული წიოს ამ საქმეში¹.
ბიბლიოგრაფია

ეს ცნობები ჩვენ იმის ნათელსაყოფად მოვიყვანეთ, თუ რა ხითათის წინაშე იდგა წ.-კ. საზოგადოება და მისი განყოფილებანი და სკოლები, დევნილნი და შევიწროებულნი ცარიზმის მიერ.

სწავლების საქმე კარგად იყო დაყენებული სოხუმის სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი სახალხო მასწავლებელი ნიკო ჯანაშია. ეს სკოლა 1909 წელს დაარსდა და მას მთლიანად ადგილობრივი განყოფილება ინახავდა. ბაქოს სკოლაც, დაარსებული 1910 წელს, კარგად იყო მოწყობილი.

წ.-კ. საზოგადოების სკოლებში მოწაფეთა წარმატებას ბევრი გარემოება უშლიდა ხელს: ზოგჯერ მასწავლებელი და გვიანებით ინიშნებოდა და ამის გამო სწავლა რეგულარულად არ მიმდინარეობდა, ზოგან მოსახლეობისაგან მასწავლებლის ხელფასი დროზე არ გროვდებოდა და თვეობით უხელფასოდ დარჩენილი მასწავლებელი გულაცრუებულად შუშაობდა; წ.-კ. ზოგ სკოლაში (წინარეხის, გომარეთი, ს. ყალაშის) სასწავლო წელი 1908 წლის 20 ოქტომბრამდე არ დაწყებულა.

სწავლის საქმეს აბრკოლებდა აგრეთვე ყველა სკოლისათვის სანიმუშო პროგრამის უქონლობა, სანამ ლ. ბოცვაძემ 1910 წ. ასეთი პროგრამები არ დაამზადა გამგეობის დავალებით, მაგრამ ზოგი მასწავლებელი, როგორც სკოლათა ინსპექტორმა ვრ. ბურჟულაძემ გამოარკვია რევიზიის შედეგად, ამ პროგრამას გვერდს უვლიდა. ეს სანიმუშო პროგრამა 1881 წლის გეგმისა და გამგეობის დებულების საფუძველზე იყო შედგენილი².

1914 წელს 9 ნოემბრის საზოგადოების საერთო კრებაზე პავლე საყვარელიძემ აღნიშნა: „გამგეობას შეუდგენია სკო-

¹ სცია, ფ. 481, საქ. 4967, ფ. 80—81.

² 1915 წლის 14 ივნისს გამგეობამ დაადგინა წ.-კ. სკოლებში 1914 წლის პირველი ივნისის კანონით ესწავლებიათ, ე. ი. ყველა საგანი მშობლიურ ქანაზე, ხოლო რესული ენა ცალკე საგნად, და არა 1881 წლის გეგმით (სცია, ფ. 481, საქ. №6056, ფ. 112).

ლებისათვის სანიმუშო პროგრამები; ეს პროგრამები შეუდგა
რებით საღი პედაგოგიური მოხარენილებების მატერიალური
შედგენილი. ამ პროგრამებით ყველა საგანი სამშობლო ენაზე
უნდა სწავლებოდეს. საზოგადოების ზოგიერთ სკოლაში კი,
როგორც გრ. ბურჭულაძის მოხსენებილან ჩანს, საღვთო სკულს
და არითმეტივას რუსულად ასწავლიან. ეს, მე მგონია, შეუქ-
ლებელია. ქართულ სკოლაში სწავლა ქართულად უნდა სწავ-
მოებდეს. დედა ენა უნდა იყოს ყველა საგნის სწავლების
იარაღი“¹...

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო
კრება ყოველთვის მწვავედ ეხმაურებოდა საზოგადოების სკო-
ლების მდგომარეობას; მაგ., 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერ-
ში მოწვეულ საერთო კრებაზე პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე
ამბობდა: საზოგადოების „დღევანდელი სკოლები უნუგეში
მდგომარეობაშია, მოწაფეთა რიცხვი კი არ მატულობს, პი-
რიქით, საგრძნობლად კლებულობს. მასწავლებლები საქმა-
რისად მომზადებულნი არ არიან, რათა პირნათლად და ჯეროვ-
ნად შეასრულონ მოვალეობა ნამდვილი სახალხო მასწავლებ-
ლისა მ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მარტო ანა-ბანას სწავ-
ლება საქმარისი არაა; სკოლა და ცხოვრება მტკიცედ უნდა
იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, სკოლა უნდა უპასუ-
ნებდეს გლეხის ცხოვრების ნამდვილ მოხარენილებებს, მას-
წავლებელი უნდა იყოს ყოველგვარი კულტურული საქმის
ხელმძღვანელი-მეთაური, გლეხის დამრიგებელი და გზის მაჩ-
ვენებელი. ჩვენი სკოლები ისე უნდა მოეწყოს, რომ იქ კურს-
დამთავრებულთ ადვილად შეეძლოთ საშუალო სკოლებში გა-
დასვლა... უმჯობესია სკოლები გვექნეს ცოტა და კარგად მო-
წყობილი, ვიდრე ბევრი და ცუდად მოწყობილი“. პრ. ჯაფარი-
ძის წინადადებით: 1. ჩვენი სკოლების მასწავლებელთ სპეცია-
ლურის გარდა, საზოგადო განათლებაც უნდა ჰქონდესთ;
2. სასკოლო სექციამ გამგეობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს
ტიპი ჩვენთვის საჭირო სკოლებისა; 3. ჩვენი სკოლა აუცი-
ლებლად უნდა იყოს დაკავშირებული საშუალო სასწავლე-
ბელთან იმ მხრით, რომ ჩვენს სკოლაში კურსდამთავრებულთ

¹ წ.-კ. სახ. 1914 წ. ანგარიში, გვ. 32.

უნდა შეეძლოთ ხსენებულ სასწავლებელში სწავლის გამართვა-
ლება.

ჩვენ პროკოფი ჯაფარიძის სიტყვაზე იმიტომუქურუ შემოქმედდე
დით დაწვრილებით, რომ მისი მოთხოვნილებან უკრძალული შექმენ
სახებ თითქმის სავსებით დაედო საფუძვლად საერთო კრების
მიერ მიღებულ რეზოლუციას.

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების საქმე მომდევნო
წლებშიც არ გაუმჯობესებულა, გაუარესდა კიდეც საერთო
მიზეზების გამო. 1916 წლის დეკემბერშიც ხანგრძლივი და
მწვავე კამათი წარმოებდა ამ სკოლების შესახებ საზოგადო-
ების საერთო კრებაზე. განსაკუთრებით სარევიზიო კომისია
(თავ-რე დიმ. დუმბაძე) ჩიოდა საზოგადოების სკოლების
უნუგეში მდგომარეობას. სკოლათა მეთვალყურე გრ. ბურ-
კულაძეც აღნიშნავდა სკოლების მძიმე მდგომარეობას (პინა,
ავეჯი, მოწყობილობა), მაგრამ კრებას იმით ანუგეშებდა,
რომ ჩვენს სკოლებში აღზრდის საქმე უკეთესად არის დაყე-
ნებული, ვიდრე სამინისტროსა და სხვა უწყების სკოლებშით.
პავლე საყვარელიძე კვლავ დაბეჭითებით მოითხოვდა, რათა
მეტი ყურადღება იმ ადგილებს მიჰქცეოდა, სადაც „ქართველი
ერის შემადგენელ ნაწილებს გადავგარება მოელოდა“.
კრებამ დაადგინა: „1915 წლის განმავლობაში სასკოლო საქმე
ცუდ მდგომარეობაში ყოფილა; გამგეობას ავალებს მომავალ-
ში ენერგიული მეთვალყურე მოიწვიოს და მეტი ყურადღება
მიაქციოს ადგილობრივი სკოლების გაუმჯობესების საქმეს“.
მაგრამ საერთო მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა და
სკოლების საქმის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ იყო.

წესდებით წ.-კ. საზოგადოებას შეეძლო დროგამოშვებით
მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მოწყობა.
1909 წ. გაზაფხულზე გამგეობამ დაადგინა: ზაფხულში აუცი-
ლებლად მოეწყოს მასწავლებელთა გადასამზადებელი კურ-
სები, შესდგეს გეგმა. 600 მან. კურსებისათვის გაღებულ
იქნას ვას. პეტრიაშვილის ფონდიდან და კურსებს ეწოდოს
პეტრიაშვილის სახელი. მაგრამ მასწავლებელთა კურსები
მთავრობის მიერ არ იქნა ნებადართული.

1909 წლის დეკემბერში მოწვეულ საერთო კრებაზე თავ-



მჯდომარე გ. ყაზბეგმა განაცხადა: „გამგეობას უწერია უფლებულებები 1909 წლის ზაფხულში მოეწვია თბილისში უკუმისუქესებრენცია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი პროგრამის შესამუშავებლად, მაგრამ მთავრობამ ამისი ნება არ მოგვცა იმის გამო, რომ მეცადინეობა ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო“.

1910 წლის გაზაფხულზე გამგეობამ დაამტკიცა ახალი პროგრამა ზაფხულში განზრახული კურსებისათვის მასწავლებელთა გადასამზადებლად. მაგრამ გუბერნატორმა გამგეობას კურსების გასამართვად შემდეგი პირობების შესრულება მოსთხოვა: 1. კურსებს უნდა ესწრებოდნენ მხოლოდ საზოგადოების სკოლათა მასწავლებლები; 2. მეცადინეობა კურსებზე მხოლოდ რუსელ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს; 3. უნდა წარმოდგენილ იქნას კურსებზე მეცადინეობის კვირეული საათების ცხრილი, რომელიც მოხმარდება თითოეულ საზანს იმის შესაბამისად, თუ რა ადგილი უჭირავს სახალხო სკოლაში ამა თუ იმ საგანს. ასეთ პირობებში გამგეობამ შეუძლებლად სცნო კურსების მოწყობა.

1911 წლის 21 აპრილს საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე გაიმართა კამათი საკვირაო სკოლებისა და გადასამზადებელი კურსების მოწყობის შეუძლებლობის შესახებ, თუ მთავრობის მოთხოვნით მათში სწავლები რუსულ ენაზე არ იქნებოდა წარმართული.

კრებამ დაადგინა: „საზოგადოება ვალდებულია მიპყვეს თავის პირველ გეგმას და აასრულოს პირველი მუხლი წესდებისა, რომლის აზრია ქართველთა შორის სახალხო განათლების გაერცელება სამშობლო ენის საშუალებით“.

წ.-კ. საზოგადოების წევრები და ხელმძღვანელები იმ აზრისა იყვნენ, რომ საზოგადოების სკოლები იმ ადგილებში გვეხსნა, სადაც ქართულ ენას მეტი საფრთხე მოელოდა, ხოლო ქართულ კულტურას—გაქრობა. ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ პირველი სკოლა საზოგადოებამ ბათომში დააარსა და, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა და ხარჯისა, ეს სკოლა შეინარჩუნა. ამითვე აიხსნებოდა სკოლების დაარ-



სება კავკავში, სოხუმში, გომარეთში, ყალამშიაში, ნეფში იყენებული
არმავირში, აკაურთში და სხვ.

გიგანტური საზოგადოება

ამავე აზრისა იყო საზოგადოება შემდეგშიც.

1914 წელს მთავარი გამგეობის სასკოლო სექცია აღნიშ-
ნავდა: სკოლები გაიხსნას იქ, სადაც უფრო საჭიროა: ბათო-
შის ოლქში, მესხეთში, ზუგდიდის მაზრაში, საინგილოში,
ბორჩალოს მაზრაში. დასახელებული რაიონებიდან საზოგა-
დოებამ ვერც ერთი სკოლა ვერ გახსნა მესხეთსა და საინგი-
ლოში. საზოგადოებამ უყურადღებოდ არ დატოვა ჩრდილო
კავკავისაში გადახვეწილი ქართველობა. აღვილობრივი ინი-
ციატივით, განსაკუთრებით მიხეილ ყიფიანის თავდადებული
შრომის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა 1888 წ. კავკავის ქარ-
თულ სკოლას, რომელიც კავკაველი ქართველებისათვის
მტკიცე კულტურულ კერად გადაიქცა. უნაყოფოდ ჩაიარა
მოზღვოების ქართველობის ცდამ, რომ თავის ქალაქში გაეხსნათ
ქართული სკოლა.

აქ შევეხებით ქ. ნალჩიკში ქართული, სკოლის დაარსების
საკითხის ისტორიას. ნალჩიკის ქართველობამ შუამდგომლო-
ბა ქართული სკოლის დაარსების შესახებ 40 კაცის ხელის-
მოწერით აღძრა 1913 წლის 24 ნოემბერს. ამ თხოვნასთან
დაკავშირებით კავკავის განყოფილების ხელმძღვანელები
სწერენ მთავარ გამგეობას: „ვინც ჩვენ ცხოვრებას თვალ-
ყურს ადევნებს, მისთვის გასაგებია, რომ ცხოვრების პირო-
ბები თანდათან ჰქონდავენ და ამცირებენ ქართველთა რიცხვს
თავის სამშობლოში და პნდიან მათ მოახალშენეთ უცხო გუ-
ბერნიებში. ნათქვამია: „თუ ზღვასა წყალი არ შედის,
იგიც დაშრება ვიცითა, კლდეს ძირს უკაფდე ნიადაგ, ვერ
დადგეს ის სიმტკიცითა“.¹ და, აი, ჩვენს კლდეს, ჩვენს ხალხს
ცხოვრების ტალღებმა ძირი რომ არ გამოუკაფოს, ჩვენ უნ-
და ვეცადოთ, რომ ხელი შევუწყოთ სამშობლოს მოცილებულ
ქართველებს, შევაგნებინოთ თავიანთი ვინაობა, შევუნარჩუ-
ნოთ ენა და ზნეჩვეულება და ამით ავაცდინოთ ისინი იმ არა-
სასურველ გადაგვარებას, რომელიც მათ აუცილებლად მოე-
ლის, თუ კი ახლავე არ გადავუღობეთ მას გზა!“...

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 5056, ფ. 2.



წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ნალჩიკში ჩატარებული მარეობის გასაცნობად მიავლინა სკოლათა პრინციპულურებები გრიგოლ ბურჭულაძე, რომელმაც 1914 წლის პირველ თებერვალს მოახსენა გამგეობას: ნალჩიკში 47 კომლი ქართველი ცხოვრობს, 50 სასკოლო ასაკის ბავშვია. ამათ რუსულ სკოლებში ენის საკმაოდ უცოდინარობის გამო ან არ ლებულობენ, ან უკან აბრუნებენ „უნიჭობის“ გამო. სკოლაში გადასახადი ყველასათვის 5 მანეთია წლიურად. მოსახლეობას 200 მან. შეუკრებია და ყველაფერს კისრულობს, გარდა მასწავლებლის ხელფასისა. აუცილებელია სკოლის გახსნა, თორებ გადავვარდებიან მოზღვოისა და ყიზლარის ქართველების მსგავსადო. ვრ. ბურჭულაძე წინადადებას იძლეოდა მასწავლებლის ხელფასად გაელო ილიას ფონდის (9.000 მან.) პროცენტები და სკოლისაც ილიას სახელი დაერქვასო, ხოლო იქ გაგზავნილ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს იქაური ქართველობის შემაკავშირებელი ფხა, უნარი, გამოცდილება, იდეა. ამ ადგილზე ბურჭულაძე ასახელებდა აკაურთის სკოლის მასწავლებელს ტრიფონ შუბლაძეს; დაინიშნა სამსონ მუშალია. ნალჩიკის ქართული სკოლა 1914 წლის ივნისშია გახსნილი. ამ შემთხვევის გამო ნალჩიკის ოლქის უფროსი კლიშმიერი, როგორც ჩანს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მისალოც დეპეშას უზგავნის წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარეს გ. ყაზბეგს: „Нальчикское общество всех национальностей, празднуя освящение грузинской школы, приветствует в Вашем лице Об-во распространения грамотности среди грузин и желает процветания на многие лета“¹.

ნალჩიკის ქართული სკოლის გახსნას ხელი შეუწყვეს აღგილობრივი რეალური სასწავლებლის მასწავლებლებმა ვრ. ლორთქიფანიძემ და ბეთანელმა.

საინგილოში ქართული სკოლის გახსნა ჯერ კიდევ 1908 წელს ყოფილა განზრახული. ექიმი ძმები კოსტ. და ნიკ. ტურიაშვილები სილნალიდან წერენ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ისინი „ამასთანავე აგზავნიან ას მანეთს და ყოველწლიურად შემოიტანენ აზდენ თანხას იმ სკოლის სასაჩერებლოდ, რომე-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 5056, ფ 41.



ლიც გაიხსნება ქართველ მაჰმადიანთათვის სოფ. თასმალოში ან ალიაბადში აკაკის სახელზე. გთხოვთ მიიღოთ ქუმარების მცირედი წვლილი, როგორც აკაკის პატივის მცემელ ბქებულებები ლებისაგან, იმ აკაკის, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ქართველი ხალხის გათვითცნობიერება-გამოფხიზლებას საუკეთესო მერმისის მოსაპოვებლად და ქართველთა სახელის სადიდებლად¹.

1909 წელს ბეს. ფურცელაძე, ნიკ. შიუკაშვილი (დრამატურგი, ზაქათალის სკოლის ინსპექტორი) და ზაქ. ედილაშვილი (შ. ედილი, ბეითალი) სხვებთან ერთად წერდნენ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ლირსეულად გადაიხადეს აკაკის თუბილე², მაგრამ ქართული სკოლა საინგილოში მომდევნო წლებშიც არ გახსნილა. 1916 წელს წ.-კ. საზოგადოებას ნებართვა მიულია გაეხსნა სკოლა სოფ. თასმალოში და კიდეც გაუხსნია ის, მაგრამ მოლების ზეგავლენით ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს უარი ათქმევინეს, წ.-კ. საზოგადოებას თქვენი გაქრისტიანება უნდა.

1915 წ. განსაკუთრებული შუამდგომლობის შედეგად წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მოიპოვა უფლება სოფ. გალის მეორე კლასიან (ВТОРОКЛАССНОЕ) სასწავლებელში, რომელშიაც სამრევლო-საუკლესით სკოლებისათვის მზადდებოდა მასწავლებლები, პყოლოდა მეტად შეზღუდულ პირობებში ქართული ენის მასწავლებელი თავისი ხარჯით. ამ თანამდებობაზე ცნობილი პეტრე ჭარაია იქნა დანიშნული. თბილისში—სოფიოს, ავლაბრის, კუკიისა და ვერის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებს ხელფასს, წ.-კ. საზოგადოება აძლევდა.

შეიძლება ითქვას, რომ 1914—1915 წლებში თადათანობით გართულების გზაზე მდგომ ვითარებაში, წ.-კ.-ის საზოგადოებამ შესწყვიტა ახალი სკოლების გახსნა და ცდილობდა უზრუნველეყო და შეენარჩუნებია ის სკოლები, რომელნიც დაარსებული პქონდათ 35 წლის განმავლობაში, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მალე ესეც შეუძლებელი გახდა.

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 1080, ფ. 5—6.

² სცია, ფ. 481, საქ. № 3003, ფ. 11.



1905—1907 წლებში და მის შემდეგ მეტად გაიზარდა სამკითხველო ხალხში ინტერესი პერსოლუტი გამოცემებისა და საზოგადოდ მწიგნობრობისადმი. მაშინდელ პირობებში ამ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოსახლეობის ღარიბი ფენებისა მეტად ძნელი იყო სიღარიბისა და მთიანი რაიონების ცენტრიდან მოწყვეტილობის გამო. საქართველოს მივარდნილ კუთხემდე გაზეთი და საკითხავი წიგნი ძნელად აღწევდა ხოლმე: წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას მოსახლეობის ფარო ფენების ამ მზარდი მოთხოვნილებებისათვის ანგარიში უნდა გაეწია და შესაძლებლობის მიხედვით დაკმაყოფილებინა, გაეხსნა, საღაც მოსახერხებელი იქნებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და დახმარებოდა მას გაზეთებისა და წიგნების მიწოდებით. 1908 წელს საზოგადოებას მხოლოდ 13 ბიბლიოთეკა ჰქონდა, მათ შორის 4 თბილისში იყო გახსნილი, დანარჩენნი რაიონებში: ახალციხის, უდის, დაღი ჯიხაიშის; ხობის, ახალსენაკის, ქარელის, ტობანიერის, ქვალონის, მათხოვის. ერთი ნაწილი ბიბლიოთეკებისა წ.-კ. საზოგადოების ბიუჯეტით არსებობდა, ან მას საზოგადოების ფილიალი ინახავდა, დანარჩენები იდგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მიერ იხსენებოდა, როდესაც ამის შესახებ საზოგადოების გამგეობა მთავრობისაგან სათანადო ნებართვას მიიღებდა.

1911 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოებას 23 ბიბლიოთეკა ჰქონდა¹.

1914 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოებას სულ 66 სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა, რომელთა ვახსნა და მოვლა განყოფილებათა ხელში გადავიდა. 1914 წლისათვის ქუთაისის განყოფილებას 31 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა და წლიურად ამ საქმეზე 3317 მან. ხარჯავდა². ამ წელს გამართულ საზოგადოების საანგარიშო ქრებაზე გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დიდი

¹ სცია. ფ. 481, საქ. № 6960, ფ. 4.

² წ.-კ. საზოგადოების 1914 წ. ანგარიში, გვ. 9.

ნაწილი სათანადო დონეზე ვერ იდგა და მოსახლეობას საჭირო მომსახურებას ვერ უწევდა. სკოლათა და ბიბლიოთეკულება მეთვალყურე გრ. ბურჟულაძემ განაცხადა: „ზოგჯერ შემსრულებულ თევები მართლა უნუგეშო მდგომარეობაში არის, ზოგან კარგად არის საქმე დაყენებული. კარგად არის დაყენებული ბიბლიოთეკების საქმე გურიაში, მაგ., ქვიანის, შუხუთის და სხვ.. სამაგიდოოდ ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ ქართლში არსებული ბიბლიოთეკები, მაგ., გომის, ქარელის, სადაც ისინი მხოლოდ ბიბლიოთეკის სახელს ატარებენ; ამის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მომზადებული არ არიან და, სადაც ხალხი თვითონ არ არის დაინტერესებული და საქმაო ინიციატივას არ იჩენს, იქ საქმის რიგიანად მოწყობა ძნელია“.

ილია ნაკაშიძემ კრებაზე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების გახსნა საჭიროა ყველგან, სადაც ამას საჭიროება და ადგილობრივ მქონებრივი ინტერესები მოითხოვს და არა მარტო იმ სოფლებში, სადაც ჩერენი სკოლები არსებობენ.

ზოგი ბიბლიოთეკა ვერ იყო სათანადოდ მომარაგებული წიგნებით. სოფ. ონტოფოს ბიბლიოთეკაში 1914 წლისათვის მხოლოდ 20 ქართული წიგნი და 15 რუსული წიგნი იყო, ს. სეფიეთის ბიბლიოთეკაში მხოლოდ 18 წიგნი იყო. ბორჯომის ბიბლიოთეკაში 400 ქართული და 790 რუსული წიგნი იყო.

1916 წლისთვის საზოგადოებას 86 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა. სოფლად თითო ბიბლიოთეკის შენახვა 300 მ. ჯდებოდა, ქალაქად კი 600—800 მ. რა თქმა უნდა, საზოგადოება ასეთ თანხას ვერ გაიღებდა ამ საქმეზე. 1915 წლისათვის ნავარაუდევი იყო მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკის გახსნა ატენში.

8. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი და წიგნთსაცავი.

შველაზე დიდი განძი, რომელიც ათეული წლების მანძილზე შექმნა წერა-კითხვის საზოგადოებამ, ეს იყო მისი წიგნსაცავი და მუზეუმი, რომლებიც შეიცავდნენ ზედ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს და ძვირფას ისტორიულ-მატერიალური კულტურის ძეგლებს.



1908 წლისთვის საზოგადოების წიგნსაცავში უპირველეს
ქართული წიგნი და ხელთნაწერი იყო მოთავსებული უკუკე
ლალი კი უცხო ენაზე. ამ წლის განმავლობაში შეძენილ იქნა
ქართული წიგნი 169 ც., ხოლო უცხო ენაზე 27 ცალი. მრავ-
ლად იყო შეძენილი ძველი ფულები. ბიბლიოთეკა-მუზეუმზე
წლის განმავლობაში სულ 1146 მან. და 47 კაპ. იყო დახარ-
ჯული.

1909 წლის დეკემბრის საზოგადოების საერთო კრებას მოხსენდა, რომ ოცდათი წლის მანძილზე საზოგადოებაში მოვროვდა 5.000 ცალი წიგნი და 2.000 სიგელ-გუგარი, რომელთაგან $\frac{3}{4}$ ხელნაწერია, დაწყებული მეათე საუკუნიდან. ეს დაუფასებელი და აუნაზღაურებელი სიმღიდრე მოთავსებული იყო ქარეჯასლაში, სადაც ის ცეცხლისა და გაძარცვის მუდმივ საფრთხეში იმყოფებოდა.

ჭერ კილევ 1907 წლის 9 დეკემბერს საერთო კრებაშ დაადგინა: „აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც გამგეობასთან ერთად მიენდოს — წარუდგინოს საზოგადოებას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საზოგადოების ბიბლიორთუებისა და მუზეუმის საქმე. საკითხის შესწავლა მიენდო ექ. თაყაიშვილს, ალ. სარაჯიშვილს და გრ. რცხილაძეს.

1908 წლის აპრილში გამგეობამ დაადგინა: წ.-ქ. საზოგადოების მუზეუმი და ბიბლიოთეკა გადასცემოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს დადგენილება ნაჩქარევი და შემთხვევითი აღმოჩნდა.

1908 წლის 15 მაისს შედგა წ.-კ. საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელზედაც წიგნთსაცავისა და მუზეუმის ხელმძღვანელობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. გამგეობის წევრების გარდა სხდომას ესწრებოდნენ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენლები—ექ. თაყაიშვილი და ალ. სარაჯიშვილი. ექ. თაყაიშვილმა განაცხადა: ეჭვს გარეშეა. რომ ბიბლიოთეკა-მუზეუმი არ შეეფერება სრულებით, წ.-კ. საზოგადოების მიზანს და დანიშნულებას და უნდა გადაეცეს სპეციალურ დაწესებულებას, რომელიც უკიდ



უპატრონებს მას,—დაუყოვნებლივ უნდა გადმოჟესას ჭურუ
ტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას და დარჩემ მცხველი მაყებ
ნაზე და უნდა დაგვენიშნოს მუდმივი შემწეობა ფულით ძვე-
ლი წიგნებისა და ხელნაწერების შესაძენად. სხვებმა განაცხა-
დეს: ეს ბიბლიოთეკა წ.-კ. საზოგადოების მოღვაწეობის ნა-
ყოფია, ეს ძვირფასი ხელნაწერები მისი შრომით და მოღვა-
წეობით არის აქ შეგროვილი. ეს განძი საუკეთესო ფურცე-
ლია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. ეს ბიბლიოთეკა წ.-კ.
საზოგადოების სულიერი საკუთრებაა, მისი ძალაა, მისი საუ-
კეთესო ტრადიცია, ძველის მოგონება და გამამხნევებელი იმ-
პულსი მომავალი მოღვაწეობისათვის. წ.-კ. საზოგადოებამ
გააკეთა დიდი საქმე, რომ ეს ხელნაწერები და წიგნები შეი-
ძინა. და ეს გაკეთებული საქმე ავალებს მას შემდეგშიაც
უპატრონოს და არ გადასცეს ის სხვა რომელიმე დაწესებუ-
ლებას, მით უმეტეს, როცა ეს სხვა არ გვაძლევს საფუძველს,
რომ ის უკეთესად უპატრონებს ამ ძვირფას განძს. სხდომაშ
ხმის უმრავლესობით დაადგინა: ბიბლიოთეკა-მუზეუმი ჯერ-
ჯერობით დარჩეს ისევ წ.-კ. საზოგადოების ხელში და არ გა-
დასცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას!

საკითხი წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმის საის-
ტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაცემის შე-
სახებ დაისვა გადასაწყვეტად ავრეთვე საზოგადოების წევრ-
თა წლიურ კრებაზე 1908 წ. 12 ოქტომბერს. აქ ექ. თაყაიშვი-
ლი თავვამოდებით იცავდა თავის შეხედულებას ამ საკითხის
შესახებ. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მოე-
პოება იმდენი ძალა და ორნე, რომ გაუძლვეს ბიბლიოთეკა-
მუზეუმს. თუ არ გადასცემთ, ყოველ შემთხვევაში ის მაინც
დაადგინეთ, რომ ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგებლობა საის-
ტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელში იყოს.

ი. გოგებაშვილმა გააცხადა: ბიბლიოთეკა-მუზეუმის სხვის-
თვის გადაცემა არ არის მიზანშეწონილი. ეს ვნებას მიაყენებს
საზოგადოების პრესტიუს.

დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ბიბლიოთეკა-
მუზეუმი დარჩეს ისევ წ.-კ. საზოგადოების ხელში.

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 2042, ფ. 18, 19.

წ.-ქ. საზოგადოების გამგეობის სხდომაზე 1910 წლის 7 ივნისს გამგეობის მდივანშია დავ. კარიჭაშვილი¹ უკუნის სცადა დაეყენებინა ეს საკითხი: „უადგილობის შემცირებული, შესანახად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცეს, ვიღრე ბინა მოიძებნებოდესო“, მაგრამ გამგეობამ შეუძლებლად სცნო სამუშეუმო ნივთების სხვა საზოგადოებისათვის გადაცემა!

წ.-ქ. საზოგადოება მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ როგორმე წიგნთსაცავ-მუზეუმისათვის შესაფერი ბინა მოეპოებინა, სადაც ეს ძვირფასი განძი დაცული იქნებოდა ხანძრის და გაძარცვის საფრთხისაგან.

ჩერ კიდევ 90-იანი წლების ნახევარში გამგეობამ არქიტექტორ შტერნს შეადგენინა მომავალი მუზეუმის შენობის გეგმა, რომლის მიხედვით იგებული სახლი 100.000 მან. დაკდებაო, — აღნიშნულია 1909 წელს საერთო კრებისათვის წარდგენილ მოხსენებაში მუზეუმის შესახებ. შემდეგ ზუბალაშვილს სთხოვეს სასტუმრო „ლონდონის“ მახლობლად მიწის შეძენა და სახლის აგება, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. დაარსდა სამუშეუმო ფონდი. არქიტ. ტატიშჩევმა შეადგინა მუზეუმის შენობის გეგმა, რომელიც 25.000 მან. დაკდებოდა. სამუშეუმო ფონდმა 10.000 მან. მიაღწია და შეჩერდა. მუზეუმის შენობის აშენებაზე ლაპარაკიც შეწყდა უკანასკნელ ხანამდე. ახალმა კომისიამ ვერც აღგილი გამოძენა, ურც ფული². აზრი გამოითქვა ილია ჭავჭავაძის სულის სახლის მუზეუმად გადაკეთების შესახებ. გამგეობის უმრავლესობაში ეს აზრი გაიზიარა. მიენდო არქიტექტორ ს. კლდიაშვილს შეედგინა სათანადო პროექტი 8.000 მან. ფარგლებში. საჭირო გახდა 10.000 მან. ეს პროექტი განიხილეს ინდ. ქურდიანმა და მამრაძემ. ილიას მხოლოდ ორი ახალი ოთახი უნდა დარჩენილიყო, ძველი სახლი კი უნდა დანგრეულიყო. სულ

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 3031, ფ. 84.

² ეს კომისია არჩეულ იქნა გამგეობის სხდომაზე 1908 წლის 29 მაისს. მასში შედიოდნენ: ფილ. გოგიაშვილი, დავ. კარიჭაშვილი, იაკობ ლულაძე, ილ. ყილშიძე, პ. სურგულაძე (სცია, ფ. 481, საქ. № 2046, ფ. 79).



ერთდროულად საქირო შეიქნა 16.416 მან. და ყოველწლიური ურად 2.000 მ. მუზეუმის მოვლა-პატრონობისათვის მუზეუმის მანის განკარგულებაში კი სულ 11.607 მან. და 33 კ. იყო.

იაკობ გოგებაშვილს 1909 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე შეაქვს წერილობითი განცხადება, რომ ის წინააღმდეგია ილიას სახლის გადაკეთებისა და იქ ბიბლიოთეკა-მუზეუმის მოთავსებისა, რადგან ილიას სახლის გადაკეთება სამჯერ 12.000 მანერი დაგდება. ეს სახლი შორს არის, სახითათოა ხანძრის მხრივ და სხვ. სჯობს სპეციალური სახლი აშენდეს, მანამდე კი ძელ სადგომში დარჩეს!

მართალია, 1907 წლამდე წ.-კ. საზოგადოების გამგეობა ადგენდა პროექტებს მუზეუმის შენობის შესახებ, მაგრამ მას ძელი დებულებით უძრავი ქონების შეძენის უფლება არ ჰქონდა. 1907 წელს გამგეობამ მოახერხა ახალი წესდების დამტკიცება, რომლითაც წ.-კ. საზოგადოებას უძრავი ქონების შეძენის უფლება ეძლეოდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი ცვლილება იყო წესდებაში, გამოწვეული ილია ჭავჭავაძის ანდერძის შედეგად. ამ ცვლილების გარეშე წ.-კ. საზოგადოებას უარი უნდა ეთქვა მრავალ უძრავ ქონებაზე, რომელიც მას სხვადასხვა ქველმოქმედებმა უანდერძეს: ნიკო ლოლობერძიძემ, დავ. სარაჯიშვილმა, ოლღა ჭავჭავაძემ, ალ. ხახა-ნაშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, აკ. წერეთელმა და სხვებმა.

1909 წლის 20 დეკემბრის საერთო კრებამ უარყო წინადადება მუზეუმის ილიასეულ სახლში გადატანის შესახებ და დაადგინა: აშენდეს მუზეუმის სპეციალური შენობა, და სამუზეუმო თანხას შეუერთდეს ფონდები: ილიასი, რაფ. ერისთავის, სასტამბო და ძელი წიგნების შესაძენი ფონდები.

1910 წლის მაისში წ.-კ. საზოგადოების კანცელარიიდან სამუზეუმო ნივთები ყუთებით გადატანილ იქნა ქართული გიმნაზიის შენობაში. ქართული გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტმა 1911 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით დროებით დაუთმო წ.-კ. საზოგადოებასა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას შენობის ნაწილი მუზეუმისა და წიგნთსაცავის მოსათავესებლად.

¹ სცია ფ. 481, საქ. № 6599, ფ. 22.

წ.-კ. საზოგადოების მუშეუმი და წიგნთსაცავი ოომ მცელ
ბინაში — თავადაზნაურობის ქარვასლაში — ღარიბი და მარტივი არის
ის სავსებით განადგურდებოდა იმ ხანძრის შედეგად, რომე-
ლიც აღნიშნულ შენობაში — ქართულ თეატრში გაჩნდა
1914 წლის სექტემბრის 25-ს და იმსხვერპლა ქართული თეატ-
რის შენობა (ახლა გრიბოედოვის სახელობის თეატრი) და
წ.-კ. საზოგადოების სადგომი წიგნების მაღაზითა და საწყო-
ბითურგო.

მიუხედავად იმისა, რომ წ.-კ. საზოგადოებამ წიგნთსაცავ-
მუშეუმი დროებით ქართული გიმნაზიის შენობის ორ ოთახში
მოათავსა, მას მისთვის მუდმივი ბინის შეძენაზე ხელი არ
ოულია.

1911 წლის აპრილში საერთო კრებისათვის წარდგენილ
მოხსენებაში გამგეობა აღნიშნავდა, რომ ადგილი მუშეუმი-
სათვის, ჯერ შეტანილი არ არის. პ. ი. თუმანიშვილს ქარ-
თული გიმნაზიის მახლობლად შეუწირავს ეთნოგრაფიულ
საზოგადოებისათვის ერთი დესიატინა მიწა 28.800 მან. ლირე-
ბული, რომლის ვალს, 12.000 მანეთის ვადახდას, თვით შემო-
მწირავი პირდება, მაგრამ იქ მუშეუმის აგება სიშორის გამო
მოუხერხებელია, ხოლო სახლის აგება ნაკისრი აქვს დავ. ზაქ.
სარაჯიშვილს და ხარჯთაღრიცხვაც უკვე შედგენილია.

1911 წ. დ. ზ. სარაჯიშვილმა წ.-კ. საზოგადოებას უანდერ-
და საკმაო თანხა მუშეუმის შესაძენად. 1912 წელს საზოგადო-
ებამ „ფიქრის გორაზე“ შეიძინა 4.656,75 საუ. მიწა მუშეუმის
ასაგებად 60.000 მანეთად. მაგრამ სამუშეუმო შენობის დაწყე-
ბა დაგვიანდა, რადგან დ. სარაჯიშვილის ანდერძით უძრავი
ქონების რეალიზაციის შედეგად უნდა გადადებულიყო სამუ-
შეუმო თანხა, უძრავი ქონების რეალიზაცია დაგვიანდა, იმპე-
რიალისტური ომი დაიწყო და შენობის დაწყებაც შეუძლე-
ბელი გახდა. 1914 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ
დაადგინა: „ფიქრის გორაზე“ მუშეუმის ასაგებად შეძენილი
ადგილი იჯარით გაიცესო“ შაგრამ გართულებული მდგომა-
რეობის გამო მოიგარადრევ პირობაზე ხელი არ მოაწერა. ქარ-
თული მუშეუმისათვის შენობა ვეღარ აშენდა.

დავით კარიჭაშვილმა დაუფისებელი ამავი დასდო წ.-კ.

საზოგადოების მუზეუმს და წიგნთსაცავსაც. 1912 წ. ოროშ-
ბერში გამგეობაშ მას მიანდო უსასყიდლოდ ემუშავთ უფრო წუშტ
რიგში მოეყვანა წიგნთსაცავ-მუზეუმი. ერთი წლიშე მცირდებული
მან მოახსენა გამგეობას: 1913 წლის ნოემბრის პირველს შეს-
რტლდა ერთი წელიწადი, რაც საზოგადოების წიგნთსაცავი
და მუზეუმი ჩამაბარეს. საჭირო იყო მისი წესრიგში მოყვანა.
წიგნთსაცავს ჰქონდა კატალოგი, მაგრამ შიგ ჩაუწერავი ყოფი-
ლა სამი ბიბლიოთეკა: პროფ. პეტრიაშვილის, ექ. მრევლაშვი-
ლის და უენევის სტუდენტებისა. სამუზეუმო ნივთებს სულ არ
ჰქონია კატალოგი.

ნუმიზმატიკური კოლექცია, სრულიად გაურჩეველი მა-
ნამდე, გავარჩიეთ და აღვნუსხეთ 1913 წლის პირველ ნოემ-
ბრისათვის. მუზეუმს ჰქონდა 5.185 ც. ფული. ამათში მარტო
ქართული ფულია 1478 ც., რუსული და რუსულ-პოლონური—
379 ც. რომაულ-ბიზანტიური—851 ც. აზიურ სახელმწიფო-
თა—2.293 ც. და ევროპის სახელმწიფოთა—183 ც. ქართული
ფული თითქმის ყოველნაირია, დავით აღმაშენებლიდან და-
წყებული. აღნიშნე და გავარჩიე სურათები, რომელთა რა-
ცხვი არის 2649 ც. (ხელით ნახატი, გრავიურები და ფოტო-
გრაფიული), მებარა ილ. ჭავჭავაძის კაბინეტი, რომელიც ავ-
წერე: არ აღმოჩნდა ორი ხელნაწერი, 25 ქართული ნაბეჭდი
წიგნი და 40 რუსული. სამუზეუმო ნივთებში არ აღმოჩნდა
გარდა 8 ოქროს ფულისა, ერთი ოქროს საბურნუთე. თებერვ-
ლიდან პირველ ნოემბრამდე ბიბლიოთეკაში მოსულა 439
კაცი, რომელთაც 836 წიგნით უსარგებლიათ.

1904 წელს წ.-კ. საზოგადოებამ გამოსცა დავით კარიჭა-
შვილის მიერ შედგენილი ამავე წიგნთსაცავის კატალოგი, რო-
მელშიც 3875 ერთეულია აღნიშნული. დავით კარიჭაშვილმა
ამავე წიგნთსაცავის დამატებითი კატალოგი დაბეჭდა 1911
წელს.

1953 წელს საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველომ გამოს-
ცა ამავე არქივში მოთავსებული წ.-კ. გამავრცელებელი სა-
ზოგადოების ფონდის აღწერილობა პროფ. შ. ჩხეტიასა და
ა. იოვიძის რედაქტორობით.



9. წერა-კითხვის საზოგადოების გამომცემ-ლობა, წიგნის მაღაზია, წიგნების გავრცელება.

წერა-კითხვის საზოგადოების მამოსული ცანას შეადგენდა წიგნების გამოცემა და გავრცელება. 1880 წელს საზოგადოებამ გამოსცა ორი წიგნი. 1913 წლამდე მან სულ 108 წიგნი გამოსცა. 1908 წელს გამგეობამ 15 წიგნი გამოსცა, უმთავრესად ილიას, აკაკისა და ი. გოგებაშვილის ნაწერები. წ.-კ. საზოგადოება თავიდანვე სცემდა ი. გოგებაშვილის „დედაენასა“ და „რუსკო სლოვოს“, რაც გამგეობას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა.

1915 წელს გამგეობის საგამომცემლო სექციამ 8 მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული წიგნი გამოსცა.

1913 წელს გამგეობამ გამოსცა დავ. კარიჭაშვილის რეაქციით აღ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია XIX ს-ში“ და მისივე „ქართული სიტყვიერების ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. გასვლამდე“. წიგნების გამოცემის საქმე გაძნელდა ომის დაწყების შემდეგ, როდესაც გაძვირდა ან სრულებით გაქრა საბეჭდი ქალალდი. 1912 წლიდან წიგნების გამოცემაზე მეთვალყურეობა დაწესდა. მეთვალყურედობებულ იქნა ლ. ბოცვაძე.

3. სურგულაძის წინადაღებით 1908 წლის 16 ივლისის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: შესყიდული იქნას ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის ისტორიის I და II წიგნი და მიეცეს მას 100 მან. პონორარის სახით, შეერქას პირობით ივ. ჯავახიშვილს III და IV ნაწილის შესყიდვის შესახებ.

1915 წლის 18 აგვისტოს ივ. ჯავახიშვილს, თანახმად პირობისა, წარმოუდგენია „ქართველი ერის ისტორია“, შემოკლებული კურსი უძველეს დროიდან. პონორარის ანგარიშში მაღლებული ქქონია 100 მ. წიგნი სასკოლო სექციას გადაეცა სარეცენზიოლ. გრიგოლ ნათაძის რეცენზიის თანახმად გამგეობას ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის შემოკლებული ისტორიის“, როგორც სახელმძღვანელო წიგნის გამოცემა, უარყოფია, და დაუდგენია „ეთნოგრაფიული ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის მეორედ გამოცემა“; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ



დ. კარიჭაშვილი, გრ. რცხილაძე, ნინო ნაკაშიძე და უკრაინულებულები შვილი არ იზიარებენ გამგეობის დადგენილებას პრეტესული მოქალაქეების წიგნის შესახებ და შესაძლებლად სცნობენ მის გამოცემას წარმოდგენილი სახით.

1888 წელს წ.-კ. საზოგადოებამ წიგნის მაღაზია გახსნა, სადაც იყიდებოდა როგორც საზოგადოების გამოცემანი, აგრეთვე საკომისიოდ მიღებული წიგნები. მაღაზია მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა გამგეობას.

1908 წლის 12 ოქტომბერს კამათი გაიმართა წ.-კ. საზოგადოების მაღაზიის გარშემო იმის შესახებ, თუ როგორი წიგნები უნდა იყიდებოდეს წ.-კ. მაღაზიაში.

ამ კამათში მართალი იყვნენ ისინი, რომელიც ამტკიცებდნენ, რომ წ.-კ. მაღაზიაში მაღალი შინაარსის წიგნები უნდა ყოფილიყო გასაყიდად. ხოლო ძნელი ის იყო, თუ ვის რომელი წიგნი მიაჩნდა ხალხისათვის სასარგებლო წიგნად.

რევიზიამ აღმოაჩინა, რომ წ.-კ. საზოგადოების მაღაზიას 1909 წლის პირველ იანვრისათვის აკლდა 4.611 მან. 75 კაპიკად ღირებული წიგნები და რვეულები. შემდეგ ამ დანაკლისს მიღმატა ნისიად გაცემული და ფასდადებით გაგზავნილი წიგნების საფასური; სულ მაღაზიის დანაკლისი უდრიდა 6.429 მან. 63 კაპ.¹.

რამდენიმე წლის შემდეგ მეორე უბედურება ეწვია წ.-კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიას. მაღაზია მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე, ეზოში, ქართული თეატრის პირდაპირ. 1914 წლის 25 სექტემბერს თეატრში დიდი ხანძარი განხდა, რომელიც მალე წ.-კ. მაღაზიასაც მოედო და იქვე მოთავსებულ ვ. ყიფიანის მკაზმავ სახელოსნოსაც. სულ მაღაზიაში, საწყობში და სახელოსნოში 35.688 მ. 16 კ. წიგნი და სხვა ნივთი ეწყო. აქედან დაიწვა წ.-კ. საზოგადოების კუთვნილი და საკომისიოდ მიღებული (რაც გამგეობამ მეპატრონეებს აუნაზღაურა) 24.388 მ. 86 კ. ქონება².

ჩვენ ზევით აღნიშნული გვქონდა, რომ ქართული წიგნიძნელად აღწევდა საქართველოს მივარღნილ კუთხეებს. საჭი-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 6599, ფ. 41—42.

² წ.-კ. საზ.-ის 1914 წ. ინგარიში, გვ. 254—255.



რო იყო წიგნის მიტანა მკითხველამდე და მისი პარაგადების ამ საქმეს აღრე ჰყავდა თავისი ენთუზიაზისტები, მათში ერთ დროს გამოიჩინეოდა ზაქარია ჭიჭინაძე. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ამ საქმისათვის იღწოდა იასონ კერესელიძე. 1913 წელს 28 ნოემბერს გამგეობამ მოისმინა მისი ანგარიში. ქართველ მაპმადიანთა შორის მას უფასოდ დაურიგებია 1036 ც. წიგნი — ნაყიდი და ნაჩუქარი. მას მოუვლია 115 დაბაქალავი და გაუვრცელებია სულ 3.522 ც. წიგნი, უმთავრესად ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოები. „ახალი კლუბიდან“ მიღებულ 300 მანეთიდან სექტემბრის გასულს დარჩენია 51 მ. 03 კ. ი. კერესელიძე საკუთარი ინიციატივით ეწეოდა ამ საქმეს წ-კითხვის საზოგადოების კონტროლის ქვეშ.

1909 წლის 25 ივნისს გამგეობამ მოისმინა ი. გოგებაშვილის წერილობითი ოთხვენა გაეგზავნათ მისი საფასით ოსმალეთის ქართველებისათვის 500 ც. „დედაენა“ I ნაწ., რაც გამგეობამ შეასრულა. 1916 წლის 24 ნოემბერს გამგეობამ დაადგინა: ეთხოვოს სასკოლო სექციას ამ წლის განმავლობაში შეასწოროს ი. გოგებაშვილის ყველა სახელმძღვანელო, მთავარი ყურადღება მიექცეს „დედაენას“ I და II ნაწილს. აგრეთვე შესწორდეს და გამოიცეს „რუსკოე სლოვოს“ 11 ნაწილი.

1911 წლის 21—24 აპრილს საზოგადო კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ლექსიკონების შედგენისა და გამოცემის აუცილებლობის შესახებ. 15 კაცისაგან შემდგარმა კომისიაში საჭიროდ სცნო ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენა და გამოცემა 2.000 ცალად, 1.500 კვერდის მოცულობით, ჩუბინაშვილის ლექსიკონის ფორმატის. გამოცემა დაჯდება 10.000 მანეთამდე: ფული უნდა ვისესხოთ, რედაქტორი უნდა გამოვყოთო. ლექსიკონის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა; ყველანი საჭიროდ და დროულად სცნობდნენ მის შედგენას და გამოცემას. ამ საკითხთან დაკავშირებით აკაკი წერეთელმა სთქვა: ქართული ენა დაცულია მდაბიო ხალხში, იქ არის ენის სალარო. ბევრი სიტყვაა შემონახული ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით. კაბინეტში მოგონილ ქართულ სიტყვებს ყოველთვის სჯობია ის ბუნებრივი ქართული სიტყვე-



ზი, რაც ხალხში მოიძებნება. ამიტომ საჭიროა ზეპირსკოტყუფლები თბის შეკრება, რომელიც აგვაცილებს თავიდან კაზრულტშირშეცვალვილს უხერხულ სიტყვებს. ზეპირსიტყვაობის შეკრება იქნება პირველი ნაბიჯი, გადადგმული ლექსიკონის შედგენისაკენ“.

სამენეულ ლექსიკონის შედგენა (ქართულ-რუსულ-ფრანგული) შეჩერდა საჭირო თანხის უქონლობის გამო. ზუბალაშვილის მიერ შემოწირული 3.000 მან. საკმაო არ იღმინდა.

1915 წლის დასაწყისს გამგეობამ გადაჭრით დასვა საკითხი ლექსიკონების შედგენა-გამოცემის შესახებ და ეს საქმე მიანდო დავ. კარიჭაშვილს.

დ. კარიჭაშვილი ენერგიულად და მონდომებით შეუდგა დაკისრებულ მოვალეობას; 1915 წლის 12 მაისს დ. კარიჭაშვილი მოხსენებას უდგენს გამგეობას ლექსიკონების შედგენის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს მის სიძნელეს და სირთულეს. პპირდება მოაწროს ეს დადგენილ ვადებში — 2 წლისა და 9 თვის განმავლობაში: რუსულ-ქართული — 1916 წლის 1 აგვისტოსათვის, ქართულ-რუსულ-ფრანგული — 1917 წლის 1 ოქტომბრისათვის; და ფრანგულ-ქართული — 1918 წლის პირველ იანვრისათვის.

10. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამა-
ვრცელებელი საზოგა-
დოების ღონისძიებანი
ცნობილ მოღვაწეთა
ხსოვნის აღსანიშნავად
შერა-კითხვის საზოგადოება, რო-
გორც საქართველოს ერთადერთი
ეროვნული ორგანიზაცია, კისრუ-
ლობდა ეხელმძღვანელა ქართვე-
ლი ხალხისათვის ეროვნული მნიშ-
ვნელობის მოვლენათა აღსანიშნავ
საქმეებისათვის. ასე, მაგალითად,
დიმიტრი ყიფიანის ვერაგულმა მკვლელობამ სტავროპოლიში
მთელი ქართველი საზოგადოება აღაშფოთა და მისი დაკრძალვა
თბილისში 1887 წლის ნოემბერში მეფის მთავრობის სა-
წინააღმდეგო დემონსტრაციად გადაიქცა, რაც, სხვათაშო-
რის იმით გამოიხატა, რომ მთავრობის განშრახვა, რათა პრო-
ცესიას ყოფ. გოლოვინის პროსპექტზე არ გაევლო, დე-
მონსტრატებმა ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ეპისკოპო-



სის (ოქროპირიძის) ხელმძღვანელობით გაარღვეული წერილებზე
პოლიციელთა „კორდონი“ და პროცესია დაიძრა გოლოვინისა
და სასახლის ქუჩაზე გავლით მთაწმინდისაკენ!. დიმიტრი ყი-
ფიანის გადასახლებამ, მისმა მკვლელობამ და ამის გარშემო
წამოჭრილმა ამბებმა დიდად შეუწყო ხელი ქართველ ხალხ-
ში ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გაღვიძებას. მაგ ,
1888 წლის 8 ივლისს ქუთაისის საგუბერნიო უანდარმთა სამ-
მართველოში ალიძრა საქმე ქუთაისის ქართული სკოლის ყოვე-
ლი 16 წლის ვარლამ ლოლუს წინააღმდეგ; რომელსაც
გაჩერეკის დროს უანდარმერიამ მას ბინაში აღმოუჩინა არა-
ლეგალური ლიტერატურა დ. ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნი-
ლი. უანდარმთა სამმართველოს მიერ აღმოჩენილ ამ არალეგა-
ლურ ლიტერატურიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი გამოხვა-
ურება პჰოვა ქართველ საზოგადოებასა და მოსწავლე-ახალ-
გაზრდობაში დ. ყიფიანის მკვლელობის ამბავშა. გამოძიებას
გამოურკვევია, რომ ვარს. ლოლუ მარტო აზ ყოფილა, რომ
მასთან თავს იყრიდნენ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფენი —
პრ. ჩხენეველი, ლ. ჩარკვიანი, ნ. მდივანი, კიტა აბაშიძე,
კლ. თოფურიძე და სხვ., რომელნიც გიმნაზიაში სცემდნენ
ხელნაწერ უურნალს „განთიად“ და რომლისთვისაც მასალას
ლოლუს ბინაშე ამზადებდნენ. ვ. ლოლუა ამ სააგიტაციო
ლექსებს და წერილებს მეზობლებსაც უკითხავდა.

განჯიდან 1893 წლის პრილში ნიკოლოზ ბარათაშვილის
ნეშტის ჩამოსევენება და მისი ღიღუბეში დაკრძალვა ქართვე-
ლი ხალხის ეროვნული გლოვის დღედ გადაიქცა. წ.-კ. საზო-
გადოების გამგეობამ პოეტის საფლავის მოსახებნად და ცხედ-
რის ჩამოსასევენებლად განჯაში ალ. ჭყონია და გოორგი იოსე-
ლიანი მიავლინა, რომლებმაც გამგეობას წარმოუდგინეს პოე-
ტის ტანსაცმელისაგან გადარჩენილი რელიქვიები.

1895 წელს ალინშნა კრწანისის ბრძოლის ასი წლისთვი-
და ამავე წლის ოქტომბერში გადახდილი იქნა ცნობილი პოე-
ტის რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ამ
ამბებს მთელი საქართველო ეხმაურებოდა, რაც ქართველი
ხალხის გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს.

¹ ამის შესახებ იხ. ს. ხუნდაძე — დიმიტრი ყიფიანი, თბ. 1936 წ.,
33. 259—261.

მ ეროვნული გამოფხიზლების შედეგი იყო ის დადი გა-
მოსცლა, რომელიც თბილისის სემინარიის მოწაფეოფშული
მოაწყეს 1893—94 წლებში და რომლის იდეური ხელმიძღვანელი იყ-
ლი ილია ჭავჭავაძე იყო. 1894 წლის პირველი მაისის თარი-
ლით უანდარმთა სამმართველო მოახსენებდა პოლიციის დე-
პარტამენტს სემინარიის მოწაფეთა ამ გამოსვლასთან დაკავ-
შირებით ილია ჭავჭავაძის შესახებ: „7 მარტს მე მოგახსენებ-
დით, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უძლვის
თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ.
იგნტების საშუალებით ახლად შეგროვილი ცნობები, რო-
მელნიც ღირსია ნდობისა, ადასტურებენ, რომ დასახელებუ-
ლი სკოლის მასწავლებელთა გავლენა არ განისაზღვრება მარ-
ტო სემინარიით, არამედ ეს ხელმძღვანელი ღებულობენ მო-
ნაწილეობას უფრო ფართო ქართულ ეროვნულ მოძრაობაში.

დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელმძღვა-
ნელი იმ მიმართულებისა, რომლის მიზანიცაა ეროვნული
მოძრაობის გაღვივება, არის თავ. ილია ჭავჭავაძე, თბილისის
სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე... თავ. ილია
ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო კეუის და მდგომარეობის პატრო-
ნი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ, და
თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის
ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებე-
ბი, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის სოცია-
ლურ საკითხებს. უკველია, არსებობენ სხვა მეორეხარისხო-
ვანი პიროვნებებიც, რომელნიც ცდილობენ აღელვონ ახალ-
გაზრდობა და შეათვისებინონ თავისი სეპარატიული აზრი.
მათი აღმოჩენა ჩემთვის ჯერჯერობით შეუძლებელია...“¹.

ყველა ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, მთავრო-
ბამ ნება არ დართო ქართველ საზოგადოებას აღენიშნა ილია
ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეე-
ბის ორმოცი წლისთავი, რომლის მოწყობა განზრახული იყო
1898 წელს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, როგორც გა-
მომხატველი მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებისა სათანა-

¹ „რევოლუციის მატიანე“, 1925 წ. № 1, გვ. 89—90.

დღ პატივისცემით ოლნიშნავდა ყველა ქართველის ხსოვნას, კინ გისაც თავისი წელილი შექმნდა ქართველი ხალხის უკანასკნელი დღეობაში, მის კულტურულ საგანძურში. ი. გოგებაძილი-
6. ცხვედაძე, პროფ. ალ. ხახიაშვილი, დავ. სარაგიშვილი,
6. ლოლობერიძე, ვაჟა-ფშაველა, ნ. ლომოური, ირ. ევდო-
შვილი და სხვანი სათანადო პატივისცემით დაკრძალა ქართ-
ველმა ხალხმა წ.-კ. საზოგადოების ხელმძღვანელობით, მაგ-
რამ განსაკუთრებული მშჩრნველობა მან ილიასა და ავაკის
ხსოვნის მიმართ გამოავლინა.

წერა-კითხვის საზოგადოებაშ იყის-

ა. წერა-კითხვის საზოგადოების ზრუნვა იღია ჰავჭავაძის სახელის უკვდავსაყოფად

ରୁ ଫାରଟଗ୍ରେଲି ବାଲ୍କିସ ମତରେ ଦିଲ୍
ମିହି ପ୍ରେରାଗ୍ରହଣାଧ ମନ୍ଦିରାଳି ଫାରଟ-
ଗ୍ରେଲି ବାଲ୍କିସ ସାଶାକ୍ଷେତ୍ର ଫ୍ରାନ୍ସିସ,
ଏ.-ଜ. ସାଂକ୍ଷରଣାଧନେଥିଲେ ଏହି-ଏହିଠି
ରାଜାରାଜୁଗାନ୍ଧିରୀଶ ରୁ ମିଳି ସାମାଜିକ

წევრისა და თავმჯდომარის სახელის უკვდავსაყოფად სათანა-
დო ზომები მიეღო. 1907 წლის 9 სექტემბერს ილიას ცხედა-
რი რომ მთაშმინდას მიაბარეს, საღამოს, დაკრძალვაზე ჩამო-
სული დელეგატები და თბილისის საზოგადოებათა წარმო-
მადგენლები გ. ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით შეიქრიბნენ;
ზოგმა მათვანმა ის აზრი გამოიქვეა, რომ ილია ჭავჭავაძის
ძეგლი ერევნის (ეხლანდელი ლენინის) მოედანზე დაედგათ,
მაგრამ საბოლოოდ ეს აზრი უარყოფილ იქნა, რადგან საცხოვ
იყო, რომ მთავრობა ამის ნებას არ დართავდა, და ასც ისეთი
დიდი თანხის შეგროვება იყო მოსალოდნელი, რაც ასეთი
ძეგლის დამზადებას დასჭირდებოდა. ამავე სხდომაზე დადგე-
ნილ იქნა: შედგეს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული
ფონდი ქართული ლიტერატურის გამოსაცემად და სწავლა-
განათლების გასავრცელებლად. ამ საქმეების ხელმძღვანელო-
ბა წ.-კ. საზოგადოებას მიანდვეს. წ.-კ. საზოგადოებაში შემო-
ვიდა იაკობ ნიკოლაძის წინადადება, რომ ის დაამზადებდა
ილიას ძეგლს — „მწუხარე დედა ილიას ბიუსტის წინ“. შედგა
კომისია გამგეობის წევრებისა და სპეციალისტებისაგან, რო-
მელშიც შედიოდნენ: გ. გაბაშვილი, მ. ფრანკე, ბ. ფუგელი,
ო. შმერლინგი, ეგ. თათეოსიანი, მ. თოიძე, ს. კლდიაშვილი,
124

გ. გრინევსკი, ალ. მრევლიშვილი. 1908 წლის 28 ოქტომბერს
კომისიამ გასინჯა ძეგლის მოდელი და საკიზოდ დაინახა. პოე-
ტის ბიუსტის მოხსნა, ხოლო მტირალი ქალის ჭარბი სამართლებრივი
მელიც სიმბოლურად საქართველოს გამოხატავდა, მტირალს
საყვარელ პოეტზე, იდეურად და შესრულების მხრივ მოიწო-
ნა ერთხმად. ერთდროულად მიმდინარეობდა ძეგლისათვის სა-
კირო თანხის შეგროვება. 1908 წლის 31 აგვისტოსათვის ილიას
სახელობის ფონდი 10.818 მ. 79 კ. უღრიდა, მაგრამ ეს თანხა
ხელუხლებლად უნდა დარჩენილიყო და მისი სარგებელი სა-
გურამოში ილიას სახელობის სკოლის დაარსებას და ილიას ნა-
წერების გამოცემას უნდა მოხმარებოდა.

ილიას ძეგლის დამზადება და პარიზიუნან ჩამოტანა გაჭი-
ნურდა.

1910 წლის 5 სექტემბერს ძეგლი უკვე ბათომში იყო მო-
ტანილი. ერთდროულად ინკ. მამრაძის ხელმძღვანელობით
ილიას საფლავზე მხადდებოდა პოეტის ძეგლის არქიტექტუ-
რული ნაწილი. ძეგლის დამზადება მთლიანად 12.482 მ. და
84 კ. დაჯდა, რაც ქართულმა დაწესებულებებმა და კერძო პი-
რებმა გაიღეს; ამ თანხის საგრძნობი ნაწილი კი მოსახლეობა-
ში მოვროვდა.

1912 წლის 14 ივნისს კომისიამ დაათვალიერა ქანდაკი,
რომელიც ქართული გიმნაზიის შენობაში ინახებოდა და ძეგ-
ლის არქიტექტურული ნაწილი, რომელიც პოეტის საფლავზე
იყო გამზადებული. კომისიის თითქმის ყველა წევრმა დაიწუნა
ერთიცა და მეორეც. მხატვარმა ოსკარ შემერლინგმა განაცხა-
და: „Все нужно уничтожить и дело начать сначала“.

არქიტექტორმა კალგინმა თქვა: „Статуя производит впе-
чатление чугуноватости, но ничего особенно скверного не представляет“, საერთოდ დამაკმაყოფილებელია და მისი დადგმა შეიძლება.

ივანე ჯავახიშვილმა სთქვა: памятник не так уж безгра-
мотен, чтобы нельзя было ставить“.

ქანდაკება არ მოუწონებიათ ავრეთვე კომისიის სხვა წევ-
რებსაც — გაბაშვილს, ქურდიანს, გელეიშვილს, გრინევსკის.
ბოლოს კომისიამ დადგინა: „ალიარებულ იქნას პროექტის.
შესრულება დამაკმაყოფილებლად და მისი დადგმა შესაძლებ-

ლად. მაგრამ კომისია იმედოვნებს, რომ შემდეგში ქართველი სახოგადოება თვით ქალაქ. თბილისში შესაფერ უკავშირდება ილია ჭავჭავაძის სახელისათვის უფრო შესაფერს ქართველი გამს ილიას“. კომისიის ეს ვარაუდი და ქართველი ხალხის ოცნება—ეხილა თავისი სახელოვანი შვილის ძეგლი თბილისში შესაფერ აღილზე — აღსრულდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, როდესაც პარტიისა და მთავრობის დადგენილებით რუსთველის პროსპექტზე დაიდგა ილია ჭავჭავაძისა და მისი ღირსეული თანამებრძოლის აკაკი წერეთლის ძეგლი.

ილიას საფლავზე ძეგლის გახსნა 1913 წლის 5 მაისს იქნა დანიშნული. აქ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს იკავიმ, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენელმა გ. უურულმა და გაზ. „მშაკის“ რედაქტორმა ა. ქალანთარმა. ბოლოს მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ბელეტრისტმა დავით კლდიაშვილმა. რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა პოეტს: როცა შენი ძეირთასი სამშობლოს ბებავი მუკლმარეობით დამწუხრებული ეკითხებოდი მას: „მამულო საყვარელო, შენ როსლა იყვავდებიო?“ რას წარმოიდგენდი, რომ შენი მამულის ასაყვავებლად, თურმე, შენ უნდა შეწირულიყავი მსხვერპლად, და კიდეც შეგიწირა მამულმა... შენი უცნაური სიკვდილით შეძრწუნებული ქართველი, გონის მოსული, გამოფხიზლებული, ასაყვავებლადაა გამზადებული და იგი კიდეც იყვავდება და იმ ბელნიერ დღეს ქართველობა მოვა შენთან, მოგახარებს შენი საყვარელი მამულის აყვავებას“¹.

27 ოქტომბერს, ილიას დაბადების დღის აღსანიშნავად მთელს საქართველოს დაბა-ქალაქებში ყოველწლიურად იმართებოდა ილიას სალამოები.

ილიას ნაშერების სრული გამოცემა იყიდრა მ. გელევანი-შვილმა (გამოვიდა მხოლოდ I ტ. 1914 წ.), ხოლო მხატვრული ნაწარმოების სახალხო გამოცემა წ.-კ. საზოგადოებამ (გამოვიდა ოცი წიგნი სერიებად, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით). ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების სრული გამოცემა—აკადემიური და მასობრივი და მისი შესწავლა საბჭოთა ეპოქაში ხორციელდება.

¹ „სახალხო გაზეთი“ 1913 წ. № 888.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის სტდომაზე ალექსი მირიანდაშვილის წინადადებით მიღებული იქნა ზომები ილია შენიშვნებით და ტანსაცმლის დასაცავად.

1914 წ. ილიას მახლობლებმა კ. აფხაზმა და ელის. საგონაშვილმა 700 მ. გადასცეს წ.-კ. საზოგადოებას წიწამურში ილიას მკვლელობის ადგილზე ნიშნის დასადგმელად და ყვარელში ილიას სახლების აღსადგენად.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობაშ დაადგინა: მარმარილოს დაფა მიეკრას იმ სახლს, რომელშიც უკანასკნელად ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე.

ბ. ილია ჭავჭავაძის
ანდერძი და წ.-კ. საზო-
გადოების ღონისძიებანი
მისი განხორციელები-
სათვის

1905 წლის 5 ივნისს ილია ჭავჭა-
ვაძეს შეუტევნია და ილია წინამ-
ძღვრიშვილის სანოტარო კანტორა-
ში დაუმოწმებია შემდეგი შინაარ-
სის ანდერძი: „მე, თავ. ილია გრი-
გოლის ძე ჭავჭავაძე, საღის გონე-
ბისა და მტკიცე მეხსიერებისა,

ვინიცობაა მოვკვდე, ვაცხადებ ჩემს სურვილსა და ნებას: რაც
კი მექუთვნის, მოძრავი და უძრავი ქონება, რანაირიც უნდა
იყოს იგი და სადაც უნდა აღმოჩნდეს, სულ, ერთის სიტყვით,
უველაფერი საესებით, რაც ჩემად იქნება მიჩნეული, ჩემის
სიკვდილის შემდეგ, მიანდერძებია სასარგებლოდ ჩემის მეუღ-
ლე კნეინა ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისათვის, ვიდრე
იგი ცოცხალია, იმ პირობით, რომ კნეინას სიკვდილის შემდეგ
მამაპაპეული ქონება გადავიდეს კანონიერ მემკვიდრეების
ხელში, ხოლო კეთილშეძენილი ქონება, უძრავი და მოძრავი,
გახდეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების საქუთრებად“.

ამ ანდერძით ილია უტოვებდა წერა-კითხვის საზოგადო-
ებას 554 დეს. მიწას წისქვილით საგურამოში და სახლს თბი-
ლისში. 1907 წლის 9 დეკემბერს ამ მამულის მოვლა-პატრო-
ნობისათვის წ.-კ. საზოგადოების გამგეობაშ გამოყო კომისია
შემდეგი შემადგენლობით: ანტონ ფურცელაძე, ვ. ბერელა-
შვილი, ან. ღულაძე, შიო დეზაბრიშვილი და ალ. ყიფშიძე.
1908 წლის იანვარში გამგეობის და კომისიის სხდომაზე, რო-

მელსაც დაესწრენ აგრეთვე ნ. ცხვედაძე, ივ. რატიშვილი, პარ.
გოთუა, ს. ფირცხალავა, გამოირკვა, რომ ამ მამულში უდრიდა 21.000 მან., ვექსილებით, ილიას მართებულ აგრეთვე
11.600 მან. და ა. ფრიდონოვის ვალი 2.526 მან. აღმატებო-
და, ილიას მიწა მწირი იყო და დესიატინა 25 მანეთზე ძვირად
არ გაიყიდებოდა. ნ. ცხვედაძის მოხსენებიდან ნათლად სჩან-
და, რომ ნაანდერძევის ლიტებულება ვალზე ნაკლები იყო¹.

გამგეობის სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ ილიას სახლი
თბილისში ბიბლიოთეკით წ.-კ. საზოგადოების ხელში უნდა
ვადგმოსულიყო. კრებამ უარი თქვა დიდი ვალის გამო ნა-
ანდერძევ ქონებაზე.

ოლღა ჭავჭავაძეს წერილი გაუგზავნია გამგეობისათვის,
რომ ბოქაული ასაწერ ფულს 300 მანეთს მოითხოვს, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ილიას წიგნებს და ნაწერებს გაყიდვა
მოელისო. გამგეობამ ეს ვალი გაისტუმრა.

სხდომაზე აზრი გამოითქვა: ეთხოვთ ოლღა ჭავჭავაძისა-
თვის —დაეთმო მას საზოგადოებისათვის საგურამოში მისი
მამაპაისიეული მამული, სახელდობრ 286 ½ დეს. მიწა, სამ-
სართულიანი სახლი ბალით, ვენახით, ცემენტის აუზით, წყა-
როთი და საოჯახო შენობებით. ამ მამულს 1908 წლის 6 ივლი-
სისათვის 23.000 მანეთამდე ვალი ჰქონდა. ამ მამულის ნაწი-
ლობრივი ლიკვიდაციის შედეგად საზოგადოებას დარჩებოდა
ილიას სახლი ქალაქში, სოფლის სახლი ბალით, ვენახით და
ტყით, დაახლოებით 164 დღეს. ეს აზრი გაიზიარეს გრ. რცხი-
ლაძემ, ვ. ბერელაშვილმა, შიო დედაბრიშვილმა, ალ. ყიფში-
ძემ, ნიკო ცხვედაძემ. ალ. ყიფშიძე და შიო დედაბრიშვილი
ართურ ლეისტთან ერთად გაემგზავრნენ ოლღა ჭავჭავაძესთან,
რომელიც დაუყოვნებლივ დათანხმდა სათანადო ქტით გა-
დაეცა თავისი მამული საგურამოში წ.-კ. საზოგადოებისა-
თვის.

ალ. ყიფშიძემ აცნობა გამგეობას, რომ ივნისში (1908 წ.)
ბანკი საჯაროდ ყიდის ილიას და ოლღას უძრავ მამულებსო;
მიღებულ იქნა სათანადო ზომები; გამგეობამ დააფგინა: „შეი-
ძინოს წ.-კ. საზოგადოებამ თავის სახელზე ოლღა ჭავჭავა-

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 3085, ფ. 75.



ძის მამული გურაშიანთ კარში და ილიას სახლი თბილისში მოინახული აღსრულება მიენდო გამგეობის წევრს ალ. ყიფშიძე შექმნებულ აღსრულება

საჯარო ვაჭრობის დროს აღმოჩნდა, რომ ა. ფრიდონოვს აღებული პეონია ილიას სახელზე თბილისში აღმასრულებელი ფურცელი 2.526 მან. და აპირებდა საჯარო ვაჭრობაში დაენარჩიუნებინა ილიას სახლი. მაგრამ რადგან გრ. რცხილაძემ და ალ. ყიფშიძემ ფრიდონოვს ხელშერილი მისცეს, რომ ვაღს გადაუხდიდნენ, ფრიდონოვმა უარი სთქვა მიეღო მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში. გამგეობას თავადაზნაურობამ ასესხა უსარგებლოდ 2.000 მან., რომლითაც ფრიდონოვი გაისტუმრეს.

1908 წლის ივლისის პირველს საჯარო ვაჭრობა დასრულდა. საგურამოს მამული სამსართულიანი სახლითა და ილიასეული სახლი თბილისში დარჩა ბანქს, საიდანაც წ.-კ. საზოგადოებას შეეძლო მისი შეძენა საკუთრებად.

1908 წლის 15 ივლისს ბანკის რწმუნებულმა ნ. დ. ერის-თავმა საგურამოს ოლღასეული მამული ჩააბარა წ.-კ. საზოგადოების ვექილს ალ. ყიფშიძეს და ამიერიდან ის ითვლებოდა წ.-კ. საზოგადოების კუთვნილებად. საგურამოს მამული იჯარით მიეცა აგრძონომ გ. ჯანდიერს. შემდეგში მოიგარადრეები იცვლებოდნენ. მასალებიდან არ ჩანს, რომ საგურამოს მამული ჩენტაბელურად ყოფილიყო მოწყობილი (იხ. ანგარიში წ.-კ. გამავრცელებელი საზ-ებისა, 1914 წ., გვ. 64—74).

ილიას სახლის შეძენა თბილისში არ მოხერხდა დიდი ვალის გამო, ბანკის ვალი 6.000 მან. უდრიდა.

მაგრამ ქართველი საზოგადოება მეტად იყო დაინტერესებული ილიასეული სახლის შენარჩიუნებით, არ უნდოდათ ის კერძო პირს ჩავარდნოდა ხელში, მისი შეძენის მსურველი კი ბევრი იყო. 1911 წლის 24 აპრილს წ.-კ. საზოგადოების საერთო კრებამ დაადგინა: „ილიასეული სახლი თბილისში უსათუოდ შეინარჩინოს საზოგადოებამ, რომელიც ავალებს გამგეობას მიჰმართოს დასახელებულ ზომებს“. (ბანკი, საზოგადოების განკოფილებანი, ხელისმოწერა და სხვ.). მაგრამ ილიას სახლის შეძენა გაძნელდა უსახსრობის გამო. საქრედიტო კანცელარიამ ბანქს აუკრძალა ილიასეულის სახლის უფასოდ წ.-კ. საზოგადოებისათვის გადაცემა

და მიიტომ გამგეობამ გადაწყვიტა ილიას უფლის რეზისორის
მამულზე ხელის აღება. გეგმული მიმდევა

ილიას სახლს ძირითადი ვალი პქონია 6.000 მან. და „ნე-
დოიძეა“ 7.000 მან., სულ 13.000 მანეთი იყო საკირო მის
შესაძენად; სახლი კი წლიურად მხოლოდ 600 მანეთს იძლე-
ოდა. ერთ-ერთი მყიდველი პირობას იძლეოდა, რომ ის შე-
იძენდა ილიას სახლს და მაშინვე გადასცემდა ამ სახლს წ.-კ.
საზოგადოებას, როგორც კი მისგან 13.000 მან. მიიღებდა.
საზოგადოების საერთო კრებამ (ეს იყო 1913 წლის 17 ნოემ-
ბერს) დაადგინა: „არჩეულ იქნას კომისია 12 კაცისაგან, რო-
მელმაც გამგეობასთან ერთად გამონახოს საშუალება ილიას
სახლის შესაძენად. უკიდურეს შემთხვევაში, სესხად აიღოს
საჭირო თანხა თვით ილიას სალიტერატურო და სალექსიკო-
ნო ფონდებიდან“¹.

უფრო აღრე, 1913 წლის 11 ივლისს გამგეობამ დაადგინა:
„ალიძეს შუამდგომლობა ბანკის წინაშე ოთხი თვით შეაჩე-
როს მან ილიას სახლის გაყიდვა, რომელსაც შეიძენს ან წ.-კ.
საზოგადოება, ან რომელიმე სხვა ორგანიზაცია ილიას პატივ-
საცემადო“.

1914 წლის ოქტომბერში წ.-კ. საზოგადოებამ მოახერხა
ილიას ანდრეევის ქუჩაზე მდებარე სახლის ვალების გადახდა
და სახლი წ.-კ. საზოგადოების კუთვნილება გახდა². ილიას
ეს სახლი დიდხანს იყო უყურადღებოდ მიტოვებული, სანაც
საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებით იქ, 1957 წ. ილიას
სახლობის მუზეუმი გაიხსნებოდა.

რაც შეეხება ილიას ულ მამულს ყვარელში, ამის შესახებ
შეიძლება შემდეგი ითვეს. 1911 წლის 29 ოქტომბერს წ.-კ.
საზოგადოების გამგეობას მოხსენდა, რომ „თბილისის გუბერ-
ნიის თავადაზნაურობამ შეიძინა თავის საკუთრებად ბანკზე
დარჩენილი ი. ჭავჭავაძის მამული ყვარელში 5.344 მან.
39 კაპ. ეს მამული თავადაზნაურთა კრების დადგენილებით
უნდა გადაეცეს ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფი-
ლებას მოსავლელად და დასამუშავებლად განყოფილების
სასარგებლოდ. კომისია სთხოვდა მთავარ გამგეობას ჩაებარე-

¹ სცა, ფ. 481, საქ. № 4070, ფ. 22.

² სცა, ფ. 481, საქ. № 5096, ფ. 105.

ბინა აღნიშნული მამული და გადაეცა ის თელავის განკოფი-
ლებისათვის. გამგეობამ დადგინა: თბილისის ფაქტურული
თავადაზნაურობას გამოეცხადოს ულრმესი მაღლობული შეკიდულ
უხვი შემოწირულებისათვის; მიეწეროს თელავის განკოფი-
ლებას მიიღოს ი. ჭავჭავაძის მამული ყვარელში და შედგენილ
იქნას მიღება-ჩაბარების სათანადო ოქმი.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ეს მამული ყოფილა მეურნე-
ობრივად სათანადოდ დაყენებული. 1915 წლის ივნისში გამ-
გეობამ დაადგინა: აფხაზის მიერ შემოწირული 400 მან. გაეგ-
ზავნოს თელავის განკოფილებას აღნიშნული მიზნისათვის,
ეთხოვოს ახალ ქლუბს მასვე გაეგზავნოს ამავე მიზნისათვის
შემოწირული 400 მან. თელავის გამგეობამ მიიღოს ყოველი-
ვე ღონე მამულის შესაკეთებლად და ფულისათვის მიმართოს
თბილისის თავადაზნაურობას, რომელსაც ეკუთვნოდა ხსენე-
ბული მამული.

როგორც აღნიშნული იყო, დიდი დაბრკოლებების გადა-
ლავის შედეგად, განსაკუთრებით კი ოლღა ჭავჭავაძის მიერ
თავისი კუთვნილი მამულის წ.-კ. საზოგადოებისათვის გადა-
ცემის მეოხებით, შესაძლებელი გახდა იღიას ანდერძის გან-
ხორციელება — საგურამოში სახლისა და მამულის, თბილი-
სის სახლისა და ყვარელის მამულის შენარჩუნება. იღიას ან-
დერძის განხორციელება მხოლოდ საბჭოთა პირობებში გახ-
და შესაძლებელი; საგურამოში იღიას სახელობის მუზეუმია
გახსნილი, ყვარელში განადგურებული მისი სახლკარი აღ-
გენილია და იქაც იღიას სახელობის მუზეუმია გახსნილი,
იღიას ესული თბილისის სახლიც ანდრეევის ქუჩაზე კერძო
მობინადრებისაგან გათავისუფლებულია, განახლებულია და
იქაც იღიას სახელობის მუზეუმია მოთავსებული.

აკაკი წერეთელი მუდამ დიდად
გ. აკ. წერეთელი და წერა-
კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოება

იყო დაინტერესებული წ.-კ. სა-
ზოგადოების საქმიანობით; სა-
ერთო კრებებზე სიტყვით გამო-
დიოდა. თავის საჭარო გამოს-
ვლებში საზოგადოებას ურჩევდა ფოლკლორისა და სიძველე-
თა ნაშთების შეკრებას, მოურიდებლად ამხელდა ყველას,
ვინც წ.-კ. საზოგადოებას ზიანს აყენებდა. გამგეობა ბეჭდავ-
და მის ნაწარმოებებს და დროგამოშვებით მას ფულად დახმა-



რებას აძლევდა, შემდეგ ასი მანეთი ოვიური პენსიტურული შემარტინოვანი აკადემი.

1908 წლის 18 სექტემბერს გამგეობამ მოისმინა ვალ. გუნიას განცხადება აკაკი წერეთლისათვის იუბილეს მოწყობის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: „ამ საკითხის შესახებ შაბათს დაინიშნოს გამგეობის სხდომა, რომელზედაც მოწვეული იქნან წარმომადგენელი: უურნალ-გაზეთების, დრამატიული საზოგადოების, ფილარმონიული საზოგადოების, „განათლების“ საზოგადოების, ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართული გიმნაზიის; აგრეთვე იაკობ გოგებაშვილი, ეკ. გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე.

აკაკისათვის იუბილეზე ადრესის მირთმევა დაევალა ი. ლულაძეს (თაგვიდომარის მმხანავი), ალ. ყიფშიძეს და პ. სურგულაძეს.

1909 წლის 29 იანვარს გამგეობამ განიხილა აკაკის განცხადება, რომ გამგეობამ შეიძინოს მისგან საიუბილეო დღე-სასწაულზე მიღებული ნივთები. რაზედაც გამგეობამ უარით უპასუხა უსახსრობის გამო. ხოლო შემდეგში ასეთსავე თხოვნაზე გამგეობამ უპასუხა, რომ ასეთი ნივთები გამგეობის ს.-კუთრებას შეადგენს.

1910 წ. 30 სექტემბერს გამგეობამ განიხილა აკაკის თხოვნა მისი წიგნების შესახებ. ითხოვდა ოფიციალური ანგარიშის მიცემას და ადრესების უკან დაბრუნებას; გამგეობამ დაადგინა: აკაკის მიეცეს წიგნების ანგარიში, ხოლო ადრესების დაბრუნებაზე უარი ეთქვას, რადგან საიუბილეოდ მირთმეულ ნივთებთან ერთად ადრესებიც დათმობილი აქვს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას¹.

სოფ. სხვიტორიდან რომ აკაკის ავალმყოფობის ამბავი მოვიდა 1915 წლის იანვარს, გამგეობამ მასთან გაგზავნა ნინო ნაკაშიძე გამგეობისაგან სალამის გადასცემად. 20 იანვარს გამგეობამ აკაკისათვის გასაგზავნად გადასდო 200 მანეთი. აკაკის გარდაცვალება გამგეობას მოხსენდა 1915 წლის 26 იანვარს. განსვენებულ პოეტის პატივსაცემად გამგეობამ დაადგინა:

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 3031, ფ. 127.

1. საჩერეში გაიგზავნოს კირილე ნინიძე, რომელიც ფლუიდა ვალა სიტყვის თქმა; 2. თბილისის სადგურზე პრეტეზის ფლუიდა დარს გამგეობა უნდა დახვედროდა მთელი შემაღებლობით; 3. დასაფლავების დღეს სიტყვის თქმა დაევალა დავ. კარიჭა-შვილს, 4. დაიბეჭდოს აკაკის პატარა სურათები 5.000 ც. პოეტის მოკლე ბიოგრაფიით ხალხში გასავრცელებლად უფასოდ. 5. გვირგვინის ნაცვლად აკაკის ფონდისათვის გადაიდოს 300 მან. 6. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებში გაიმართოს აკაკის დილა და დარიგდეს პოეტის სურათები. 7. ზუგდიდის სკოლას დაერქვას აკაკის სახელი. 8. დასაფლავების ხარჯებისათვის გადადებული იქნა 300 მან., აკაკის ქვრივს მიეცეს დახმარება 200 მან.

აკაკის 1912 წლის 7 ნოემბერს შეუდგენია ანდერძი, რომლითაც სხვიტორის სახლსა და ეზოს ცოლ-შვილს უტოვებს, შემდეგ კი, წ.-კ. საზოგადოების ხელში უნდა გადასულიყო იმ პირობით. რომ იქ უნდა დაარსებულიყო ქალთა პროფესიური სკოლა, ვენახი აკაკიმ უანდერძა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მთლიანი ქონება შეფასებული იყო 14.000 მანეთად, ვალი მამულს ჰქონდა 7.000 მანეთა. აკაკის ცოლ-შვილმა უარი განაცხადა თავის უფლებებზე. ეთნოგრაფიული საზოგადოებაც უარს ამბობს ვენახის მიღებაზე. დღეს სხვიტორის აკაკისეულ სახლში მუზეუმია მოთავსებული.

11. შემოწირულებანი წ.-კ. მიანობის წარმატებას ხელს უშაბაზონების სიმცირე. გამგებას არ გააჩნდა რაიმე მუდმივი მნიშვნელოვანი მატერიალური წყარო. მისი ნივთიერი სახსარი საწევროსა და ყოველწლიურ საღამოს შემოსავლისაგან იყო დამოკიდებული. ბოლო წლებში რამდენიმე ქველმოქმედმა მნიშვნელოვანი უძრავ-მოძრავი ქონება უანდერძა საზოგადოებას. როგორც ჩანს, გამგეობას განუზრახავს ფულადი სახსრების მოგროვების ინიციატივა კერძო პირებს დაკისრებოდა.

1911 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა ნიკოლოზ ბესარიონის ძე ოლობერიძე. რომელმაც წ.-კ. საზოგადოებას უანდერძა 45.000 მან.



1912 წლის ზაფხულს ქ. სამარაში გარდაიცა უკანას მანებელი. ხახანაშვილი, რომელსაც ნაღდი ფული დარჩა 52.821 გ. 79 კ. და 6.326 სარგებლიანი ქალალდი. ამ თანხილან დაახლოებით 13.000 მანეთი ხახანაშვილს უანდერძებია თავის ნათესავებისა და მახლობლებისათვის, დანარჩენი თანხა კი, დაახლოებით 45.000 მან. შერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ნაანდერძევი-დან წ.-კ. საზოგადოების სახელშე შემოტანილ იქნა 59.900 მან. ქ. სამარილან განსვენებულის ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯების გამოკლებით წ.-კ. საზოგადოებას ალ. ხახანაშვილის ნაანდერძევი თანხიდან დარჩა — 45.689 მ. და 81 კ.

დავით სარაჯიშვილმა თავის დიდი ქონებიდან 1910 წ. შედგენილ ანდერძით საქმაო თანხა დაუტოვა წ.-კ. საზოგადო-ებას მუზეუმის ასაგებად და სტიპენდიებისათვის, რაც მისი უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად უნდა მომხდარიყო.

დიდმნიშვნელოვანი იყო ავრეთვე იაკობ გოგებაშვილის შემოწირულებანი.

1912 წელს ძმ. ზუბალიშვილებმა შესწირეს საზოგადოებას 20.000 მან. (5 — 5 ათასი წელიშადში) და 1000 მან. სტიპენ-დიებისათვის.

საგრძნობი თანხა შემოდიოდა წ.-კ. საზოგადოებას ყო-ველწლიურად გამართულ საღამო-სეირნობებიდან, მაგ. 1913 წლის 26 მაისს გამართული სეირნობიდან საზოგადოებას სუფთა შემოსავალი დარჩა 1.186 მან. და 50 კ., ხოლო 1915 წლის 21 ივნისს გამართულ სეირნობიდან — 2130 მან. და 79 კ. ასეთი შემოსავალი შედეგი იყო არა მარტო საქმის კარ-გი ორგანიზაციის, არამედ ფართო საზოგადოების თანაგრ-ძნობისა წ.-კ. საზოგადოებისადმი.

ქ. შ. წ.-კ.-ის გამავრცელებელი
12. წ.-კ.-ის საზოგადოე- საზოგადოება ანაწილებდა იმ სას-
ბის სტიპენდიანტები და ტიპენდიო თანხებს, რომლებიც
ერთდროული დახმარება მსურველებს ამ მიზნით შემოჰ-
მწერლებს და საზოგადო ქონდათ. პირველად ამ მიზნით ძვ.

მოღვაწეებს ზუბალიშვილები, 1908 წლას
1 იანვრიდან 1912 წლის 1 იანვრამდე ყოველწლიურად საზო-
გადოებას 6.000 — 6.000 მან. აძლევდნენ. სულ მათ შემოიტა-



ნეს 24.000 მან. 1912 წლის იანვრიდან 1916 წლის ფრენტზე გამოიწყებული ზუბალაშვილებმა კვლავ იკისრეს 4 წლის მანძილზე უკუკურავა მიზნით 5.000 — 5.000 მან. შემოტანა — სულ 20.000 მანეთა უნდა შემოტანათ.

6. ბ. ღოღობერიძის სასტიპენდიო ფონდი გამგეობამ მიიღო 1912 წელს, რომლითაც 20.000 მან. ხელუხლებელი თანხიდან პროცენტები 950 მან. რაოდენობით სტიპენდიებს უნდა მოხარებოდა.

1913 — 1914 წლის განმავლობაში დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძის აღმსრულებელთაგან შემოვიდა 80.375 მ. და 84 კ. ამ თანხის სარგებელი — 3.817 მან. 86 კ. თანახმად ანდერძისა სტიპენდიებს უნდა მოხმარებოდა.

1913 წლის 1 იანვრიდან 1915 წლის იანვრამდე წ.-კ. საზოგადოებას 37 სტიპენდიანტი ჰყავდა, რომელთაც 300 — 300 მანეთი ეძლეოდა წელიწადში.

1917 წელს საზოგადოებას 17 სტიპენდიანტი ჰყავდა.

წ.-კ.-ის საზოგადოების საერთო კრებაზე ხშირად იმართებოდა კამათი იმის შესახებ, თუ რა პროცესიის პირებს უნდა მისცემოდა სტიპენდიები.

საზოგადოება დროგამოშვებით ფულად დახმარებას აძლევდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ზუბალაშვილის ფონდიდან 1908 წ. 400 ფრანკ დახმარებას ითხოვდა მიხა ცხაკაია, მაგრამ ოქმი არა ჩანს, მიეცა თუ არა მას ეს დახმარება.

ქუთაისის განყოფილების თხოვნით არჩილ ჯორჯაძეს მიეცა დახმარება 150 მან., მიხაკო წერეთელს — 100 მან., ავალ-მყოფ ვლადიმერ ლორთქიფანიძეს 100 მ. დახმარება მიეცა 1909 წ. ივნისს, მიუნენის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს დიმიტრი შავარდნაძეს გაეგზავნა 50 მან. დახმარება. დ. განდევილს უარი ეთქვა სესხად დახმარებაზე უსახსრობის გამო. ნინო ორბელიანს უარი ეთქვა დახმარებაზე უსახსრობის გამო. ია კარგარეთელს გამგეობამ დახმარება აღმოუჩინა 20 მან. და მიიღო მისგან — „ქართული ხალხური ლექსები“ და „Краткий очерк грузинской музыки“. აკაკის ფონდიდან ვაჟას



მიეცა დახმარების სახით 100 მან. არჩილ ჯორჯაძეშვილი მიეცა ლოთ გამგზავრების გამო წინასწარ მიეცა ოთხტა აჭათა კუთხის მქონე სახის აუქციონი.

1911 წელს უარი ეთქვა დახმარებაზე ირ. ევდოშვილს.

1912 წელს ვაჟა ითხოვდა: რაღვან ფული ძლიერ მესაჭიროება, ამიტომ დამეხმარეთ 100 მანეთის სესხებით აკაკის ფონდიდანო. გამგეობამ დაადგინა: რაღვან აკაკის ფონდიდან დახმარება არ შეიძლება, ამიტომ უარი ეთქვასო. 1912 წლის პირველი ნოემბრიდან არჩილ ჯორჯაძეს უარი უთქვამს პენსიის მიღებაზე.

1912 წ. დეკემბერში ვაჟა-ფშაველა თხოულობს ზუგალაშვილის ფონდიდან 1 — 2 წლით სტიპენდიის დანიშვნას, რაღვან მოსკოვს გამგზავრებას აპირებდა შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში ლექციების მოსამართად. გამგეობა უარი უთხრა ვაჟა-ფშაველას, რაღვან ასეთი მგზავრობა არ შეესაბამება სასტიპენდიო წესებსაო.

1913 წლის დასაწყისში ვაჟამ ითხოვა 100 მ. დახმარება, მიეცა 60 მ.

1913 წ. 6 ივნისს ლავრენტი არდაზიანის ქვრივი ეფროსინე სთხოვს გამგეობას, რომ წინად მიღებული 50 მან. ჩაეთვალოს შემწეობად და ნუ გამოერიცხება ყოველთვიური დახმარებიდან; გამგეობამ დაკმაყოფილა არდაზიანის ქვრივის თხოვნა.

1913 წლის 25 მარტს გამგეობამ დაადგინა: არჩილ ჯორჯაძის დასაკრძალვად მის ჭირისუფლებს მიეცეს სამასი მანეთი.

1915 წლის ოქტომბერში გამგეობის წევრი გრ. რცხილაძე თხოულობს, რომ გამგეობამ დახმარება აღმოუჩინოს ამჟამად მძიმე ავადმყოფს პუბლიცისტს ნოე უორდანიას. გამგეობამ დაადგინა: მომავალი წლის ხარჯთალრიცხვიდან გაეგზავნოს ნოე უორდანიას 100 მანეთი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წ.-კ. საზოგადოება განაგრძობდა კულტურულ ურთიერთობას რუსეთთან და უცხოეთთან: 1909 წელს მოსკოვის წ.-კ. საზოგადოებამ მიპარათ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას წინადადებით დაემყარებინა მასთან ერთგვარი ურთიერთობა. გამგეობამ დაადგინა: გაეგზავნოს

წესდება, ანგარიშები და მოხსენებები მასწავლებელთა გადა-
სამზადებელი კურსების შესახებ.

1910 წელს პეტერბურგის განათლების ლიგამ წილით დაგენერირდა ბით მომართა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას მიეღო მონაცენტრუალისტური სახელმძღვანელოთა და სასწავლო წიგნების გამოფენაში. გამ-
გობამ დაადგინა: გაეგზავნოს საჭირო წიგნები.

უკრაინის გამომცემლობამ „ჩას“ სთხოვა დახმარება წ.-კ. საზოგადოებას ქართული პოეტური ნაწერების უკრაინულ ენაზე თარგმნის შესახებ. ხარკოვის სახალხო სახლმა 1911 წელს დიდი ზეიმით ორნიშნა თავისი მოღვაწეობის 50 წლის-
თავი. ქ. შ. წ.-კ.-ის საზოგადოების დავალებით სტ. ალ. წერე-
თელმა მიულოცა ეს დღე საზოგადოებას და გ. ყაზბეგის მიერ
გავზავნილი დეპეშა წაიკითხა, რამაც დიდი ოფიციალური გამოიწვია დამსწრეთა შორის.

ქართული წიგნები გაიგზავნა პარიზის გამოფენაზე.

1914 წელს ლაიბციგის გამოფენაზე გაიგზავნა 14 სხვადა-
სხვა ქართული ნაბეჭდი წიგნი და ურნალი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას მთელი თავისი არსებობის მანძილზე სუსტი კავშირი ჰქონდა რუსეთისა და უკრაინის ანალოგიურ საზოგადოებებთან, შე-
იძლება იმიტომ, რომ რუსეთში ასეთი საზოგადოებანი მხო-
ლოდ წ.-კ. გავრცელებას ემსახურებოდნენ, ჩვენში კი შესა-
ფერი კულტურული ორგანიზაციების არარსებობის გამო,
წ.-კ. საზოგადოება წარმოადგენდა მთელი ქართული ეროვნუ-
ლი კულტურის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს.

წერა-კიდენის საზოგადოების წარ-

18. წ.-კ. გამავრცელებე-
ლი საზოგადოების ბიუ-
ტითი

მატებით მუშაობას ხელს უშლი-

და მტკიცე ბიუგეტის უქონლობა.

საზოგადოების შემოსავალი უმე-

ტეს შემთხვევაში შემთხვევითი ხა-

სიათისა იყო, ალალბედზე დამოკიდებული; უმთავრესად ის
შედგებოდა საწევრო გადასახადის, წიგნის მაღაზიის მოგები-
სა, შემთხვევით შემოწირულებისა, ყოველწლიურად გამარ-
თულ საღამო-სეირნობის შემოსავლისაგან. მაგრამ არც-ერთი
ზემოქანობის შემოსავალი არ იყო მტკიცე; ამიტომ გამ-

გეობის სამუშაო გეგმა ყოველთვის არარეალური იყო. შემო-
სავლის მთავარი ნაწილი — საწევრო გადასახადდა მცხოვრებად
შემოდიოდა, რომ გამგეობას დასჭირდა საგანგეშო ტექნიკური და
რავება საწევრო თანხის ასაკრებად, მაგრამ ვერც ამან უშე-
ლა საქმეს. როგორც თავის დროზე აღნიშნეთ, საზოგადოე-
ბას მრავალი ფონდი ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზნისა-
თვის, და ამა თუ იმ ფონდიდან თანხების თავისუფალი ხარჯვა
გამგეობას არ შეეძლო. ამრიგად, საზოგადოების ბიუჯეტი არ
იყო მტკიცე და საიმედო.

ზოგჯერ საზოგადოებას დეფიციტიანი წლიური ბიუჯეტი
ჰქონდა: შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს.

შეიძლება ითქვას, რომ გამგეობა თვიური შემოსავლით
ცხოვრობდა; ასე, მაგალითად, 1914 წლის ოქტომბერში მას
შემოსვლია 5.830 მ. 91 კ., დაუხარჯავს — 5.523 მ. 89 კ., სალა-
როში კი მას ამ დროს 258.901 მ. და 83 კ. ჰქონდა.

1915 წლის მაისში საზოგადოებას ჰქონდა 326.626 მ. 68 კ.,
ამავე წლის ივნისში საზოგადოებას შემოუვიდა 10.766 მან.
87 კ., დახარჯა 10.433 მ. 70 კ., სალაროში დაჩია 328.845 მ.
60 კ.

1915 წლის ნოემბერში საზოგადოებას შემოსვლია
34.519 მ., დაუხარჯავს 33.875 მ. სულ საზოგადოებას ჰქონდა
352.798 მან. ამაში არ შედის ის უძრავი ქონება, რომელიც
წ.-კ. საზოგადოებას გააჩნდა, მაგ., სამუშეულო ადგილი „ფიქ-
რის გორაზე“, ღირებული 1915 წელს — 100.000 მან., ილია
ჭავჭავაძის უსული მამული საგურამოში, ღირებული 50.000 მან.;
ილიას უსული სახლი ანდრეევის ქუჩაზე ვალისაგან სრულიად
თავისუფალი, ღირებული 14.000 მან. ი. გოგებაშვილის მიერ
შემოწირული მიწა ვაკეში — 3.000 მან.; კავკავის განყოფი-
ლების შენობა, ღირებული 60.000 მან.; ბათომის სკოლის შე-
ნობა, ღირებული 40.000 მან. სოხუმის სკოლა — 20.000 მან.;
ყალმშიის სკოლა — 2.000 მან.; ს. შრომის — 1.000 მან.; წინა-
რეხის — 2.000 მან.; გომარეთის — 700 მან.; გერგეთის — 2.000
მან.



14. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება პირველი მსოფლიო ომის და სამოქალაქო ომის წლებში

როგორც ზემოთ იყო უმცირესი მსოფლიო ომის წლებში შედებოდა მსოფლიო ომის წლებში საზოგადოებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: ის თანდათანობით და ნამდვილად ხდებოდა მასიურ ორგანიზაციად, რომლის გარშემო ირაზმებოდა

მთელი შეგნებული ქართველობა. მისი მნიშვნელობა მარტო საგანმანათლებლო საქმიანობით არ ამოიწურებოდა: სკოლების დაარსება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა, სახალხო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა, ცენტრალური ბიბლიოთეკა-მუზეუმის შექმნა, ქართულ-ეროვნული მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მოვლა-პატრონობა, ქართველ მოღვაწეთა პანთეონის შექმნა და ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე ზრუნვა მათ სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ, ფილიალების შექმნა ფართო მასის ასამოქმედებლად და მასთან დასახლოვებლად, — ყველაფერი ეს და სხვა მრავალი ისეთი ლონისძიებანი იყო, რომელთაც ქართველ ხალხში ეროვნული გათვითცნობიერება და ეროვნული თვითგამორკვევის შეგნება შეჰქმნდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამ მიმართულებით წ.-კ. საზოგადოება კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწიედა, მაგრამ 1914 წ. დაწყებულმა 1-ლმა მსოფლიო ომმა თავდაპირველად შეანელა საზოგადოების საქმიანობა, ხოლო მომდევნო წლებში მომხდარმა ძვრებმა, თებერვლის რევოლუციამ, სამოქალაქო ომმა და სხვა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებია ხელი შეუშალეს წ.-კ. საზოგადოების ნორმალურ მუშაობას, ხოლო საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვება: ქართველი ხალხის ეკონომიკურსა და კულტურულ განვითარებას სხვა გზები დაუსახეს და ამიერიდან წ.-კ. საზოგადოების არსებობაც ზედმეტი გახდა.

წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ცდილობდა ომისა და მომდევნო გართულებების პირობებშიც განეგრძო და გაეფართოებინა თავისი ამოცანები და საქმიანობა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მისცემდა გართულებული ეკონომიკური



პირობები. საზოგადოების ხელმძღვანელობამ შეიქმნა წელი წესდება, რომელიც მთავრობამ 1917 წლის 14 იანვარს დაამტკიცა. ამ წესდებაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამიერიან საზოგადოების წევრობისათვის სამი მანეთის ნაცვლად ერთი მანეთი იყო დაწესებული, ხოლო ნაცვლად საზოგადოების საერთო კრებისა, რომელსაც ყველა წევრი უნდა დასწრებოდა ქ. თბილისიდან და რაიონებიდან, წესდებოდა ფილიალებიდან წარმოგზავნილ რწმუნებულთა კრება, რომელიც საერთო კრების მაგივრობას ასრულებდა. ფულის თანდათანობითი დევალვაციის პირობებში, მანეთიანი საწევროს შემოღება ნიშნავდა საზოგადოებისათვის ნივთიერი სახსრების კიდევ უფრო შემცირებას, რამაც ზოგ განყოფილებაში უკმაყოფილებაც კი გამოიწვია.

მეორეს მხრით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც მანეთიან საწევრო გადასახადის შემოღებას გამოუწვევია ახალ წევრთა მოზღვავება საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რომ მანეთს საგრძნობლად ჰქონდა ფასი დაკარგული: 1917 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა 6.951 წევრი; წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 1935 ახალი წევრი; 1918 წლის პირველ იანვრისათვის სულ იყო 8.886 წევრი.

1917 წელს თბილისში არსებობს წ.-კ. საზოგადოების თბილისის განყოფილება, რომელიც 3161 წევრს აერთიანებს.

1915 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირი, რომლის მიზანს შეადგენდა თითოეული საზოგადოების დამოუკიდებლობის შენარჩუნების საფუძველზე კულტურული ძალების გაერთიანება და მისი მიზანშეწონილად წარმართვა. კავშირის დებულება გუბერნატორმა 1915 წლის 10 ივლისს დამტკიცა. კავშირში 31 ორგანიზაცია იყო გაერთიანებული. კავშირის რწმუნებულთა საზ. კრება შედგა 1916 წლის 12 აპრილს. კავშირისა და გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ყაზბეგი, მის ამხანაგად ექვთ. თაყაიშვილი, მოლარედ — გრ. რცხილაძე, მდივნად — გ. ცინცაძე.

1915 წლიდან წ.-კ. საზოგადოების სკოლებში შემოღებულ იქნა სწავლება 1914 წლის პირველი ივლისის დებულებით,

რომლითაც კერძო სასწავლებლებში, არა თუ დაწყებითი, არამედ საშუალოშიც, შეიძლებოდა სწავლა ბავშვებურული ურ ენაზე წარმართულიყო. რუსულ ენაზე, გარდა პარასკევისა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია უნდა ესწავლებიათ. ამ დებულებით 1915 წლის სექტემბრიდან ქართულ ენაზე მოწყო სწავლება ქუთაისისა და თბილისის ქართულ გიმნაზიებში.

ომა პირველ რიგში ზიანი წ.-კ. საზოგადოების იმ განცოვილებებსა და დაწესებულებებს მიაყენა, რომელნიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებში იყო მოთავსებული. ამ ქალაქების დაბობვამ გამოიწვია მოსახლეობის განიხენა ბათომიდან, ფოთიდან, სოხუმიდან და სხვა დაბა-ქალაქებიდან. გაიხიზნა დაწესებულებებიც. ბათომის ქართული სკოლა დაიხურა და მის შენობაში საავალმყოფო გახსნეს. დაიხურა ფოთის ქართული სკოლაც. სოხუმთან „გებენის“ გამოწენამ დიდად შეაშფოთა ქალაქის მოსახლეობა და ქალაქიდან გაიხიზნულა: სკოლის მასწავლებელი ნ. ქურიძე (ზომლეოლი) გურიაში წასულა, თ. თაყაიშვილი — ქუთაისში; მაგრამ, მალე ახლომახლო გახიზნული მოსახლეობა სოხუმს დაბრუნებია. ნ. ჯანაშიას სკოლაში სწავლა კვლავ განუახლებია. მზარდი ეკონომიური კრიზისი და საერთო ორევ-დარევა წ.-კ. საზოგადოებას ხელს უცარავდა და აღრე გახსნილი სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შენარჩუნების საშუალებას არ აძლევდა. 1916 წელს, თანახმად პირობისა, გალში ქართული სკოლა წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას უნდა გაეხსნა, მაგრამ გართულებული ვითარებისა და უსახსრობის გამო, ამ დაპირების სისრულეში მოყვანა უკეთეს მომავლისათვის გადაიდო.

სოფ. ერთაშორისობის ბიბლიოთეკას 1916 წლის პირველიანგრიდან უსახსრობის გამო აღარავითარი უურნალ-გაზეთი აღარ მისდის. სოფ. ვომახურის ბიბლიოთეკას 1916 წლიდან უსახსრობის გამო არც ერთი უურნალ-გაზეთი არ გამოუწერია და ლანქჩუთის განყოფილებამაც დახმარება ვერ გაუწია მას. სილ. ხუნდაძე სთხოვს წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას — სოფ. საჭამიასერის ბიბლიოთეკას „სახალხო ფურცელი“ მაინც გამოუწეროს.

ბაისუბნის სკოლა 1916 წელს, დაარსებიდან ექვსი თვეს
შემდეგ, დაიხურა უსახსრობის გამო; მთავარმა ტაქტიკური
მას ვერ აღმოუჩინა ვერავითარი დახმარება. პირდღირთება

1918 წლის 10 ნოემბერს შედგა წ.-კ. საზოგადოების
რწმუნებულთა კრება, რომელსაც 32 დელეგატი დაესწრო.
კრება გახსნა გ. ყაზბეგმა, რომელმაც შეაჯამა საზოგადოების
მუშაობის ორი პერიოდის შედეგები — დაარსებიდან 1907
წლამდე და 1907 — 1918 წლების განმავლობაში და აღნიშნა
ის წარმატებანი, რაც ჰქონდა საზოგადოებს თავისი არსებო-
ბის უკანასკუნვლი ათი წლის განმავლობაში. სკოლები ჯერ კი-
დევ რჩებოდა წ.-კ. საზოგადოების ხელში, მიუხედავად მათი
უმწეო მდგომარეობისა. მაგრამ მალე ისინი ერობისა და სამი-
ნისტროების ხელში გადავა, ბიბლიოთეკებს აგრეთვე ერობა
და მთავრობა მოუვლის, სტიპენდიებს უნივერსიტეტი გაა-
ცემს; დარჩა საგამომცემლო საქმე, რაც უნდა გაფართოვდეს.
1916 — 17 წელს საზოგადოებას მხოლოდ 8 სახელწოდების
წიგნი გამოუცია.

ამ ყრილობაზე თელ. კიკვაძის წინადადებით გიორგი ყაზ-
ბეგი არჩეულ იქნა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ.
მისივე წინადადებით საზოგადოების საპატიო წევრად არჩე-
ულ იქნა დავ. კარიჭაშვილი. ვ. ბურგანაძის წინადადებით სა-
ზოგადოების საპატიო წევრებად არჩეულ იქნან აგრეთვე
გრ. რცხილაძე და ლუარსაბ ბოცვაძე.

მინ. ტოროშელიძის წინადადებით წ.-კ. საზოგადოების
გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: თელ. კიკვაძე, კირ. ნი-
ნიძე, ი. გიორგობიანი, ვ. წულაძე, ვარ. ბურგანაძე, კალ. ქავ-
თარაძე, სეით იაშვილი, არჩ. ჯავანაშვილი, ლ. ბოცვაძე, ნინო
ნაკაშიძე. დავ. კარიჭაშვილი, იქ. ვართაგავა, შიო დედაბრი-
შვილი.

ეს იყო წ.-კ. საზოგადოების პირველი საერთო კრება,
რომელსაც მენშევიკები წარმართავდნენ ისე, როგორც საზო-
გადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა დარგს იმ წლებში (1917 — 1920). მაგრამ საქმეს ამან ვერ უშეველა. სწორედ
საზოგადოების 1918 წლის ანგარიშში ნათქვამი იყო: ავლაბ-
რის ბიბლიოთეკა უმწეო მდგომარეობაშია — ოთხი თვეა, რაც



დაკეტილია; ნავთლულის ბიბლიოთეკა ხუთი თვეა, უფრო ცუკუჭავა ეს
ტილია. გამგეობა არც ერთ ბიბლიოთეკას არა ყავშე, დადგურებულებები
რაიც წრეები არ მუშაობენ; ვერის ბიბლიოთეკა საღამოობით
დაკეტილია, რადგან სინათლე არაა. თუ ასეთ მდგომარეობაში
იყო თბილისში არსებული სამკითხველოები, როგორი იქნე-
ბოდა დაბა-სოფლების ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მდგო-
მარეობა?

1919 წელს ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა
წ.-კ. საზოგადოების 16 დაწყებითი სკოლა. კავკავის სკოლა
ძველ მდგომარეობაში დარჩა, ბაქოს სკოლას ინახავდა ადგი-
ლობრივი ქართული ეროვნული საბჭო. სოხუმის ქართული
სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა, ბათომის—უმაღლეს დაწყებით
სასწავლებლად. კრებაშ დაადგინა აკაკის ნაანდერძევი სხეიტო-
რის მამულის მიღება და იქ პროფესიული სკოლის გახსნა. ამ
წელს საზოგადოების 32 სახელწოდების წიგნი გამოუცია.

1919 წელს გრძელდებოდა წ.-კ. საზოგადოების ადგილობ-
რივ განყოფილებათა ლიკვიდაცია და მათი ქონება ერობებისა
და ქალაქების ხელში გადადიოდა. 1919 წელს წ.-კ. საზოგა-
დოების მხოლოდ 14 განყოფილება იყო დარჩენილი. საზოგა-
დოების ცდა აღდგენილიყო განყოფილებანი და გარდაქმნი-
ლიყო მისი მუშაობა ახალი წესდების საფუძველზე, უშედე-
ვო აღმოჩნდა. 1920 წელს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას 54
სახელწოდების წიგნი გამოუცია.

1914 წლიდან საგრძნობლად შემცირდა და შემდეგ სავსე-
ბით შეწყდა ხელნაწერი და ძველი წიგნების გადაცემა საზო-
გადოებისათვის. არაფერი მიმატებია აგრეთვე სამუშეუმზ
ნივთებს და სანუმიზმატიკო კოლექციას. ამრიგად, 1920
წლის დამლევისათვის წ.-კ. საზოგადოების საქმიანობა თითქ-
მის სავსებით ლიკვიდირებული იყო, ის ფაქტიურად წიგნე-
ბის გამომცემელ ორგანიზაციად გადაიქცა. წ.-კ. საზოგადოე-
ბა ინახავდა და უვლიდა აგრეთვე ქართველი ერის იმ სული-
ერსა და ნივთიერ საუნგეს, რომელიც ათეული წლების მან-
ძილზე მის ხელში დაგროვდა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელის-

უფლება დამყარდა. ამავე წლის 3 ივნისს აღ. შეტყოფლის თავმჯდომარეობით შესდგა წ.-კ. საზოგადოების უფლებების პირობები. პირველი ყრილობა საბჭოთა წყობილების პირობები. კრებამ სათანადო პატივი სცა ახალგარდაცვალებულ გიორგი ყაზბეგის ხსოვნას, რომელიც 12 წლის განმავლობაში ნაყოფიერად ემსახურებოდა წ.-კ. საზოგადოებას. ფარული კენჭის ყრით წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: დავ. კარიქაშვილი, დავ. ონიაშვილი, ოლღა სოლოლაშვილი, ვარ. ბურჯანაძე, იოსებ გორდეზიანი, ნიკ. ჩიგოგიძე, ნინო ნაკაშიძე, პავ. საყვარელიძე, ივ. გომართველი.

საზოგადოების 1921 წლის ანგარიშში აღნიშნულია: 1922 წლის პირველი იანვრისათვის წ.-კ. საზოგადოებაში ინახება 2.169 ხელნაწერი და 5.056 ნაბეჭდი წიგნი. უცვლელად დარჩა სამუშეუმო ნივთების რიცხვი; მხოლოდ საანგარიშო წლის ოცებერვალში „რამდენიმე ძველი სამუშეუმო ნივთი, რამდენამე ხელნაწერთან ერთად, გადატანილ იქნა, თითქოს ყოველგვარი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ქუთაისს, ხოლო იქიდან მენშევიკების მიერ გატაცებულ იქნა საზღვარს გარეთ“¹. ეს უკანასკნელი სიმდიდრე, მენშევიკების მიერ საფრანგეთში გატაცებული, ქართველ ხალხს სამუდამოდ დაეკარგებოდა, რომ საბჭოთა მთავრობას დროულად არ მიეღო ზომები მის დასაბრუნებლად საქართველოში.

1921 წლიდან წ.-კ. საზოგადოება მხოლოდ საგამომცემლო საქმეს განაგრძობდა. მისი საქმიანობა არ შეეფერებოდა მის სახელწოდებას.

1922 წლის 8 იანვარს მოწვეულმა რწმუნებულთა კრებამ მიიღო გამგეობის მიერ შემუშავებული ახალი წესდება, რომელიც განათლების კომისარიატის მიერ იყო დამტკიცებული. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ნაცვლად, რამდენადაც ახალ პირობებში განათლების უცელა დარგის ხელმძღვანელობას საბჭოთა ხელისუფლება კისრულობდა განათლების კომისარიატის მეშვეობით, ახალ ორგანიზაციის ეწოდა „წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება“ და ის განსახურმს დაექვემდებარა. წესდე-

¹ სცა, ფ. 481, საქ. № 6613, ფ. 14.

ბით საზ-ის წევრს საწევრო წლიურად უნდა ეხადა ერთგული შანქა-
თი (ოქროს კურსზე). თავ-რეს და ორ წევრს ხელში მეტყველ
ოდა, საზოგადოებას შეეძლო რაიონებში განყოფილებაზი გა-
ეჩინა. რწმუნებულთა ამ კრებამ შუამდგომლობა აღძრა, —
თუ განათლების კომისარიატი შეუძლებლად დაინახავდა
წიგნთსაცავ-მუზეუმის ახალ საზოგადოების ხელში დატოვე-
ბას, გადასცემოდა ის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-
დოებას.

1922 წლის 18 ივნისს შედგა საზოგადოების რწმუნებულ-
თა და მუდმივ წევრთა კრება დავ. კარიჭაშვილის თავმჯდომა-
რებით, რომელსაც 34 წევრი დაესწრო. კრებას მოხსენდა,
რომ საზოგადოების წიგნის მაღაზიიდან განათლების კომისა-
რიატს ჩაუბარებია წიგნები და ქაღალდი ღირებული 14.192 მან.
0.5 კ. ოქროთი¹; ხოლო წიგნთსაცავ-მუზეუმი სახელმწიფო
კუთვნილებათაა გამოცხადებული და ჯერჯერობით საზოგა-
დოების ხელშია. საზოგადოებას ორი განყოფილება პქონია—
ბაქოსა და კავკავში, სადაც ქართული სკოლები განვითო-
ბენ არსებობას ადგილობრივ განყოფილებათა სახსრებით. ამ
სკოლებისათვის „წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ
ქართველთა საზოგადოების“ გამგეობას 12 მილიონად ღირებუ-
ლების სახელმძღვანელო და სხვა წიგნები გაუგზავნია. გამე-
ობა უზრუნველობას იჩენდა ილიას სახლებისადმი თბილისში
და საგურამოში; დახმარებას აძლევდა მის ქვრივს ოლღა ჭავ-
ჭავაძეს. ფულით დაეხმარა იუბილიარებს — ზ. ჭიჭინაძეს,
არტურ ლეიისტს, პროფ. ალ. ცაგარელს, იაკობ ნიკოლაძეს,
შალვა დადიანს, პედ. აფრასიონ ჭაფარიძეს. დახმარებას უწევ-
და წიგნებით ბიბლიოთეკებს და სამხედრო ნაწილებს.

ვ. ბურჯანაძემ 1922 წლის 18 ივნისის სხდომაზე აღნიშნა
დავ. კარიჭაშვილის ღვაწლი საზოგადოების წინაშე და კრების
დადგენილებით ის არჩეულ იქნა საზოგადოების საპატიო
თავმჯდომარედ და დაევალა გამგეობას გამოეძებნა სახსრები
მის უზრუნველსაყოფად.

„წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ ქართველთა სა-
ზოგადოების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იასონ ლორთქი-

¹ სკია, ფ. 481, საქ. № 6704, ლ. 8.



ფანიძე, წევრებად: შალვა გოგებაშვილი, ნინო ქადაგიშვილი¹, ივ. ელიაშვილი, ვარ. ბურჯანაძე; კანდ-ად: პარე ჭავჭავაძე და მარია გამგეობაშვილი.

ამავე სხდომაზე ვარ. ბურჯანაძის წინადაღებით და დ. კარიჭაშვილისა და მთელი კრების მხარდაჭერით აღიძრა საქმე გამგეობის წევრის თედო კიკვაძის წინააღმდეგ, რომელსაც გამგეობისაგან მინდობილი ჰქონდა შეესწორებინა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“; ნამდვილად კი მან ამის ნაცვლად საკუთარი სახელმძღვანელო გამოსცა, რითაც საზოგადოებას დიდი ნივთიერი ზიანი მიაყენა. თ. კიკვაძე იძულებული გახდა გაშულიყო გამგეობის შემადგენლობიდან.

1924 წ. ი. გოგებაშვილის „დედაენის“ I ნაწ. არ გამოცემულა, დაიბეჭდა მხოლოდ ერთი წიგნი „კაცია-ადაშიანი“. „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება“ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა: საჭირო იყო მისი ფორმალურადაც გაუქმდა.

15. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების
გაუქმება

ვერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში განათლების კომისარიატის დადგენილებით, წ.-კ. საზოგადოების კუთვნილი წიგნთსაცავი, მუზეუმი და არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა. 1926 წ. 9 იანვრის თარიღით ივ. ჭავახიშვილი მადლობას უძლვნის გამგეობას წიგნთსაცავ-მუზეუმის უნივერსიტეტისათვის გადაცემის გამო. საზოგადოების გამგეობა თანახმა ზოგი ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები გადასცეს საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას.

არ არის ინტერესს მოკლებული, თუ რა განძი მიიღო უნივერსიტეტმა წ.-კ. საზოგადოებისაგან:

1. ხელნაწერი წიგნები	2.214 ც.
2. სიგულ-გუგრები და სხვა დოკუმენტები	1.600 ც.
3. ქართული ნაბეჭდი წიგნები	5.286 ც.

¹ სცია, ფ. 481, საქ. № 6642, ფ. 1—13; საქ. № 6613, ფ. 55.



4. რუსულსა და სხვა ენებზე ნაბეჭდი წიგნები	348
სამუშაომთ ნივთები:	გიგანტის მეცნიერებების მინისტრის მიერ განკუთხული სამუშაო
1. ისტორიულ-არქეოლოგიური	851 გ.
2. ეთნოგრაფიული	199 გ.
3. ნუმიზმატიკური	5.518 გ.
4. მხატვრული სურათი	155 გ.
5. ფოტოგრაფიული სურათი	3.303 გ.

1926 წლის 26 დეკემბერს მოწვეულ იქნა საზოგადოების გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც მოხსენდა, „რომ საზოგადოებას მთავრობის დადგენილებით აღარ აქვს იურიდიული პირის უფლება. გამგეობის სხდომაშ საზოგადოების სალიკვიდაციოდ აირჩია კომისია გრ. ბურჭულაძის, დიმ. დუმბაძის, წირქვაძის, ივ. ავალიშვილისა და გიორგი ბოკერიას შემადგენლობით, რომელმაც 1927 წლის 10 იანვრის სხდომაზე თავმჯდომარედ გამოჰყო დიმ. დუმბაძე, მდივნად პ. წირქვაძე და ხაზინადრად ივ. ავალიშვილი. საზოგადოების მდივანმა ვ. ბურჯანაძემ სალიკვიდაციო კომისიას მოახსენა, რომ წიგნთაცავი, მუზეუმი და არქივი წ.-კ. საზოგადოებისა ჯერ კიდევ 1925 წლის დეკემბერში და 1926 წლის იანვარში გადაეცა უნივერსიტეტს. სალიკვიდაციო კომისია დადგენილებით გამგეობის ეს ნაბიჯი მიზანშეწონილად იქნა აღიარებული. ოლღა ჭავჭავაძის შესანახად სალიკვიდაციო კომისიამ გადადო 300 მ. და ეს ფული ჩაბარდა მის მეურვეს ნინო ნაკაშიძეს. კომისიამ 250 მან. დააჯილდოვა ვარ. ბურჯანაძე, რომელიც 15 წლის განმავლობაში ერთგულად და თავდადებულად ემსახურებოდა წ.-კ. საზოგადოებას.

სალიკვიდაციო კომისიამ დაადგინა: საზოგადოების ხარჯების დასაფარავად საჭიროა 4.051 მან. თუ მწერალთა კავშირი გაიღებს ამ თანხას, საზოგადოების დარჩენილი ქონება მას გადაეცემა.

1927 წლის 31 იანვარს განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, წ.-კ. საზოგადოების დარჩენილი ქონება გადასცემოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს.

მაგრამ ვერც მწერალთა კავშირმა, ვერც „ქართულმა წიგნის“ ვერ შესძლეს 4.000 მან. ვალის გადახდა, თუმცა მარტინ ბის რეალიზაცია, რომელსაც ისინი ამ ვალთან ერთად შეიღებდნენ, 20 — 25 ათას მანეთს აღწევდა. ეს ოპერაცია სახელგამზა იყისრა. ამიტომ წიგნები (მაღაზიიდან) და ინვენტარი მას გადაეცა.

თანახმად მომართვისა, მწერალთა კავშირს გადაეცა წ.-კ. საზოგადოების დამარსებელთა სურათები და ბიუსტი, აგრეთვე კანცელარიის ბიბლიოთეკა (927 ც. წიგნი) და ავეჯი. მწერალთა კავშირის ხელში გადავიდა ილიასეული სახლი თბილისში და ილიას ძეგლი.

1927 წლის 20 ივნისს სალიკვიდაციო კომისიამ დაამთავრა წ.-კ. საზოგადოების ქონების ლიკვიდაცია.

ილია ჭავჭავაძე წერდა 1883 წელს: „...ყოველი ჩვენი ეგრეთწოდებული „საზოგადოება“ მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თითონ ერში არა აქვს, ხეა, რომელსაც ფესვი თითონ ერში არ გაუმაგრებია და თუ ფეხზე დგას, იმიტომ კი არა, რომ ძირი ლრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ, რომ გარედან აქეთ-იქით ბოძები აქვს მიღებული. აი ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ და წერა-კოსტევის საზოგადოებისა საკუთრივ“¹.

ილია ჭავჭავაძის შეირ წერა-კითხვის საზოგადოების ასეთი დახასიათება სწორია ამ საზოგადოების არსებობის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე. როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადოდ განუვითარებლობის გამო წ.-კ. საზოგადოება გარედან მიღებული ნაბოძებით, ე. ი. მოწინავე ადამიანების დახმარებით, არსებობდა. თავისი არსებობის მეორე ნახევარში კი, განსაკუთრებით 1908 — 1909 წლებიდან, მან ნამდვილად გაიღგა ფესვები ქართველ ხალხში: ის მასობრივ, დიდ ეროვნულ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერების საქმეს, მასში ეროვნული შეგნებისა და ეროვნული თვითგამორკვევის გრძნობის შეტანას.

¹ ი. ლ. ვ. ვაკევაძე, ტ. VII, 1928 წ., გვ. 69.



ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც თბილისურულებ
მელი ხალხი დაეპატრონა ხელისუფლებას, ჩვენი შეკვეთმა ესა
ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმე სრულიად
ახალი გზით წარიმართა: საბჭოთა წყობილების პირობებში ახა-
ლი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები წარმოიქმ-
ნა. წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი ამოცანები
შეასრულა და მისი შემდგომი არსებობა მიზანშეუწონელი
ვახდა.

ს პ რ ჩ ე ვ ი

I. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. 1879—1900 წლებში

1. ქ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება	4
2. წერა-კითხვის საზ-ბის ნივთიერი საშუალებანი	16
3. წერა-კითხვის საზ-ბის ზრუნვა სკოლების დაარსების შესახებ	21
ა) თბილისის სკოლა	24
ბ) ქუთაისის ქართული სკოლა	25
გ) ძეველი-სენაკის ქართული სკოლა	27
დ) ბათომის სკოლა	28
ე) კაცვაცის სკოლა	32
ვ) წინარეხის, თონეთის, ხელთუბნის და გომარეთის სკოლების დაარსება	34
4. ბრძოლა წ.-კ. საზოგადოების სკოლების გარშემო წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასა და მთავრობას შორის	35
5. წ.-კ. საზოგადოების დამხმარება სხვა უწყებათა სკოლებს	45
6. წ.-კ. საზ-ბის ზრუნვა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სხვა წიგნების დამზადებისა და გამოცემისათვის	51
7. წ.-კ. საზ-ბის სამწიგნობრი და მუზეუმი	59
8. წ.-კ. საზოგადოების ბინის საკითხი	67
9. ზრუნვა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებაზე	70
10. წ.-კ. საზ-ის ურთიერთობა რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებებთან	76

II. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1900—1927 წლებში

1. წ.-კ. საზოგადოება XX ს. დასაწყისში	78
2. წ.-კ. საზოგადოება ახალ საცემურზე	82
3. წ.-კ. საზოგადოების წევრები და ბრძოლა საწევრო გადასახადის შემცირებისათვის	88
4. სტრუქტურული ცვლილებანი წ.-კ. საზოგადოებაში	91
5. წ.-კ. საზოგადოების აღგილობრივი განცოცილებანი—ფილიალები	93



6. წ.-კ. საზოგადოების სკოლები	106
7. წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამეცითხველოები	ბიბლიოთეკა
8. წ.-კ. საზოგადოების მუშეუმზი და წიგნთაცავი	121
9. წ.-კ. საზოგადოების გამომცემლობა. წიგნის მაღაზია, წიგნების გავრცელება	123
10. წ.-კ. გამაცრცელებელი საზოგადოების ლონისძიებანი ცნობილ მოლვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავად	131
ა. წერია-კითხვის საზ.-ბის ზრუნვა ილია ჭავჭავაძის სახელის უკვდავსაყოფად	134
ბ. ილია ჭავჭავაძის ინდექტი და წ.-კ. საზ.-ბის ლონისძიებანი მისი განხორციელებისათვის	137
გ. აკ. წერიონი და წერია-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოება	141
11. შემოწირულებანი წ.-კ. საზ.-ბის სახსრების გასაძლივრებლად	143
12. წ.-კ. საზოგადოების სტიპენდიანტები და ერთდროული დასმის ჩება მწერლებს და საზოგადო მოღაწეებს	144
13. წ.-კ. გამაცრცელებელი საზ.-ბის ბიუჯეტი	147
14. ქ. შ. წ.-კ. გამაცრცელებელი საზოგადოება პირველ მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში	149
15. ქ. შ. წ.-კ. გამაცრცელებელი საზოგადოების გაუმჯობესება	156



რედაქტორი ვ. ტოროგაძე
ტექნიკური ტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორი ნ. აფხაზავა

*

წელმოწერილია დასტეკდად 16/XII-60 წ. ქა-
დალდის ზორა 84X108^{1/2}. საალტ.-საგამიშვი-
თაბახი 7,47. ნაბეჭდი თაბახი 8,4. სავტორი
თაბახი 7,26.

გვ05079. ტირაჟი 1000. ფერ. № 1439

ფასი 5 მან. 35 კაპ.
ფასი 1961 წ. 1-ლი იანვრიდან 54 კაპ.

*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
გარემონტობებისა და პოლიგრაფიული მრეწვე-
ლობის მთავარი სამსახურების სტამბა № 2,
თბილისი, ფერცვალის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления
издательств и полиграфической промыш-
ленности Министерства культуры Гру-
зинской ССР, Тбилиси, ул. Пурцеладзе
№ 5.



Трофим Ираклиевич Хундадзе

Общество распространения грамотности
среди грузинского населения
(1879—1927)

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сახითა საქართველო»

Тбилиси
1960

၁၃၁/၆၇၈

K 267 780
ကန်ဒေသပြည်
ပြည်ထောင်စုရုံး